ნიადაგის მოსწორებისა და გაწმენდის შემდეგ წინასწარ შერჩეული სქემის მიხედვით დაიგეგმება ნაკვეთი და დარგვება ვაზი.

კვლევის მეთოდიკა

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა საქართველოში ერთ-ერთი ფართედ გავრცელებული ვაზის ჯიშის – რქაწითელის ახალშენ ვენახში მოსავლის მიღე-

ბის დაჩქარებული ტექნოლოგიის გამოყენების პერსპექტივები. კვლევა ტარდებოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ვენახში 2019-2020 წწ. განმავლობაში

2019 წელს ვენახი გაშენებული იქნა შემდეგი სქემების (ვარიანტების) მიხედვით:

I ვარიანტი – 2,5 X 1,5 მეტრი სქემა; (საკონტროლო)

II ვარიანტი – 2,5 X 1,25 მეტრი სქემა;

III ვარიანტი – 2,5 X 2 მეტრი სქემა;

პირველი სავეგეტაციო წლის დასრულების შემდეგ აღრიცხული იქნა, ვაზის საერთო გახარების შედეგები ვარიანტების მიხედვით;

2020 წელს, მიზნად დავისახეთ დასახელებული სქემების ფარგლებში დაგვედგინა ვაზის გასხვლა-ფორმირების ოპტიმალური ვარიანტი, რისთვისაც ჩვენს მიერ განხორციელებული იქნა შესაბამისი ფიტოტექნიკური ღონისძიებები და ახალგაზრდა ვაზი ფორმირებული იქნა შემდეგი ვარიანტების მიხედვით:

I ვარიანტი – ქართული ცალმხრივი შპალერული ფორმა (საკონტროლო)

II ვარიანტი – ცალმხრივი კორდონი;

III ვარიანტი -ორმხრივი კორდონი;

ფორმირების თითოეული ვარიანტი წარმოდგენილია სამ დანაყოფზე, განსხვავებული გაშენების სწემის პირობებში;

2020 წელს, გასხვლა-ფორმირების წესების შესწავლის პარალელურად, გაშენების სქემის ფარგლებში ვიყენებდით მოსავლის მიღების დაჩქარებულ ტექნოლოგიებს და აღვრიცხავდით მსხმოიარობის კოეფიციენტს, საშუალოდ განვითარებულ 10 ერთეულ მცენარეზე ყოველ საკვლევ ვარიანტში, გადაანგარიშებით 1 ჰა. ფართობზე.

ცდები წარმოებდა თელავის რაიონი, სოფელ გულგულაში. ალაზნის ველზე გავრცელებული ალუვიური ნიადაგების აგროეკოლოგიურ გარემოში.

ცდის პერიოდში განხორციელებული აგროტექნოლოგიური ღონისძიებები საერთო იყო თითოეული ვარიანტისათვის; მცენარეთა დაცვა წარმოებდა ბიო-მეურნეობაში დაშვებული კონტაქტური პესტიციდებით;

2019 წლის გაზაფხულზე, მარტში, წინასწარ მომზადებულ ნიადაგში ვარიანტების შესაბამისად დარგული იქნა რქაწითელის ჯიშის პირველხარისხოვანი დაუპარაფინებული ნერგი კოკოლით, დრგვა განხორციელდა მევენახეობის აგროტექნოლოგიით გათვალისწინებული რეგლამენტით და დარგვისთანავე შეედგა ჭიგო;

ცხრილი 1

დარგული მცენარეების გახარების შედეგები

ვარიანტი	სულ დარგული	გაიხარა	ვერ გაიხარა
I ვარიანტი 2,5 X 1,5 მ (საკონტროლო)	132	119	13
II ვარიანტი 2,5 X 1,25 მ	160	144	16
III ვარიანტი 2,5 X 2 მ	100	98	2

როგორც ცხრილში მოცემული აღრიცხვის შედეგებიდან ჩანს, საკონტროლო ვარიანტში 2,5X1,5 მ. სქემით გაშენებულ პირობებში დარგული 132 ნერგიდან გაიხარა 119 ცალმა მცენარემ რაც გახარების 90 %-ს შეადგენს. II ვარიანტში – 2,5X1,25 მ. სქემით დარგული 160 მცენარიდან გაიხარა 144 მცენარემ, რაც საკონტროლო ვარიანტის მსგავსად 90 %-ია. ხოლო III ვარიანტში – 2,5X2 მ. სქემის პირობებში დარგული 100 ნერგიდან გაიხარა 98 მცენარემ, რაც გახარების 98 %-ს შეადგენს.

2020 წლის გაზაფხულზე ვაზის გასხვლა განხორციელდა მოსავლის დაჩქარებულად

მიღების ტექნოლოგიით, რაც ითვალისწინებს პირველი გასხვლისთანავე შტამბის ჩამოყალიბებას.

ვაზის შტამბის (ე.ი. ტანის) ძირითადი დანიშნულებაა აღმავალი დენით ვაზის მწვანე ნაწილებისაკენ გაატაროს ფესვთა სისტემისმიერ შეწოვილი საზრდო ნივთიერება და დამუშავებული ნივთიერებების ნაწილი დაღმავალი დენით მიაწოდოს სისხლს ფესვთა სისტემას. ამრიგად, იგი წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ ორგანოს ფესვთა სისტემასა და ვაზის მწვანე ნაწილებს შორის (ქანთარია, ვ. რამიშვილი, მ. 1983).

ვაზის სხვა მევენახეობაში ერთ-ერთი ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებაა. სხვლის მიზანია ყურძნის რეგულარული და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღება. სხვა და ზომიერი დატვირთვა უზრუნველყოფს სასურველი მოსავლის მიღებას, გასხვლის საშუალებით მყარდება აგრეთვე სასურველი შეფარდება ვაზის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობას შორის. აღნიშნული ღონისძიებების სწორად ჩატარებით მიიღწევა:

1. ვაზის მსხმოიარობაში ადრე შესვლა;
2. ყურძნის ხარისხის გაუმობესება;
3. რეგულარულად მყარი მოსავლის მიღება;
4. რქის დროულად და კარგად მომწიფება;
5. საფორმე ელემენტების უკეთესად განვითარება;
6. საექსპლუატაციო პერიოდის გახანგრძლივება (ჩხარტიშვილი, ნ. 2016).

გასხვლის შემდეგ რქა, რომელიც გათავლისწინებული იყო, როგორც შტამბი, აკრული იქნა წინასწარ შედგმულ ჭიგოზე, სწორმდგომი შტამბის ჩამოყალიბების მიზნით, ხოლო რქის ნაწილი, რომელსაც სანაყოფეს დანიშნულება ჰქონდა, შეყვლილი იქნა შპალერის პირველ მავთულზე.

ვეგეტაციის განმავლობაში აგროტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად ტარდებოდა – მწვანე ოპერაციები, მცენარეთა დაცვის ღონისძიებები და ნიადაგის დამუშავება-სარეველებთან ბრძოლის ღონისძიებები.

ცხრილი 2

ნაყოფმსხმოიარობა ვარიანტების მიხედვით

ვარიანტი	საშუალოდ მსხმოიარობა 1 ძირზე (ცალი, მტევანი)	საშუალოდ მსხმოიარობა 1 ძირზე (ნაყოფის საერთო წონა გრ.)	მსხმოიარობა 1 ჰა. ფართობზე გადაანგარიშებით (კგ.)
I ვარიანტი 2,5 X 1,5 მ (საკონტროლო)	2	400	1056
II ვარიანტი 2,5 X 1,25 მ	2	400	1280
III ვარიანტი 2,5 X 2 მ	2	400	800

აღრიცხვის შედეგებიდან ჩანს, რომ საკონტროლო ვარიანტში 1 ჰა. ფართობზე (გადაანგარიშებით) მიღებული იქნა 1056 კგ ყურძენი. II ვარიანტში, სადაც შემჭიდროებული ანუ ინტენსიური ნარგაობაა, მიღებული იქნა 1280 კგ. მოსავალი. ხოლო III ვარიანტში 2,5X2 მ. სქემის გაშენების პირობებში მიღებული იქნა 800 კგ. მოსავალი.

დასკვნები:

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ:

1. მოსავლის დაჩქარებული მიღების ტექნოლოგიის (პირველივე გასხვლის დროს შტამბის გამოყვანა) იძლევა საშუალებას მივიღოთ ეკონომიკური სარგებელი და რიგ შემთხვევებში მივიღოთ 1 ჰა. ჰართობზე 1 ტონაზე მეტი მოსავალი;

2. გამოსაცდელი ვარიანტებიდან, საუკეთესო შედეგი იქნა მიღებული ინტენსიური ნარგავების პირობებში (2,5X1,25 მ სქემა), საიდანც მიღებული იქნა 1280 კგ. ყურძენი;

3. მევენახეობაში გამოყენებული უნდა იქნეს თანამედროვე აგროტექნოლოგიური და აგროტექნიკური ღონისძიებები, რათა მიღწეული იქნას სასურველი შედეგი – ერთეულ ფართობზე მივიღოთ უხვი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია;

ლიტერატურა:

1. რამიშვილი, მ. (1986). ამპელოგრაფია. თბილისი: განათლება;
2. უჯმაჯურიძე, ლ. კაკაბაძე, გ. მამასახლისაშვილი, ლ. (2018). ქართული ვაზის ჯიშები. თბილი: პეგასი;
3. ქანთარია, ვ. რამიშვილი, მ. (1983) მევენახეობა. თბილი: განათლება;
4. ჩხარტიშვილი, ნ. (2016). მევენახეობა-აგროტექნოლოგია. თბილი: საჩინოში;

Test Results of the Technology Accelerating the Fructification of Rkatsiteli Vine

Shavadze Levan
Ichukaidze Niko
Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.438>

Abstract

The article discusses the results of the work carried out on the scientific – research plot of land of Iakob Gogebashvili Telavi State University, in particular, the test results of the technologies accelerating the harvest on one of the most widespread vine species in Georgia such as Rkatsiteli.

The experiments were carried out in the village Gulgula, Telavi district, in the agro – ecological conditions of the alluvial soils of the Alazani Valley during the years of 2019 – 2020. The experiment was arranged according to the following options: Option I – 2,5 X 1,5 meter scheme (control); Option II – 2,5 X 1,25 meter scheme; Option III – 2,5 X 2 meter scheme; According to the methodology green operations were carried out in each option during the first vegetation year, such as normalizing sprouts and removing suckers and after the completion of the vegetation, i.e. during the initial pruning of a young vine there was carried out the formation of a stem, which provided to speed up harvesting. The obtained results show that the technologies that speed up harvesting are effective and their usage provides good results in the vineyard planted with Rkatsiteli. At the same time, during the experiment it became clear that intensive vine crop, i.e. planting scheme 2,5 X 1,25 m. provides better result in terms of quantitative growth of the crop per unit area in the planted vineyard.

Key Words: vine; planted vineyard; crop; agrotechnology; pruning

**გეორგიევსკის ტრაქტატის ქართულ-ავსტრიული
უცნობი პრელუდიები**

ნაცვალაძე მამუკა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.439>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია XVIII ს-ის 80-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკური ფონი, რომლის გამოყენებასაც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ცდილობდა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. ამ დროს აქტუალურია ბერძნული პროექტი, ევროპის გადანაწილების გეგმა, რომელიც ოფიციალურად შემუშავდა სანქტ-პეტერბურგისა და ვენის საიმპერატორო კარზე, რაც მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებას. ბერძნული პროექტის თანახმად, ბიზანტიის იმპერია უნდა აღედგინათ რომანოვების დინასტიით სათავეში. ასევე უნდა აღდგენილიყო დაკვირვის სამეფო, როგორც ოსმალეთისა და ავსტრიის იმპერიების გამყოფი ბუფერული სახელმწიფო.

რამდენადაც ეს პროექტი ეხებოდა ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ერეკლე II დაინტერესებული გახლდათ ამ გეგმით. ის ცდილობდა მაქსიმალურად ჩართულიყო საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნის მეფე, რადგან ბერძნული პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველო იქნებოდა ქრისტიანული ქვეყნების გარემოცვაში. რომლის შედეგადაც საქართველო სულ სხვა თვისებრივ განზომილებაში აღმოჩნდებოდა, ეს იყო ყველა დროის ქართველ მეფეთა ოცნება.

სწორედ ამ მიზნით აგზავნის ერეკლე ელჩებს ავსტრიაში. ელჩობის ოფიციალური ვერსია იყო ორი პოლკის ევროპული გაწვრთვნისათვის საჭირო ფინანსების მოძიება, რაც მხოლოდ ნიღაბი გახლდათ რეალურად მიზნების შესაფუთად.

ავსტრიის საიმპერატორო კარს, თავის მხრივ, აქვს კონკრეტული გეგმები საქართველოსთან მიმართებაში. ის ცდილობს, ქართველი მეფის სურვილი პრაგმატული მიზნებისთვის გამოიყენოს და რომის საღვთო იმპერიას სხვა მასშტაბები შესძინოს. ამიტომაც ინტერესდება ავსტრია ერეკლეს ქართული წერილებით. უმნიშვნელოვანესი დეტალია, რომ წერილების თარგმნის პროცესში მონაწილეობდნენ ავსტრიის იმპერიის მსოფლიო რანგის დიპლომატები კაუნიცი და კობენცლი.

საკვანძო სიტყვები: ბერძნული პროექტი; ჰერაკლე მეორე; იოზეფ მეორე; ქართლისა და კახეთის სამეფო; საღვთო რომის იმპერია; ავსტრიის იმპერია, რუსეთის იმპერია; ეკატერინე II, კაუნიცი, კობენცლი.

შესავალი

1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულმა გეორგიევსკის

ტრაქტატმა ახალ ერას დაუდო სათავე საქართველოს ისტორიაში. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს უფრო მეტი საშუალება გაუჩნდა დაპყრობით პოლიტიკა ლეგიტიმურ საბურველში შეეფუთა და ამგვარად შეენიღბა თავისი ექსპანსიური მიზნები, არადა, ტრაქტატი ითვალისწინებდა ერთიანი ქრისტიანული სივრის შექმნას, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფოსათვის საგარეო საფრთხეების თავიდან აცილების დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

სწორედ ამიტომაც გეორგიევსკის ტრაქტატის პრელუდიები, ის წინარე ისტორია, ევროპასთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის მცდელობა, ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი წერილები სულ სხვა შინაარსობლივ და იდეურ დატვირთვას იძენს.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია ავსტრიისა და იტალიის არქივებში დაცულ დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებით გეორგიევსკის ტრაქტატის ევროპული პრელუდიების წარმოჩენა, საიდანაც შესაძლებელია იმ განწყობებისა და მიზნების გარკვევა, რაც ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს გააჩნდა.

კვლევის სიახლე

გეორგიევსკის ტრაქტატის პრელუდიები უშუალოდ უკავშირდება ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, იმ პერიოდისათვის აქტუალურ „ბერძნულ პროექტს“, რომელიც საქართველოს ისტორიასთან მიმართებაში არავის უკვლევია. იმპერიული კონიუნქტურული მიზნებიდან გამომდინარე, რუსულმა და საბჭოური ხანის ისტორიოგრაფიამ ფაქტობრივად გამიჯნა XVIII ს-ის 50-90-იანი წლების მსოფლიო პოლიტიკური პროცესები კავკასიაში მიმდინარე პროცესებისგან, რამაც საფუძველი გამოაცალა აღნიშნული პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ობიექტურ კვლევას.

ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული ვაკუუმის შევსება და მეცნიერული კვლევის შედეგები გამოვაქვეყნეთ ქართულ [ნაცვალაძე 2020ა ; ნაცვალაძე 2020ბ] და უცხოურ [Natsvaladze 2020a; Natsvaladze 2020b; Natsvaladze 2020c; Natsvaladze 2020d; Natsvaladze 2020e; Natsvaladze 2021a; Natsvaladze 2021b] სამეცნიერო ჟურნალებში. წინამდებარე თემა ამ მასშტაბური კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, უცნობი სეგმენტია.

კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები

ჩვენს საკვლევო თემა ხასიათდება მრავალწახნაგოვანი ფორმებით, შესაბამისად საკითხის სრულყოფილი ანალიზი ითხოვს საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ კვლევის სხვადასხვა მეთოდი.

კვლევისას ვიყენებთ ისტორიზმის, ობიექტურობის, რეკონსტრუქციის, ალტერნატივობის, დეტერმინიზმის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომელიც თავიანთ თეორიულ კვლევებში შეიმუშავეს რობინ ჯორჯ კოლინგვუდმა, რეინჰარდ კოსელეკმა; აბრამს ლინმა; ბრუნდაჯ ენტონმა, გრეგორი იანმა და ელ პაულმა; ედუარდ ფრიმანმა; ჰიუზ-ვორინგტონმა, იგერს ჯორჯმა და ედუარდ ვანგმა; აკირა ირიემ; ქელდელის ენტონმა; ლუკას ჯონმა; მუნრო დუგმა და რეიდ ჯონმა, ქუიგლეი კეროლმა, რაფლოზ კურტიმ, შარლ ვიქტორ ლანგლუამ და შარლ სენიობოსმა, მარკ ბლოკმა; პიტერ ლამბერტიმ და ფილიპ სკოფილდმა.

წერილობითი წყაროების მიმოხილვა

ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, კერძოდ ვენის, ვატიკანის, ვენეციის, რომის არქივებში დაცული ცნობები, ცალსახად მიაწოდებენ, რომ ქართლ-კახეთის მეფე

სერიოზულად განიხილავდა ევროპული დიპლომატიის შესაძლებლობებს და ცდილობდა ეს სეგმენტი საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოეყენებინა. შესაბამისად, ამ მოტივით ერეკლე გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, 1781-82 წლებში, გზავნის ორ ელჩობას ევროპაში.

ევროპას მიმართავს ერეკლე კიდევ ერთხელ, 1795 წლის გვიან შემოდგომაზე, ალა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ, როცა ავსტრიის იმპერატორთან აგზავნის კიდევ ერთ ელჩობას, რაც ისტორიოგრაფიაში დღემდე უცნობი ფაქტია. ეს სიახლე დეტალურად გავამუქეთ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში გამოქვეყნებულ სტატიებში [Natsvaladze 2020c; ნაცვალაძე 2020ბ].

რუსული დიპლომატიის ხრიკების შედეგად ერეკლეს მიერ ევროპაში გაგზავნილი პირველი ორი ელჩი ვერ ჩადის დანიშნულების ადგილას. ორივე მათგანი დომენიკე და მაურო ვერონელი, გაურკვეველ ვითარებაში კვდებიან. მიუხედავად ამისა, ერეკლეს გაგზავნილი წერილები მაინც აღწევს ავსტრიის საიმპერატორო კანცელარიაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან.

აღნიშნული კორესპონდენციების მცირე ნაწილი (სულ ორი წერილი) გამოაქვეყნა მიხეილ თამარაშვილმა, [თამარაშვილი 1902:402-404]. შემდგომ ვატიკანის, ვენის ვენეციის არქივებში იმუშავა ილია ტაბაღუამ [ტაბაღუა 2000], მან 1979 წელს ერეკლე მეორის საგარეო პოლიტიკის შესახებ დაბეჭდა გამოკვლევა, რომელსაც თან ერთვის ქართველი მეფის წერილები და მასთან დაკავშირებული სხვა ეპისტოლარული მასალა [ტაბაღუა 1979].

ვატიკანში პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივში, რომში კაპუცინელთა გენერალურ არქივსა და თეატინელთა არქივში დაცული ქართული მასალების გამოყენებით აქტუალური სტატიები გამოაქვეყნა ნინო დობორჯგინიძემ. [დობორჯგინიძე 2019:197-211]

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული პირველწყაროების საფუძველზე ობიექტურად შევაფასოთ ერეკლეს ევროპაში გაგზავნილი ელჩობა, პირველ რიგში საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება უნდა გავანალიზოთ და გავარკვიოთ რა კავშირი აქვს ერეკლეს პოლიტიკურ მიზნებს იმდროინდელი ევროპის საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებთან.

ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ერეკლეს ევროპაში გაგზავნილი წერილების იტალიური თარგმანები, ასევე ამ თარგმანებთან დაკავშირებული ვენის საიმპერატორო კარის მაღალი რანგის მოხელეების კორესპონდენციები. აღნიშნული საარქივო მასალების კლასიფიკაციის მეთოდის გამოყენებით, დავადგინეთ ის თემატიკა, რომელიც ამ ფასდაუდებელ საარქივო მასალებიდან იკვეთება და რიგ შემთხვევაში საჭიროებისამებრ მეორდება.

ერეკლეს ჩვენს ხელთ არსებული წერილებისა და ამ წერილებთან დაკავშირებული კორესპონდენციებიდან ცალსახად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ:

1. 1781-82 წლებში რაღაც სასწრაფო და გადაუდებელი ხდება ევროპაში;

ამ გარემოებას ადასტურებს შემდეგი მტკიცებულებები:

ა) პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის ქართული მასალების მესამე ტომის 44-ე ფურცელი ინახავს საინტერესო ინფორმაციას. კაპუცინელი მაურო ვერონელი 1781 წლის 14 მარტის წერილზე 16 მარტს აკეთებს შემდეგ ჩანართს: „დღეს დილით, 16 მარტს, მეფე ერეკლემ მიბრძანა, ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ პადრე დომენიკო, ამ წერილის მომტანი, ვენაში გაამგზავროთ რაც შეიძლება სწრაფად, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები აბარია.“ [დობორჯგინიძე 2019:184]

ბ) საგულისხმო და უმნიშვნელოვანესი დეტალია ის, რომ კაპუცინელ ელჩს მაურო ვერონელს 1782 წელ ევროპაში არ მიაქვს ნათარგმნი წერილები. არადა, ერეკლეს წერილების თარგმნას სულ მცირე დრო, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე სჭირდება. როგორც ჩანს, ეს რამდენიმე დღეც კი მნიშვნელოვანია ერეკლესათვის, შესაბამისად ერეკლე არჩევანის წინაშეა – ან ცოტა ხანი დააყოვნოს ელჩი და მომზადებული ნათარგმნი წერილებით გაუშვას, ანდა, ქართულად დაწერილი წერილები გაატანოს იმ იმედით, რომ ევროპაში ვინმე თარგმნიდა. ერეკლე არჩევანს ელჩის დაუყოვნებლივ გამგზავრებაზე აკეთებდა.

2. ეს სასწრაფო საქმე არ არის საქვეყნოდ გაცხადებული და მკაცრად გასაიდუმლოებულია;

აღნიშნული ფაქტს ადასტურებს რამდენიმე საარქივო დოკუმენტი:

ა) მაურო ვერონელისადმი ერეკლეს იტალიურ ენაზე თარგმნილი საინსტრუქციო წერილი. აი, რა დავალებას აძლევს ერეკლე ევროპაში გაგზავნილ ელჩს: „...თუ თქვენი თხოვნა არ შეუსრულებია ხსენებულ იმპერატორს და არც სხვა მეფეს, ეს საიდუმლოა და არავინ არ უნდა გაიგოს იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოცხადება დიდად საზიანო იქნება.“ [ტაბალუა 1979:90]

ბ) ერეკლე მეორის წერილი იოზეფ მეორესადმი. აი, რას წერს ერეკლე: „ეს იყო დაბარებულობა მისი, რომელიც მოგეხსენებათ ამ მოხსენებაში: რადგან წარსულს წელიწადებში ამ ჩვენის მხრის აზრის ქვეყნებში ამბავი მოდიოდა, რომ თქვენს უმაღლესობასა და უდიდებულებას თურქეთის სულთანზე საფარი აქვსო, ამ სასიხარულო ამბავმა ჩემს გონებასა შინა მყოფი ერთგულება განაღვიძა და სიხარულად აღძრა. და ის პატრი ამისთვის გამოვგზავნეთ, რომ ეგება თქვენის უმაღლესობის საკადრის სამსახურს ველირსნეთ“ [ტაბალუა 1979:100].

უმნიშვნელოვანესია იმის განმარტება, რას უნდა ნიშნავდეს „საფარი“. ჩვენი აზრით, საფარი – საიდუმლოს, დაფარულ აზრს, ნიშნავს. ეს კონტექსტიდანაც ნათლად ჩანს – ერეკლე აღფრთოვანებული ყოფილა იმით, რომ იოზეფ მეორეს რაღაც დაფარული აზრი ჰქონია ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებაში.

3. ეს გადაუდებელი და საიდუმლო საქმე უშუალოდ უკავშირდება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას;

მას შემდეგ რაც 1781 წელს გაურკვეველ ვითარებაში კონსტანტინოპოლში კვდება ერეკლეს გაგზავნილი ელჩი დომენიკო, ერეკლე კიდევ ერთ ელჩობას გზავნის უმოკლეს დროში, რომელსაც ზუსტად ის მიზანი აქვს, რაც პირველ ელჩობას.

აი, რას წერს ამის შესახებ ერეკლე იოზეფ მეორეს: „ამ წერილზე ბევრად ადრე, გასულ წელს, გამოვგზავნე თბილისში მყოფი პატრი დომინიკო. თქვენი უმაღლესობისათვის მას გამოვატანე ჩემი თხოვნა, რაც წერილში არ იყო ნახსენები. სიტყვიერად დავაბარეთ, თუ რა მნიშვნელობას ვანიჭებდით მას. მაგრამ პატრი დომენიკო გზაში გარდაიცვალა. ჩვენი მაშინდელი დავალება ახლინდელის შესაბამისია.“ [ტაბალუა 1979:104]

4. ამ საიდუმლო და ამასთანავე სასწრაფო საქმეში საკმაოდ მაღალი დოზით მონაწილეობს ავსტრიის იმპერატორი იოზეფ მეორე.

აღნიშნულ ვერსიას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ერეკლეს წერილების მთავარი ადრესატი ავსტრიის იმპერატორია. მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს წერილები ქართულ ენაზეა, ავსტრიის სამეფო კარი ჩვეულებრივზე უფრო მეტი სერიოზულობით უდგება წერილების თარგმნის საქმეს, რაც თითქმის წელიწადნახევარი გაგრძელდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ წერილების თარგმნის ორგანიზებით დაკავებულია ავსტრიის იმპერიის მოხელე, მსოფლიო რანგის დიპლომატი ვენცელ

კაუნიცი, [ტაბალუა 1979:113-175] რომლის სახელს უკავშირდება XVIII ს-ის 50-60-იანი წლების დიპლომატიური რევოლუცია – დიდი ხნის ტრადიციული მტრების ავსტრიისა და საფრანგეთის დაახლოვება.

5. ამ საიდუმლო და საჩქარო საქმეში საქართველოს მონაწილეობას ხელს უშლის სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარი

კარდინალი ჰრზანის ვენცელ კაუნიცისადმი გაგზავნილ პატარა წერილში, რომელიც შეიცავს ერეკლეს მოთხოვნის მოკლე შინაარსს, არის ორი უმნიშვნელოვანესი პლასტი.

აი რას წერს კარდინალი ჰრზანი: „ვიმედოვნებ რომ ამ ნაბიჯს რუსეთის სამეფო კარი სწორად გაიგებს. ის კი ცხადია, რომ პრინც ერეკლეს თხოვნა ამ მეტად ძვირფასი საჩუქრის შესახებ უნდა შესრულდეს“ [ტაბალუა 1979:118].

ამ ტექსტიდან პირველი უმნიშვნელოვანესი გზავნილია – ავსტრიის საიმპერატორო კარი არ არის დარწმუნებული, რომ რუსეთი მოიწონებს მისი მხრიდან საქართველოს დახმარების სურვილს. და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ერთი მხრივ, საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ავსტრიასთან, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ერთმორწმუნეობას ეფიცება [Грамоты 1898:4-28].

ამ ტექსტის მეორე გზავნილი საკმაოდ რადიკალურია – კარდინალ ჰრზანს მიაჩნია, რომ ერეკლეს თხოვნა – ორი ბატალიონის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნისა და მისი შენახვისათვის საჭირო თანხის გაღება უნდა შესრულდეს.

ამ პატარა ჩანაწერიდან ცხადია მესამე გზავნილიც – ვენის საიმპერატორო კარი კარგად ხედავს საკუთარი პრიზმიდან, რომ აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება თავად მათ ინტერესშია. ამიტომაც არის კატეგორიული და ცალსახა კარდინალ ჰრზანის პოზიცია, „რომ პრინც ერეკლეს თხოვნა ამ მეტად ძვირფასი საჩუქრის შესახებ უნდა შესრულდეს“ [ტაბალუა 1979:118].

6. აღნიშნული საჩქარო და საიდუმლო საქმე უშუალოდ უკავშირდება რუსეთის იმპერიას.

კარდინალი ჰრზანი სრულად ჩამოთვლის მის ხელთ არსებულ წერილებს, რომელიც ერეკლეს გაუზავნია ევროპაში: „მისი უწმინდესობისადმი, ნეაპოლისა და სარდინიის მეფეებისადმი, ვენეციისადმი მიწერილი წერილები თარგმანითურთ გზავნია. შემდეგ მოსდევთ წერილების ასლი და თარგმანი, რომელიც როგორცა სჩანს, რუსეთის დედოფლისადმი არის მიმართული. ეს წერილი გამოირჩევა სხვა წერილებისგან იმით, რომ ხელმოუწერელია, არც დასაწყისში აქვს რაიმე სათაური“ [ტაბალუა 1979:119].

ბუნებრივია, კატეგორიულად უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთის დედოფლისადმი მიწერილი წერილი ერეკლეს შემთხვევით მაურო ვერონელისთვის გაეტანებინა ავსტრიის იმპერატორთან. საგანგებოდაა ხაზგასასმელი, რომ ამ წერილს არ აქვს არც თარიღი და არც ის ჩანს, ვინაა მისი ადრესატი.

ვფიქრობთ, ეს გახლავთ ერთგვარი გზავნილი იოზეფ მეორისადმი, რომელსაც ერეკლე მიანიშნებს, რომ ავსტრია-საქართველოს ურთიერთობა მისი რუსეთისადმი ოფიციალურად დადასტურებული სიმპათიიდან გამომდინარე, ვერ შეიტანდა დისონანსს ავსტრია-რუსეთის კეთილგანწყობილ ურთიერთობებში.

7. საქმე გვაქვს ისეთ გასაიდუმლოებულ საჩქარო საქმესთან, რომელშიც იკვეთება ავსტრიის, რუსეთისა და საქართველოს ინტერესები.

უფროსი პატრი ანდრეასი მარკო ვერონელისთვის მიცემულ სარეკომენდაციო წერილში წერს: „ამ წერილის წარმომდგენი პატივცემული პატრი მაურო, რომელიც ვერონაში მოქადაგე მინორიტების წესის სამოციქულო მისიონერი და წმინდა ფრანცისკელი

კაპუჩინია, ევროპის სამართლიანმა ადამიანებმა (დიპლომატიურ საქმეზე) რუსეთში გაგზავნეს, რათა მათ წინადადების წარმატებისთვის იშუამდგომლოს“ [ტაბალუა 1979:88].

უფროსი პატრი ანდრეასი მაურო ვერონელს რუსეთში გაგზავნილად მოიხსენიებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ ვენაში წავა, მაუროს დავალებული ჰქნდა რუსეთში გაეგვლო გარკვეული კონსულტაციები.

8. ერეკლეს წერილებში ნახსენები გარდა ორი პოლკის დაფინანსებისა, ქართლ-კახეთის მეფეს უფრო მნიშვნელოვანი, დაფარული, საიდუმლო თხოვნა აქვს ავსტრიის იმპერატორისადმი.

ერეკლე იოზეფ მეორეს წერს: „პატრი მაუროსადმი სიტყვიერად დანაბარები თქვენ ზედმიწევნით დაგარწმუნებთ, თქვენო უმაღლესობავ, რასაც ის მოგახსენებთ, მას ყველაფერში ერწმუნეთ“ [ტაბალუა 1979:104].

კვლევის შედეგები

ზემოაღნიშნული ფაქტების ერთობლივი შეფასებითა და ანალიზით უნდა გაირკვეს, ერეკლეს ევროპასთან დაკავშირების მცდელობა იდეალისტური ნაბიჯი იყო, თუ წინასწარ, ზუსტად გათვლილი პოლიტიკური გადაწყვეტილება.

ჩვენ სიღრმისეულად შევისწავლეთ XVIII ს-ის 50-80-იანი წლებისას მიმდინარე საერთაშორისო პროცესები, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება ევროპასა და მსოფლიოში. ამ პროცესებისა და მსოფლიო ისტორიული ფონის ანალიზისას ცალსახაა, რომ ზემოთ მინიშნებული რვა კომპონენტი ერთობლივად ნათლად იკვეთება ევროპის გადანაწილების იმ გეგმაში, რომელიც ბერძნული პროექტის სახელითაა ცნობილი და რაც ოსმალეთის იმპერიის დანაწილებას ითვალისწინებს.

ეს გეგმა, რომელიც საკმაოდ დიდი ხანი არსებობდა სხვადასხვა ფორმით, კონცეფტუალური სახით ჩამოყალიბდა 1780 წელს მოგილიოვში ეკატერინა მეორისა და იოზეფ მეორის საიდუმლო შეხვედრისას. [Ивонин 2007:31-43] (საგულისხმოა რომ იოზეფი რუსეთში ინკოგნიტოდ ჩამოდის და გრაფ ფინკენშტენის სახელით მოგზაურობს რუსეთში) საბოლოო სახე კი მიიღო ეკატერინას წერილში, რომელიც იოზეფ მეორეს უგზავნის 1781 წლის 20 სექტემბერს [Русский архив 1880: 281-291; Arneth 1869:143-157].

საიდუმლო ვიზიტისას გადაწყდა ევროპის გადანაწილება ოსმალეთის იმპერიის დანაწილების ხარჯზე. უნდა აღსდგეს ბიზანტიის იმპერია, რომლის ტახტსაც დაიკავებს ეკატერინა მეორის შვილიშვილი კონსტანტინე, რომელიც იმეფებს რუსეთის რომანოვთა დინასტიისაგან დამოუკიდებლად, ასევე უნდა შეიქმნას ბუფერული სახელმწიფო დაკია, რომელიც გააერთიანებს მოლდავეთს ვალახეთსა და ბესარაბიას. ეს იქნება ერთგვარად დამცავი სივრცე, რომელიც მაჰმადიანური გარემოცვისგან გამიჯნავს ავსტრიის იმპერიას. [Русская старина 1892:1-4; Зорин 2001:35-37; Гриффитс 2013:352-360; Маркова 1986:5-11]

გამომდინარე იქიდან, რომ ოსმალეთის იმპერია ფაქტობრივად პრეტენზიას აცხადებს დასავლეთ საქართველოზე და ამასთანავე ინსპირატორია დაღესტნიდან და ჩეჩნეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მთიელთა მუდმივ შემოსევებისა, რაც ფაქტობრივად ანგრევს ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობას, ერეკლე უშუალოდაა დაინტერესებული ყველა იმ საერთაშორისო პოლიტიკური პროცესით, რომლის მიზანია ოსმალეთის დასუსტება.

სწორედ ამ ფონზე უნდა გავიაზროთ ფრაზა იოზეფ მეორისათვის განკუთვნილი ერეკლეს წერილიდან: „თქვენს უმაღლესობასა და უდიდებულესობას თურქეთის

სულთანზე საფარი აქვს“ [ტაბაღუა 1979:100] საკითხავია, რამდენად შეიძლება ვიგულისხმოდეთ პორტასთან ომი ამ დაფარულ აზრში? ვფიქრობ ეს ვარიანტი უნდა გამოვრიცხოთ, რამდენადაც ის პოლიტიკური ურთიერთობები და ურთიერთქიმიში, რაც ტრადიციულად ავსტრიის იმპერიას უწევს თურქეთთან, რომელიც უმერტესად ამ დაპირისპირების ინიციატორია, ვერ გამოდგება დაფარული აზრის გამომხატველ ცნებად.

ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ „დაფარულ აზრში“ ისეთი მოვლენა უნდა იგულისხმებოდეს, რაც ავსტრიის, თურქეთისა და საქართველოს ინტერესებს კვეთდეს. ამგვარი ინტერესთა თანხვედრა ვფიქრობთ, ბერძნული პროექტია. ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ ერეკლეს მიერ ევროპაში გაგზავნილი ელჩობის მთავარი მიზანი ცალსახად ბერძნული პროექტთან არის დაკავშირებული.

უმნიშვნელოვანესი ფაქტია: ორი იმპერატორი შეთანხმდა, რომ ეს პროექტი საიდუმლოდ დარჩენილიყო ოსმალეთის მხრიდან პოლიტიკური პროცესების გართულების თავიდან აცილების გამო [Зорин 2001:38-45] თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ ინიციატივამ მაინც გაჟონა. საქმე ისაა, რომ სწორედ ბერძნული პროექტის იდეოლოგიაზე გადაეწყო ეკატერინას დროინდელი მთელი რუსეთი. ეს კარგად გამოჩნდა რუსეთის იმპერიის იმდროინდელ არქიტექტურაშიც, ლიტერატურაშიც, სამეფო ნიშნებზეც, საზოგადოებრივი აზრიც ამ იდეითაა განმსჭვალული [Зорин 2001:58-88] შესაბამისად არავისთვის არ იყო დასამალი, რომ რუსების კონსტანტინოპოლში შესვლის მანამდე არსებულმა ისედაც პოპულარულმა თემამ XVIII ს-ის 80-იანი წლებიდან კიდევ უფრო მეტი პოპულარობა შეიძინა.

მიუხედავად ამისა, ერეკლე იცავს ინსპირირების წესს მარტივი მიზეზის გამო – იოზეფ მეორე და ეკატერინა მეორე თვლიან, რომ ევროპის მათ მიერ შეთანხმებული გადანაწილების გეგმა საიდუმლო უნდა იყოს და არ გამჟღავნდეს. საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებში ჩართვის სერიოზული განაცხადი, ბუნებრივია, დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით უნდა მოხდეს, ამიტომაც ერეკლე მეორე ბოლომდე ერთგული რჩება იმ წესების, რომელიც ორი დიდი იმპერიის ხელისუფალმა დაადგინა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ის საიდუმლო საქმე, რომლის გამოც ერეკლემ გადაწყვიტა ორჯერ გაეგზავნა ელჩი ევროპაში, შეიძლებოდა მხოლოდ იოზეფ მეორისა და ეკატერინა მეორის მიერ შედგენილი ბერძნული პროექტი ყოფილიყო, რაც ევროპის გადანაწილებას ითვალისწინებდა ოსმალეთის იმპერიის განეიტრალების გზით.

თუმცა, აქ არის კიდევ ერთი საკმაოდ საინტერესო და უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელიც ამ ამოცანის იმ სეგმენტს ხსნის, თუ რატომ ჩქარობს ერეკლე. ერეკლეს წერილების ანალიზისას ამ კომპონენტს ისტორიოგრაფიაში ჩვენამდე არავინ შეხებია. არადა, ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ გარემოების გარკვევით გახლავთ შესაძლებელი დავაზუსტოთ რა არის ერეკლეს ელჩობის მთავარი მოტივაცია.

კონკრეტული პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – რას ესწრაფვის ერეკლე, რატომ თვლის საჭიროდ სასწრაფოდ ელჩობის მივლინებას ვენაში. თანაც ისე საჩქაროდ, რომ წერილების თარგმანს უფრო ნაკლებადმნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს, ვიდრე ვენაში ელჩის დროზე ჩასვლას.

აღნიშნული პერიოდის ნარატიული წყაროებისა და დოკუმენტების შესწავლისას ჩვენ მივაქციეთ ყურადღება საკმაოდ საინტერესო ფაქტს – XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისის ავსტრიისა და რუსეთის ურთიერთობის ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა უფლისწული პავლეს მოგზაურობა ავსტრიაში მეუღლესთან ერთად 1781-82 წლებში [Хаванова 2016:97; РИО 1872:70-97].

პავლე მომავალი იმპერატორია, მიუხედავად იმისა, რომ მას დედამისთან ეკატერინესთან არა აქვს თბილი ურთიერთობა, ეს ის დროა, როცა მათ შორის დაძაბულობას კულმინაციისათვის ჯერ არ მიუღწევია. ის გრანდიოზული ბერძნული პროექტი, რომელიც ეკატერინას შვილიშვილების, პავლესა და მარიამის შვილების მომავალს წყვეტს – ალექსანდრე რუსეთის იმპერატორად რჩება, კონსტანტინე კი ბიზანტიის იმპერიის დინასტიას დაუდებს საფუძველს, ბუნებრივია, პავლეს ინტერესთა სფეროში ექცევა აქტიურად. შესაბამისად, ის უფლებამოსილია ამ საკითხთან დაკავშირებით კულუარულ მოლაპარაკებებში მიიღოს მონაწილეობა.

ერეკლესათვის შესანიშნავი შანსია წარგზავნოს ელჩი, რომელსაც ექნება საშუალება შეხვდეს არა მარტო ავსტრიის იმპერატორს იოზეფ მეორეს, არამედ ავსტრიაში მყოფ რუსეთის ტახტის მემკვიდრე პავლე მონახულოს. შესაბამისად ავსტრიის საიმპერატორო კარის დიდი ინტერესიდან გამომდინარე, სრულიად რეალურია იოზეფ მეორეს მოენდომებინა სამმხრივი შეხვედრა, რომელიც სამივე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხებს გადაწყვეტდა.

ვფიქრობთ, მთავარი სათქმელი, რაც ერეკლეს სურდა გადაეცა იოზეფ მეორესათვის, ეწერა არა წერილებში, არამედ ელჩებს ჰქონდათ ზეპირად დავალებული. ამ საყოველთაო დიპლომატიურ პრაქტიკას იყენებს ქართლ-კახეთის მეფე. სწორედ ამაზე მიახლოებებს მიხეილ თამარაშვილი: „პოლონელ კაპუცინს წაუღიათ ყველა მისი (მაურო ვერონელის მ.ნ.) ქაღალდები ვენას პაპის ნუნციასთან და უთქვამთ მისთვის, რომ მიცვალებულ პატრი მავროს საქართველოს მეფისაგან ბევრი რამ ჰქონია პირადად დაბარებული.“ [თამარაშვილი 1902:402]

დოკუმენტებისა და პირველწყაროთა ერთობლივი ანალიზით, აღნიშნული ფრაგმენტი კიდევ ერთი დასტურია, რომ ერეკლეს ევროპული ელჩობის მთავარი თემა სწორედ „ბერძნული პროექტი“ და ამ პროექტში საქართველოს მონაწილეობის საკითხია.

ვფიქრობთ, უფროსი პატრის ანდრეასი დეტალურადაა საქმის კურსში, თუ რა მიზანს ისახავს ერეკლეს ელჩობა და კარგად იცის ასევე ზეპირად დანაბარების არსი. ჩვენი აზრით, სწორედ ამის კვალი უნდა იყოს ავსტრიის იმპერატორისათვის მიწერილ წერილში.

„ასეთი რამ (ნაგულისხმები უნდა იყოს ერეკლეს ჩართვა ბერძნულ პროექტში – მ.ნ.) სარწმუნოების გამავრცელებელი კონგრეგაციის გზით აშკარად უნდა გავაკეთოთ, რათა თქვენი და ღვთის დიდების წინაშე, აგრეთვე ამ მისიონის სარგებლობისათვის, არასოდეს უბედურთა და დევნილთა შიშით ცახცახი არ გამოიწვიოთ. რადგან შენი ხელისუფლების ძლიერება იმდენად განთქმულია ბარბაროს ხალხში, რომ თქვენი მბრძანებლობის (სახელმწიფოს) ნებასურვილი, ასევე სიფრთხილე ურწმუნოთა და მწვალებელთა წინაშე, პატივისცემას და ასევე მფარველობას იწვევს.“ [ტაბალუა 1979:86]

ფაქტია, რომ ვენის საიმპერატორო კარის მხრიდან ერეკლეს კორესპონდენციებისადმი დამოკიდებულების მაღალ ხარისხს თუ განვიხილავთ, აშკარაა, რომ ავსტრიის იმპერატორთან ერეკლეს ელჩის შეხვედრას არაფერი უდგა წინ. რაც შეეხება უფლისწულ პავლეს, ვფიქრობთ, დიპლომატიური ეტიკეტიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, ის არ იქნებოდა წინააღმდეგი სამმხრივ შეხვედრას დათანხმებოდა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: უფროსი პატრის ანდრეასის წერილში იმპერატორისადმი საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ ვერონელის ზეპირი თხოვნა ეხება ისეთ საკითხს, რომელიც შესაძლოა მომავალში არ განმეორდეს: „წინასწარ არ ვიცით სულიერი სარგებლობის რამდენი არა მცირე შემთხვევა ექნება მომავალში ამ მხარეებს. ამის გამო თქვენს უდიდებულესობას მუდარებითა ვთხოვთ, რათა თქვენი ლმობიერი

შებრალებით ხსენებულ პატრ მავროს ნამდვილად ამ უმაღლესი მეფეების კარზე გაგზავნილს, მეორეხარისხოვანმა მეფეებმა აუდენცია გაუმართონ. იმედია რომ უთუოდ შეასრულებენ თხოვნას.“ [ტაბაღლა 1979:86]

ჩვენი ვარაუდით, იმ მეორეხარისხოვან მეფეთა რიგში, რუსეთის ტახტის მემკვიდრე პავლეც უნდა იყოს ნაგულისხმები. სწორედ ამიტომ ცდილობს ერეკლე გამოიყენოს უნიკალური შანსი სამმხრივი შეხვედრისა და მოლაპარაკებისა, რომლის ორგანიზების ალბათობა სხვა დროს საკმაოდ მიზეზული გახლდათ. ავსტრიის იმპერატორთან ერთად რუს უფლისწულთან მოლაპარაკება არის სწორედ ის მიზანი, რასაც ერეკლე ესწრაფვოდა. ის ჩქარობს იმიტომ რომ პავლესთვის ჩაესწრო მის ელჩს ვენაში და გამოეყენებინა ეს უიშვიათესი შანსი. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სამივე ქვეყნის მეტ-ნაკლებად იდენტური პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ასეთი ფორმატის შეხვედრა საკმაოდ რეალური გახლდათ.

ამ დასკვნიდან გამომდინარე, კვლევა კიდევ ერთი მიმართულებითაა საჭირო. კონკრეტული პასუხი უნდა გაეცეს კითხვას – რისი მიღწევა სურდა ერეკლეს ამ ელჩობიდან? რა შედეგი უნდა ჩათვლილიყო ოპტიმალურად სამმხრივი შეხვედრის ორგანიზების შემთხვევაში?

ინგლისელი მკვლევარი დონალდ რეიფილდი კონკრეტულად მიანიშნებს თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა კავკასიას ბერძნული პროექტის განმტკიცების თვალსაზრისით. „რუსეთსა და ავსტრიას, – წერს ინგლისელი მეცნიერი, – უკვე შეთანხმებული ჰქონდათ ე.წ. „ბერძნული პროექტი“, რომლის ფარგლებშიც თურქების ევროპიდან განდევნა იგეგმებოდა: სამხრეთ კავკასიის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანით, ეკატერინე ამ პროექტს „გამყარებდა“. [რეიფილდი 2019:357]

ერეკლე კარგად ხედავს დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულებას ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს პერსონა საკმაოდ პოპულარულია ევროპაში, ბებერი კონტინენტი ამასიის ზავის სტერეოტიპებით აზროვნებს. მისთვის კავკასია სრულიადაც არაა სახელმწიფოთა და სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ერთობლიობა, კავკასია მათთვის ის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი კონგლომერატია, რომელიც ნებისმიერი იმპერიისათვის სანატრელ გარემოს ქმნის მომავალი დაპყრობის თვალსაზრისით.

ეს ის იმპერიული დოქტრინაა, რასაც თანმიმდევრულად მისდევენ მსოფლიო იმპერიები. კავკასია, მითუმეტეს ერთიანი, ყველა დიდი იმპერიის თავსატეხია, ამდენად, მოყოლებული ქრისტეშობამდე XII საუკუნიდან ერეკლეს ეპოქამდე ყველა დიდმა იმპერიამ საკუთარი აგური დადო კავკასიური კოზირის განეიტრალებისათვის. შესაბამისად, XVIII ს-ის 70-80-იანი წლებისას მრავალკონფესიური, პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილებული კავკასია იდეალურად სასურველი ვარიანტია დიდი სახელმწიფოებისათვის. ეს პოლიტიკური თუ კონფესიური მრავალფეროვნება არცთუ უსაფუძვლოდ ქმნის იმის ილუზიას, რომ ნებისმიერი დიდი სახელმწიფო შესძლებს კავკასიაში არსებული არეულობის, მრავალმხრივი სარწმუნოებრივი თუ პოლიტიკური კონგლომერატის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ეს უკვე გათიშე და იბატონეს იმპერიული ვერსიის პოსტთეორიული ეტაპია.

შესაბამისად, დიდი სახელმწიფოები, მათ შორის ავსტრია და რუსეთი, კონკრეტული არჩევანის წინაშე დგანან:

1. მათ ან უნდა აღიარონ კავკასიაში არსებული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობა და გამოიყენონ რაციონალურად კავკასიელთა კეთილგანწყობა ბერძნული პროექტის აღსრულების საქმეში, რაც საკმაოდ მტკიცე საფუძველს შეუქმნის ევროპის

გადანაწილების მათთვის სასურველ ავარიანტს, ანდა

2. არ უნდა შეელონ იმპერიულ ამბიციებს და კავკასიაში არსებული პოლიტიკური კონგლომერატი, კონფესიური მრავალფეროვნება გამოიყენონ საკუთარი ტერიტორიის გაფართოებისა და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონის ხელში ჩასაგდებად.

რუსეთი არჩევანს კავკასიასთან ურთიერთობის პირველ მოდელზე აკეთებს, ავსტრია – მეორეზე.

სწორედ ამ არჩევანის ფორმატში სურს ერეკლეს შეახსენოს თავი ევროპას. დაუმტკიცოს, რომ მეორე გზა, კავკასიის მოკავშირეობა უფრო მომგებიანია ბერძნული პროექტის განხორციელებისთვის, ვიდრე რუსეთის მხრიდან ინტრიგათა ხლართვა და ამ გზით პოზიციების განმტკიცება.

ერეკლე საკმაოდ პოპულარულია ევროპაში, მას ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლად იცნობენ. ევროპას მისი ეიმედება და ერთი მეფის კვალობაზე საკმაოდ დიდ ავტორიტეტსაც იხვეჭს დიდ სახელმწიფოთა შორის, თუმცა, ეს მისი პიროვნული წარმოჩენა სრულიადაც არ აისახება ქართლ-კახეთის სამეფოს პოპულარობასა და აღიარებაზე ადექვატურად. საქართველო არ მოიზრება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის სუბიექტად, ერეკლე ერთი მხრივ, როგორც პერსონა და მეორე მხრივ, მის მიერ მართული სახელმწიფო ამკარად განცალკევებულია ევროპულ ცნობიერებაში.

დასკვნა

„ბერძნულ პროექტად“ წოდებული ევროპის გადანაწილების ახალი საიდუმლო გეგმა გახლავთ ის მიზეზი, რომელიც უბიძგებს ერეკლეს ინტენსიური ურთიერთობა დაამყაროს ავსტრიის იმპერატორთან, რომელიც, ამავდროულად, საღვთო რომის იმპერატორიცაა, რაც არ გახლავთ ჩვეულებრივი სტატუსი. ეს მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს საკითხის მასშტაბურად გადაწყვეტისას [Natsvaladze 2020 a:18-22; Natsvaladze 2020 b:28-41].

ვფიქრობთ, სწორედ ამ კონტექსტში იზადება ქრისტიანული სამყაროს თავდაცვის პრევენციის ახალი სისტემური მოდელი, რაც რომის იმპერიის საზღვრების აღდგენას გულისხმობს. ამ რეალობაში საკმაოდ წონადია როგორც ავსტრიის იმპერატორის, ამავდროულად, საღვთო რომის იმპერატორის, ასევე რუსეთისა და საქართველოს, როგორც მართლმადიდებლური სამყაროს უმნიშვნელოვანესი სეგმენტის როლი, რომელიც თვისებრივად, როგორც სულ სხვა ევროპას, ისე სულ სხვა საქართველოს დაუდებს საფუძველს.

ამრიგად, ერეკლე მეორის ელჩობები ორგანულად დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ევროპულ პოლიტიკურ პროცესებთან, რაც ცალსახად აძლევს შესაძლებლობას საქართველოს, თავი დააღწიოს ამასიის ზავის მოდელს და საერთაშორისო სისტემის სუბიექტად დამკვიდრდეს იმ პერიოდის საერთაშორისო თანამეგობრობაში, სადაც თავად რუსეთი საკმაოდ გავლენიანი მასშტაბებითაა მოაზრებული.

რუსეთის იმპერიულმა კონცეპტმა, რომელიც XVIII ს-ის დასაწყისიდან არ აღიარებდა კავკასიაში არსებული სამეფო სამთავროების დამოუკიდებლობას (ჯერ ჯიდევ პეტრე პირველი მოიხსენიებდა საკუთარ თავს „ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელი და ხელმწიფედ“ [Юзефович 1869:25; გურული 2012:7-8]; ცალსახად უტოპიად აქცია ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი, რითაც ხელი შეუშალა არა მარტო საქართველოს, არამედ თავად რუსეთის სახელმწიფოს

განვითარებისა და თვისებრივად სხვა განზომილებაში ცივილიზებულ გარდასახვას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- გურული ვ. (2012), საქართველო და გარესამყარო. თბ. 2012, 139 გვ
- დობორჯგინიძე ნ. (2019), ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია. ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, თბილისი, ილიას სახელმწ. უნივერსიტეტი, 2019. გვ 166-218
- თამარაშვილი მ., (1902) ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, ავტორის მიერ გამოცემული, 1902 844 გვ.
- ნაცვალაძე მ. (2020), სპეცსამსახურების დაპირისპირების უცნობი დეტალები ერეკლე მეორის სამეფო კარზე, 2020 წლის 27-29 ნოემბერი თბილისი თელავი, ტექნიკური უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენცია, ნაწილი 1, თბილისი თელავი 2020, გვ 172-183
- ნაცვალაძე მ. (2020), ბ 1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები, 15th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE აბრეშუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია October 09-10, 2020 Tbilisi, Georgia, გვ. 234-244
- რეიფილდი დ. (2019), საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი. თბილისი, პალიტრა L, 2019. 676 გვ.
- ტაბაღუა 2000 – ტაბაღუა, ი., ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ. საქ. ევროპისა და ამერიკის სამეცნ.-კვლევ. ინ-ტი.,თბ., 2000. 48გვ
- ტაბაღუა ი., (1979), საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი 1979 183 გვ
- Arneht 1869 – Joseph II und Katharina von Russland. Ihr Briefwechsel, hrsg. von Alfred, Ritter von Arneht, Wien,1869 s 446
- Natsvaladze 2020 a – Natsvaladze M. Georgia and the Secret Project for Redistribution Europe 70-80s of the 18th century, LXXVI International Scientific Review of the Problems and Prospects of Modern Science and Education, (Boston. USA. – 23 December, 2020) p 38-46
- Natsvaladze 2020b – Natsvaladze M. Greek Project – Clue to the History of Georgia 50-90-ies of XVIII Century. XXIII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society. Vol.1, November 25, 2020, Warsaw, Poland. pp 38-43
- Natsvaladze 2020c – Natsvaladze M. Sensational Unknown Facts from Georgian Diplomacy of 90-ies of XVIII Century, International Journal of Innovative Technologies in Social Science. No 7(28) (2020) p.77-85
- Natsvaladze 2020d – Natsvaladze M. Explanation of one conceptual subtext of a “Greek Project”, XI International Conference. Science and Practice: a new level of integration in the modern world, Scope Academic House, September, 10 – November, 30, 2020, Sheffield, UK pp 164-168
- Natsvaladze 2020e – Natsvaladze M. Capuchin Monks and the Russian Agents in Georgia in the 80s of the 18th Century, Bridge to science: research works. San Francisco, California, USA September 10-december 15 2020 http://www.bmpubgroup.com/assets/research-article_12_7_61.pdf
- Natsvaladze 2021a – Natsvaladze M. Unknown backstage of Georgian Diplomacy in the 80-ies of the XVIII Century, European Journal of Humanities and Educational Advancements (EJHEA) Vol. 2 No. 1 (2021), pp 84-91
- Natsvaladze 2021b – Natsvaladze M. Russian Empire and Georgian-Austrian Diplomatic Relations in the 80s of the XVIII century. «Humanities and Social Sciences in Europe: Achievements and Perspectives». Proceedings of the 7th International symposium (January 25, 2020). Premier

- Publishing s.r.o. Vienna. 2021. pp 12-26
- Ragsdale 1988 – Ragsdale H. Evaluating the traditions of Russian aggression: Catherine II and the Greek Project, Slavonic and East European Review. L., 1988. Vol. 66. N 1; pp. 91-117
 - Грамоты 1898 – Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под ред. А. А. Цагарели. Т. II. Вып. 1: Грузинские тексты с 1768 по 1801 год. Санкт-Петербург 1898 209 с
 - Гриффитс 2013 – Гриффитс Дэвид М. Был ли у Екатерины II «греческий проект»? Екатерина II и ее мир: статьи разных лет. пер. с англ. Е. Леменовой и А. Митрофанова. М.: Новое литературное обозрение, 2013. С. 349—368.
 - Зорин 2001 – Зорин А. Корня двуглавого орла. Русская литература и государ-ственная идеология в последней трети XVIII первой трети XIX века. М.: Новое литературное обозрение, 2001. 416 с
 - Ивонин 2007 – Ивонин Ю.Е. Венцель Антон Кауниц. Вопросы истории. 2007. № 4. С. 27-50.
 - Маркова 1986 – Маркова О. П. О происхождении так называемого греческого проекта (80-е годы XVIII в.)ю Проблемы методологии и источниковедения внешней политики России.. М., 1986. С. 5-46.
 - РИО 1872 – Письма императрицы Екатерины II великому князю Павлу Петровичу и великой княгине Марии Федоровне во время путешествия их императорских высочеств в 1781 и 1782 гг. Сб. РИО. СПб., 1872. Т. 9. С. 64–117.
 - Русский архив 1880 – Переписка Екатерины Великой с Германским Императором Иосифом II-м 1774-1790 Русский архив. Кн. 1. М., 1880. 210-335 с
 - Русская старина 1892- Собственноручная записка императрицы Екатерины о греческом проекте, Русская старина. 1892. Т. 76. № 10. С. 1–4.
 - Хаванова 2016 – Хаванова О. В. Пребывание Павла Петровича в Вене в 1781–1782 гг.: «умное» путешествие просвещенного цесаревича, in: Романовы в дороге: путешествия и поездки царской семьи по России и за границу. М.; СПб., 2016. С. 94-109 97
 - Юзефович 1869 – Юзефович Т. Договоры России с Востоком. СПб., 1869 326 с

Georgian-Austrian Unknown Preludes of the Treaty of Georgievsk

Natsvaladze Mamuka
Sokhumi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.439>

Abstract

Studying the external policy of the king Erekle II is a topical issue for the modern historiography. The information maintained in the archives of various European cities, namely of Vienna, Vatican and Venice, convey to us the fact that while exercising pragmatic attitude toward relations with the European countries the King of Kartli and Kakheti considered the interests of both his own country and of those European countries as well.

Over the years 1781-82 Erekle II sends his ambassadors to Europe twice: first he sends a Capuchin monk Domenique who dies in Constantinople in uncertain circumstances not having reached the destination; after him Erekle II sends another Capuchin Mauro the Veronese who also dies for unknown reasons while still on his way. It is a very important fact that the letters sent by the King Erekle, unlike the ambassadors, reach their destination which is the Emperor's Court in Austria.

The present article shows the international political background that the king Erekle II had at that time and that he attempted to use for the interests of his country.

The plan of dividing Europe anew, officially developed by the relevant imperial authorities of Saint Petersburg and Vienna, aimed at neutralizing the Ottoman Empire and dividing its territories. According to the Greek Project, it was supposed to resurrect the Byzantine Empire that would be formally independent from Russia but factually acting as a marionette with the Romanov dynasty ruling in it and build Dacia Kingdom as a buffer between the Ottoman and the Austrian Empires.

This project was topical for Erekle II who was trying to get involved in the international political processes to the maximum level as the king of a sovereign and independent country, as in the result of implementation of the Greek Project Georgia would obtain an environment of Christian countries instead of the previous encirclement by Muslim countries. Thus, Georgia would find herself in an absolutely different qualitative dimension that had been a sacred dream of the Georgian Kings at all times.

This was why the Greek Plan held such a great importance for Erekle II. This international project was made secret by the empress Catherine the Great and Joseph II, therefore, the official pragmatic reason that Erekle II referred to when sending ambassadors to Austria which was obtaining financial support for two regiments was merely a mask behind which in reality the ambassadorial mission served the purpose of active involvement and participation in the implementation of the Greek Project.

The Austrian Emperor's Court, on its part, was going to use this intension of the Georgian king for its own pragmatic goals which implied strengthening of the Holy Roman Empire that had been actually made fictitious by that time. The widely acknowledged and reputed international level diplomats of the Austrian Empire Kaunitz and Kobenzl were involved in the process.

Key words: the Greek Project; Erekle the Second; Joseph the Second; the Kingdom of Kartli and Kakheti; the Holy Roman Empire; the Empire of Austria, the Russian Empire; Catherine the Second.

**ივანე კრილოვის იგავ-არაკის „ჭრიჭინა და ჭიანჭველას“
ორი ქართული თარგმანი**

სედა ასატუროვი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.440>

აბსტრაქტი. „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა...“, ამიტომაც არის, რომ მთარგმნელობითი საქმე უაღრესად რთულია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ ივანე კრილოვის იგავ-არაკების ქართული თარგმანები, შევადაროთ ერთი და იმავე იგავის ორი სხვადასხვა თარგმანი.

საკვლევ მასალად შევარჩიეთ ივ. კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ და მისი ორი ქართული თარგმანი, აკაკი წერეთლისეული და რაფიელ ერისთავისეული. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდი: ორიგინალისა და მისი თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

აკაკი წერეთელმა შესანიშნავად თარგმნა და გადმოაკეთა კრილოვის 152 იგავი. კრილოვს თარგმნიდნენ იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე აბაშელი, გრიგოლ ცეცხლაძე, დავით გაჩეჩილაძე, ვ. გორგაძე და სხვები.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო კრილოვის იგავის („ჭრიჭინა და ჭიანჭველა“) ორმა სრულიად განსხვავებულმა თარგმანმა: აკაკი წერეთლისეულმა და რაფიელ ერისთავისეულმა.

ორმა ქართველმა მწერალმა თარგმნა ივანე კრილოვის ეს მართლაც საოცარი ნაწარმოები. აკაკი წერეთელმა და რაფიელ ერისთავმა თარგმნის სხვადასხვა გზა აირჩია.

რაფიელ ერისთავის თარგმანი მაქსიმალურად არის მიახლოებული ორიგინალთან: სიტყვათა წყობით, ზედმიწევნით ნათარგმნი ლექსიკით, ფრაზეოლოგიზმების თითქმის ზუსტი თარგმანით, შემასმენელთა თანმიმდევრობით.

აკაკი წერეთელს ოდნავ გადაკეთებული აქვს კრილოვის იგავ-არაკი, მწერალი წარმოგვიდგენს თითქმის დამოუკიდებელ ნაწარმოებს და, ამავდროულად, ეს უბრწყინვალესი თარგმანია.

ორივე თარგმანში გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმები, მეტაფორები, ორივე თარგმანი ბრწყინვალედ არის შესრულებული. მაგრამ ჩვენ მაინც წერეთლისეულ თარგმანს ვანიჭებთ უპირატესობას, მისი სინარნარის, მელოდიურობისა და ხატოვნების გამო.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-შედარება შეუწყობს ხელს კრილოვის შემოქმედების შესწავლას, ზოგადად, იგავ-არაკების თარგმნის საქმეს წაადგება.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, იგავ-არაკი, შეპირისპირებითი ანალიზი, შედარება.

შესავალი. “თარგმანი არის ისეთი პროცესი, რომლის დროსაც შესაძლებელია დამყარდეს ეკვივალენტური დამოკიდებულება ორ სხვადასხვა ენაზე გამოხატულ ტექსტს შორის. თარგმანი მეტყველების რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომლის სხვადასხვა ასპექტი ლიტერატორების, ფსიქოლოგების, ეთნოგრაფებისა და ლინგვისტების ყურადღებას იპყრობს.” (მარინა ჯაში, ქეთევან ჯაში, 2003). ლ. ჩერნიახოვსკაია თვლის, რომ თარგმანის მიზანს წარმოადგენს ნაწარმოების სტრუქტურის გარდაქმნა, რის შედეგადაც შინაარსის შენარჩუნებისას იცვლება გამოხატვის ფორმა – ერთი ენა ჩანაცვლდება მეორე ენით. (თარგმანი ჩვენია)(Черняховская Л., 1976).

„მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა...“, ამიტომაც არის, რომ მთარგმნელობითი საქმე უაღრესად რთული საქმეა: [გაჩეჩილაძე გ., 1966]. ასეთი თარგმანი ორიგინალის თავისებურებებს გადმოსცემს. ამასთან, იგი ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურის მონაპოვართა მატარებელიცაა. დ.ფანჯიკიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხატვრული თარგმანი უცხოური და მშობლიური კულტურის შერწყმას ნიშნავს. სინთეზი მით უფრო მაღალხარისხოვანი აღმოჩნდება, რაც უფრო ჰარმონიულად იქნება მათი ელემენტები შერწყმული.“[ფანჯიკიძე დ., 1988]. მხატვრული თარგმანის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის ინდივიდუალურ მისწრაფებებს, მის მსოფლმხედველობას, მისი, როგორც მწერლის, ენასა და სტილს.

მხატვრული თარგმანი ხალხთა შორის კულტურული დიალოგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. როგორც ტ. გურტუევა აღნიშნავს, “...ამ დიალოგში დიდ როლს ასრულებს მთარგმნელი, რომელიც გვეხმარება ორ უცხოენოვან პოეტურ კულტურათა შორის ხიდის გადებაში.”(თარგმანი ჩვენია)(Гуртуева Т., 2008)

მეთოდები და მასალები. ჩვენი ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ და შევადაროთ ივანე კრილოვის იგავ-არაკის ორი ქართული თარგმანი. საკვლევ მასალად შევარჩიეთ ივ. კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ და მისი ორი ქართული თარგმანი, აკაკი წერეთლისეული და რაფიელ ერისთავისეული. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდი: ორიგინალისა და მისი თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

მსჯელობა. დიდი რუსი მეიგავე ივანე კრილოვი დიდად პოპულარული იყო არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოში. მისი ნაწარმოებები თარგმნეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, რაფიელ ერისთავმა. კრილოვს თარგმნიდნენ იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე აბაშელი, გრიგოლ ცეცხლაძე, დავით გაჩეჩილაძე, ვ. გორგაძე და სხვები.(მახოხეშვილი გ., 2012).

კრილოვის იგავების ენა ახლოსაა სამეტყველო ენასთან. იგი მარტივი და მუსიკალურია. ამიტომაც ზედმიწევნით რთულია მისი იგავ-არაკების თარგმნა. ეს საქმე ბრწყინვალედ შეასრულეს ქართველმა პოეტებმა, აკაკი წერეთელმა და რაფიელ ერისთავმა, როდესაც თარგმნეს კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“. კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ გამოქვეყნდა 1808 წელს.

კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ გამოქვეყნდა 1808 წელს.

ქარაფშუტა ჭრიჭინას დასახასიეთებლად კრილოვი ბევრს არაფერს ამბობს. ამისათვის მან შეარჩია მხოლოდ ერთი სიტყვა – «попрыгунья». აკაკიმ მოძებნა ზუსტი შესატყვისი – “ჭრიჭინობელა”. (გიორგი მახოხეშვილი, 2012):

Попрыгунья Стрекоза
Лето красное пропела;
Оглянуться не успела,-
Как зима катит в глаза.

დაჭრიჭინობდა, დახტოდა
ჭრიჭინობელა პატარა

უმრომ-უმრუნველობით
მთელი ზაფხული ატარა
(აკაკის თარგმანი)

„ქართული ენა და ლიტერატურული ტრადიციები განუსაზღვრელ საშუალებას იძლევა მშობლიური ენის გამომსახველობითი საშუალებებით შეიქმნას და დამკვიდრდეს ახალი პოეტური მეტყველება, როდესაც საქმე ქართული პოეტური ტრადიციებისაგან განსხვავებული პოეზიის თარგმნას ეხება.“(დ.ფანჯიკიძე,1995).

განვიხილოთ ორიგინალი (კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“) და შევადაროთ მისი ორი თარგმანი. აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი განსხვავებულად, მაგრამ მაინც კრილოვისეულად, იყენებენ ერთგვაროვანი შემასმენლების მთელ რიგს:

«**Не оставь** меня, кум милый!
Дай ты мне собраться с силой
И до вешних только дней
Прокорми и обогрей!»-

„ჩემო ნათლია!
ნუ მომკლავ
გაზაფხულამდე
და გამომკვებე, მაღლია!“
(თარგმანი აკაკი წერეთლისა).
„ნათლავ, შენი შვილების ლხენასა,
მომხედე, ხელი გამიწყე, გამათბე, დამაპურეო,
გაზაფხულამდინ იოლად წამიდე, მიმსახურეო...“
(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

შემასმენელთა ასეთი აკინძვით ავტორი მოქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას. ქართულ თარგმანებშიც იმავეს ვხედავთ.

აკაკისთან ადგილი აქვს შემოკლებას, გამოტოვებას. შეკვეცილია შემასმენელთა რაოდენობა. რაფიელ ერისთავი, პირიქით, ზრდის შემასმენელთა მწკრივს.

რადგან კრილოვის იგავ-არაკების ენა, ძირითადად, სამეტყველო ენაა, მის ნაწარმოებებში უხვად არის გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები:

«До того ль, голубчик, было?
В мягких муравах у нас —
Песни, резвость всякий час,
Так что голову вскружило».-фразеологизм

„ვილხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არე-მარეო“.
(თარგმანი აკაკი წერეთლისა).
ლილოში ვხტოდი, ვგალობდი,
თავბრუს მახვევდა ძნობანი!“...
(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

ამ სტროფშიც აკაკი შემოკლებას იყენებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი თარგმანის ტექსტი მეტად ტევადია. ერისთავი, ისევე როგორც კრილოვი, იყენებს ფრაზეოლოგიზმს, მაგრამ მისი თარგმანის ტექსტი მაინც შემოკლებულია.

დაჭრიჭინობდა, დახტოდა
ჭრიჭინობელა პატარა
და უშრომ-უზრუნველობით
მთელი ზაფხული ატარა.

მაგრამ Попрыгунья Стрекоза
Лето красное пропела;
Оглянуться не успела,-фразеологизм
Как зима катит в глаза

ბოლო დროს, ზამთარმა
თვალი რომ გამოუჭყიტა.
(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

ზამთარი წამოეწია! (თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

მოცემულ სტროფის ორივე თარგმანი მაქსიმალურად მიახლოებულია ორიგინალთან.

«Я без души -фразеологизм

Лето целое всё пела».-

„ვილხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არე-მარეო“

(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

ლილოში ვხტოდი, ვგალობდი, **თავბრუს მახვევდა ძნობანი!**“...
(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

კრილოვის იგავ-არაკში ასევე გამოყენებულია გაპიროვნება:

Помертвело чисто поле;-олицетворение

Нет уж дней тех светлых боле,
Как под каждым ей листком
Был готов и стол и дом.
Всё прошло: с зимой холодной
Нужда, голод настает;
Стрекоза уж не поет:
И кому же в ум пойдёт
На желудок петь голодный –олицетворение

აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი კრილოვის იგავარაკის თარგმან-ში ასევე იყენებენ გაპიროვნებას:

გაჰქრა იგი დრო, როდესაც
ყოველგან დროს ატარებდა,
ცა ქუდად აღარ მიაჩნდა,
მიწას ფეხს არ აკარებდა!..
სიმშლით კუჭი უხმება,
თანაც სიცივით კანკალობს,
ველარ ჰხტის, ენაც ჩაჰვარდა,
ჩვეულებრივად ვერ გალობს!
ან კი რაღა დროს ხტომაა
და რა დროს ჭიანურია,
როცა რომ ლხინის მოყვარეს
სცივა, ჰშია და სწყურია?
(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

შემოკვნა ველი, მინდორი,
წავიდნენ დღენი ლხენისა.
ჭრიჭინას გამხარებელნი,
გამქარვებელნი სენისა,
როცა მას, ყოველ ჯაგის ძირს,
უსრულდებოდა წადილი.
მზად ჰქონდა სახლი და ბინა,
ვახშამი, გინდა სადილი!..
(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

მოცემული სტროფების აკაკისეულ თარგმანში ვხედავთ შინაარსის აბსოლუტურ შენარჩუნებას, მაგრამ მოვლენათა თანამიმდევრობის გადაადგილებას, რასაც არაჩვეულებრივად აღიქვამს მკითხველი. ხოლო ერისთავისეულ თარგმანში ისევ და ისევ ტექსტი ორიგინალთან მაქსიმალურადაა მიახლოებული რაც, ასევე სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.

ყველა ენას ახასიათებს საკუთარი გამომსახველობითი საშუალებები. ქართულ თარგმანებში ყოველთვის ვერ ხერხდება ორიგინალში არსებული ჰიპერბოლებისა და მეტაფორების გამოყენება.

Гипербола: -«лето целое все пела»
„ვილხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არე-მარეო“
(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

Метафоры: «лето красное пропела».
„ვილხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არე-მარეო“
(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

დასკვნა. ივ. კრილოვის იგავის „რწყილი და ჭიანჭველა“ («Стрекоза и муравей») ორი შესანიშნავი და, ამავდროულად, სრულიად განსხვავებული თარგმანის შედარება-ანალიზმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა...“. რაფიელ ერისთავის თარგმანი მეტად დახვეწილია. იგი, ერთი მხრივ, მიახლოებულია კრილოვის იგავ-არაკთან, მეორე მხრივ, ქართული იგავია. რაც შეეხება აკაკი წერეთლისეულ თარგმანს, ეს ეზოპეს, ლაფონტენისა, და კრილოვის სიუჟეტის მიხედვით შექმნილი დამოუკიდებელი უბრწყინვალესი ნაწარმოებია.

ორივე თარგმანში გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმები, მეტაფორები, ორივე თარგმანი ბრწყინვალედ არის შესრულებული. მაგრამ ჩვენ მაინც წერეთლისეულ თარგმანს ვანიჭებთ უპირატესობას, მისი სინარნარის, მელოდიურობისა და ხატოვნების გამო.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-შედარება შეუწყობს ხელს კრილოვის შემოქმედების შესწავლას, ზოგადად, იგავ-არაკების თარგმნის საქმეს წაადგება.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე გ., (1958) მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისი: განათლება.
2. მახობეშვილი გ., (2012) ივანე კრილოვის „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ – აკაკისა და რაფიელ ერისთავის თარგმანები. გახსენება.presa.ge/?m=&AID=13258.
3. ფანჯიკიძე დ., (1988), თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ფანჯიკიძე დ., (1995), თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა თბილისი: განათლება.
5. ჯაში მ., ჯაში ქ., (2003), თარგმნის ტექნიკა: Lingua Plus.
6. Гуртуева Т.(2008) Художественный перевод как составляющая культурного диалога. «Русский язык и культура в зеркале перевода. Материалы международной научно-практической конференции»:139
7. Черняховская Л. (1976) Перевод и смысловая структура. Москва: Международные отношения.
8. Герасимова Н.(2010) Курс лекций «Теория перевода».Ростов-на-Дону: РИНХ.

Two Georgian translations of Iv. Krylov's fable – "Dragonfly and Ant"

Seda Asaturova

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.440>

Abstract

"Literary translation is a form of artistic creation...", that is why translation is an extremely difficult task.

The aim of our paper is to consider the Georgian translations of Ivan Krylov's fables, to compare two different translations of the same fable.

We have selected Iv. Krylov's fable "Dragonfly and Ant" and his two Georgian translations, Akaki Tsereteli and Raphael Eristavi. The following research method is used in the paper: Contrastive – comparative analysis of the original text and its translation.

Akaki Tsereteli translated and rewrote Krylov 152 fables. Krylov was translated by Ioseb Grishashvili, Konstantine Chichinadze, Alexander Abasheli, Grigol Tsetskhladze, Davit Gachechiladze, V. Gorgadze and etc.

We have focused on two completely different translations of Krylov's fable ("The Dragonfly and the Ant"): Akaki Tsereteli and Raphael Eristavi.

Two Georgian writers translated this truly amazing work by Ivan Krylov. Akaki Tsereteli and Raphael Eristavi selected different ways of translation.

The translation of Raphael Eristavi is as close as possible to the original text: with word order, with a carefully translated vocabulary, with an almost accurate translation of the phraseologies, with a sequence of the predicate.

Akaki Tsereteli has slightly adapted Krylov's fable, the writer presents an almost independent work and, at the same time, it is a brilliant translation.

Phraseologisms and metaphors are used in both translations, both translations are brilliantly executed. But we still prefer Tsereteli's translation because of its script, melody, and drawing.

We think that our research-comparison will contribute to the study of Krylov's work, in general, the translation of fables will be useful.

Key words: translation, fables, contrastive – comparative analyses, comparison

**ძველი ქართული სალიტერატურო ენის
ნიშანდობლიობები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში**

გელდიაშვილი ნუნუ

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.441>

აბსტრაქტი. მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია აკაკის შემოქმედება. პრაქტიკულად არ არსებობს სფერო, რომ მას თავისი სიტყვა არ ეთქვა პოეზიით, პროზით, პუბლიცისტიკითა თუ საზოგადო მოღვაწეობით. აკაკიმ, უდავოდ, დაამკვიდრა „მრავალმხრივი მწერლის ტიპი, რომელიც ერთნაირი ძალით მიმართავს პროზას, პოეზიას, პუბლიცისტიკას, დრამატურგიას, თარგმანებს, საბავშვო ლიტერატურას, იგავ-არაკებს“. ჩვენი თქმით, ის „გამოუსწორებელი“ ოპტიმისტი იყო და ღრმად სწამდა მომავლის. საოცარი დატვირთვის მქონეა მისი სიტყვები: „მერცხალი რომ კიდევ მოჰკვლა/მანც მოვა გაზაფხული“... ამ სიტყვებში, ძლიერი ემოციის ფონზე, საკმაოდ მძაფრად და კარგად მოჩანს კავშირი ძვალსა და ახალს შორის... სწორედ ამან განაპირობა მოხსენების მიზანიც და კითხვის დასმაც – რა როლი აკისრია ძველი ქართულის ფორმების გამოყენებას აკაკის შემოქმედებაში?!

წამრთში მიმოხილულია ისეთი ნიმუშები, როგორცაა: 1. საკუთარი სახელის სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით (წრფელობითის ფორმით) გამოყენება; 2. მოთხრობითში -მან დაბოლოება; 3. ამ და ეგ ჩვენებითი ნაცვალსახელების სრული ფუძეების შემთხვევები; 4. -ზე თანდებულის პარალელურად -ზედ და -ზედა ფორმები; 5. გამოსვლითობის ფუნქციით -ით სუფიქსიანი მოქმედებითის (უთანდებულო) ფორმები; 6. მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციისა და სრული შეთანხმების ნიმუშები; 7. პირის ნიშანთა გამოყენების, როგორც ძველი ქართულის ანარეკლის, თავისებურებები (გწყალობდეს...; გამოვჰკითხავ...; ჰსვამ...; ჰნიშნავს...; წარმოსთქვა...; გასტეხე...). 8. შედარებისათვის ვით კავშირის გამოყენება და სხვა.

ამდენად, თუ დავსვამთ კითხვას ძველი ქართულის ფორმათა ფუნქციის შესახებ აკაკის შემოქმედებაში, გამოიკვეთება, რომ ისინი 1. შეიძლება, რიტმისათვის/ემოციისა და ექსპრესიისათვის, ანდა, 2. შეიძლება, ტრადიციული ფორმების დასაცავად, ძველ ქართულთან კავშირის შენარჩუნებაზე, როგორც საიმედო დასაყრდენზე (ინახავსო, თითქოს, ამ ფორმებს), მიგვანიშნებენ; აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ფორმები თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული/ასახული აკაკის პროზასა და პოეზიაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს აზრს ძველისა და ახლის კავშირის ჩვენებისა და ამ კავშირის შენარჩუნების სურვილის სასარგებლოდ, რომ ძველი არ უნდა დავივიწყოთ, მუდამ გვახსოვდეს, საიდან მოვდივართ და ვინ ვართ....

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ აკაკი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც თამამად უარყო ძველი ენობრივი ნორმები და ხელი შეუწყო სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის (სასაუბრო ენასთან დაახლოების) პროცესს.

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული სალიტერატურო ენა; ნიშანდობლიობები; აკაკი წერეთელი

შესავალი.

მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია აკაკის შემოქმედება. პრაქტიკულად არ არსებობს სფერო, რომ მას თავისი სიტყვა არ ეთქვა პოეზიით, პროზით, პუბლიცისტითა თუ საზოგადო მოღვაწეობით. აკაკიმ, უდავოდ, დაამკვიდრა „მრავალმხრივი მწერლის ტიპი, რომელიც ერთნაირი ძალით მიმართავს პროზას, პოეზიას, პუბლიცისტიკას, დრამატურგიას, თარგმანებს, საბავშვო ლიტერატურას, იგავ-არაკებს“. ჩვენი თქმით, ის „გამოუსწორებელი“ ოპტიმისტი იყო და ღრმად სწამდა მომავლის. საოცარი დატვირთვის მქონეა მისი სიტყვები: „მერცხალი რომ კიდევ მოჰკლა/ მაინც მოვა გაზაფხული“ ... ამ სიტყვებში, ძლიერი ემოციის ფონზე, საკმაოდ მძაფრად და კარგად მოჩანს კავშირი ძვალსა და ახალს შორის... სწორედ ამან განაპირობა მოხსენების მიზანიც და კითხვის დასმაც – რა როლი აკისრია ძველი ქართულის ფორმების გამოყენებას აკაკის შემოქმედებაში?!

მსჯელობა.

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელი გარკვეულ შემთხვევებში საკუთარ სახელს არ აფორმებს ბრუნვის ნიშნით და წარმოგვიდგენს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ნორმით – ფუძის სახით. ფაქტობრივად, აღადგენს წრფელობით ბრუნვას: **ზაალ** ოთახში შევიდა“; „დილით ადრე გამოსულიყო **ზაალ** აივანზე“; „**ზაალ** მოთმინებით გამოდიოდა“; „ეს რომ უთხრა, შეკრთა **საფარ**“; „მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს **საფარ**, მისი გამოზრდილი“; „მაგრამ **უსუბ** ეუბნება: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!“. ერთი შეხედვითაც იგრძნობა, რომ ეს ფორმები რითმისათვის არაა/ნაკლებადაა – სავარაუდოდ, უფრო ემოციისა და ხაზგასმისათვის, შეიძლება ითქვას, მჭერმეტყველებისათვისაა.

საანალიზო ტექსტებში თვალშისაცემია ზოგჯერ მოთხრობით ბრუნვაში სრული ფორმით (-მან) დაბოლოების ნიმუშები: „**მზემან** სხივი მომაფინა მაშინა“. ჩვენი აზრით, ხაზგასმა მოქმედ სიტყვაზე/სახელზე – მზე.

თუ დავუკვირდებით, როგორც ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლიობა, აკაკის შემოქმედებაში საინტერესოდ გამოიყურება **ეგ** და **ამ** ჩვენებითი ნაცვალსახელების გვერდით მათი სრული ფუძეების გამოყენება: **ეგე** და **ამა**: „მოყვარული დედისათვის **ამა** სოფლის ნეტარება იყო დასახლება მისი გიორგისა“; „სთქვი, ხუმარავ, თუ რას ჰნიშნავს **ეგე** შენი გამოცანა“ (სავარაუდოდ, მინიშნებაა გაძლიერებული).

-ზე თანდებულის პარალელურად ხშირია **-ზედ** და **-ზედა** ფორმები, რომლებიც, უდავოდ, ეფექტის, ემოციისა და გამაძლიერებლის ფუნქციის მატარებელია: „**სერზედ** შევდექე, ჭმუნვის ალი მენელა“; „თუ ამ **სერზედ** თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?“; „მაშინ ის ყოველ **პირუტყვზედაც** უპირუტყვესი შეიქმნება ხოლმე“; „მდიდრის **პურმარილზედ** გაწუწუებული, რასაკვირველია, ძალაუნებურად, **განზე** უდგებოდა მამაშენს“; „დაიკრა **მუხლებზე** ხელი და ერთხელ **ყბაზედაც** ჩამოისვა“... დიახ, თუ შევეუდარებთ ერთმანეთის გვერდით, ერთ წინადადებაში არსებულ პარარელურ ფორმებს (**მაგ.:** **პურმარილზედ/განზე;** **მუხლებზე/ყბაზედაც**), ადვილად მისახვედრია, რომ ძველ ფორმას მწერალი იყენებს მიზანმიმართულად – სწორედ იმ სიტყვებთან, რომელზეც ყურადღების გამახვილება სურს და არა უსისტემოდ, არეულად. ყოველივე ეს ნათელს ხდის, რომ აკაკი განუკითხავად კი არ აცოცხლებს მათ, არამედ – გამიზნულად, ფუნქციურად სემანტიკურად ტვირთავს მათ.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული მხატვრობის (ძველისა და ახლის კავშირის) მატარებელია გამოსვლითობის ფუნქციით -ით სუფიქსიანი მოქმედებითის (უთანდებულო) ფორმების გამოყენება: „თავზე ნათლის სვეტი ადგათ და მალლით გალობა გუნდთა ისმოდა“. ეს წინადადება, მგონი, კარგად გვიჩვენებს, რომ აკაკიმ ზუსტად იცის, როდის გააცოცხლოს ძველი ნორმა (შდრ. აქვე: თავზე), რაზე, სემანტიკურად რომელ სიტყვაზე, მიაქცევინოს მკითხველს ყურადღება (მალლით); აშკარაა, ძველისა და ახლის შერჩევასა ნამდვილად ვერ ვიმსჯელებთ მხოლოდ რითმის მისაღწევ შესაძლებლობაზე, ასეთ დროს მწერალი უმეტესად აშკარად სხვა კანონზომიერებით სარგებლობს.

„დროა, ამოდი ქარქაშით / აღარ გაქვს აწ მანდ ბინაო“; მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი / ედემს ალვად ასულია“; „რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება ღვთით...“

მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აკაკი საკმაოდ ხშირად ანიჭებს უპირატესობას პოსტპოზიციისა და/ან სრული შეთანხმების ნიმუშების გამოყენებას: „დიდს პატივში ვეყოლები“; „საგრძნობლად შეუთანხმებია თავისი ძლიერის ჩანგის სიმები“; „მე ჩემის მხრით ვერც არას გავბედავ“...;

„გპატრონობს გული ფოლადი“; „მდინარე ნანას უმღერის რაინდსა ურჩსა მტრისასა“; „თუმც-კი სხვა დროს არ იკადრებს / ამას კაცი თავმომწონე“...

პირის ნიშანთა გამოყენებისას, როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ანარეკლი, არაერთი თავისებურება შეინიშნება; ზოგჯერ ახსნაც კი ჭირს, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება:

ა/. შენარჩუნებულია მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს ობიექტის სიმრავლის გამომხატველ -თ სუფიქსის წინ: „გწყალობდესთ და გიწინამღვროსთო“; „გასულდგმულესთ“; „გაგისტუმრესთ“; „აგატანინოსთ“; „სწორედ იმერელი კი უნდა გახლდესთ...“; „ხუმრობა არ გახლავსთ...“.

ბ/. პირველი სუბიექტური პირის ნიშნის გვერდით გვხვდება ობიექტური პირის გამომხატველი -ჰ/-ს პრეფიქსი: „გამოვჰკითხავ მას მიზეზსო“; „ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე“; „გამიკვირდა! „ვსთქვი-მტერს როგორ მონებდა?“; „ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე“.

გ/. ჭარბადაა ნიმუშები, სადაც სუბიექტური მეორე და პირდაპირი ობიექტური მესამე პირის ნიშნად, ძველი ქართულის ნორმის მსგავსად, წარმოდგენილია -ს/-ჰ პრეფიქსები: „უნდა, რომ ჯერ კახეთი ჩაჰყლაპოს ხელშეუშლელად“; „დაშლიდა ნიაღვარი და ჩამოჰყრიდა წყალში“; „ამოჰყო ცხენმა თავი“; „ჰყვიროდა ერისთავი“; „ჩაჰყო თავი წყალში“; „რა ჰქენი? მოურავო?“; ჰხედავს იქვე მის ქვეშაგებს“; „დაჰზარეთ, თქვენი ჭირი“; „სთქვი, ხუმარავ, თუ რას ჰნიშნავს ეგე შენი გამოცანა“; „სჩანს, ნამუსი შეუნახავს“; ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!“; „რომ გასტეხე, ის გეყოფა სიკვდილამდე შენ საკვნესად“; „წარმოსთქვა და საფეთქელში მიიჭედა ცხელი ტყვია“; „გამოსჭერთ“, ახლაც ვყვირი მე“; „სთქვით რამე, თქვენი ჭირი“; „დიდხანს გასტანა მათმა საუბარმა“...

საერთოდ, ცალკე შეიძლება ვრცლად მსჯელობა ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც ძველი ქართულისათვისაა დამახასიათებელი და რომლებიც ცალსახად ადასტურებს მწერლის სურვილს, კავშირი არ გაწყვიტოს წარსულთან, ფესვებთან, ისტორიასთან, საიდანაც მოვდივართ, საიდანაც ვარსებობთ და რაც გვასულდგმულებს...: „სასოება არ წარკვეთიათ“; „დავითნი გაშალა“; „გულში გულს სდებს, სულში სულს სცვლის, ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!“; „ცაში დასკვნილა სურვილი“; „ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს“; „წიგნი მოგართვით“; „საფლავზედაც მარმარილოს ქვა დაადეს ზედწარწერილი“; „ცაზე იბეჭდება წინასწარი ზედწარწერითო“ (ცნობილია, რომ ძველ

ქართულში „წარწერის“ ნაცვლად „წარწერილი“, „ზედაწერილი“ გამოიყენებოდა). საინტერესოა, შემთხვევები, როცა შედარებისათვის ვით კავშირია გამოყენებული როგორც კავშირის ნაცვლად: „ბედმა ესეც არ დააკლო / განასხვავა, ვით რჩეული“; „წმინდა არის, ვით ლამპარი“.

დასკვნა. ამდენად, თუ დავსვამთ კითხვას ძველი ქართულის ფორმათა ფუნქციის შესახებ აკაკის შემოქმედებაში, გამოიკვეთება, რომ ისინი 1. შეიძლება, რიტმისათვის / ემოციისა და ექსპრესიისათვის; ანდა, 2. შეიძლება, ტრადიციული ფორმების დასაცავად, ძველ ქართულთან კავშირის შენარჩუნებაზე, როგორც საიმედო დასაყრდენზე (ინახავსო, თითქოს, ამ ფორმებს), მიგვანიშნებენ; აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ფორმები თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული/ასახული აკაკის პროზასა და პოეზიაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს აზრს ძველისა და ახლის კავშირის ჩვენებისა და ამ კავშირის შენარჩუნების სურვილის სასარგებლოდ, რომ ძველი არ უნდა დავივიწყოთ, მუდამ გვახსოვდეს, საიდან მოვდივართ და ვინ ვართ.... ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ თითოეულ ნიშანდობლიობას, ცალკე აღებულს, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის სიუხვისა, არ გააჩნია სისტემურობა, ერთიანობაში კი ყველა ხაზგასმით გამოკვეთს აკაკის, მართლაც, განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან.

ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ იგი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც თამამად უარყო ძველი ენობრივი ნორმები და ხელი შეუწყო სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის (სასაუბრო ენასთან დაახლოების) პროცესს.

Characteristics of Old Georgian Literary Language in Akaki Tsereteli's Works

Geldiashvili Nunu

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.441>

Abstract

Literary Works by Akaki Tsereteli are considered as versatile and diverse. In his works he touches upon almost everything by his poetry, prose, journalism or public work. It is obvious that he established "a type of versatile writer who is equally engaged in prose, poetry, journalism, dramaturgy, translations, children's literature and fables". He was an extremely optimistic person who deeply believed in the future. The following words from one of his works seem amazingly and expressive: "Even if you kill a swallow, Spring will definitely come". Connection between the old and the new forms, that is clearly shown within this emotionally colored expression, has become the goal of the research. We tried to find an answer to the question- what is the role of using old Georgian forms in Akaki's work?!

Given paper analyses the samples such as: 1. Using proper name by its stem form in nominative case; 2. Ending words by – *ძან* [-*man*] in the ergative form; 3. Full stems of demonstrative pronouns – ‘ამ’ [am] , ‘ეგ’ [eg] (=this, that); 4. Using postposition – ‘ზე’ [ze] (=on), along with the forms – ზედ [-zed] and -ზედა [-zeda] (=on, over); 5. instrumental case forms formed by a suffix – ით [-it] (=with) (without postpositions); 6. Postposition and full

agreement of attribute and antecedent 7. Characteristics of using inflection as a reflection of Old Georgian (გწყალობდესთ [gtskalobdet]...; გამოვჰკითხავ [gamovhkitkhav]...; ჰსვამ [hvsvam]...; ჰნიშნავს [hnishnavs]...; წარმოსთქვა [tsarmostkva]...; გასტეხე [gastekhe]...); 8. Using conjunction – ვით [vit] (=as/like) for comparison and so on.

If we ask questions concerning the function of old Georgian forms in Akaki Tsereteli's works, it becomes clear that they can be used for: 1. rhythm, emotiveness and expressiveness; 2. Preserving traditional forms, to maintain the connection between old and new Georgian. It should be mentioned that similar forms are equally reflected in Akaki's prose and poetry which further reinforces the idea in favor of showing the connection between the old and the new and the desire to maintain this connection and always remember where we come from and who we are

This fact does not completely contradict the idea that Akaki is a representative of the generation that courageously rejected the old linguistic norms and contributed to the democratization (rapprochement process with the spoken language) of the literary language.

Key Words: old literary language, characteristics, Akaki Tsereteli.

SOME STYLISTIC ASPECTS OF OSCAR WILDE’S FAIRY TALES

Lazviashvili Shorena

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.442>

Abstract. Nowadays stylistic analysis of prose fiction is quite actual, as with the help of the studies we are able to identify the writing style of a writer and figure out his/her characteristics; also to study the individual traits of writer’s works. On the basis of the stylistic studies, we can find out what stylistic devices or literary terms are used by the author; what makes his works so emotive, expressive and distinctive.

Given article deals with the stylistic aspects of one of the famous English poets and writers Oscar Wilde’s fairy tales. For the research we have chosen the “The Happy Prince”, “The Selfish Giant”, “The Nightingale and the Rose”, “The Devoted Friend” . In the given work we tried to investigate and study the characteristic features of his works, the writer’s writing style and language of the tales and those stylistic devices which are used in above mentioned fairy-tales.

Based on the research of the fairy-tales revealed that Oscar Wilde’s writing style is really distinctive and impressive as he uses a variety of literary or stylistic devices, that catches a reader’s attention. It should be mentioned that his lingual abilities are limitless and they are characterized by great emotiveness and expressiveness; consequently, he makes a strong impression on readers and makes them feel a part of the story.

It is worth mentioning that Oscar Wilde’s fairy tales are based on personification, as there we find a great variety of its examples. There are also used repetition, parallel constructions and metaphors. Wilde, with his individual imagery and metaphorical style, immerses the reader in a sea of emotions, as his fairy tales are distinguished by the strong emotiveness and expressiveness. Those legendary fairy tales can obviously be considered as the greatest gift for readers, as he perfectly builds an emotional connection between the reader and characters.

Key words: *stylistics, stylistic analysis, literary terms, Oscar Wilde, fairy tales.*

Text analysis shows that lexical choices are quite important in the style of writer’s speech and writing. In case we are able to recognize and identify these aspects, it is possible to use this knowledge in the formal study of style, that is called stylistics. We should also become more aware of the choices of grammar and vocabulary.

Language provides its users with more than one choice in given situation as it provides writer or speaker the variations and the options that are available at lexical, syntactical, phonological or graphological level in written or spoken forms. This then depends on the writer which option he/she chooses to express his/her thoughts and options (Siby,2016).

Stylistics as a branch of linguistics investigates the entire system of expressive resources available in a particular language. According to Simpson (2004), stylistics is a method of textual interpretation in which primacy of place is assigned to language. Language is quite important to stylisticians because the various forms, patterns and levels that constitute linguistic structure are crucial index of the function of the text. The text’s functional significance as discourse acts in turn

as a gateway to its interpretation. To do stylistics is to explore language, and, more specifically, to explore creativity in language use. Doing stylistics thereby enriches our ways of thinking about language and, as observed; exploring language offers a considerable purchase on our understanding of (literary) texts (Simpson,2004,3).

As it has been mentioned above, the aim of stylistics is to explore the nature of language that also implies studying the style in language. Werner Winter mentions that “a style may be said to be characterized by a pattern of recurrent selections from the inventory of optional features of a language” (Winter:324 cited by Vrabel, 4).

Style, generally, is the way to make use of different linguistic forms in actual language use. Anyhow, this study endeavors to concentrate on the metaphorical use of language. It is clear that the most effective devices for achieving clarity, diction and presence are the use of adapted form of words as mentioned by Leech (1969) (Winter:324 cited by Vrabel: 4).

Wilde as a writer of fairy tales wrote in a tradition, but he wrote subversively to undermine stereotypical Victorian values. Jack Zipes notes that "Wilde was highly disturbed by the way society conditioned and punished young people if they did not conform to the proper rules. He had always been sensitive to the authoritarian schooling and church rigidity which most English children were expected to tolerate." Wilde unconsciously created archetypal images that compensated for contemporary psychic imbalance (Snider, 2009).

Wilde's parents were both collectors of Irish folklore, but his interest in writing fairy tales was no doubt prompted by his becoming a father. He told Richard Le Gallienne: "It is the duty of every father to write fairy tales for his children". In *Son of Oscar Wilde*, Wilde's son, Vyvyan Holland, reports that when Wilde grew tired of playing, he would keep us quiet by telling us fairy stories, or tales of adventure, of which he had a never-ending supply. He told us all his own written fairy stories suitably adapted for our young minds, and a great many others as well. Indeed, Wilde was moved to tears by one of his own stories, "The Selfish Giant". Wilde's gifts as a raconteur are legendary, and probably most of his stories he never put to paper. Richard Ellmann notes that "The Happy Prince" originated as a story Wilde told friends on a visit to Cambridge even before Cyril was old enough to listen. The story was "so well received by the Cambridge students that on returning to his room he wrote it down". The spontaneity with which Wilde told his tales suggests that they arose at least in part from unconscious sources that even he was not aware of (Snider,2009).

Stylistic Analysis of the Fairy Tales

In this paper we have analyzed Oscar Wilde's some of most famous fairy-tales – “*The Happy Prince*”, “*The Nightingale and the Rose*”, “*The Selfish Giant*” and “*The Devoted Friend*”. All of them are distinctive and impressive in its own way as the author vividly depicts the scenes by using various stylistic devices and literary terms. Oscar Wilde's **Fairy tales** involves marvelous elements and occurrences; all of them have the elements of fantasy.

First, the reader finds in his tales is personification. It should be mentioned that the leading and the most frequently found stylistic devices in the above-mentioned fairy tales is personification. Using the personification in fiction and particularly in fairy tales has great impact as it reveals a non-human entity rather vividly along with a human attribute. The main goal of using personification is to catch the readers' attention and emotional support; also make the whole content more emotive and more remarkable. Oscar Wilde personifies the flowers, birds, wind, frost, snow and many more inanimate objects in his tales, for example, we find the following examples of personification:

“He was in love with the most beautiful Reed” (“*The Happy Prince*”). According to the text, Swallow was in love with the plant. And it asks her sweetheart if he is allowed to love her:

“Shall I love you?” said the Swallow, who liked to come to the point at once, and the Reed made him a low bow.

When the Swallow was tired of his lady-love, he complains about it: “She has no

conversation,” he said, “and I am afraid that she is a coquette, for she is always flirting with the wind.” And certainly, whenever the wind blew, the Reed made the most graceful curtseys” (The Happy Prince”).

The Happy Prince is also able to speak, and even sorrow was personified there: “I lived in the Palace of Sans-Souci, where sorrow is not allowed to enter”.

In the following examples human qualities are attributed to Snow, Frost and Wind who are happily talking to each other. They are feeling happy as Spring has forgotten to come Giant’s garden. “Spring has forgotten this garden,” they cried, “so we will live here all the year round.” „Then they invited the North Wind to stay with them, and he came. He was wrapped in furs, and he roared all day about the garden, and blew the chimney- pots down“ (“The Selfish Giant”).

The given example depicts the happiness of trees, when they see the children back to the garden. They are happy and trying to cuddle them in its arms (branches): „And the trees were so glad to have the children back again that they had covered themselves with blossoms, and were waving their arms gently about the children’s heads“ („The Selfish Giant“).

In this example of personification, the moon is having human abilities, as “she” forgets something: – “The white Moon heard it, and she forgot the dawn, and lingered on in the sky (“The Nightingale and the Rose”).

Another stylistic device that is frequently found in Oscar Wilde’s Fairy Tales and gives his works more expressiveness is Simile. According to Simpson (Simpson,2004), a simile is a figure of speech which makes an explicit relation between two concepts by using ‘is like’ formula (Simpson,2004,43-44). The author artistically uses Simile while comparing two totally different things to each other. For example, in “Happy Prince” we find the following impressive examples of similes:

The town councilor in “The Happy Prince” describes the Statue in the following way and compares its beauty to the weathercock: “He is as beautiful as a weathercock,”

„his hands are like withered leaves” (“The Happy Prince”). In this example hands of the little boy are compared to withered leaves.

The form of icicles are compared to crystal daggers: “Long icicles like crystal daggers hung down from the eaves of the houses” (“The Happy Prince”).

We also find interesting examples of similes in “The Selfish Giant”: “Here and there over the grass stood *beautiful flowers like stars*” („The Selfish Giant“). Beauty of flowers are compared to the beauty of stars.

In the tale “Nightingale and the Rose” colors of roses are compared to different things, such as the foam of sea, snow on mountains, hair of the mermaid, the feet of the dove, coral and so on:

“My roses are white,” it answered, “as white as the foam of the sea, and whiter than the snow upon the mountain; “My roses are yellow,” it answered, “*as yellow as the hair of the mermaid* who sits upon an amber throne, and yellower than the daffodil that blooms in the meadow before the mower comes with his scythe; “My roses are red,” it answered, “*as red as the feet of the dove*, and redder than the great fans of coral that wave and wave in the ocean-cavern („The Nightingale and the Rose”).

Redness of lips are compared to the red rose: And his lips *are red as the rose* of his desire,... („The Nightingale and the Rose”);

The author compared the statue of the Happy Prince to an Angel: “He looks *just like an angel*,” („The Happy Prince“).

The following example is quite impressive and eye-catching: “They have *eyes like green beryls*”; “His lips are red as a pomegranate,” “Who is *as black as ebony* („The Happy Prince“).

“He was dressed in grey, and his breath was like ice” (“The Selfish Giant”). In the example the Hail is described, which is dressed like a human (it can be considered as an example of personification) and his breath was extremely cold.

His lips *are sweet as honey*, and his breath is like *frankincense* (“The Nightingale and the Rose”) in the mentioned example of simile, the sweetness of boy’s lips are compared to the honey’s. and the breath and smell are compared to the smell of *frankincense*.

In “The Devoted friend” we find the following examples of simile: “his tail was like a long bit of black india-rubber”; The little ducks were swimming about in the pond, looking just like a lot of yellow canaries (“The Devoted Friend”)

Oscar Wilde makes his writing-style more impressive by using metaphors: “there were twelve peach-trees that in the spring-time broke out into delicate blossoms of pink and pearl”; “the Frost painted all the trees silver”; “he was wandering all round it, crying bitterly”; “And the Giant’s heart melted as he looked out”; “He did not hate the Winter now, for he knew that it was merely the Spring asleep, and that the flowers were resting” (The Selfish Giant). “The primroses began to open their pale yellow stars”; am afraid you don’t understand the poetry of life (The Devoted Friend).

It’s worth mentioning that the author uses examples of parallel constructions in a figurative way, and it makes his writing style more expressive and more impressive: *So I lived, and so I died; “How wonderful the stars are,”* he said to her, “and *how wonderful* is the power of love!” “*Leaf after leaf* of the fine gold the Swallow picked off, till the Happy Prince looked quite dull and grey. *Leaf after leaf* of the fine gold he brought to the poor”(“The Happy Prince”); *Night after night* have I sung of him, though I knew him not: *night after night* have I told his story to the stars”. “*If I bring her a red rose* she will dance with me till dawn. *If I bring her a red rose,* I shall hold her in my arms”; “All *night long she sang* with her breast against the thorn, and the cold crystal Moon leaned down and listened. *All night long she sang,* and the thorn went deeper and deeper into her breast”; (The Nightingale and the rose); “*My own garden is my own garden.*” (“The Selfish Giant”).

By using repetitions, Wilde tries to impact on the reader: “Why, if little Hans came up here, and saw our warm fire, and our good supper, and our great cask of red wine, he might get envious, and envy is a most terrible thing, and would spoil anybody’s nature”;

So I first sold the silver buttons off my Sunday coat, and then I sold my silver chain, and then I sold my big pipe, and at last I sold my wheelbarrow.

I have got all my creepers to nail up, and all my flowers to water, and all my grass to roll.” (“The Devoted Friend”).

So, based on the analyzed materials, we can conclude that Oscar Wilde uses variety of stylistic devices and literary terms and by using them he makes his works and writing style very impressive. He vividly describes the nature, situations and scenes with lots of literary devices which indicate Wilde’s sophisticated, artistic use of language. His fairy-tales depicts his creativity. Based on the analysis it has been revealed that personification is the dominant type of figure of speech in Wilde’s Fairy Tales, though the writer also employs other types too, such as – metaphor, simile, parallel constructions and repetitions.

References:

1. Blessen, S. (2016). *Analysis of selected stylistic concepts*. International Research Journal commerce arts science. Vol.7. Issue 5. Isara Solutions [Retrieved from https://www.academia.edu/43373232/Analysis_of_selected_stylistic_concepts].
2. Simpson, P. (2004). *Stylistics*. London and New York: Routledge.
3. Snider, C. (2009). "On the Loom of Sorrow": Eros and Logos in Oscar Wilde's Fairy Tales. California State University: Lon Beach [retrieved from <https://web.csulb.edu/~csnider/wilde.fairy.tales.html>].
4. Vrabel, T.T. *Lectures in Stylistics of the English Language and Method-Guides for Seminars* [retrieved from: <https://dspace.uzhnu.edu.ua/jspui/bitstream/lib/8869/1/Lectures%20in%20stylistics.pdf>]
5. Wilde, O. (1910). *The Happy Prince and Other Tales*. David Nutt ed London: Long Acre [Retrieved from: <http://www.gutenberg.org/files/902/902-h/902-h.htm>]

ოსკარ უაილდის ზღაპრების სტილისტური ასპექტები

ლაზვიაშვილი შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.442>

აბსტრაქტი

მხატვრული ნაწარმოებების სტილისტური კვლევა ძალზე აქტუალურია, რადგანაც მსგავსი კვლევების საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, გავიგოთ ამა თუ იმ მწერლისა თუ პოეტის წერის სტილი და თავისებურებანი. შევისწავლოთ მისი შემოქმედების მახასიათებელი ცალკეული შტრიხები. სტილისტური კვლევების წყალობით ვიგებთ, თუ რა მხატვრულ საშუალებებს, ლიტერატურულ ხერხებს იყენებს მწერალი, რითაც მისი შემოქმედება მეტად ემოციური, ექსპრესიული და გამორჩეული ხდება.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ცნობილი ინგლისელი მწერლისა და პოეტის ოსკარ უაილდის ზღაპრების სტილისტური ასპექტები. კვლევისათვის შევარჩიეთ ცნობილი ზღაპრები, კერძოდ: *“The Happy Prince”* („ბედნიერი პრინცი“, *“The Selfish Giant”* („თავკერძა გოლიათი“), *“The Nightingale and the Rose”* („ბულბული და ვარდი“), *“The Devoted Friend”* („ერთგული მეგობარი“). საანალიზო მასალაში შესწავლილი და გამოკვლეულია მწერლის წერის სტილი და თავისებურებანი, მხატვრული ლიტერატურული საშუალებები.

ზღაპრების სტილისტური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უაილდის წერის სტილი და მანერა, მართლაც, გამორჩეულია, რადგან იგი იყენებს მხატვრული საშუალებების მრავალფეროვნებას, რაც განსაკუთრებულად იზიდავს მკითხველს. აღსანიშნავია, რომ მისი ენობრივი შესაძლებლობები ამოუწურავია. ხასიათდება დიდი ემოციითა და ექსპრესიით, რის საშუალებითაც მწერალი ადვილად ახდენს მკითხველზე შთაბეჭდილებას.

ოსკარ უაილდის ზღაპრები, შეიძლება ითქვას, რომ გაპიროვნებაზეა აგებული, იგი დიდი სიუხვით ხასიათდება; ზღაპრებში ასევე მრავლადაა გამოყენებული განმეორება, პარალელური კონსტრუქციები და მეტაფორა. ოსკარ უაილდი, თავისი ინდივიდუალური წერის ხატოვანებითა და მეტაფორული სტილის წყალობით მკითხველს ზღვა ემოციების ქვეშ აქცევს, რადგანაც მისი ზღაპრები ექსპრესიულობითა და ძლიერი ემოციური შეფერილობით გამოირჩევა. უაილდის ეს ლეგენდარული ზღაპრები უდიდეს საჩუქრად შეიძლება ჩაითვალოს მისი მკითხველისთვის. მწერალი მხატვრული ხერხების წყალობით ქმნის დიდ ემოციურ კავშირს მკითხველსა და პერსონაჟებს შორის.

სიცოცხლის მეტაფორიკა გერმანულ იდიომებში

მოდებაძე ცისანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.443>

აბსტრაქტი: კვლევის მიზანია სიცოცხლის მეტაფორიკის დადგენა გერმანულ იდიომებში. გერმანული სიტყვა *das Leben* ქართულად ნიშნავს, სიცოცხლეს/ცხოვრებას ანუ გერმანულად ეს ორი მცნება ერთი სიტყვით გადმოიცემა და შინაარსობრივად ერთმანეთისგან განუყოფელია.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს სიცოცხლის/ცხოვრების კონცეპტთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების დადებითი და უარყოფითი კონოტაციის დადგენა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ლექსიკონებში მოვიძიეთ ფრაზეოლოგიზმები და მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია მეტაფორიზაციის მიხედვით.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გერმანულ იდიომებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსემები. აღსანიშნავია, რომ წელიწადის დროების სახელების შემცველი იდიომები მეტაფორულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სიცოცხლის ციკლი: დაბადებიდან გარდაცვალებამდე. ახალგაზრდობის წლებს განასახიერებს გაზაფხული (*Der Frühling des Lebens*-ცხოვრების გაზაფხული), სიბერისას კი შემოდგომა (*Der Herbst des Lebens*-ცხოვრების შემოდგომა). სიცოცხლე მეტაფორულად შეიძლება განასახიერებდეს ერთ დღესაც. *Leben ist ein Tag*-სიცოცხლე ერთი დღეა. ეს ფრაზეოლოგიზმი მიუთითებს სიცოცხლის ხანმოკლეობაზე. მეტაფორული კომპოზიტი *Lebensabend*-სიცოცხლის სადამო აღნიშნავს სიბერეს და მეტაფორულად განასახიერებს ცხოვრების წარმავლობას. იდიომში *sein letztes Stündlein hat geschlagen*-მისმა უკანასკნელმა საათმა დარეკა განსაკუთრებით კარგად ჩანს სიცოცხლის ხანმოკლეობა.

ადამიანის სიცოცხლის მეტაფორიზაცია ხდება ასევე: მცენარის სიცოცხლესთან, მოგზაურობასთან, გზასთან, საკვებთან, ბრძოლასთან, სითხესთან და ჭურჭელთან.

ამრიგად, ცხოვრება არის დადებითი და უარყოფითი მომენტების მონაცვლეობა. დადებითი მომენტები ხშირად სინათლესთან და მზესთანაა შედარებული, უარყოფითი კი ჩრდილთან, სიბნელესთან, ღამესთან. ამ შემთხვევაში მეტაფორიზაცია ხდება ჩრდილის საშუალებით. აქედან გამომდინარე, ადამიანის სიცოცხლე მეტაფორულად განასახიერებს სინათლისა და სიბნელის, მზისა და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას.

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიზმები, სიცოცხლე/ცხოვრება, მეტაფორიკა, კლასიფიკაცია, დადებითი, უარყოფითი

კვლევის მიზანია სიცოცხლის მეტაფორიკის დადგენა გერმანულ იდიომებში. გერმანული სიტყვა *das Leben* ქართულად ნიშნავს, სიცოცხლეს/ცხოვრებას ანუ გერმანულად ეს ორი მცნება ერთი სიტყვით გადმოიცემა და შინაარსობრივად ერთმანეთისგან განუყოფელია.

მეტაფორა (ბერძნ. *Metaphora*-გადატანა) არის ტროპის ერთ-ერთი ძირითადი სახე. ზიგფრიდ შიდეის (Schieder, S. 2006) აზრით, მეტაფორის დახმარებით ყველაზე ზუსტად შეიძლება სინამდვილის აღწერა.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, გერმანულ იდიომებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსემები. აღსანიშნავია, რომ წელიწადის დროების სახელების შემცველი იდიომები მეტაფორულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სიცოცხლის ციკლი: დაბადებიდან გარდაცვალებამდე. სიცოცხლე დაბადებიდან გარდაცვალებამდე შეიძლება მეტაფორულად წელიწადის დროებით გამოიხატოს: *Leben ist ein Jahr*. გერმანულ ენაში ამ იდიომის სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს. ახალგაზრდობის წლებს განასახიერებს გაზაფხული, სიბერისას კი შემოდგომა. *Der Frühling des Lebens*. ანალოგიური შინაარსისაა: *Der Frühling seines Lebens*. ეს იდიომი აღმატებული შინაარსისაა, იხმარება სიკვდილის კონტექსტში და ხშირად გვხვდება ნეკროლოგებში. მაგალითად, „**Im Frühling meines Lebens** ereilte mich der Tod.“

სიცოცხლე მეტაფორულად შეიძლება განასახიერებდეს ერთ დღეს: *Leben ist ein Tag*-სიცოცხლე ერთი დღეა. ეს ფრაზეოლოგიზმი მიუთითებს სიცოცხლის ხანმოკლეობაზე. მეტაფორული კომპოზიტი *Lebensabend*-სიცოცხლის საღამო აღნიშნავს სიბერეს და მეტაფორულად განასახიერებს ცხოვრების წარმავალობას. იდიომში *sein letztes Stündlein hat geschlagen*-მისმა უკანასკნელმა საათმა დარეკა განსაკუთრებით კარგად ჩანს სიცოცხლის ხანმოკლეობა.

იდიომი *einen neuen/zweiten Frühling erleben* ნიშნავს სიბერეში კიდევ ერთხელ შეყვარებას. ვინაიდან სიცოცხლე და კარიერა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ეს იდიომი შესაძლებელია სხვა მნიშვნელობითაც იქნას ნახმარი, კერძოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ისევ აქტიური და წარმატებული ხდება. მაგალითად როდესაც ადამიანი სპორტში, პოლიტიკაში, მუსიკაში წარმატებულია, შემდეგ დროის რაღაც მონაკვეთში პასიური ხდება და შემდეგ ისევ აქტიურდება. ამ შემთხვევაში ეს იდიომი ნიშნავს ხელახლა დაწყებას (იშვიათად სიბერეში სიყვარული, ხშირად კარიერაში). როგორც ვხედავთ, სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კარიერის კონცეპტუალიზაციასთან.

ადამიანის ცხოვრებაში ხდება დადებითი და უარყოფითი მომენტების მონაცვლეობა. ამდენად დადებითი მომენტები ხშირად სინათლესთან და მზესთანაა შედარებული, უარყოფითი კი ჩრდილთან, სიბნელესთან, ღამესთან. იდიომი *Sonnenseite des Lebens* გამოხატავს სიცოცხლის დადებით მომენტებს. ამ შემთხვევაში მეტაფორიზაცია ხდება მზის საშუალებით. იდიომი *Schattenseite des Lebens* გამოხატავს სიცოცხლის ცუდ მონაკვეთს. ამ შემთხვევაში მეტაფორიზაცია ხდება ჩრდილის საშუალებით. აქედან გამომდინარე, ადამიანის სიცოცხლე მეტაფორულად განასახიერებს სინათლისა და სიბნელის, მზისა და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას.

ადამიანის სიცოცხლე შეიძლება შევადაროთ მცენარის სიცოცხლეს: *Menschliches Leben ist pflanzliches Leben*-ადამიანის სიცოცხლე მცენარის სიცოცხლეა. რადგან მზე და ჩრდილი მცენარის სიცოცხლეშიც დიდ როლს თამაშობს. იმისთვის, რომ მცენარე აღმოცენდეს, კარგად გაიზარდოს, დიდხანს იცოცხლოს და ნაყოფი მოგვეცეს, ჭირდება

მზე. მცენარე მზის გულზე უფრო კარგად ვითარდება, ვიდრე ჩრდილში. Positives Leben ist Licht-დადებითი ცხოვრება არის სინათლე, Negatives Leben ist Dunkelheit- ნეგატიური ცხოვრება არის სიბნელე.

ein Schattendasein fristen/führen ნიშნავს, რომ ადამიანი ნაკლებად ყურადღება მისაქცევ ცხოვრებას ეწევა ანუ ჩრდილში/განზე დგას.

blühendes Leben მეტაფორულად გამოხატავს ახალგაზრდობის წლებს

wie das blühende Leben aussehen -ჯანმრთელად და ძლიერად გამოიყურება

in der Blüte seiner Jahre- სიცოცხლის ყველაზე პროდუქტიული, ატიური და ლამაზი წლები

ამ იდიომებში მზისა და ჩრდილის საშუალებით ხდება სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია.

ხშირად სიცოცხლე მეტაფორულად შედარებულია მოგზაურობასთან:

Leben ist eine Reise-სიცოცხლე მოგზაურობაა.

Leben ist eine Reise durch die Zeit- სიცოცხლე/ცხოვრება დროში მოგზაურობაა.

Zeit meines, deines usw. Lebens- მთელი ცხოვრება

ხშირად სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ხდება გზასთან: das Leben ist ein Weg-სიცოცხლე გზაა. dorniger Weg-ეკლიანი გზა მეტაფორულად გამოხატავს რთულ სიცოცხლეს/ცხოვრებას.

jmds. Leben verläuft in geregelten Bahnen- ცხოვრება მოწესრიგებული გზით მიდის ანუ ცხოვრება უმართლებს. Bahn-რკინიგზა ამ შემთხვევაში მეტაფორულად შეესაბამება წესრიგს, მშვიდობას.

auf die schiefe Bahn geraten/kommen- ამორალური, კრიმინალური ცხოვრების დაწყება seinen Weg machen -წინსვლის და წარმატებების ქონა

seinen/ihren Weg gehen- თავისი ცხოვრების საკუთარი აზრის მიხედვით მოწყობა.

am Kreuzweg stehen- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე დგომა

aus dem Gleis werfen/ kommen/ bringen/ springen/ geraten- ჩვეული წესრიგის დაკარგვა/ცხოვრების წესიდან გადახვევა

auf dem Pfad der Tugend wandeln – სათნო ცხოვრებას ეწევა

auf den steilen Pfad der Tugend zurückkehren-უზრუნველ, უპასუხისმგებლო ცხოვრებას ეწევა.

nicht auf Rosen gebettet sein-იოლი ცხოვრება არ ქონია/მწარე სიცოცხლის/ცხოვრების ქონა

ადამიანს საკვების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია, რასაც მეტაფორულად აღნიშნავს იდიომი: Leben ist Speise- სიცოცხლე/ცხოვრება საკვებია.

jmdm. das Leben sauer machen-ვინმესთვის ცხოვრების გამწარება

das süße Leben-ტკბილი სიცოცხლე

Leben ist Spiel- სიცოცხლე თამაშია

Leben ist Glückspiel- სიცოცხლე/ცხოვრება ლატარიაა

mit dem/seinem Leben spielen-საშიშ რისკზე წასვლა

sein Leben aufs Spiel setzen- გაცნობიერებულად საშიში რამის გაკეთება.

ცხოვრებისეული სიმძნელები ხშირად მეტაფორულად ბრძოლასთან არის კავშირში: Leben ist Kampf

Leben ist Behälter-ცხოვრება კონტეინერია

ein erfülltes Leben – კმაყოფილი/ახდენილი ცხოვრება

ein unerfülltes Leben/ ein unausgefülltes Leben -უკმაყოფილო/აუხდენელი ცხოვრება

sich unausgefüllt fühlen / unausgefüllt sein- უკმაყოფილოდ გრძნობს თავს/უკმაყოფილოა jemand/etwas ist der Inhalt jemandes Lebens -ვიდაცის ცხოვრების აზრია seinem Leben mit etwas einen Inhalt geben, verleihen-თავისი სიცოცხლისთვის რაღაცით აზრის მიცემა.

ein inhaltsloses Leben führen-უშინაარსო ცხოვრებას ეწევა ცხოვრება მეტაფორულად შეიძლება გამოიხატოს სითხით. Quelle des Lebens- სიცოცხლის წყარო

ცხოვრება სწავლაა: Leben ist Lernen. ცხოვრება მეტაფორულად ხშირად სკოლასთან ასოცირდება: Das Leben ist eine Schule-სიცოცხლე/ცხოვრება სკოლაა.

er ist in eine harte Schule gegangen, hat eine harte Schule durchgemacht-მაგარი სკოლა აქვს გავლილი.

alle Schulen durchgemacht haben – ბევრი ცხოვრებისეული გამოცდილების (კარგის და ავის) ქონა.

სიცოცხლე/ცხოვრება მეტაფორულად გამოხატავს ჭურჭელს:

erfülltes Leben-სავსე/დატვირთული ცხოვრება

leeres Leben-ცარიელი/უსაქმური ცხოვრება

das Leben bis zu des Bechers Neige genießen-ცხოვრების ბოლომდე დატკობა

Das Leben ist ein Abenteuer-სიცოცხლე/ცხოვრება თავგადასავალია.

Das Leben ist Last-სიცოცხლე/ცხოვრება ტვირთია

Das Leben ist ein Schauspiel-ცხოვრება თეატრია

ამრიგად, როგორც კვლევამ გვიჩვენა, წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსემები ხშირად გვხვდება გერმანულ იდიომებში. წელიწადის დროების სახელების შემცველი იდიომები მეტაფორულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სიცოცხლის ციკლი: დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

სიცოცხლე მეტაფორულად შეიძლება განასახიერებდეს ერთ დღეს.

ადამიანის სიცოცხლე მეტაფორულად განასახიერებს სინათლისა და სიბნელის, მზისა და ჩრდილის, ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას. მზისა და ჩრდილის საშუალებით ხდება სიცოცხლის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია.

ადამიანის სიცოცხლე მეტაფორიზაცია ხდება: მცენარის სიცოცხლესთან, მოგზაურობასთან, გზასთან, საკვებთან, ბრძოლასთან, სითხესთან და ჭურჭელთან.

ლიტერატურა:

1. გამრეკელი, ნ., ჰოფმანი, თ. ქადაგიძე, ნ. (1973): გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. განათლება.
2. ზეჟალაშვილი, რ. ქირია, ჯ. (2007): გერმანულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
3. Götz D. u. a.:(2008) Drowörterbuch Deutsch als Fremdsprache; Langenscheidt-Berlin- München - Wien -Zürich -New York
4. Duden (Deutsches Universalwörterbuch) (5. überarbeitete Aufgabe) (2003). Dudenverlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich.
5. Duden (2008): Wörterbuch der deutschen Idiomatik. 3., Mannheim: Dudenverlag.
6. Fleischer W.(1997): Phraseologie der deutschen Gegenwartssprache.Tübingen: Max Niemeyer
7. Schieder, S. (2006): Die gestaltende Kraft von Sprachbildern und Metaphern. Trier: Universität Trier

Metaphors of Life in German Idioms

Modebadze Tsisana

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.443>

Abstract

The aim of the study is to define the metaphoric meaning of the concept 'life' in the German idioms. The German word *das Leben* means both to live and life in Georgian. It means German does not differentiate them.

Our task is to define the positive and the negative connotations of idioms containing the concept of life/ live. To solve this task, we searched for the relevant phraseologisms in the dictionaries and classified them.

The study has revealed that lexemes denoting seasons prevail in such idioms. In a metaphoric sense, we can show these idioms as a whole life cycle: from cradle to grave. The lexeme *spring* stands for youth years (*Der Frühling des Lebens*-the spring of life), while the lexeme *autumn* stands for the old age (*Der Herbst des Lebens*- the autumn of life). In the same figurative sense, the lexeme *Lebenmay* refers to one day only. For instance, *Leben ist ein Tag* – Life is one day. This phraseologism shows the brevity of life. Metaphorical compound *Lebensabend* means the evening of life, that is the old age. The brevity of life is also reflected in the idiom *sein letztes Stündlein hat geschlagen*- 'his last hour struck', meaning, his life came to an end.

Metaphorisation of human's life is also common with the following lexemes: plants, travel, road, food, struggle, liquid and vessel.

Thus, life is alternation of positive and negative moments. The former are often compared to light and the sun, while the latter – to shade, darkness and night. Proceeding from this life is a regular alteration of light and darkness, the sun and shade, light and dark.

Key words: phraseologisms, life/live. Metaphoric, classification, positive, negative

თეთრი ფერის ლექსიკური გააზრება ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში

სანაია ფერიდე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.444>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია, თუ რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ფერებს მხატვრულ შემოქმედებაში, კერძოდ, პოეზიაში.

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნიეთ ნაშრომში გარკვეული ადგილი დაგვეთმო სიმბოლოს, როგორც ესთეტიკური ნიშნის სემიოტკური ანალიზისთვის. პრობლემის აქტუალურობა გამომდინარეობს იმ მნიშვნელობიდან, რომელიც ლინგვისტურ აზროვნებაში შეიძინა სიმბოლური ნომინაციის ცნებამ.

სტატიაში ძირითადი აქცენტი გადატანილია ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიის ფერთა ამსახველი სიტყვების გააზრებაზე.

ფერის სიმბოლიზმი ცვალებადია დროსა და კულტურაში. აქედან გამომდინარე, მისი ბოლომდე შესწავლა ვერ ხერხდება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფერი ესთეტიკური ფენომენია და ე.წ. „ნიშნის“ თვისებებს ამჟღავნებს, რომელიც, თავის მხრივ, ფერთა სიმბოლიკის საფუძველს წარმოადგენს. მასალაში მოყვანილია პრაქტიკული მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: სიმბოლო, ფერი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პოეზია.

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლა მუდამ იზიდავდა მკვლევართა ყურადღებას. ამ ლექსიკას, სემანტიკური ინფორმაციულობის გარდა, ძლიერი ექსპრესიულობაც ახასიათებს; ფერთა აღქმა-დახასიათება ხელოვნების ყველა დარგისთვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც ფერადოვნება სამყაროს ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. დარგი, რომელსაც ლექსიკა შინაარსობრივი კუთხით აინტერესებს, სემასიოლოგიაა. ამ დარგის მიხედვით, თუ ლექსემის მნიშვნელობა კონკრეტული და ვიწროა, საქმე მონოსემიასთან გვაქვს, ხოლო სიტყვის მრავალ მნიშვნელობასთან შეხვედრისას პოლისემია იჩენს თავს. ამთავითვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ლექსიკური მნიშვნელობა არ არის უცვლელი, მას ახასიათებს სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, განვითარება, დესემანტიზაცია, მნიშვნელობის დავიწროება ან გაფართოება, ნებისმიერი დონის ენობრივი ნიშნის მნიშვნელობის ასახვა (მორფემიდან შესიტყვებამდე, თუ წინადადებამდე).

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ვისაუბრებთ ფერის აღმნიშვნელ ლექსიკაზე და ამ ლექსიკის სტილისტიკურ ფუნქციაზე მხატვრულ შემოქმედებაში. გამოვარკვევთ, რა სიმბოლურ ბლოკებად ერთიანდება სითეთრესთან დაკავშირებული ლექსიკა, როგორი სემანტიკური ველით იფარება იგი და რა ასოციაციურ მნიშვნელობათა სპექტრს იკრებს ამ ლექსიკის პერიფერიული ნაწილი.

ფერთა ფენომენისადმი ინტერესი ხელოვნებასა და ლიტერატურაში ბოლო

პერიოდში განსაკუთრებით იზრდება. ფერთა სიმბოლიკის კვლევა საინტერესო მასალას იძლევა ენობრივი და კულტუროლოგიური მიმართულებით. პოეზიაში ფერის აღნიშვნელი ლექსიკა ახალ მეტაფორულ, პოეტურ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული თემის შესწავლა კი, ცხადია, ბაზისურ ფერთა გამოყოფით უნდა დავიწყოთ.

თამაზ ჭილაძე აღნიშნავდა: „არაფერი ისე სრულყოფილად არ გადმოსცემს ენის სიმდიდრეს, როგორც პოეზია... ხმა, ფერი, სხეულის პლასტიკა, ჟესტიკულაცია, მიმიკა, დუმილი – ყველაფერი ადამიანის გარესამყაროსთან დამოკიდებულების გამჟღავნებაა. პოეტურ სიტყვას კი შეუძლია უამრავი ფორმა ადამიანის მეტყველებისა შეითავისოს, შეაერთოს და ამით კიდევ უფრო გაამდიდროს, გაამძაფროს იგი“ (ჭილაძე, 1993: 7).

სიტყვა ფერი „ვეფხისტყაოსანში“ სილამაზის, ბედნიერების, სიხარულის შემცველია. „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“, – ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“. თითოეული ფერი გამოხატავს სულიერ სიმშვიდეს, ხოლო უფერული უბედურების მაჩვენებელია. როგორც მკვლევარი ვ. ნოზაძე აღნიშნავს, ადამიანის თვალთან ერთად ფერი არის პირველშობილი მოვლენა და ადამიანის მიერ შექმნილი პირველი მითოსის პირველი ამბავი ღმერთთან დაკავშირებით, ფერის ამბავიც არის. ფერი და ნათელი ღმერთთან არის გადაბმული და პირველი ფერი, რომელიც ადამიანმა იცნო, იყო თეთრი და შავი (ნოზაძე, 1954: 8).

სპეციალისტებს ფერთა ათასზე მეტი ნიუანსის გარჩევა შეუძლიათ, მაგრამ მხატვრულ შემოქმედებაში პოეტები, ძირითადად, რამდენიმე დომინანტურ ფერს ანიჭებენ უპირატესობას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია, სადაც თეთრი და შავი ფერი ხშირად ენაცვლება ერთმანეთს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თეთრის ზემოქმედების ძალა განსაკუთრებით შეიგრძნეს სიმბოლისტებმა. „თეთრი ფერია – დღისა და ცის მშვიდობისა“, – აღნიშნავს ლ. სორდია (სორდია, 1996: 14.).

ფრანგმა სიმბოლისტებმა ფერი მუსიკას გაუთანაბრეს. პოეზიაში ფერს, როგორც მეტაფორას, შედარებას, ეპითეტს, ალეგორიული გამოსახვის საშუალებას თუ სიმბოლოს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს.

ფერადოვანი ნახატებითაა სავსე ლექსი „პროვინციალური გაზაფხული“¹. პოეტმა მკითხველი პირველი სტრიქონიდანვე შეამზადა არა გაზაფხულის სურათებით დასატკბობად, არამედ დასაფიქრებლად.

ლექსემა „თეთრი“ და თეთრისა და სითეთრის გამომხატველი სხვა ლექსემები (მათ შორის სიტყვის გადააზრებით, მეტაფორიზაციით, შედარების გზით თუ სხვა ენობრივი საშუალებებით გამოწვეული შინაარსი ან განცდა შემდეგი პრინციპით შეიძლება დავაჯგუფოთ:

- თეთრი, როგორც დროის ცვალებადობის გადმოცემის საშუალება;
- თეთრი, როგორც სიკეთის სიმბოლო;
- თეთრი, როგორც ბოროტების, ბნელეთის, სიშავის ანტიპოდი;
- თეთრი როგორც სიკვდილის, სიცივის, ზამთრის სიმბოლიკის მატარებელი ფერი;
- თეთრი, როგორც იმედი;

ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს „თეთრის“ მნიშვნელობით გამოყენებული ლექსიკა, როგორცაა თოვლი, სიბერე, სიფითრე, ყინული და სხვა.

¹ თუმცა სწორი ფორმაა პროვინციული და არა „პროვინციალური“, ეს ეპითეტი უფრო მუსიკალურია და პოეტურ სათქმელს ნატიფად გადმოსცემს.

დროისა და სივრცის ცვალებადობის წარმოჩენით ვალერიან გაფრინდაშვილმა ხაზი გაუსვა ცხოვრების მდინარებას – ყველაფერი ცვალებადია, ხან გაზაფხულია, ხან – ზამთარი. „ცვალებადია დრო და ალაგი. ახლა მაისმა მოსვლა იწვევს, როგორც პოეტი, ელის ქალაქი თეთრი ტყემლებით დაგვირგვინება“, – ნაზამთრალი, ფერებწაშლილი ქალაქი შედარებულია პოეტს, რომელიც აღიარებასა და უკვდავებაზე ოცნებობს. სიკვდილის უძლეველობის ხილვაში გადაიზრდება სიცოცხლის განახლების ხალისი. ლექსში მაისის საზეიმო მოსვლას ამზადებს აპრილი, რომელიც „აკრავს მწვანე აფიშებს, ვით ბალდახინის თეთრი მსახური“. აპრილი წარმოგვიდგება, როგორც თეატრალური ნიღაბი. პოეტი წარმოაჩენს თეთრი და უფერო დღეების დაუსრულებლობას, ზამთარი კი ხაზს უსვამს სიცივესა და სულიერ ობლობას.

პოეტი სიკვდილის მოციქულს (იზრაილი) მოიხსენიებს ეპითეტით „შეუმუსრავი“, რითაც მის უკვდავებას უსვამს ხაზს და მოითხოვს „შავ პროცესიას“ ანუ სიკვდილს. ლექსში ყვავილთა სითეთრეს შეერევა შავი, რომელიც ჩრდილავს ყველაფერს. ეს არაჩვეულებრივი მეტყველი ფერწერული სურათია.

ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „ზამთარი“ ბუნება – მაცდური, ზამთარი კი თეთრი გედის სახით არის წარმოდგენილი. „ჩვენ რომ გვეძინა, იგი მოფრინდა, სასიხარულო იანვრის გედი“, – წერს პოეტი. სიკვდილი გააზრებულია ნეტარებად, რომელსაც ზამთრის სიჩუმეც ვერ შეედრება. შთამბეჭდავია ზამთრის სითეთრიდან სიკვდილის ასოციაცია, – „როგორ ანელებს სითეთრე გრძნობას“. ბინდის ყვავილი შედარებულია პოეტის გაფრინებულ სულთან, – „...და ჩემი სული ფითრდება ისე, როგორც სუმბული – ბინდის ყვავილი“. ამ ყველაფერს პოეტი ზამთრის სითეთრეს უკავშირებს. ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „სანტიმენტალური ტრიოლეტი“ მთავარია ფერისა და მუსიკის სინთეზი. სწორედ ეს ლექსი იქცა ჩვენს სინამდვილეში ტრიოლეტის სახედ. მართალია, სწორი ფორმაა სანტიმენტალური (ნაღვლიანი, სევდიანი, მინორული, მგრძნობიარე) და არა „სანტიმენტალური“, მაგრამ ამით სევდამორეული პოეტი ქმნის საოცარ სისადავეს. ლექსის პირველივე სტრიქონიდან გასაგები ხდება ლირიკული გმირის განწყობილება, რომელიც თავს ზამთარში მოწყენილ ბელურას ადარებს: „ვარ მოწყენილი ვით ზამთარში ნაზი ბელურა, // ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი“. ზამთარი შეიძლება გავიაზროთ წუთისოფლის სიმბოლოდაც. პატარა ფრინველის ეს „სინაზე“ კონტრასტულია ზამთრის სიმკაცრესთან. უიმდოა მისი მომავალი, არავინ იცის, გადაურჩება თუ არა „ნაზი ბელურა“ ცივ ზამთარს. ასევეა პოეტის ზამთრად ქცეული ცხოვრებაც, რომელმაც სატრფოსთან დააშორა. გარდა ამისა, კიდევ ერთ შედარებას იყენებს პოეტი, – „...ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი“. ლირიკული გმირი გადმოსცემს საკუთარ განცდას, განწყობას, ცდილობს მკითხველის თანაგრძნობა გამოიწვიოს. აგრძელებს: „შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა... // მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა.“

პოეტმა სრულყოფილად მოახდინა ქართულ გარემოში უცხო სახე – სიმბოლოების შემოტანა, – „კეკლუცთა ჯარი თეთრ გედებზე მიცურავს ნელა, შავ ნირვანაში დაალურობს დღე ფერწასული“. ფერი ხშირად ლირიკული გმირის მიერ სამყაროს აღქმის გასარკვევად გამოიყენება. თეთრს ქართველ სიმბოლისტთა ფერთამეტყველებაში ესთეტიკური დატვირთვაც გააჩნია. ფერი ერთგვარად ფონს უქმნის განწყობილებას.

გამოყენებული მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ თეთრი ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში დომინანტური ფერია. „ბლოკთან თეთრის გადააზრება მოხდა ღვთაებრივი ნათელის, ეკლესიასტეს თეთრი ღამის სიმბოლოებად. რაც შეეხება ქართულ

ლირიკაში პირველშემომტანად თეთრი ფერისა სიმბოლისტურ ჭრილში, ვალერიან გაფრინდაშვილი მიიჩნევა. მან განსაკუთრებული დატვირთა დააკისრა ისეთ სახეებს, როგორცაა თოვლი, ფანტელები, ბროლი, თოვლიანი სადამო (სვანიძე ნ. (2004): თეთრი ფერის სიმბოლო ტიციან ტაბიძის პოეზიაში, „კრიტიკური“ №11-12, 94-96.). თეთრი სიმბოლოა სიწმინდის, სისუფთავის, მარადიულობის, უდანაშაულობის, სიახლის, დასაწყისის, სიკეთის, სინათლისა და სიხარულის. ანტიკურ ეპოქაში ის მიწიერებას მოწყვეტილ, სულიერ უბრალოებას აღნიშნავდა. ლეონარდო და ვინჩი თეთრს მიიჩნევდა ჰაერად, რომლის გარეშე სხვა ფერის შემქნევა შეუძლებელი იქნებოდა. თეთრი უპირისპირდება შავს, ბნელს. თეთრი – სინათლე, დამე – სიბნელე.

მწერლები თეთრს ერთგვარად სილამაზის, სულის სიმაღლის, სინათლის გამომხატველ ნიუანსად გამოყოფენ. თეთრ ფერში გამოსახვენ ანგელოზებს და წმინდანებს. იგი გამოხატავს მშვენიერებას, სიმშვიდეს, მაცხოვრის ფერს, წმინდა გიორგის ცხენს. ვალ. გაფრინდაშვილს თავის ლექსებში მრავალჯერ აქვს გამოყენებული თეთრის აღმნიშვნელი პოეტური სიტყვები: ფერმკრთალი, ნათელი, გამკრთალი, ფერმიხდილი, მიმქრალი. ცივის შეგრძნების ეფექტს იძლევა თეთრის ღია ლურჯი ელფერი.

თეთრი თავისი ბუნებით სხვა ფერებს ანეიტრალებს, მაგრამ შესაძლოა საპირისპირო მნიშვნელობაც ჰქონდეს და სიცარიელისა და სიკვდილის სიმბოლოდაც იქცეს. უნდა აღინიშნოს, რომ პოეზიაში თეთრი ფერი სხვა დატვირთვასაც იძენს და სიცივესთან, სუსხთან, სიფითრესთან, იანვრის თვესთან, ყინვასთან, ზამთართან და თოვლათან ასოცირდება. „თოვლი და ქაფი, დაისები და ბროლოფიქალი“; თოვლი სახეზე და ხელებზე მათ ეწვეთება“, – პოეტისათვის სითეთრეა თოვლი, ზამთარი. ყველა სახე-სიმბოლო მკითხველმა შეიძლება სხვანაირად გაიგოს და ყველა გაგება იყოს მართალი. თოვლი გალაკტიონის ლირიკაში ლურჯი, ზამბახისფერი, იისფერი, შავი, ბროლივით გამჭვირვალე, მარმარილოსავით ცივი და თეთრია, დაღლილი თითებივით მკრთალია, ან კიდევ ვარდისფერია: „თოვლი, ფიფქი და აპრილი, ვარდისფერი თოვლი...“ „თოვს სურნელოვან ვარსკვლავთა თაიგულები“, – წერს პოეტი. ამ შემთხვევაში თოვლის მოსვლა სასიამოვნო შეგრძნებას აღუძრავს ავტორს.

თეთრი ფერი მრავალგანზომილებიანია ლექსში „მისტიური მარულა“, – „თეთრი სიგიჟე თეთრ მათრახით უთრთოლებს რაშებს“... აღნიშნულ ლექსში თეთრს უკავშირდება შემდეგი სიტყვები: ბროლი, გაყინული, თეთრ ცხენი.

მხატვრულ ნაწარმოებებში „თეთრი რაში“ არაერთგზის გამოყენებულია სიძლიერის და თვით საქართველოს სიმბოლოდ. ე. ჭედია თავის ნაშრომში „ვალერიან გაფრინდაშვილის ფერის სიმბოლიკისათვის“ აღნიშნავს: „მართალია, გაფრინდაშვილის „რაში“ ტატოს „მერანივით“ ამაყია და შეუდრეკელი, მაგრამ, სითეთრე იგივე ყინვა „თავის საზღვრებს“ („ბედის სამზღვარი“ ტატოსთან) ანარცხებს რაშს. რაში კი როგორც ვიცით სიმბოლოა ვაჟკაცობისა და ძლიერებისა“ (ჭედია ე. (2006): „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, №10, 133-142). ვალ. გაფრინდაშვილის პოეტურ მეტყველებას ორეულები, ოფელები, დაისები, აშორდია, სარკეები, მირაჟები, მაჩაბლის მთვარე, სიზმრები და სხვა წარმოადგენდა. პოეტისთვის ოფელია იგივეა, როგორც გალაკტიონისთვის მერი. იგი, როგორც მუზა, როგორც შთაგონება, ხშირად ჩნდება პოეტის შემოქმედებაში.

ლექსში „ოფელია და გედები“ მდინარის წიალიდან აღმდგარი გაფრინდაშვილის ოფელია თავისი „სითეთრით“ შავ გედებს აფრთხობს: „ამოდის წყლიდან ოფელია ნისლიან ტანით. // მისი სიმკრთალე არემარეს გადაედება. / ...მაგრამ შავ გედებს ეშინათ სითეთრის მეტად“.

თეთრი ერთგვარად ქალის სილამაზის გამომსახველი ფერია: „შენ თეთრი ქოშები ჩაგეცვა ცბიერო // ლამაზო, კეკლუცო, ნუთუ ლმობიერო?“ (მინიატურა); „თეთრი თვალებით ის უცქერდა ცაში ვარსკლავებს“ (შემოდგომის ქანდაკება). ან თუნდაც, „თეთრი ტილოს საზრუნავი“ უნდა გავიგოთ, როგორც შემოქმედის თეთრი, ჯერ დაუწერელი ტილო.

პოეტისთვის სითეთრე სიცოცხლის დაპირებაც არის და სიკვდილიც. თეთრი რწმენისა და იმედის გამომსახველი ფერია. „თეთრი ოცნება გადარჩენის თოვლივით დნება“, – წერს პოეტი ლექსში „მე სარკეში“. ვალერიან გაფრინდაშვილს ჰქონდა პოეტური მიდრეკილება აღმოეჩინა მშვენიერი რაღაც მცირეში და ძნელად გამოსარჩევში. პოეტი აღმოაცენებს სიდიადეთა ესთეტიკას, რაც განსაზღვრავს კიდევაც მისი პოეზიის ინდივიდუალურ იერს.

ყურადღებას იქცევს ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსის სტილის ერთგვარი ორნამენტულობა, რომელთა საშუალებითაც ლექსის მთავარ სათქმელს იდუმალების ბურუსში ახვევს, რათა მკითხველს უბიძგოს სიღრმისეული ანალიზისკენ. კრთომა და სისუსტის განცდა ნიშანდობლივია ვალერიანის შემოქმედებისთვის, რაც სიწრფელით მჟღავნდება კიდევ.

„შენ, სულო ჩემო, სევდით დაღალდი
და გენატრება ღამის მალარო.

თუ გასურს გაფითრდი, როგორც ქაღალდი,
მხოლოდ ორეულს არ შემაყარო“, – წერდა პოეტი.

წყვიდადს თეთრი ფერით ანადგურებს პოეტი, – „კეკლუცთა ჯარი თეთრ გედებზე მისცურავს ნელა, შავ ნირვანაში დაალურობს დღე ფერწასული“ (დაისი).

ვალერიან გაფრინდაშვილს შინაგანი სიმშვიდის, სიმყუდროვის მოპოვების სურვილი დაჰყვა. ეს უშფოთველობა პოეტს სითეთრეში ეცხადება, რომელიც, მალარმეს მსგავსად, განსაკუთრებით იზიდავს.

მალარმეს დენდობა მისი პოეზიის თეთრ ფერში აისახებოდა. ვალ. გაფრინდაშვილი წერილში „სტეფან მალარმე“ წერს: „თვით მალარმეს პორტრეტი, მისი დათოვლილი სახე იძლევა სითეთრის შთაბეჭდილებას... ეს არის სითეთრე ზამთრის, სარკისა და ქანდაკების. ეს სითეთრე არის სიმბოლო უმაღლესი სულიერი ძლიერებისა. ეს სითეთრე არის ნირვანა, რომელშიც პოეტს უნდა განაცალკევოს თავისი სული. აქ სითეთრე მხოლოდ სარკეა რჩეული უკვდავების...“ (გაფრინდაშვილი ვ. (1990): 476).

ამონარიდების მცირე ნაწილი მისი ლიტერატურული ფერთა გამიდან: „თეთრ კარუსელზე ტრიალებენ ოფელიები. // აქედან ვუცქერ მოუწვდომელ სათუთ ფერიებს“ (დაისი – აშორდია); „თეთრი ჭლექი და უდღეობა“ (ინტერვიუ მეორე); „თეთრი რაშები, დახოცილნი ბროლის სიმკაცრით“ (მისტიური მარულა); „თეთრი სურნელის თეთრ სარკეში მომელანდება... // მოდის ღამეში თეთრი ქალი ავადმყოფ ხელით“ (ხელის ორეული); „მომელანდება თეთრ სარკეში მე როიალი და კლავიშებზე ხელთათმანი თეთრი, ნაცვამი“ (მე და ოფელია); „სწრაფად გაჩნდება თეთრ ჰაერში თეთრი მდინარე (ქუთაისი ქარში); „ქარი თეთრ მხედრებს თეთრ ისრებით ისევ აბრმავეს // და თუ გათენდა – შეიჭრება მზის ნირვანაში“ („ოფელია და ნერონი“); „კედლები აქვითინდნენ თეთრი გედებით // და როგორც თოვლი დაიფერფლა ჩემი ქეიფი“ (თეთრი ნაბადი); „...და თეთრი ჟამი ჩემს ოცნებას თოვლისფრად თალხავს“ (თეთრი დღეები); „თეთრი ვარსკვლავი, ოფელია და სიხარული“...

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ფერთა ლექსიკის შესწავლის თვალსაზრისით. ვალერიან

გაფრინდაშვილის პოეტურ მხატვრულ სისტემაში ფერების მკვეთრი გამიჯვნა მნელდება, თუმცა სიხშირის მხრივ თეთრი, შავი, წითელი და ყვითელი ფერები გამოირჩევიან.

ამდენად, იმ თავისებურებათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მწერალთა ინდივიდუალობას, გარკვეული ადგილი უკავია ფერთა გამოყენებას.

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი, ვ. (1990): ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები მწერლის არქივიდან, თბილისი: „მერანი“.
2. დათაშვილი ლ., ჯალიაშვილი მ. (2014): წერილები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე, „მერიდიანი“, თბილისი.
3. ნოზაძე, ვ. (1954): „ვეფხისტყაოსნის ფერთმეტყველება“, ბუენოს-აირესი.
4. სორდია, ლ. (1996): გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. სვანიძე, ნ. (2004): თეთრი ფერის სიმბოლო ტიცთან ტაბიძის პოეზიაში, „კრიტიკუმი“, №11-12. 94-96.
6. ჭედია, ე. (2006): ვალერიან გაფრინდაშვილის ფერის სიმბოლიკისათვის, „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, №10. 133-142.
7. ჭილაძე, თ. (1993): პირველად იყო სიტყვა: ესეისტური პროზა, თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“.
8. მალარმე, 1996: Mallarme St., Collected Poems: Bilingual Edition. Translated by Henry Weinfield. University of California Press. London, 1996.
9. Internet resources:
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/34>
<http://www.mutablesound.com/home/?p=2165>

Understanding of White Color in the Art of Valerian Gaprindashvili

Sanaia Pheride

Sokhumi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.444>

Abstract

The article “Understanding of White Color in the Art of Valerian Gaprindashvili“ analyses what symbolic weight colour have in belletristic works, especially in poetry.

In the paper the main attention is drown on sensation of color in Valerian Gaprindashvili's creativity. Color as comparison, as epithet, as metaphor, symbol and manner of allegoric description has exclusive charge in the artistic and cogitative system of any great creator.

The aim of the article is colours' structural-semantic analyze and to gain argumentive materials.

The theme is actual because nowadays the interest on colour indicating vocabulary is

increasing and Georgian linguists paid their attention on it as well.

The survey showed that Georgian symbolists were very interesting phenomena in studying colors. Color artistic analyze has an important part in Valerian Gaprindashvili works. White color dominates in poesy of Val. Gaphrindashvili. As a result of analyzing the symbolism of colors white color is considered as a symbol of light. In some cases white color is symbol of coldness, austerity and in other ones is symbol of concinnity. One can meet black, red, blue, green and yellow colors as well that have semantic charge in his poetry.

Color symbols are changeable through time and culture. According to this studying the theme fully is not possible. We can summarize that color is esthetic phenomena and reveals the traits of so called “mark” which is the foundation of color symbols.

Key words: Symbol, Color, Valerian Gaprindashvili, Poetry

მხატვრული შედარება თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში

ფილაშვილი ელენე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.445>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია მხატვრული შედარება თედო რაზიკაშვილის პროზის ენაში, როგორც სტილის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი, გარესამყაროს შეცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომელიც, ბუნებრივია, განაპირობებს ტექსტის ესთეტიკურ და ემოციურ ფუნქციას.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობები, მსგავსებითი შედარების გადმოცემის თალსაზრისით, ხასიათდება მრავალფეროვნებით. მწერალთან უმეტესწილად ერთმანეთს შედარებულია სულიერსი და უსულო, ადამიანი და ცხოველი...

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში მსგავსებითი შედარება იქმნება გრამატიკული კავშირებით: **როგორც, თითქოს** და თანდებულებითა და ცალკეული სიტყვებით: **-ვით, -ებრ, -თანა, -ტოლა, ქცეული** და სხვა. ზოგჯერ შედარებაში არ გამოიყენება კავშირი და თანდებული, რაც ძალზედ ემოციურ ელფერს სძენს მას.

მსგავსებითი შედარება ექსპრესიულად ძალზე საინტერესოა, მკითხველი ნათლად, მკაფიოდ, ცოცხლად შეგრძნობს მწერლის მიერ დახატულს სცენას.

ვფიქრობთ, რომ მსგავსებითი შედარება განსაზღვრავს თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის სტილს, რომელიც აძლიერებს სათქმელის შინაარსსა და ტვირთვას მას ემოციურად.

ამრიგად, თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის დამახასიათებელი სტილური ნიშანია მსგავსებითი შედარება, რაც მხატვრულ ტექსტს ხდის განუმეორებელს, ინდივიდუალურს, აზროვნებას კი – ემოციურს.

ნათლად იკვეთება, რომ მსგავსებითი შედარების მეშვეობით თედო რაზიკაშვილი ოსტატურად იყენებს ენის მრავალფეროვან შესაძლებლობებს, რითაც ქმნის ინდივიდუალურ, მკვეთრად გამორჩეულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტილს.

საკვანძო სიტყვები: სტილი, შედარება, მსგავსება, კონსტრასტული, თვისობრივი.

თედო რაზიკაშვილის მხატვრული ნააზრევი ამშვენებს ქართულ მწერლობას. მრავალფეროვანი და განსაკუთრებულია მისი თხზულებთა ენა, დატვირთული უხვი მხატვრული ხერხებით, ტროპული მეტყველების თავისებურებით, რომელიც ბუნებრივია, განაპირობებს ტექსტის ესთეტიკურ – ემოციურ ფუნქციას. ამასთანავე, განსაზღვრავს მის ადგილსა და სემანტიკურ დატვირთვას ქართულ მწერლობაში.

ძალზედ განსხვავებულია თედო რაზიკაშვილის პროზის სტილი. აქ მჟღავნდება შემოქმედის მხატვრული თავისებურება, სამყაროს აღქმა, მისი მსოფლხედვა. სტილის განმსაზღვრელია მწერლის თანადროული ეპოქა, ლიტერატურული გავლენა, თავად პიროვნება და სხვა მრავალი ფაქტორი.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში მხატვრულ შედარებას, როგორც მსავსების

ნიშანას, მნიშველოვანი ადგილი უკავია. მხატვრული შედარება გარესამყაროს შეცნობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

„შედარება უნივერსალური მოვლენაა, გნოსეოლოგიური თვალსაზრისით იგი საფუძველთა საფუძველია ყოველგვარი შემეცნებისა: ნებისმიერი ცნება თავისთავად წარმოადგენს რაღაც შედარების შედეგს“ (კვაჭანტირაძე, 1978, 6). „შედარება-შეპირისპირების შედეგია ობიექტთა ნიშნებს შორის ეკვივალენტის, მსგავსების, განსხვავების, იგივეობის კონსტატაცია, რაც საბოლოო ჯამში ცნებად გამოიკვეთება ხოლმე“ (კვაჭანტირაძე, 1978, 6).

შედარება, როგორც მეტყველების შესაძლებლობა ალ. გვენცაძის აზრით „უმრავლეს შემთხვევაში დასრულებულ აზრს წარმოადგენს. ზოგჯერ შენიშნავენ, რომ შედარებაში ერთი მხარე ნაცნობია, ხოლო მეორე ახალია, უცნობია და ნაცნობთან უცნობის შეპირისპირება გვეხმარება მის გაცნობიერებაში. მისი აზრით შედარება რთული ერთეულია. „შედარებას შეუძლია შეასრულოს არა მარტო აღწერით-გამომხატველობითი, არამედ ემოციურ-გამომხატველობითი ფუნქციაც. შედარებაში მქლავდება მთქმელის ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი, ადამიანთა მისწრაფებებისა და შეგნებულობის თვალსაწიერი. ალ. გვენცაძეს შესაძარებელი მხარე დაახლოებით ასე აქვს დაჯგუფებული:

ა) შესაძარებლად გამოყენებულია ადამიანური, საზოგადოებრივი ხასიათის საგნები და მოვლენები, ე.ი ყველაფერი, რაც ადამიანთა მოქმედებისა და ურთიერთობის ნაყოფია;

ბ) შესაძარებლად გამოყენებულია ბუნების საგნები და მოვლენები; მაგალითად მნათობები, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყარო და სხვა“.

ცნობილია, რომ შედარებაში ორი ძირითადი მომენტი იპყრობს ყურადღებას. ერთია „ა) შედარება კონსტრასტული კომპოზიციის ხერხით, ამ შემთხვევაში ნაწამოების სიჟეტური გაშლა და გმირთა სახეების ჩვენება კონტრასტების საშუალებით, რაც მაღალმხატვრულ ეფექტს აღწევს, აძლიერებს დამაჯერებლობასა და თვალსაჩინოებას. და მეორეა ბ) შედარება თვისობრივი და გარეგნული ნიშნების მსგავსების მიხედვით, როცა მწერალი ძირითადი ნიშნების მიხედვით გამოხატავს მსგავსებასა და სხვაობას, ქმნის მხატვრულ სახეს, რაც ნაწარმოებს მიმზიდველობასა და პოეტურ ელფერს სძენს“.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში მსგავსებითი შედარება იქმნება გრამატიკული კავშირებით: როგორც, თითქოს და თანდებულებითა და ცალკეული სიტყვებით: - ვით, -ებრ, -თანა, -ტოლა, ქცეული და სხვა. ზოგჯერ შედარებაში გამოყენებული არ არის კავშირი და თანდებული, რაც ძალზედ ემოციურ ელფერს სძენს მას.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობები მსგავსებითი შედარების გადმოცემის თალსაზრისით ხასიათდება მრავალფეროვნებით. მწერალთან უმეტესწილად ერთმანეთს შედარებულია სულიერსი და უსულო, ადამიანი და ცხოველი...

ასევე გამოყენებია უკავშირო კონსტრუქციით მიღებული შედარება, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა და მეტად ექსპერსიულია. მწერალთან გადმოცემულია შედარება შემდეგნაირად:

სულიერი საგნი შედარებულია სულიერთან:
შიშია მგელივით ჯიხვების კვალს გაყვა.

სულიერი საგანი შედარებულია უსულოსთან:

მარიამი, აბა, თავს როგორ დაანებებდა თავის “მარიამასა”, კუდივით სულ უკან დასდევდა.

უსულო საგანი შედარებულია უსულოსთან:

მსხალს ფითრი ქორის ბუდეებით ასხმია და მწვანედ ხასხასი გააქვს;
მსხლის ხეს დახავსებულ-დამაბუნებული ქერქი ძონძებით ეკიდა.
უსულო საგანი შედარებულია სულიერთან:
ფითრი ფოცხვერით აჯდა კისერზე და სწუწნიდა რაც შეეძლო;
ქუჩი ზღარბით ეყუნტა კლდის ნახეთქებში.

„მსგავსების ცნება თავისთავად გულისხმობს შედარების მომენტს“ (კვაჭანტირაძე, 1978). მსგავსებითი შედარების გამოხატვა თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში ეკისრებათ შემდეგ საშუალებებს, კერძოდ: ვით თანდებულს:

ვით:

ფიდონას ხუთი ექვსი ბალღი სიამოვნებით შეცქეროდნენ ქარვასავით ყვითელ დაშაქრებულ მსხლებს, ან ახლა ჩამოვარდება, შევჭამოთ, ან ახლაო;

აქ რომ ღაღღა დაიძალა, მითხარი სად არის, ჭილო შე ემმაკის კერძო, **თასმასავით** რომ იგრიხები, მიჩვენე იმის ბინა;

ისეთს არავის შევხვედრივარ გზებზე, რომ კანკალს არ აეტანოს და სიცივით **ჭიაყელასავით** არ მობლუნძულიყოს;

იმას არავისი ეშინია **კაცებით;**

თოვლის ცქერით თვალეზი სტკიოდა და **ცისარტყელასავით** წითელ-ყვითელი ელანდებოდა;

წვრილი და შავი სიფრიფანა ბრჭყვიალა სიპების ნამტვრევებისაგან შემდგარი ქვიშა ფეხქვეშ არა დგებოდა, **ელდასავით** აქეთ-იქით ძვრებოდა;

შიშიაც სწორედ ასეთი იყო! ისე ოდნავ ადგამდა ფეხს, რომ ქვიშა მხოლოდ მაშინ დაიძვროდა, როცა იმას ფეხი კიდევ ჰქონდა გადადგმული და თოვლის **წამალივით** იწყობდა ქვემოთკენ ზვავით დენას წვრიალით;

ყველანი ერთად მზეზე **გიშერივით** საამურად ბრჭყვინავდა;

ერთი ვიწრო ხევი კიდევ ჰქონდა გასასვლელი და მერე „არწივისმალის“ ჩონჩხი იყო აყაყული უზარმაზარი **მატურივით;**

სხვა ჯიხვები ზოგი იწვა, ზოგი იქექებოდა, ზოგიც ქვებში ამომძვრალს **გერმასავით** რბილ ბალახს სწიწვნიდა;

ტირილი მოსდიოდა, რომ **შამფურივით** გაშავებული რუსული „ბერდენკა“ არა ჰქონდა;

გაჰყვა შიშია **მგელივით** სისხლის კვალს;

ძირს ხეობა და შორს სოფლები თანდათან მერცხლის **ბუდეებით** მოჩანდა;

გუთნეული დაინახა, თვალეზს **გიჟივით** ცეცება დაუწყო;

განა კაცი დაიმაგრებდა იმ ურემს? თავის დღეშიაც ვერა, მგონი **ქათამივით** გაჰყელეტდა;

გუთანი რომ **ბურბუშელასავით** ჰყრიდა ბელტებს, „მარიამას“ ეამებოდა ხოლმე მიწის სუნი;

თვალეზს ცეცხლის **ალივით** ატრიალებდა;

ახლა უნდა ნახოთ ტანი როგორი **ბროწეულივით** გაუწითლდება;

ჩვენ კი პატარა **ბავშვივით** საითაც უნდათ, იქით გვიკვრენ თავსა;

ვინ იცის, რა მოელოდა, რამდენ ხანს მოუნდებოდა ამ **თონესავით** გახურებულ ქალაქში ყოფნა;

„მარიამა“ ამ სუნისგან **ცოფიანივით** ხდებოდა;

იქით გზა იყო, ზედ ხალხი **ჭიანჭველებით** ირეოდა;

წყლის ნაკადულივით გაუწყვეტლად მიჰქანაობდა დრო-ჟამი;
ძალიან მიყვარს, როცა ცხვრის ფარები რთვილივით დაედება მთების კალთებსა;
სიხარულით თვალები გოდრებივით დაუხდებოდა;
იჯდა ერთ მთასავით ხარზე და თავის რკინის ნისკარტით გლეჯდა და ყლაპავდა
ლემსა.

ამისთანა/იმისთანა/მაგისთანა:

ენანებოდა პატრონს, არ უნდოდა იმისი ჯიშის გაწყვეტა, მერე იმისთანა იყო ის
ძირკურთხეული, რომ მთელს იმ არემარეში იმაზე კარგი აღარა იყო რა;

ბარემ მოსაჭრელი ხილი არ არის, ამისთანა ჯიშის მსხალი არსად მეგულება;

ვინც კი გემოთ ნახა, ყველამ წაიღო სამყნობი ტოტები, ალბათ, ბარაქა და ილბალი
თუ გაჰყვა სადმე, აღარ ვიცი, ღმერთმანი, რამ გადააგვარა ამისთანა ბედაური მსხალი;

რამდენი ზამთარი გვინახავს და ამისთანა უღმერთო ყინვიან ზამთარს არ
შევსწრებივართ;

არ მომწონს ამისთანა ლაპარაკი, მარა როგორ დავაშლევინოთ, არ ვიცი, რა
ვუწამლოთ;

იცოდნენ რომ იმისთანა ვაჟზე ხევსურის ქალებიც კი ლექსს გამოსთქვამდნენ;

შიშია იმისთანა ბიჭი არ იყო, რომ უკან დაეწია;

არ მინახია მაგისთანა მხრიანი საქონელი, ჩემმა მზემა, – იმახდნენ მეხრეები;

რას შესჭამს, ჯერ ზაფხულში რას მოსძოვდა თავის უკბილო ღრძილებით, როცა
იმისთანა ბალახი იყო, რომ ახლა მოძოვოს;

საშოვარი ამისთანა დღეში იშოვება;

შენისთანა თავდასიებულს ის კვერცხს არ ჩაუდებს, ლამის შენ შენი კვერცხებიც
დაჭამო, თორემ სხვისას რას გაუშვებ;

ნეტაი შენა, მუხავ, რო მაგისთანა ეჭვიანი ხარ, ნიადაგ ბევრი ნაყოფი შეგრჩება;

რამდენი იმისთანა შემოხიზნული თბებოდა და ძღებოდა მსხლის ოფლითა.

ტოლა:

ამას აქ ამოდენა სიმძიმე აწვა კისერზე, ეს ამოტოლა მთასავით დადებული ურემი
ამის მარღვებმა უნდა ზიდონ, და ის კი, ის ქალი მარიამა მარტო საცინელს ან მხეცურ
რასმეს ხედავს;

აგერ, აგერ, ქუდისტოლად ძლივსლა მოჩანს;

მსხალს ერთი ფრჩხილის ტოლა ნაზარდიც აღარ უჩანდა;

ერთი ნაფეხური ყველაზე დიდი იყო, სწორედ მოზერის ტოლა ფეხი იქნებოდა;

შიშიამ შეჭამა ხელისტოლა პური, თოფს ფალია უნახა, დანარჩენი საგძალი ისევ
შოლტაში (მელოტი გუდა) ჩააწყო და მგელივით ჯიხვების კვალს გაჰყვა;

ბოლოს შეებლოტა ხარ-ჯიხვიც და გაბრტყელებული ეყყუდა შიშის პირდაპირ
მოზერის ტოლა;

კინჭუხის თავზე შემხტარი პატარა ვაცუნა, ცერისტოლა რქიანი, დაცინვით
ჩასცქეროდა თავის ძირსდარჩენილ ამხანაგებს, რომელთაც სწრაფად ვერ მოესწროთ
ამხანაგთან ერთად მალლა შეხტომა და თვითონაც ისევ ძირს აპირებდა გადაშვებას.

ხნის:

ჯერ შუახნისაც არ იყო და ბებერს კი დამსგავსებოდა (დადასტურდა ერთი
შემთხვევა).

ქცეული:

შემინებულ-შემკრთალი თოვლი დედამიწაში ძვრებოდა წყლის ცვრად ქცეული
(დადასტურდა ერთი შემთხვევა).

მსგავსებითი ელემენტები დასამსგავსებელს განსაზღვრულ ბრუნვაში მართავენ, გარდა -ვით თანდებულისა, რომელიც სახელობითისა და მიცემითი ბრუნვის ფორმებს მოითხოვს. დანარჩენი ელემენტები ნათესაობით ბრუნვას დაერთვის.

-ვით თანდებულიან ფორმებში მსგავსება ცალკე სიტყვით არ არის წარმოდგენილი. ხოლო მსგავსების ელემენტებად წარმოდგენილი -ტოლა ფორმა ორგვარად რეალიზდება, ცალკე სიტყვადაც და მომენტში არც გვევლინება ცალკე სიტყვად.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენაში მსგავსებითი შედარების გადმოსაცემად გამოყენებულია მკავშირებელი სიტყვები: „როგორც“, „თითქოს“:

ითმენდა სვაიც, როგორც ის კლდეები ითმენდნენ შავ მთაში დგომას, სადაც სვაიცი ბუდობდა და ძირს არ იმზღვლეოდნენ;

მიდიოდა შიშია როგორც ფრთხილი ვეფხვი, როგორც კატა ფრინველს ეპარება ხოლმე;

მწეალთან ზოგიერთ შემთხვევაში როგორც გართულებულია ისე ნაცვალსხელით: ისე მიდის გუთანში, როგორც ცხენი;

ისე კი ვერსად მოუკიდნია ფესვი და გამრავლებულა როგორც მსხალზე.

თითქოს:

თოვლში ჩაფლულიყო, თოვლი შემოეჭამა ირგვლივ, თითქოს ცეცხლს მჩვარი ამოუწვავსო;

თოფს რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ორი ხელით ბლუჯავდა, თითქოს ეშინიან, ხელიდან არ გამივარდესო;

ჯიხვი თითქოს უსაყვედურებს: რას მერჩი, რას გიჭამ, რას გტაცებ? რისთვის მდევნი? შენც გეყოფა მზის შუქი და მეც;

აჭიანურებდა გუგული, თითქო ვისიმე გაჯავრება უნდაო.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში უდავოდ ვხვდებით ენობრივი საშუალების შემოქმედებით, გამომსახველოით გამოყენებას. მსგავსებითი შედარების დროს დიდი როლდენობითაა გამოყენებული თანდებული -ვით და კავშირი „როგორც“ და შეიძლება თამამად ითქვას, რომ როდენობის თავლსაზრისით პირველ ადგილს იკავებს -ვით თანდებულიანი შედარება.

მსგავსებითი შედარება მწერლის ენაში ხშირად გადმოცემულია, გაშლილი სახით, მაგალითად:

ფესვებიდან მომდინარე წვეს წვერებისკენ აღარ უშვებდა, სწოვდა როგორც ობობა ბუხსა, სწუწნიდა, როგორც ბალღი შაქარსა, ძღებოდა, როგორც სვაიცი სისხლითა;

მზეც თითქოს ჯიბრს უწევსო, უფრო და უფრო აცხუნებდა, რამდენიც მაღლა ადიოდა, აჭერდა კისერში, თითქო ცეცხლის შუბებითა სჩხვლეთენო.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენაში ინტერესს იწვევს უკავშირო კონსტრუქციების შედეგად მიღებული მსგავსებითი შედარება, სადაც კონტექსტზე დაკვირვება განაპირობებს მსგავსებითი შედარების არსის გაგებას. აქ ნათლად იკვეთება, რომ ერთი საგანი ახსნილია მეორე საგნის მეშვეობით, შედარებულია მეორე საგანთან, რაც მეტად ემოციურსა და ექსპრესიულს ხდის მას. მაგალითად:

თუ სტუმარი ხარ, სტუმრობა ამდენი ხანი არ გაგონილა, სხვებიც იყვნენ ჩემ ქერქქვეშ შემოხიზნულები, მაგრამ წავიდნენ თავის გზაზე, მგონი შენც ისე უნდა ჰქნა. სტუმრის წესი აასრულო.

თედო რაზიკაშვილის მოთხრობებში საინტერესო აღმოჩნდა მსგავსებითი შედარების ადგილი. იგი გვხვდება როგორც თავკიდურ, ისე შუა და ბოლოკიდურ პოზიციაში:

შედარება თავკიდურ პოზიციაში:
ზღარბივით ეყუნტა კლდის ნახეთქებში.

შედარება შუა პოზიციაში:
ცხვრის ფარა ზვავივით მიჰქანაობდა.
გუთნეული დაინახა, თვალებს გიჟივით ცეცება დაუწყო.

შედარება ბოლოკიდურ პოზიციაში:
რა ხანია შევცქერივარ, აღარაფერს ისხამს, მომატების მაგივრად ამან სულ უკლო და ახლა თითო-ოროლასდა იბამს და იმასაც პანტასავით;
ორი დღის მშვიერი სვავე წვიმისაგან შეწუხებული და შიმშილით დაყმენდილი ხმელ ძვლებს ხრავდა და ჰგლეჯდა ძაღლივითა.

მსგავსებითი შედარება ექსპრესიულად ძალზედ საინტერესოა, მკითხველი ნათლად, მკაფიოდ, ცოცხლად შეგრძნობს მწერლის მიერ დახატულს სცენას.

ვფიქრობთ, რომ მსგავსებითი შედარება განსაზღვრავს თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის სტილს, რომელიც აძლიერებს სათქმელის შინაარსსა და ტვირთვას მას ემოციურად.

ამრიგად, თედო რაზიკაშვილის მოთხრობების ენის დამახასიათებელი ერთ-ერთი სტილური ნიშანია მსგავსებითი შედარება, რაც მხატვრულ ტექსტს ხდის განუმეორებელს, ინდივიდუალურს, აზროვნებას კი – ემოციურს.

ნათლად იკვეთება, რომ მსგავსებითი შედარების მეშვეობით თედო რაზიკაშვილი ოსტატურად იყენებს ენის მრავალფეროვან შესაძლებლობებს, რითაც ქმნის ინდივიდუალურ, მკვეთრად გამორჩეულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ უნიკალურ სტილს.

ლიტერატურა:

1. თენგიზ სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ, 1999.
2. თენგიზ სანიკიძე, ინგა სანიკიძე, ქართული ენის სტილისტიკა, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბ., 2009.
3. კვაჭანტირაძე თ, 1987 – მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ.
4. მარინა კუხალაშვილი, თამარ ლომთაძე, მანანა მიქაძე, იზოლდა რუსაძე, მარინა ქაცარავა, ნინო ფხაკაძე, პრაქტიკული სტიკისტიკა, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2007
5. ალ. გვენცაძე, ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, გამომცემლობა „განათლება“, 1974
6. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2004.

საანალიზო წყარო:

1. თედო რაზიკაშვილი, მოთხრობები, „სულაკაურის გამომცემლობა“, თბ. 2015 წ. (ელექტრო ვერსია).

Figurative Comparison in Tedo Razikashvili's Works

Philashvili Elene

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.445>

Abstract

The article discusses the figurative comparison in Tedo Razikashvili's prose language, as one of the defining factors of style and one of the best means of revealing the outside world, which, naturally, determines the aesthetic and emotional function of the text.

Tedo Razikashvili's stories are characterized by the diversity figurative comparisons. comparisons., in his works, the author mostly compares animate and inanimate things, humans and animals.

In Tedo Razikashvili's stories, comparative constructions are made with the following grammatical connections: *as if, as though* and *with separate adverbs and words*: *-ვით {-vit} as; -ებრ {-ebr} like/as, -თანა {-tana} like/as, -ტოლა {-tola} like, ktseuli {-ქვეული}* and others. Sometimes in comparative constructions there are not used any connectives and that gives those constructions an emotional coloring.

Figurative comparison in terms of expression is very interesting; the reader feels the writer's message vividly, clearly imagines the picture or scene that the writer tries to describe.

We believe that figurative comparison is one of the defining factors in Tedo Razikashvili's prose language and writing style. It gives his language more emotion, and more expressiveness.

Thus, it should be mentioned that the comparison is considered as one of the stylistic features in Tedo Razikashvili's prose language, that makes our thinking emotional, and makes his fictions unique with its individual style.

It is obvious that through comparative constructions, Tedo Razikashvili uses various possibilities of language, and consequently makes his own style distinctive and unique.

Key words: Style, comparison, similarity, contrastive, qualitative.

სოციალური იუმორის ლინგვისტური
გაანალიზებისათვის

ღარიბაშვილი მანანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.446>

აბსტრაქტი. COVID პოსტების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო აღმოჩნდა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სოციალურ ქსელში განთავსებული COVID-19 პოსტების უმრავლესობა ეხება ოჯახურ ურთიერთობებს, რომლებიც სავსეა იუმორისა თუ სარკაზმის შტრიხებით. ეს არც თუ ისე გასაკვირვია, რადგან ადამიანებს მოუწიათ ოჯახურ გარემოში ჩაკეტვა და იუმორისტული მაგალითებმაც სწორედ ამ თემის გარშემო მოიყარა თავი. აგრეთვე, მოიძებნა საგანმანათლებლო და მოგზაურობის თემატიკასთან საინტერესო საანალიზო მასალები.

სოციალურ მედიაში არსებული საანალიზო მასალების განხილვის პროცესში მეტად საინტერესო აღმოჩნდა არსებული ტექსტების ლინგვისტური ანალიზი, უფრო ზუსტად კი, მათი გამოხატვის ენობრივი საშუალებების დადგენა-გაანალიზება.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული ტექსტების აგებისას ხშირად იჩენს თავს პარალელიზმი (სიტყვათა გამეორება), მეტაფორა-მეტონიმია, შედარება თუ სხვა დანარჩენი სტილისტურ-გამომხატველობითი საშუალებები. ასევე, მოძიებული მაგალითები მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს ფსიქო-ლინგვისტური თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: იუმორი, სოციალური მედია, იუმორისტული გამონათქვამი, facebook, კომუნიკაცია

იუმორი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ადამიანების ცხოვრებაში, რომელიც ეხმარება მათ კომუნიკაციასა და სათქმელის გადაცემაში. ხუმრობები და სხვადასხვა იუმორისტული გამონათქვამები წარმოადგენს ერთგვარ საკომუნიკაციო ფორმას, რომლის გაზიარებაც მუდმივად ხდება სოციალური ინტერაქციის პროცესში. სწორედ ამიტომ, იუმორი, გარკვეულწილად, სოციალურ ფენომენად არის აღიარებული.

ამიტომაც, იუმორი ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებისა თუ დისციპლინების კვლევის საგნად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთ კვლევას ვაწყდებით სამეცნიერო სფეროში. იუმორი გამოკვლეულია ფსიქოლოგიის (Freud, 1960), სემიოტიკისა (Dorfles, 1968) თუ ლინგვისტიკის (Raskin, 1985; Atardo & Raskin, 1991) გადმოსახედიდან. საინტერესოა ფროიდისეული მოსაზრება იუმორთან მიმართებაში, რომელიც ასკვნის, რომ იუმორი, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს დეპრესიით გამოწვეული ფსიქოლოგიური მღელვარების შესამცირებლად.

ადამიანები, როგორც წესი, სხვადასხვა თემაზე ან გარემოებებზე ხუმრობენ. ის, რაც სახალისოდ ითვლება ერთ სიტუაციაში, შესაძლებელია, ინტერპრეტირების შედეგად, ირონიული ელფერი შეიძინოს სხვა კონტექსტში. სწორედ ამიტომ, იუმორის ზუსტი განმარტების შექმნა საკმაოდ რთული საქმეა. მოცემულ სიტუაციაში კულტურული ფონი ყველაზე განსმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს იუმორის დეფინიციის გამიჯვნისას.

და მაინც, გარდნერის (Gardner 2008) მოსაზრებით, იუმორის მრავალი თეორიის მიუხედავად, ისეთ დისციპლინებში, როგორცაა ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება, ანთროპოლოგია და მედიცინა, მაინც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როგორ მუშაობს იუმორი (Gardner 2008:9).

ვინაიდან, იუმორი ყველა სფეროს მოიცავს, ამ მხრივ, გამონაკლისს არც სოციალური მედია წარმოადგენს, ვინაიდან, ეს უკანასკნელი არის კომუნიკაციის ყველაზე მძლავრი იარაღი თანამედროვე გლობალურ სამყაროში. ადამიანები ხუმრობენ თითქმის ყველაფერზე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გარემოებების მიუხედავად. გამონაკლისს არც პანდემია წარმოადგენს.


2019 წლიდან ლეგენდარული სახელით წოდებული ვირუსი COVID-19 დიდი თავსატეხი გახდა სრულიად მსოფლიოსთვის, რამაც დრამატულად შეცვალა ყველა ჩვენგანის ცხოვრება. მსოფლიო მოიცვა ერთგვარმა შიშმა, რომელთან გაკლავება არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა რიგითი მოკვდავთათვის. თუმცა, ადამიანმა ამ განსაცდელთან გასამკლავებლად კვლავ იუმორი აირჩია. შედეგად, სოციალურ ქსელებში უხვად გაჩნდა პანდემიასთან დაკავშირებული მოკლე იუმორისტული ტექსტები ე.წ. პოსტები

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სოციალურ ქსელში, კერძოდ კი Facebook-ში განთავსებული პანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი მოკლე ტექსტების ე.წ. პოსტების თემატური და ლინგვისტური ანალიზი.


COVID პოსტების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო აღმოჩნდა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სოციალურ ქსელში განთავსებული COVID-19 პოსტების უმრავლესობა ეხება **ოჯახურ ურთიერთობებს**, რომლებიც სავსეა იუმორისა თუ სარკაზმის შტრიხებით. ეს არც თუ ისე გასაკვირვია, რადგან ადამიანებს მოუწიათ ოჯახურ გარემოში ჩაკეტვა და იუმორისტული მაგალითებმაც სწორედ ამ თემის გარშემო მოიყარა თავი.

გაშარჟებულია ოჯახური ურთიერთობები

ა) კოვიდ პანდემიით გამოწვეული ჭარბი წონის პრობლემები. ცოლ-ქმრის დიალოგი:



ბ) მანდილოსნებისსაყვარელი საქმიანობა – საყილებზე სიარულის ნაცვლად ე.წ. ონ-ლინ შოპინ გები. ცოლ-ქმრის დიალოგი:



<p>გ) საოჯახო Covid პაემან-შარჟი. ცოლ-ქმრის ურთიერთობა:</p> <div data-bbox="151 235 646 582" style="background-color: #0070C0; color: white; padding: 10px; text-align: center;"> <p>Sitting at the bar in the kitchen last night. Tried to pick up my wife. She gave me a fake phone number. WTH...</p> </div>	<p>დ) ცოლ-ქმარს შორის პირბადით გამოწვეული უხერხულობა:</p> <div data-bbox="782 235 1340 593" style="background-color: black; color: yellow; padding: 10px; text-align: center;"> <p>Returned from the grocery store with the hubby. Took masks off. It turned out it was the wrong hubby! Be attentive!</p> </div>
--	--

იუმორი არ დაჰკლებია, აგრეთვე, საგანმანათლებლო სფეროს. დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვა სპირიტულ სენსთან არის გაიგივებული, ისე, რომ ამ ყველაფერს იუმორისტული ელფერი დაჰკრავს და მკითხველში ღიმილს იწვევს: „There’s someone who wants to join us.“ “Elizabeth, are you there?” “We can’t hear you.” “Can you hear us?”. („ვიღაც უნდა შემოგვიერთდეს.“ „ელიზაბეთ, აქ ხართ?“ „ჩვენ თქვენი არ გვესმის. „თქვენ გესმით ჩვენი?“) – ავტორისეული თარგმანი). სიტუაციიდან გამომდინარე, აშკარაა პედაგოგი მოუწოდებს მოსწავლეს დისტანციურ რეჟიმში შემოსასვლელად, რაც სულის გამოძახების სენსს ჰგავს. ასევე სახალისოდ ჟღერს დისტანციურ სწავასთან დაკავშირებული თემატიკის შემდეგი ტექსტი: „I’m not talking to myself, I’m having a parent-teacher conference.“ (ჩემს თავს კი არ ვესაუბრები, მშობელთანა კრებას ვატარებ“ -ავტორისეული თარგმანი).

როგორც მოკლე სოციალური ტექსტებიდან ირკვევა, იუმორის სამიზნედ, აგრეთვე, იქცა რელიგია: „If we only keep one thing from this pandemic, I hope it’s priests with water pistols.“ (ერთი რამ რაც შესაძლებელია პანდემიიდან დავისესხოთ, ეს გახლავთ მღვდლები წყლის პისტოლეტებით ხელში -ავტორისეული თარგმანი). ტესტიდან ვიგებთ, რომ სამომავლოდ, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მორწმუნეთათვის წმინდა წყლის პკურებისას სასულიერო პირების მხრიდან, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს წყლის სასროლი იარაღები.

და ყველაზე მტკივნეული თემა, რომელიც, უმთავრეს თავსატეხად იქცა სრულიად მსოფლიოსთვის, გახლავთ **მოგზაურობა** და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. შესაბამისად, ეს თემაც ვერ ასცდა იუმორისა თუ სარკაზმის „ქარცეცხლში გავლას“. სოციალური პოსტებიდან ვგებულობთ, თუ რაოდენ ფართო და ღმანა მოგზაურობის მსურველთა წარმოსახვა, რის საფუძველზეც შექმნილია არაერთი ახალი ე.წ. ტურისტული დანიშნულების ადგილები: Las Kitchenas, Los Lounges, Santa Bedrooms, Porto Gardenas, Los bed, Costa Del Balconia, St. Bathroom, La Rotonda De Sofa


ყურადღებას იპყრობს ცნობილი ზღაპრის „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ შარჟი საზოგადოებრივ თავშეყრის შეზღუდვებთან დაკავშირებით.

“In other news The Seven Dwarfs have been advised that as of today, they can only meet in groups of six. One of them is not happy.” ამ იუმორისტული ტესტიდან ვიგებთ, რომ შვიდი ჯუჯიდან ერთად ყოფნის საშუალება მხოლოდ 6 მათგანს ეძლევა დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე, რამაც სესაძლოა მეშვიე ჯუჯა სერიოზულად გაანაწყენოს.

ვირუსის თემა, მთელი თავისი იუმორისტული ელფერით, შეეხო შექსპირის ცნო-

ბილ პიესას „რომეო და ჯულიეტა“. ქვემოთმოყვანილ ტექსტში ავტორი ცდილობს დაადგინოს განსხვავება COVID-19-სა და რომეო და ჯულიეტას შორის „What’s the difference between COVID-19 and Romeo and Juliet? One’s the **coronavirus** and the other is a **Verona crisis**.“ („რა განსხვავებაა COVID-19-სა და რომეო და ჯულიეტას შორის? ერთი კორონავირუსია, მეორე კი ვერონა კრიზისი“ – ავტორისეული თარგმანი). აღნიშნული ტექსტიდან ვგებულობთ, რომ ერთი მათგანი კორონა ვირუსია (coronavirus), ხოლო მეორე ვერონა კრიზისი (Verona crisis). ამავდროულად, იგივე ტექსტი გართმვისა და სიტყვათა თამაშის სახალისო შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც, უშუალოდ, მაგალითში გრაფიკული მაჩვენებლებით გვაქვს მინიშნებული.

ზღაპრებისა თუ სხვადასხვა თემატიკის გამარჯებული ტექსტების გვერდით ინგლისურენოვან სოციალურ ქსელში ლექსების სახით მოცულობით რითმებსაც კი ვაწყდებით, რაც ისევ და ისევ პანდემიის გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების „ინტელექტუალური დამსახურებაა“:



რითმებისა და ლექსების გვერდით, საპატიო ადგილს იკავებს ამავე თემატიკის იუმორის ელფერით შენიღბული და, ამავე დროს, სარკაზმით დატვირთული თანამედროვეობის ანდაზა: „A roll of toilet paper is worth than a barrel of oil“ („ტუალეტის ქაღალდის ერთი რულონი სჯობს ერთ ბარელ ნავთობს“ – ავტორისეული თარგმანი).

ლინგვისტური თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ახალი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო პანდემიის პროცესში და მალევე ჰპოვა გავრცობადობა მართო მასებს შორის. ერთ-ერთ ასეთ ახალ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს „homeschool“ (ე.წ. სახლიდან განათლება), რომლის წარმოშობისა მთავარ წყაროდ სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა მოიაზრება. იგი განსხვავებულ კონტექსტში ზმნის სხვადასხვა უპირო ფორმებად გვევლინება. მაგ:

- 1) Stay at homeschooling tip #102: Anyone who talks back or rolls eyes is now a janitor until farther notice. (დარჩი დისტანციურ განათლებაზე (რჩევა #102): ვინც თავის უჯკან-მჯდომს დაელაპარაკება ან თვალს აცეცებს დარჩება ჯგუფის მეთვალყურედ შემდგომ შეტყობინებამდე – ავტორისეული თარგმანი) – (გერუნდივი);
- 2) In 20 years our country will be run by people homeschooled by day drinkers. (20 წელიწადში ქვეყანას ისინი ჩაუდგებიან სათავეში, რომლებმაც განათლება

დისტანციურად სახლიდან გაუსვლელად მიირეს სასმელის მწრუპავების წყალობით – ავტორისეული თარგმანი) – (მიმღობა);

- 3) If you all don't start wearing masks then you are going to have to homeschool your kids this fall. (მიმართვა მშობლებს: თუ ყველა არ გაიკეთებთ პორბადეს, თქვენ შვილებს სწავლა დისტანციურად სახლიდან გაუსვლელად მოუწევთ ამ შემოდგომაზე – ავტორისეული თარგმანი) – (ინფინიტივი);

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, საინტერესო მაგალითად შეიძლება მოგვევლინოს ახალი ლექსიკური ერთეულის „coronacoaster“ (არსებითი სახელი) შექმნა, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც კორონაუსაქმური (პანდემიის პერიოდში უსაქმურობის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი).

არანაკლებ საინტერესოა, ასევე, სოციალურ ქსელებში დამკვიდრებული ახალი ლექსიკური ერთეული „airgasm“ – რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც სახიდან ნიღბის ჩამოხსნით მიღებული სიამოვნება.

სოციალურ მედიაში არსებული საანალიზო მასალების განხილვის პროცესში მეტად საინტერესო აღმოჩნდა არსებული ტექსტების ლინგვისტური ანალიზი, უფრო ზუსტად კი, მათი გამოხატვის ენობრივი საშუალებების დადგენა-გაანალიზება.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული ტექსტების აგებისას ხშირად იჩენს თავს **პარალელიზმი (სიტყვათა გამეორება)**: “So excited for my quarantine **depression** and my regular **depression** to meet my seasonal **depression**.” (აღშფოთებას ვერ ვმაღავ, რადგან კარანტინი და ჩემი მუდმივი დეპრესია სეზონით გამოწვეულ დეპრესიას დაემთხვა). როგორც მაგალითიდან გრაფიკულად ჩანს, წინადადებაში გამეორებულია არსებითი სახელი depression (დეპრესია).

“Allergy Season is about to turn into a Salem Witch Trials” – აღნიშნული წინადადება **შედარების**, როგორც ერთ-ერთი მხატვრული ხერხის გამოხატულებაა, რომელშიც ალერგიის სეზონი შედარებულია სალემის ჯადოქართა სამსჯავროსთან.

გვერდს ვერ ავუვლით **მეტაფორის** მაგალითს, რომელიც მეტად საინტერესო კონტექსტში გვევლინება: Stepped on my scale this morning and its said: Please use social distancing (დილით აწონვისას სასწრომა მომძახა: გთხოვთ დაიცვათ სოციალური დისტანცია.) აღნიშნულ წინადადებაში ჭარბი წონა მეტაფორულად არის გამარჯებული.

ყურადღებას იპყრობს ჩვენ მიერ მოძიებული **მეტონიმის** მაგალითებიც:

- Just heard the king of Spain has been quarantined on his private jet. That means **the reign** in Spain stays mainly on the plane (გავიგე ესპანეთის მეფე კარანტინშია საკუთარ თვითმფრინავში. გამოდის, ესპანეთის მმართველობა ამ თვითმფრინავშია მოქცეული.)
- I ran out of toilet paper and had to start using old newspapers. **Times** are rough. ტუალეტის ქაღალდი გამომეღია და ძველ გაზეთებს მივადექი. მძიმე ჟამი დგება.

საანალიზო მასალებს შორის მეტად საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს კალამბურის მაგალითი, რომელიც შექმნილია სიტყვებისა და ციფრების კომბინაციური

გართმვით: You are mad because **2021** is pronounced: “**2020 won**”. Then you realize that **2022** is **2020 too**.

სოციალურ პოსტებში ავტორები არც ვულგარულ და ტაბუირებული სიტყვების გამოყენებას არიდებენ თავს იუმორისტული შეფერილობით პრობლემის გადმოცემისას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ტექსტი: If a supervisor at work gets the covid do the people who **kiss that ass** need to be tested? (თუ სამსახურში უფროსი ვირუსით დაინფიცირდება, იმ პირებსაც უნდა ჩაუტარდეთ ტესტირება ვინც უკანაღს უკოცნიდა? – ავტორისეული თარგმანი)

ამგვარად, შეიძლება ითქვას, სოციალურ სივრცეში მოძიებული COVID პანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი პოსტები საინტერესო საანალიზო მასალას წარმოადგენს ფსიქო-ლინგვისტური თვალსაზრისით. ყურადღებას იპყრობს ამ პოსტების გადმოცემის ენა და მისი ლინგვისტური თავისებურები, რომლებიც უხვადაა სტილისტური ხერხებითა და გადმოცემის საშუალებებით.

ლიტერატურა:

Attardo, S., and Raskin, V .1991. Script theory revisi(it)ed: Joke similarity and joke representation model
Humor: International Journal of Humor Research, 4(3-4), 293- 347

Dorfles, G. (1968). Kitsch: The World of Bad Taste. New York: Universe.

Freud, S. 1960. Jokes and their relation to the unconscious. London: Routledge & Paul

Gardner, S. 2008 Three ways humor helps in the language classroom. The Language Teacher 32.6

Raskin, V. 1985. Semantic Mechanisms of Humor. Dordrecht: Reidel

For the Linguistic Conceptualization of Social Humor

Garibashvili Manana

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.446>

Abstract

Humor plays an important role in people's lives, which helps them to communicate and share their feelings and thoughts among each other. Jokes and various humorous utterances are a form of communication that is constantly shared in the process of social interaction. That is why humor is, to some extent, recognized as a social phenomenon.

Since humor covers all areas, social media is no exception, as the latter is the most

powerful tool of communication in the modern global world. People joke almost on everything despite difficult socio-economic circumstances and pandemic is no exception.

The main goal of our research was to observe and analyze the so-called pandemic-related posts on social networks, particularly Facebook and to make their thematic and linguistic analysis.

COVID 19 posts turned out to be quite diverse and very interesting. The observation has revealed that most of the posts on the social network concern the family relationships that are full of humor or sarcasm. This is not so surprising as people were forced to be locked in a family environment, That's why numerous examples of this type have been gathered around this very topic. Interesting materials on educational and travel topics were also found during the study.

Linguistic analysis of texts from social media, more precisely identification and analysis of the linguistic and literary means of expression, appeared to be very interesting.

The research has revealed that various stylistic means such as repetition (parallel construction), metaphors, comparison/simile, metonymy etc. are frequently used for constructing COVID 19 texts in social media. Thus, the analyzed examples are very interesting material from a psycho-linguistic point of view.

Key words: Humor, social media, humorous utterance, Facebook, communication

მოფერება-ალერსის გამომხატველ სინონიმთა სემანტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი

(ქართული და ინგლისური ენების სინონიმთა ლექსიკონებზე დაყრდნობით)

წიგნაძე შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.447>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია მოფერება/ალერსის სემანტიკის მქონე სინონიმური ველები. საანალიზო წყაროდ გამოყენებულია ქართული და ინგლისური ენების სინონიმთა ლექსიკონები. სინონიმების შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. განსაკუთრებით საინტერესოა მათი კვლევა სხვადასხვა სისტემის ენებში. მხედველობაში გვაქვს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ქართულ და ინგლისურ ენებში, როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური, ისე ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. სინონიმები ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია და მათი არსი მნიშვნელობათა სრულ ან ნაწილობრივ დამთხვევაში მდგომარეობს. მათი შესწავლა ხელმისაწვდომს ხდის ენის გამომსახველობითი საშუალებების უმდიდრეს მარაგს, გვაძლევს მათი სისტემურად წარმოდგენის შესაძლებლობას, რაც „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც მშობლიური, ისე უცხო ენის შესასწავლად“ (ჯორჯანელი კ. 2006:6).

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის დროს ყურადღება ძირითადად გადატანილია იმაზე, თუ რას ნიშნავს მოცემული ცნება სხვადასხვა ენაში, რას გულისხმობს, რას გამოხატავს; რამდენად განსხვავდება ერთი სამყაროს ენობრივი სურათი მეორე ენის სამყაროს ენობრივი სურათისაგან.

როგორც სინონიმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ორივე ენაში უნივერსალურია საალერსო მიმართვის ფორმებში გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელებისა და ზოონიმების გამოყენება. თუმცა, ადგილი აქვს ინდივიდუალიზაციასაც, რაც, რა თქმა უნდა, თითოეულის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მაგ. სპეციფიკურია ინგლისურში მიმართვები: **sweetie-pie** (ტკბილი ღვეზელი), **bantam** (ბანტამი უკავშირდება შინაური ქათმის მომცრო ჯიშს), **minuscule** – (დამწერლობის ერთგვარი სახეობა, რომელიც ალერსის დროს გამოიყენება, როგორც ძალიან პატარა, უმნიშვნელო), ქართულში – **შენი კუჭისა! მიტირე / მტლად დაგედე / ჭირი მოგჭამე / ჭირი მოგპარე** და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: სინონიმები, სემანტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, მოფერება, ალერსი.

სინონიმები წარმოადგენენ სემანტიკურად დაკავშირებულ მინიმალური რაოდენობის სიტყვებს, რომლებსაც საერთო ლექსიკური მნიშვნელობა და საგნობრივ-ლოგიკური შინაარსი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ მსგავსი სემანტიკა აქვთ, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლექსიკური მნიშვნელობის შინაარსობრივი დატვირ-

თვით, გამოყენების სფეროთი, ემოციურ-სტილისტური შეფერილობითა და მნიშვნელობის საკუთარი, განმასხვავებელი ელფერით.

სხვადასხვა სისტემის ენაში არსებული სინონიმების შესწავლის დროს, ჩვენდა უნებურად მივმართავთ სხვადასხვა კულტურის შეპირისპირებას. შეპირისპირების დროს სირთულეს წარმოადგენს არა იმდენად ენათა სხვადასხვაობა, რამდენადაც, როგორც გ. რამიშვილი მიიჩნევს, „ენათა შინაარსობრივი სხვაობა“. შინაარსობრივ სახვაობას იწვევს განსხვავებული შეხედულება გარე სამყაროზე, რომელიც ხან თანხვედრაშია, ხან კი შეინიშნება სხვაობაც. რაც ნორმალური მოვლენაა, რადგან, როგორც ჰუმბოლდტი აღნიშნავს, ადამიანის მსოფლხედვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს.

განვიხილოთ მოფერება/ალერსის გამომხატველი სინონიმები ქართულ და ინგლისურ ენაში.

ქართულ ენაში ალერსი არის სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა, მოფერება, ხოლო ის ვინც ალერსი იცის, ვისაც ალერსი სჩვევია, არის ალერიანი (ქეგლი). სულხან-საბა ორბელიანთან ალერსი განმარტებულია, როგორც სიტყვით შექცევა (ორბელიანი 1993:23). ამ სემანტიკურ ველში განვიხილეთ ალერსი, ალერსიანი, ის ვინც ეალერსება და ვისაც ეალერსება; ალერსის გამომხატველი სიტყვები, რომლებიც მოფერება-ალერსის მნიშვნელობით გამოიყენება; პირფერი, პირფერობა, პირფერობს; აგრეთვე ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც დასტურდება ამ სემანტიკურ ველში.

ალერსი: ფერება, ფერობა, სიყვარულობა, ლამუნი, ლაციცი, ფოფინი, თათუნი, ცაცუნი, ღლაბუცი;

ალერსიანი: მოალერსე, მომფერებელი, დამყვავებელი; საფერებელი, საფერაო, სალოლიავო;

მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები: პატარა, პაწაწა, პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; ნამცეცა, ნალევა, ნაგალა, მოცუცქული, პუჭურა, ბუჭულა, მინიატურული, მორჩილი, ცუცნა-კუკნა, ცუცუნა, თითის სიგრძე, თითისოდენა, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა, კრუხის პალო...

საალერსო სიტყვებად ქართულ სინონიმთა ლექსიკონში წარმოდგენილია გენაცვალე! გენაცვა! დაგენაცვლე! შენი კვნესამე! კესანე! გეთაყვა! თავს შემოგველე, (შენ) შემოგველე, შენი ჭირიმე! შენი სულის ჭირიმე! შენი სატკივარი მე! თავს შემოგველე! შენ შემოგველე! შენი კუჭისა! მიტირე, მტლად დაგედე, ჭირი მოგჭამე, ჭირი მოგპარე, დედაშვილობამ და ა.შ.

გენაცვალე – ქართულ ენაში ალერსის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება, რომლის საშუალებითაც მთქმელი გამოხატავს სურვილს „მის სანაცვლოდ იყოს“, ე.ი. მიმართვის ფორმით გამოხატულია სურვილი, გაიზიაროს ადრესატის ჭირი.

თავს შემოგველე, შენ შემოგველე – „ეს გამოთქმა წარმოიშვა შემდეგი ადათიდან: ძველად თუ ვინმე ავად გახდებოდა და ოჯახის წევრებს ეგონათ, რომ მოკვდებოდა, ავადმყოფის სიკვდილისაგან დასახსნელად ოჯახის წევრები თავს ევლებოდნენ, რომ ავადმყოფის მაგიერ თვითონ შეგებებოდნენ სიკვდილს და თვითონ კი სწირავდნენ (წირვას აღავლენდნენ) ავადმყოფის გასაგონად (გრიშაშვილი ი. 1997:304).

ჭირიმე – გამოთქმა, რომელიც იხმარება ალერსით, სიყვარულით მიმართვისას, შედგენილია სიტყვებისაგან ჭირი და მე, მნიშვნელობით იგივეა, რაც შენი (თქვენი) ჭირიმე. ჭირიმე! – გამოთქმა იხმარება, როდესაც აღტაცებული არიან ვისიმე ვაჟკაცური მოქცევით (ქეგლ).

საალერსო მიმართებები – **შენი კვნესამე; კესანე**. ამ სიტყვა-ფორმების სემანტიკაც იგივეა, რაც შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, რომლითაც მთქმელი გამოხატავს საყვარელი ადამიანის ჭირის გაზიარების სურვილს.

კესანე – პატარა, ცისფერყვავილებიანი, ლამაზი მცენარეა. ყვავილთან დაკავშირებით არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც ყველა მცენარეს შემოქმედმა თავისი სახელი უწოდა. მათ შორის ერთი პაწაწინა მთის ყვავილი, რომელიც უსახელოდ იყო – ატირდა. ყვავილმა თქვა: „არ დამივიწყო უფალო“... ზუსტად მაშინ უფალმა მიუგო: „სწორედ ეგ იქნება შენი სახელი“, ანუ კესანე. ამის შემდეგ მას მსოფლიოს ყველა ენაზე „არ დამივიწყო“ ჰქვია... ჩვენთვის კი უბრალოდ კესანე... (<http://intermedia.ge/სტატია/74879>). ამ პატარა, ლამაზს ყვავილს ლექსი მიუძღვნა ქართველმა მწერალმა გიორგი ლეონიძემ.

ალერსის გამომხატველ სინონიმებში ერთ-ერთ კომპონენტად გამოიყენება პირის ნაცვალსახელები. მეორე პირის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები და პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი, რომელიც ქმნის კომბინაციებს გასუბსტანტივებულ ზედსართავსა და არსებით სახელთან: **შენ შემოგველე, შენი (თქვენი) ჭირიმე, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, ჩემო ყველავე, ჩემო სულისდგამე, ჩემო საყვარელო...**

ყველა საალერსო ფორმას ერთი სემანტიკა აქვს, ისინი მიმართვის ობიექტის ჭირის გაზიარების, მის ადგილზე ყოფნის, მისი ავადმყოფობის მორჩენის სურვილს გამოხატავენ.

ქართულ ენაში მოფერება-ალერსის გამომხატველი სინონიმები გადმოცემულია -ა, -ინა, -უნა, -ელა, -ული სუფიქსებით, რომლებიც ძირითადად ბავშვთან ასოცირებულ მოფერება-კნინობით სიტყვებს წარმოადგენენ: **პაწია, პაწაწინა, პაწაწკინა, პაწაწკინტელა, პაწაწ(კ)უნტელა, კიკნა, კიკნელა; მოცუცქნული** და ა.შ.

მოფერება-ალერსის გარდა ზოგიერთი მათგანი უარყოფითი ემოციის გამომხატველია. უარყოფითი ემოცია, დაცინვა-დამცირება ან ირონია დაკავშირებულია ზომის სიმცირესთან: **კრუხის პალო, თითის სიგრძე, თითისტოლა, ნეკისოდენა, ერთი ციდა**, რომლებიც პატარა ტანის ადამიანის სინონიმებად გამოიყენება.

ინგლისურ ენაში მოფერება-ალერსის გამომხატველ სინონიმთა სემანტიკური ველი შემდეგია: **caress** (მოფერება, ალერსი); **pat, stroke, touch** (ხელის თათუნი, ხელის გადასმა, შეხება, მიფერება); **fondling** (ეფერება); **pat** (მიფერება); **cuddle, embrace, hug** (გულში ჩაკვრა, ჩახუტება, მოხვევა, მაგრად მოხვევა, მაგრად ხელის მოხვევა); **To fold in arms** (გულში ჩაკვრა) და ა.შ.

ინგლისურ ენაში ვხვდებით მოფერება-ალერსის გამომხატველ ისეთ სინონიმურ სიტყვებს, როგორცაა: **little / small** (პატარა) / **tiny** (პაწაწა) / **teeny** (ნამცეცა) / **minute** (უმცირესი) / **wee** (მცირე, ერთი ბეწო) / **infinitesimal** (უსასრულოდ მცირე) / **minuscule** (ძალიან პატარა, უმნიშვნელო) / **doll-sized** (თოჯიონის ზომის) / **diminutive, miniature, mini** (ჩვეულებრივზე ბევრად პატარა) / **baby** (ბავშვი) / **elfin** (ზღაპრული; ელფური) / **toy** (სათამაშო) / **itty-bitty / itsy-bitsy / teeny(-weeny) / teensy(-weensy)** (ნამცეცა, პატარა, პაწაწა, პაწაწინა) / **microscopic** (მიკროსკოპული), / **midget** (ჩვეულებრივზე ბევრად პატარა) / **teeny-weeny / teensy-weensy**.

აგრეთვე, მოფერება-ალერსის ფუნქციით გამოყენებულია შემდეგი სინონიმური მნიშვნელობის მიმართვის ფორმები და გამოთქმები: **darling** (ძვირფასო) / **sweetheart** (საყვარელო) / **beloved** (საყვარელი) / **love** (სიყვარული) / **true-love** (სატრფო) / **sweet** (ტკბილი) / **Honey** (თაფლი, ტკბილი, ძვირფასი) / **precious** (ძვირფასი) / **favourite** (საყვარელი) / **treasure** (საგანძური) / **Sweetie** (ძვირფასო, საყვარელო) / **sweetie-pie**

(ტკბილი ღვეზელი) / **bit** (ერთი ბეწო) / **dollop** (თოჯინა) / **particle** (ნაწილაკი) / **spoonful** (სავსე კოვზი)... **My sweet! My Honey!** (ჩემო ტკბილო! ჩემო თაფლო!); **My love!** (ჩემო სიყვარულო!); **My dear!** (ჩემო ძვირფასო!); **My precious!** (ჩემო კარგო), **My pet** (ჩემო საყვარელო), **My cabbage** (ჩემო კომბოსტო – ჩემო ძვირფასო; ჩემო ფისო) და ა.შ.

ისევე როგორც ქართულში, ინგლისურშიც მოფერება-ალერსის სინონიმურ ველში ვხვდებით დაცინვა-დამცირების ან ირონიის გამომხატველ სინონიმურ ერთეულებს, რომლებიც, ძირითადად, ზომის სიმცირეს უკავშირდება: **Undersized, dwarf, midget, pygmy, minuscule, Lilliputian** (ჯუჯა; დაბალტანიანი; დადაბლებული, ჩვეულებრივზე ბევრად პატარა, ლილიპუტი), **bantam** (პატარა ზომისა, მაგრამ ყოჩაღი და ჯანმრთელი, ქონდრის კაცი?) და ა.შ.

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის დროს აქცენტი ძირითადად გადატანილია იმაზე, თუ რას ნიშნავს მოცემული ცნება სხვადასხვა ენაში, რას გულისხმობს, რას გამოხატავს; რამდენად განსხვავდება ერთი სამყაროს ენობრივი სურათი მეორე ენის სამყაროს ენობრივი სურათისაგან.

ამრიგად, როგორც სინონიმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ორივე ენაში უნივერსალურია საალერსო მიმართვის ფორმებში გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელებისა და ზოონიმების გამოყენება. თუმცა, ადგილი აქვს ინდივიდუალიზაციასაც, რაც, რა თქმა უნდა, თითოეულის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მაგ. სპეციფიკურია ინგლისურში მიმართვები: **sweetie-pie** (ტკბილი ღვეზელი), **bantam** (ბანტამი უკავშირდება შინაური ქათმის მომცრო ჯიშს), **minuscule** – (დამწერლობის ერთგვარი სახეობა, რომელიც ალერსის დროს გამოიყენება, როგორც ძალიან პატარა, უმნიშვნელო), ქართულში – **შენი კუჭისა! მიტირე / მტლად დაგედე / ჭირი მოგჭამე / ჭირი მოგპარე** და ა.შ.

ლიტერატურა:

1. გრიშაშვილი, ი. (1997)., ქალაქური ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა სამშობლო.
2. ნეიმანი, ალ. (1951), ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.
3. ნეიმანი, ალ. (1961), ქართულ სინონიმთა ლექსიკონი – მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო.
4. ორბელიანი, ს.ს. (1993)., ლექსიკონი ქართული (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), წ. II, თბილისი, გამომცემლობა მერანი.
5. ფოჩხუა, ბ. (1980)., ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები: იკვ, XXII, თბილისი, გამომცემლობა მეცნიერება.

Semantic and Linguo-Cultural Analysis of Synonymic Set for Caress (Based on the Georgian-English synonymic dictionaries)

Tsignadze Shorena

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.447>

Abstract

The semantic and Linguo-cultural analysis of the synonymic set for caress is discussed in the article. Georgian and English synonymic dictionaries are used as an analytic source. Studying synonyms has quite a long history. Linguistic observation of such items in different systematic languages is very interesting. We consider the difference which exists in the Georgian and English languages as structural-semantic, as well as linguo-cultural point of views. Synonyms are the part of lexical-semantic system of a language and the main point is shown in their absolute or partial coincidence. Their study allows us to have the access to a huge reserve depictive means of a language and gives us the opportunity to show them in a methodological way, which is “very crucial for learning our mother tongue as well as a foreign language”(Jorjaneli. K. 2006:6).

While making a linguo-cultural analysis, the focus is mainly point on the question of what this notion means in different languages, what does it imply to, how is it expressed by; how does one language differ from another based on their linguistic portraits.

As the observation on synonyms has revealed, the usage of substantial adjectives and zoonyms in the caress-endearament speech is universal for these two languages. Of course, individual words also participate, which is the result of the linguo-cultural characteristics of each language. For example, addressing words like the following ones are very specific in English : Sweetie-pie(a sweet patty), bantam(bantam is associated with the breed of a little domestic hen), minuscule (this is one of script varieties. It is used while showing an affection as a sign of something very little, insignificant), and in Georgian we can find – შენი ჭკუისა! (Sheni chkuisa) მიტირე (mitire) / მტლად დაგედე (mtlad gadagede) / ჩირი მოგჭამე(chiri mogchame) / ჩირი მოგპარე (chiri mogpare) and so on.

Key words: Synonyms, semantics, linguo-culture, caress, endearment.

ვახტანგ მუხომბეის შემოქმედებითი პროფილი

გიორგაძე ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.448>

აბსტრაქტი. შუა საუკუნეების წარსულიდან გამორჩევით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მეფე-პოეტი, მეფე-მეცნიერი და მკვლევარი, განათლების რეფორმატორი, რომელთაგან უცილობელ პატივს ვახტანგ მეექვსეც იმსახურებს.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა მისი ნაღვაწი და თვალსაწიერიც. ვახტანგის გონიერება წვდებოდა მეცნიერების სრულიად განცხვავებულ დარგებს, როგორცაა ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, ასტრონომია-ასტროლოგია, ქიმია, მედიცინა, გრამატიკა, ტექსტოლოგია, პედაგოგიკა. აღარას ვამბობთ მწერლობაზე, სადაც ღირსეული სიტყვა თქვა და გარკვეული თვითმყოფადობითაც გამოირჩა.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა ვახტანგი მაინც ახერხებდა ქვეყანაში შეექმნა აღმავალი კულტურულ-საგანმანათლებლო გარემო. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოში 1709 წელს დაარსდა პირველი სტამბა. ბეჭდური სიტყვის აღორძინებით მწერლობას სასიცოცხლო სივრცე გაეხსნა, აზროვნებას მეტი გასაქანი მიეცა.

ბეჭდური „ვეფხისტყაოსნით“ საფუძველი ჩაეყარა პოემის ტექსტის მეცნიერულად შესწავლა -აღდგენის საქმეს, დასაბამი მიეცა უმნიშვნელოვანეს დარგს-რუსთველოლოგია.

აღორძინების პერიოდის ლიტერატურას ახასიათებს მთელი რიგი სიახლეები და ეს სიახლეები ვახტანგ მეექვსის სახელთანაც ასოცირდება. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ყველანაირად უწყობდა ხელს მეცნიერების ახალი დარგების განვითარებას, ლიტერატურაში ახალი თემებისა და ჟანრების შემოტანას. ეროვნული პრობლემატიკის გააზრება, მისი დამკვიდრების მცდელობა და სულიერ მოთხოვნილებად ქცევა ვახტანგის შემოქმედების ნიშაა.

ცხოვრებისაგან დაღლილი მეფის ერთადერთი სულიერი თავშესაფარი ქრისტიანული რწმენა იყო. „რელიგიური თემატიკის დამუშავება, ღვთისადმი ღაღადისი, გარდა იმისა, რომ ღრმად მორწმუნე პოეტის სულიერ სიმშვიდეს იწვევდა, ამავე დროს ის ხელს უწყობდა ხალხში ქრისტიანობის იდეების პრპოპაგანდასა და რელიგიური რწმენის განმტკიცებას.

ვახტანგმ მეექვსემ ქართული მწერლობა არა მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოებებით გაამდიდრა, მთარგმნელობითი საქმიანობითაც დიდად შეუწყო ხელი მის წინსვლას. დიდი იყო მისი როლი ლექსიკოგრაფიის განვითარებაშიც.

ვახტანგ მეექვსის ნაღვაწზე მსჯელობა უსასრულოდ შეიძლება. ბევრს ნიშნავს ისიც, რომ ისტორიას შემორჩა „სჯულმდებელი“ მეფის სახელით.

საკვანძო სიტყვები: მეფე, რუსთველოლოგი, ვახტანგ მეექვსე, ქრისტიანული თემატიკა, კანონმდებელი.

ქართველი ერისათვის მწერლობა იყო დაუშრეტელი ენერჯის, სულიერი სიძლიერის, ზნეობრივი გაჯანსაღების უშრეტი წყარო. ამას ყოველთვის აცნობიერებდა ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელიც რიგ შემთხვევაში იყო კიდევ ერის მედროშე, „უგვირგვინო მეფედ“ მიჩნეული, ან „ქვეყნის მამად“ წოდებული. ძნელად დავასახელებთ ქვეყანას, რომლის სათავეშიც არაერთგზის ყოფილა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ლიდერი. საქართველო ამითაც ნიშანდებული ქვეყანაა. შუა საუკუნეების წარსულიდან გამორჩევით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მეფე-პოეტი, მეფე-მეცნიერი და მკვლევარი, განათლების რეფორმატორი, რომელთაგან უცილობელ პატივს ვახტანგ მეექვსეც იმსახურებს.

რთული იყო მეფე ვახტანგის პოლიტიკური გზა- ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) -1703 -დან 1014 -მდე, მეფე- 1716-დან 1724 წლამდე. ეს პერიოდი მისი ცხოვრებისა და ქვეყნის აღმავალ-დაღმავალ წლებს ითვლის. მრავალმხრივი და მრავალფეროვანი აღმოჩნდა მისი ნაღვაწი და თვალსაწიერიც. ვახტანგის გონიერება სწვდებოდა მეცნიერების სრულიად განცხვავებულ დარგებს, როგორცაა ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, ასტრონომია-ასტროლოგია, ქიმია, მედიცინა, გრამატიკა, ტექსტოლოგია, პედაგოგიკა. აღარას ვამბობთ მწერლობაზე, სადაც ღირსეული სიტყვა თქვა და გარკვეული თვითმყოფადობითაც გამოირჩა.

ვახტანგ მეექვსის ნაღვაწის მიმოხილვა, თუნდაც ზოგადად, თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე რთულია. ამიტომ, ნათელი რომ გახდეს მისი შემოქმედებითი პორტრეტის გააზრება, შევეცდებით უმნიშვნელო კონტურებით გამოვკვეთოთ რიგი საკითხი.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, ვახტანგი მაინც ახერხებდა ქვეყანაში შეექმნა აღმავალი კულტურულ-საგანმანათლებლო გარემო. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოში 1709 წელს დაარსდა პირველი სტამბა. ბეჭდური სიტყვის აღორძინებით მწერლობას სასიცოცხლო სივრცე გაეხსნა, აზროვნებას მეტი გასაქანი მიეცა. როგორც ცნობილია, 1709-1712 წლებში აქ დაიბეჭდა „14 წიგნი, რომელთაგან 11 სასულიერო ხასიათისა იყო, 2-სასწავლო-სახელმძღვანელო, ხოლო ერთიც „ვეფხისტყაოსანი“. სასულიერო წიგნების დასაბეჭდად მომზადებას მძიმე სამუშაოები უძლოდა წინ. ხდებოდა სასულიერო წიგნების შეჯერება უცხო და ქართულ დედნებთან. ჩამოყალიბდა მთელი დასი, რომელიც ამ მნიშვნელოვან სამუშაოებს ატარებდა (ნარკვევები, 1973: 501). ასევე დიდი ფილოლოგიურ-რედაქციული სამუშაოები იყო დაკავშირებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან. „ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. ყველა ეს ხელნაწერი და ფრაგმენტი აღწერილია სარგის ცაიშვილის მიერ. სამწუხაროდ, ავტოგრაფიულ ხელნაწერებზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი ჩანს. ეს ხელნაწერები საუკუნეებით არის დაშორებული პოემის შეთხზვის ხანას, რამაც განაპირობა მათი წარყვანა დროთა მანძილზე. ამიტომაც რუსთველოლოგიაში დღემდე პრობლემად რჩება მათი გაცხრილვა და დედანთან მიახლოებული ტექსტის დადგენა. ტექსტის კრიტიკული განჩხრეკა და დადგენა პირველად ვახტანგ მეექვსემ სცადა (მოსია ტ., 2016:5).

ბეჭდური „ვეფხისტყაოსნით“ საფუძველი ჩაეყარა პოემის ტექსტის მეცნიერულად შესწავლა - აღდგენის საქმეს, დასაბამი მიეცა უმნიშვნელოვანეს დარგს-რუსთველოლოგიას. ვახტანგისეულმა კომენტარებმა ასევე განაპირობა ქართული სალიტერატურო კრიტიკის საფუძვლებში პირველად გაჟღერებულმა და დასაბუთებულმა მსჯელობამ შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობაზე. შეეხო რა პოემის იდეოლოგიის საკითხებს, ამით ვახტანგი შეეცადა ავტორი დაეცვა მკილავთაგან, წიგნი -შემრისხველთაგან. სამწუხაროდ, დღემდე შემორჩა არაერთი ძნელად მოსასმენი და გასაზიარებელი თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. „იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელთაგან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა“- ამ სიტყვებით ჩაიწერა რუსთველოლოგიის ისტორიაში მთავარეპიკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი; არც ანტონ კათალიკოსის თქმულის: „ამოდ დაჰშურა, საწუხ არს ესეო“- დავიწყება არ ხერხდება მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ მაღალი შეფასება მისცა რუსთაველს, როგორც „ღმრთის-მეტყველების“ ნიჭით დაჯილდოებულს. მითი ანტონის რუსთველმომძულეობის შესახებ უფრო „ვეფხისტყაოსნის“ დევნის ფაქტს უნდა უკავშირდებოდეს, ფაქტს, რომელსაც არაერთგვაროვანი შეფასება და სადავო რწმუნებულება უდევს საფუძვლად. მაგალითად, კალისტრატე ცინცაძე უტყუარ წყაროდ თვლის, რომ ანტონ კათალიკოსმა ჯერ „აღუკრძალა ქართველთა კითხვა „ვეფხისტყაოსნის“, ხოლო როდესაც ამ საშუალებამ ვერ გაჭრა, მიმართა ადმინისტრაციულ ზომებს, „მრავალნი დაბეჭდილნი „ვეფხისტყაოსანნი“ დასწვა და შთააყრევინა მტკვარში“ (ცინცაძე კ., 1966:6). აღნიშნულის უეჭველობის დასტურად კალისტრატე ცინცაძე იმოწმებს მეფე გიორგი მეცამეტეს: „ბატონი კათალიკოზი, არა ჩემგან (ბიძად მოხვდებოდა) საკიცხველი, შეიქმნა მართლად საძრახისად მწერალთაგან: მან ერთ დღეს შთააყრევინა მტკვარსა 80 დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანნი...“ (ცინცაძე კ., 1966:7). აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მითუმეტეს, რომ ამ თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში გამოკვეთილად განსხვავებული აზრიც მუსირებს. ჩვენთვის უფრო მისაღები და გასაზიარებელია კორნელი კეკელიძის, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ეფრემ მეორის, ზვიად გამსახურდიას მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა, ტიმოთე გაბაშვილისა და ანტონ კათალიკოსის უდანაშაულობის შესახებ... რუსთველოლოგებმა და ამ საკითხით დაინტერესებულმა მკვლევრებმა ყურადღება უნდა მიაპყრონ შემდეგ გარემოებებს: ტიმოთე გაბაშვილის შეფასება, „მთქმელი ლექსთა ბოროტთა...“ „მიმოსვლის“ თავდაპირველ ტექსტში არ ყოფილა და 1956 წლის გამოცემის ძირითად ტექსტშიც არაა შეტანილი, ეს სტრიქონები შემდეგ ყოფილა მიწერილი ტიმოთეს ხელნაწერის კიდეზე (იხ. „მიმოსვლა“ 1956 წ. გვ. 046-054) ახალ გამოცემაში კი მოთავსებულია სქოლიოში“(ეფრემი, 2017: 4). კლელიკალური წრეების მიერ რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დევნის და ანტონის დამოკიდებულების დასტურად არც „წყობილსიტყვაობაში“ წარმოდგენილი იამბიკოს ბოლო სტრიქონი ივარგებს მხოლოდ. ობიექტურობისთვის საჭიროა სრული ტექსტის გააზრება:

შოთა ბრძენ-იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,

ფილოსოფოსი, მეტყუწლი სპარსთა ენის.

თუ-სამ ჰსწადოდა, ღვთის-მეტყუწლიცა მაღალ,

უცხო-საკვრუწლ პიიტკო-მესტიხე,

მაგრა ამოდ დაჰშურა, საწუხარ-არს ესე (ანტონ ბაგრატიონი, 1972:188).

ანტონის მძიმე ბრალდების მისაღებად ანგარიშგასაწევი ნამდვილად არ უნდა იყოს არც ქართველთმომძულე, რიგით IV რუსი ეგზარქოსის -ვეგენის ცნობა, არც პლატონ იოსელიანის მიერ სხვისგან „უხეიროდ“ ნასესხები „ბრალდება“ და არც ზაქარია

ჭიჭინაძის მიერ წყაროს გარეშე მოტანილი ცნობა. ვფიქრობთ, ამ საკითხს საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი, უნდა დასრულდეს ლეგენდა ანტონის მიერ რუსთაველის დევნისა, ყველასთვის ნათელი უნდა გახდეს, „თუ რაგვარ მიმართებაში იყო რუსთაველთან ანტონ I, ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების კორიფე XVIII საუკუნეში, ოფიციაური საეკლესიო იდეოლოგიის წარმომადგენელი, თავად ძე იესე მეფისა, დავითიან-ბაგრატიონი, ერეკლე მეფის მამიდაშვილი, (ხოლო სულიერად ძმა მეფისა) „ (გამსახურდია ზ., 1991:49).

მეფე - რუსთველოლოგი ცდილობდა მტკიცებას იმისას, რომ პოემა „საღმთოც იყო და საეროც.“ ასევე, ლამობდა აეხსნა და დაესაბუთებინა „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული ბუნება. აკი ამიტომაც მოუძებნა გმირთა სიყვარულს რელიგიური გააზრება. განსწავლულმა მეფემ პოემის წინააღმდეგ ყველა მტრულად აზრის შესახებ უწყობდა და ცდილობდა თითოეულის განეიტრალებას. ეს ეხებოდა, რა თქმა უნდა, სიუჟეტის წარმომავლობას, მისი ორიგინალობის საკითხს, მტკიცებას იმისას, „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოებაო“.

სადღეისოდ შეიძლება მეფე-რუსთველოლოგის თვალსაზრისთა გარკვეული ნაწილი მოძველებულია, მიუღებელიც, მაგრამ იმ დროისთვის იყო სრულიად ახალი სიტყვა, პროგრესულად გააზრებული და არგუმენტირებული. ვახტანგის კომენტარებმა შემდგომში უდიდესი გავლენა იქონია რუსთველოლოგიური ნააზრევის ჩამოყალიბებასა და, ზოგადად, ქართული მწერლობის განვითარებაზე.

უბედობა დაჰყვა ვახტანგის პოლიტიკურ საქმიანობას და ბოლოც ტრაგიკული ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით მის შემოქმედებაზე. მას ვერ დავადასაშაულებთ, რომ „პოლიტიკაში პოეტობდა და პოეზიაში პოლიტიკოსობდა“, როგორც ერთი ჩვენი მეფე, დიდი მგოსნის თვალთ დასახული და შეფასებული. არა, ვახტანგმა პოლიტიკაშიც იმაზე მეტი აკეთა რის საშუალებასაც ვითარება აძლევდა და მეცნიერულ-შემოქმედებითი კუთხითაც ერთ კაცზე მეტი მოიმუშავა. ვახტანგს საწუხარადაც კი ჰქონდა ზედმეტი მოცალეობა ლიტერატურისთვის, შემოქმედებისთვის. ესეც მისი და მისი ქვეყნის ტრაგიკული ბედის გამოისობით იყო.

აღორძინების პერიოდის ლიტერატურას ახასიათებს მთელი რიგი სიახლე, რაც ვახტანგ მეექვსის სახელთანაც ასოცირდება. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მეფე ყველანაირად უწყობდა ხელს მეცნიერების ახალი დარგების განვითარებას, ლიტერატურაში ახალი თემებისა და ჟანრების შემოტანას. ეროვნული პრობლემატიკის გააზრება, მისი დამკვიდრების მცდელობა და სულიერ მოთხოვნილებად ქცევა ვახტანგის შემოქმედების ნიშაა. საკუთარი ნაღვაწით ცდილობდა მწერლობაში იმხანად გავრცობილი აზრის- „არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ (თეიმურაზი); „სამღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბედობით, საშაიროს ინახავდნენ სტავრის ბუდით ან ნახლობით“ (არჩილი)-განქარვებას, გადაფარვას.

ძნელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ვახტანგ მეფის ცხოვრების ისტორია, სავსე მწუხარე თავგადასავლები, დიდი ტრაგიზმის შემცველი ფურცლები მისი შემოქმედებისგან. დაქცეული ქვეყნის ხატია მეფე-პოეტის პოლიტიკური ცხოვრება, ხოლო მისი მეცნიერული და პოეტური ნაღვაწი იმავე ქვეყნის გაუტეხელი სულის, ბუნების სიმბოლო.

შუა საუკუნეების ქართული მწერლობისათვის უმნიშვნელოვანესი თემაა „ამაობება ამაოთა“. წუთისოფლის სიმუხთლისა და ამაოების მოტივს ვერც ვახტანგ მეექვსემ აუარა გვერდი. ეს თემა გაშლილია ვრცელ პოეტურ თხზულებაში „სალბუნად გულისა“, ლირიკული ხასიათის ლექსებში „ვაი, სიკვდილო,“ „რანი და მოვაკანი,“

„ლექსი-ამბავი“; ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „სატრფიალონში,“ „სიბრძნე მალაღობელში.“ ეს ჩამონათვალი უსარულოდ შეიძლება გაგრძელდეს გამოკვეთილ თემატურ ლექსებს თუ დავამატებთ სხვადასხვა ნაწარმოებებში გაბნეულ და ამოკითხულ სტრიქონებს.

ვახტანგის შემოქმედების შედეგად მიიჩნევა იშვიათი სიტყვიერი ოსტატობით, მუსიკალური ჟღერადობით, ღრმა ტრაგიზმით აღსავსე ლექსი „რანი და მოვაკანი.“

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და,
გათავდა ყოვლი წერილი-ანი და, ბანი, განი და...
ვიარე ბევრი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი და...
ხორცსა მრავალი დავაკელ, სულს მივეც იქი რჯანი და,
ვაი-ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი და! (1990:5)

ვახტანგის ლირიკას ახასიათებს აზრის დაწურულად გადმოცემა, სათქმელის სიტყვიერი ლაკონიზმით გავრცობა. ამის დასტური გახლავთ ეს ლექსიც – ბგერწერითი სურათი ავტორის სულიერი მღელვარებისა.

XVIII საუკუნის ქართული ლექსის რეფორმატორებთან ერთად მნიშვნელოვანია ვახტანგ მეექვსის დვაწლიც. მის სახელს გარკვეულწილად უკავშირდება ვერსიფიკაციული სიახლეები. ეს განსაკუთრებით ეხება ქართული ლექსის სტროფიკას. საგულისხმოა, თუნდაც ზემოთ მოხმობილი ლექსი „რანი და მოვაკანი,“ რომელიც 6- ტაქედის ფორმითაა წარმოდგენილი. „ლექსი რუსთველური დაბალი შაირის (53/53) მეტრითაა აგებული, 6 ტაქს ექვსჯერადი რითმა აერთიანებს ამდენგზისვე „და“ დაბოლოებითა და შიდართმებით. ვახტანგ მეექვსეს ამ ლირიკული შედეგისათვის ასეთი მინაწერი დაურთავს: „ერთი ლექსის ხმა ესეც არის...“ ეს მინაწერი იმის ნათელი დასტურია, რომ სტროფიკის გარდა, ვახტანგისთვის დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა გართიმვის კომბინაცია (ამ შემთხვევაში ექვსჯერადი რითმა მუდმივი „და“ დაბოლოებით!), როგორც ლექსის საზომის (ხმის) შემქმნელი“ (ზარბაქაძე თ., 2016:214).

პოეტის მუხთალი ბედის დატირებად აღიქმება კიდევ ერთი საუკეთესო ლექსი „ვაი, სიკვდილო.“ ამ ლირიკულ ქმნილებაში ადვილად იკითხება სტრიქონთა მუხლებს შორის ჩადვრილი ვნებათაღელვა, დაჭრილი, დაკოდილი მღელვრება სულისა. წუთისოფლის ქარიშხლით დაღლილს სიცოცხლევ ემწარება. სიკეთისთვის , სამშობლოსთვის დამაშვრალმა სიცოცხლის ბოლო წლები უცხო მიწაზე გაატარა და იქვე აღესრულა ამაო მოლოდინით დაღლილი.

მომკვეთე მსწრაფლად, მიწას მეც ღაფლად, ვაი...
მოვშორდი ცოლსა, შვილს, თანამყოლსა, ვაი...
მოვშორდი ძმასა, გამყარე დასა, ვაი...
მეგობარს, სულთა, საყვარელთ ტკბილთა, ვაი...
მომკალ, მომკვეთე სოფლის მოკეთე, ვაი...
სხვაგან გამგზავნე, დამხვდნენ მე მავნე, ვაი...
რად ენდევ სოფელს, ანასდის მყოფელს? ვაი... (1990:6)

ლექსის ქსოვილში მცირე რწმენის სხივიც კი არ კიაფობს. ლექსი ისეთ შეგრძნებას ბადებს, თითქოს უკუნე წყვდიადიდან იმზირება სვეგამწარებული პოეტი. ყოფითი დეტალებით, ბიოგრაფიული რეალიებით გაჯერებული სტრიქონები კიდევ უფრო ამძაფრებს ავტორის განცდებს.

უიღბლობით მოგვრილი მელანქოლია და მუხთალი სოფლის მდურვა გასდევს „ლექს-ამბავსაც.“ დავით გურამიშვილის მსგავსად , არც ვახტანგისთვის აღმოჩნდა უცხო

საწუთროს ორგემავობა და გაუტანლობა. იმდენად გამინაურებია პოეტს უიღბლობა , რომ შემგუებლური ირონიითაც კი ეხმიანება საკუთარ თავს:

სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო!

აწ შენ ამისთვის რად სწუხარ, უცხოდ მჩანს, ვახტან მეფეო! (1990:8)

ცხოვრებისაგან დაღლილი მეფის ერთადერთი სულიერი თავშესაფარი ქრისტიანული რწმენა იყო. „რელიგიური თემატიკის დამუშავება, ღვთისადმი დაღადისი, გარდა იმისა, რომ ღრმად მორწმუნე პოეტის სულიერ სიმშვიდეს იწვევდა, ამავე დროს ის ხელს უწყობდა ხალხში ქრისტიანობის იდეების პრპოპაგანდასა და რელიგიური რწმენის განმტკიცებას“(1990:595). მტერმა კარგად იცოდა ვახტანგ მეფის ძლიერი მხარე, მისი ეროვნულ-სარწმუნოებრივი პოზიციის გავლენა ერის სიჯანსაღეზე. ამიტომაც მოიძულა მომხდურმა. მაჰმადიანთა ძალმოსილების პირობებში ბოლომდე ვერ იდავითა ვახტანგმა. შეეძლო კი რომ არა სპარსულ პოლიტიკას მინდობილ დიდებულთა უგუნურ-მოღალატური ქმედებები. ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკის მედროშე მეფეებს ვერ ჰგუობდა სპარსეთი. ასეთებს ირანოფილობით გამორჩეული მეფეებით ანაცვლებდა მუდამ. ასე იყო, გიორგი XI-ს ერეკლე-I (ნაზარალი-ხანი) ჩაენაცვლა, ვახტანგს-იესე ალი ყული-ხანი...

რელიგიური თემატიკიდან გამოვარჩევთ ორ ლექსს „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა „ და „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა.“

ლექსი „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“ ქრისტეს ერთგვარი მონოლოგია, სადაც ნათლად გამოსჰვივის კაცთა მოდგმის უმადურობა მისთვის ჯვარცმულის მიმართ:

მე შევამკე ცა, ქვეყანა, ზღვა, მთა, ველი, ნაყოფთ გვარი,
აბრამს უხმე საყვარელად, მედ აღგიქვამთ თემთა მზღვარი,
გავამდიდრე, განვამრავლე, ზეცით მოვეც ნაყოფთ ცვარი,
ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს სიკვდად ჯვარი. (1990:6)

მეოთხე ტაეპი „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა ...“ უცვლელად იგულისხმება ყოველი სტროფის ბოლოს. ეს მხატვრული ხერხი უფრო მეტ ექსპრესიულობას სძენს სათქმელს, მოდუნების საშუალებას არ აძლევს მკითხველის სმენა-გონებას.

მონოლოგში აქცენტირებულია ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიპეტები:

ხორცი ვისხენ ქალწულთაგან, ვიქმენ მათი შენამყვარი,
ბრმათა თვალი აღუხილე, მკელობელი მათი ვარი,
სნეულთ მივეც განკურნება, აღვადგინებ მათი მკვდარი,
ნაცვლად...(1990:6)

ძალიან ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში კეთდება პარალელები ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებით კავშირებზე. აღნიშნული ლექსის წაკითვისას შეუძლებელია არ გაგვახსენდეს გურამიშვილის საგალობელი „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“ და მისი განუმეორებელი , დატირების ინტონაციის შემცველი რეფრენი: „ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო!“

ქრისტეს ჯვარცმის თემა მეორდება ლექსში „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლავნი მარიამისა.“ აქ ადამიანთა უმადურობის ხარისი ღვთისმშობლის დედობრივი განცდის სიმძაფრით იზომება. ავტორი მინიმალური მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების საშუალებით ქმნის ტანჯული ღვთისმშობლის ფერწერულ სახეს:

მტილში მიუძღვა კრებულთა საწუხი ყოვლის გვამისა,
მღვდელთმოდვრისასა მივიდნენ გასატანჯველად , ვა, მისა,
ბრალი ვერ პოვეს მის ზედა, კვლავ სცემდნენ წამ-და-წამისა,

ვაი, რამწარედ იწოდა ნაწლავნი მარიამისა! (1990:6)

ამ ლექსის რეფრენიც თავისთავად გვახსენებს გურამიშვილს. „„ღვთისმშობლის ტირილში“ დავითს განმეორებული აქვს ვახტანგის სპეციფიკური გამოთქმა: „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლავნი მარიამისა“ (შდრ. „ჩემნი იწვიან ნაწლავნიო“), (კეკელიძე კ., ბარამიძე ა., 1987:392).

უაღრესად ფაქიზი და შტამბეჭდავია ვახტანგ მეექვსის რელიგიური ნაწარმოებები. მათ აქვთ უდიდესი ზემოქმედების ძალა და ეს ძალა უპირველესად მოდის ავტორის სულიერი სისუფთავიდან, შინაგანი რწმენიდან, ამაღლებული, ღრმა ქრისტიანული განცდებიდან.

ვახტანგმ მეექვსემ ქართული მწერლობა არა მხოლოდ ორიგინალური ნაწარმოებებით გაამდიდრა, არამედ მთარგმნელობითი საქმიანობითაც დიდად შეუწყო ხელი მის წინსვლას. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც „ამირნასარიანი“, „ქილილა და დამანა“, რომელიც შემდეგ „გასაჩაღხად“ სულხან-საბა ორბელიანს მიანდო.

დიდი იყო მეფე ვახტანგის როლი ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. როგორც ვიცით, მან „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემას კომენტარებთან („თარგმანებასთან“) ერთად ლექსიკონიც დაურთა. მნიშვნელოვანი წილი აქვს სულხან-საბას „სიტყვის კონის“ სრულქმნაშიც.

ვახტანგ მეექვსის ნაღვაწზე მსჯელობა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ბოლოს გვინდა ორიოდ სიტყვით შევხვით მას, როგორც „სჯულმდებელ“ მეფეს. ვახტანგის ინიციატივით 1704-1708 წწ. სპეციალურად შეაგროვეს სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამები, ანუ სასამართლო გადაწყვეტილებების, გარიგებისა თუ განჩინების წიგნები. კანონმდებელმა მეფემ ყოველივე სისტემურად დაალაგა, შეავსო საკუთარი დებულებებით და შექმნა სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის უმნიშვნელოვანესი წიგნი, რომელიც „დასტურლამალად“ იწოდება.

კანონთა კრებული „შეიცავს შესავალსა და შვიდ საკანონმდებლო ძეგლს: 1. სამართალი მოსესი, 2. სამართალი ბერძნული, 3 სამართალი სომხური, 4. სამართალი კათალიკოსთა, 5. სამართალი მეფის გიორგისა, 6. სამართალი აღბულასი, 7. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ (საქართველოს ისტორია, 1979:347).

კანონთა კრებულის სტრუქტურა თვალსაჩინოს ხდის კანონმდებელი მეფის მცდელობას სამართლიანი ქვეყნის შენებისა. მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ კოლუმბი რომ შუა ზღვაში ამერიკას დაეძებდა, მაშინ ქართლში ვახტანგ მეფე კანონების კოდექსს წერდა.“ მუხრანის ეს სიტყვები მხოლოდ ეროვნული სიამაყის გამოხატულება არ არის, ეს გახლავთ სრულყოფილი რეზუმე ღირსეული მეფის ნაღვაწისა.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი ა. (1972): წყობილსიტყვაობა, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.
2. ბარბაქაძე თ. (2016): ქართველ მეფეთა პოეზია და ვერსიფიკაციული ფორმების მრავალფეროვნება. წიგნში: ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ქრილში, I. გამომცემლობა „საარი“. თბილისი.
3. გამსახურდია ზ. (1991): წერილები ესეები, გამომცემლობა „ხელოვნება“. თბილისი.
4. ეფრემ II სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი (2017): სიტყვა შოთა რუსთაველის წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (წაკითხულ იქნა 1966 წლის ოქტომბერს), გამომცემლობა „წიგნის სავანე“. თბილისი.
5. ცინცაძე კ. სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1966): ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისთვის, თბილისი.

6. მოსია ტ.(2016): წერილები ვეფხისტყაოსანზე, გამომცემლობა „საარი“. თბილისი.
7. საქართველოს ისტორია. (1979): ლექსიკონი, I. გამომცემლობა „განათლება“. თბილისი.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4 (1973): საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 90-იან წლამდე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი.

Fictive Protrait of the King Vakhtang VI

Giorgadze Nino

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.448>

Abstract

From the medieval past we can single out several kings-poets, kings-scientists and scholars, education reformers, of whom Vakhtang VI deserves great respect.

Versatile and varied turned out to be his genius and spectacle as well. King Vakhtang's intellect was accessible to completely different fields of science, such as history, jurisprudence, philosophy, astronomy-astrology, chemistry, medicine, grammar, textology, pedagogy. Not to mention the writing, where he said a decent word.

Despite the difficult political situation, King Vakhtang VI still managed to create a prosperous cultural and educational environment in the country. With his initiative and support, the first printing house was established in Georgia in 1709. With the revival of the printed word, writing opened up vital space, giving more thought to thinking.

By printing "The Knight in the Panther's Skin" the foundation was laid for the scientific study of the text of the poem – the work of restoration, the foundation was given to the most important field – Rustvelology.

The literature of the Renaissance period is characterized by a number of novelties associated to the name of the King Vakhtang VI. The King, endowed with creative talent, contributed in every way to the development of new fields of science, the introduction of new themes and genres in literature. Understanding the national problem, trying to establish it and turning it into a spiritual need is the niche of Vakhtang's creativity.

The only spiritual refuge of the king tired of life was the Christian faith. "The elaboration of religious themes, the cry to God, in addition to bringing spiritual peace to the deeply believing poet, at the same time he promoted the ideas of Christianity among the people and strengthened the religious faith.

King Vakhtang VI not only enriched the Georgian literature with his original works, but also greatly contributed to his translation activities. His role in the development of lexicography was also great.

The genius of Vakhtang VI can be discussed endlessly. It means a lot even to the fact that the history has survived in the name of the "lawgiver" king.

Keywords: King, Rustvelologist, Vakhtang VI, Christian theme, legislator.

მარადიული სიყვარულის ოდისეა

(ჩვენი დროის პოეტური შედეგის შესახებ:
ვახტანგ ჯავახიძის მინიპოემის – „ელეგია: ყელსაბამი“ – განხილვა)

გოგიაშვილი ნინო

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.449>

აბსტრაქტი. მოცემული ნაშრომი ვახტანგ ჯავახიძის ვრცელი ლექსის/მინიპოემის – „ელეგია: ყელსაბამი“ განხილვაა. ნაშრომში გამოყენებულია ლიტერატურული ტექსტის კვლევის ჰერმენევტიკული მეთოდი, ანალიზი და ტექსტი შესწავლილი ლიტერატურის სოციოლოგიის პრიზმაში. ლექსი განხილულია ლექსმცოდნეობის თვალსაზრისითაც.

„ელეგია: ყელსაბამი“ ან ვრცელი ლექსის ან მინიპოემის ლიტერატურულ ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ. ავტორი, მისი შექმნისას, ფიქრობდა, რომ ელეგიას დაწერდა, თუმცა, წერის პროცესი გაიწელა და ტექსტიც განივრცო.

ყველა თანხმდება, რომ „ელეგია: ყელსაბამი“ რაღაც ახლის დასაბამია მიმდინარე ქართულ პოეზიაში. როდესაც ლიტერატურულ მიმდინარეობაზე ვსაუბრობთ, თუ რომელ მათგანს მიეკუთვნება მინიპოემა, ვვარაუდობთ, ეს ან პოსტპოსტმოდერნიზმია ან ნეონატურალიზმი. ლირიკული „მე“ წარმოგვიდგება, როგორც ნამდვილი „მე“ და მთელი მკაფიო და უაპელაციო ნატურალიზმით ჰყვება უკვდავი სიყვარულის ამბავს, რომელზეც ხან ნივთები საუბრობენ, ხან ცხოვრებისეული ხდომილებები, ხან აღმასვლები და ხან დაღმასვლები.

ლექსს წამძღვარებული აქვს მურმან ლებანიძის ლექსის სათაური – „ვეჩვევი უშენობას!“ და სწორედ ეს გამოხატავს მის ძირითად განწყობას; მურმან ლებანიძემ ეს ლექსი მიუძღვნა გარდაცვლილ შვილს და მასში მის გარეშე არსებული ცხოვრების გაძლებასა და შეჩვევაზეა საუბარი.

ავტორისა და მისი სიყვარულის ობიექტის „შინაგანი დიალოგი“ არ წყდება და ამაზე ლაღადებენ საგნები, საფლავის ქვა და ლექსის ფინალურ ნაწილში მოფრენილი ცისფერი მტრედი-ქედანი, როგორც შეყვარებულ სულთა უწყვეტი კავშირის მანიშნებელი, როგორც სიმბოლო უკვდავი სიყვარულისა. ლექსში, მეტი ნატურალიზმისთვის, გამოყენებულია ჟარგონი და სლენგი, ბარბარიზმი და ნეოლოგიზმი.

აღსანიშნავია, რომ ლექსი კონვენციური ანუ ტრადიციულია, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პოეზიის მეინსტრიმული ხაზი ვერლიბრს მოიცავს. ლექსი გამორჩეულია საოცარი ევფონიითა და ტემპო-რიტმით.

ნაშრომში აღნიშნულია ირონიისა და იუმორის ის არაჩვეულებრივი გამოვლინება, რომელიც ვახტანგ ჯავახიძის სტილური მახასიათებელია. ამგვარად, ჩვენ წინაშეა ვახტანგ ჯავახიძის შედეგური – „ელეგია: ყელსაბამი“, რომელიც ქართულ პოეზიაში რაღაც ახლის დასაწყისს ნიშნავს.

საკვანძო სიტყვები: ელეგია, ყელსაბამი, ნეონატურალიზმი, ჯავახიძე, შედეგური, პოეზია

შედეგის დეფინიციას თუ გავიხსენებთ, ის ხელოვნების, ოსტატობის უდიდეს მიღწევად განისაზღვრება. დამეთანხმებით, რთულია ეს მნიშვნელობა რამეს მოარგო. მითუფრო, ჩვენს პოსტმოდერნულ დროსა და პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში, როცა გარკვეულობის კრიტერიუმები საეჭვოა და არ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება. თუმცა, როდესაც ვახტანგ ჯავახაძის „ელეგია: ყელსაბამი“ პირველად წავიკითხე, სწორედ ამ უიშვიათესმა აზრმა გამიელვა თავში; პირველ ჯერზე, ბოლომდე ვერც წავიკითხე – ჭარბი ემოციისა და იმ ჯადოსნური ხიბლის გამო, რამაც შეჩერება, ფრაზებთან დარჩენა და მათით მოგვრილი ტკბილ-მწარე შეგრძნებების დაგემოვნება მაიძულა. მერე, დავდიოდი და თან დავატარებდი: „გირეკავენ და სახლში არა ხარ, და არა მარტო სახლში არა ხარ“, (ჯავახაძე:2016) – ამ სტრიქონს, და არა მარტო ამას. მერე, ეს ფრაზები ცხოვრებისეულ ხდომილებებში გადმოვიდნენ, რუტინის გასაძლევ იუმორსა და თვითირონიაშიც კი გამჟღავდნენ, მთლიანად მოიცვეს ჩემი არსება.

წარმოდგენილ ნაშრომში, ხშირად, ჩემს შეგრძნებებსა და პოეზიით მოგვრილ აღმაფრენაზე მომიწევს წერა, გარდა იმისა, რომ განვიხილავ მოცემულ ლექსს, ლექსმცოდნეობის თვალსაზრისით. ვახტანგ ჯავახაძემ, „ელეგია: ყელსაბამის“ სახით წარმოადგინა ის ოსტატობა, გლამური და კლასი, რასაც გვერდს ვერაფრით ავუვლით. ჩემდა სასიხარულოდ, კონკურსების ჟიურის წევრებმაც ვერ აუარეს გვერდი და მას, წიგნისთვის „ელეგია და სხვა ლექსები“, რომელშიც „ელეგია: ყელსაბამია“ შესული, გადაეცა 2017 წლის ლიტერატურული პრემიები – „ლიტერა“ და „საბა“. მინიპოემის შესახებ დაიწერა რეცენზიები და გამოხმაურებები: ზვიად კვარაცხელიას, გია არგანაშვილის, ლევან ბრეგაძის, შოთა იათაშვილის, ლექსო დორეულის და სხვათა მიერ. ყველა მათგანი ცდილობს, გახსნას კონკრეტული პოეზიის ნიმუშის ის ხილული თუ დაფარული შრეები, რამაც მკითხველის უწყვეტი აპლოდისმენტები დაიმსახურა.

დავიწყებ წამძღვარებული სიტყვებიდან, რაც მურმან ლებანიძის ლექსის – „ვეჩვევი უშენობას“ – სათაურია და მთლიანად განსაზღვრავს მინიპოემის განწყობას. მურმან ლებანიძემ ლექსი გარდაცვლილ შვილს მიუძღვნა, ვახტანგ ჯავახაძემ კი – გარდაცვლილ მეუღლეს. მოცემულ კონტექსტებში, ფრაზა – „ვეჩვევი უშენობას“ არადამაჯერებელია, ყოფის ლიმიტირებულობის მიმართ უმწეობით ამოთქმული თვითირონიაა, გარდაუვალის წინაშე შეგუების მცდელობაა, უსაზღვრო სიყვარულის ჰანგია, რომელიც ხილულ, ადამიანურ მოცემულობაში სუბსტანციის გარეშე რჩება.

„ახირებული ჟინი ამიტანს და შერეკილი ვნება ამიტანს:

იქნებ შეჩერდე, კაცობრიობავ, თუნდაც ამ ერთადერთი წამითაც“! (ჯავახაძე:2016)

მარტივი ამოსაცნობია წმინდა ფაუსტური ალუზია („შეჩერდი, წამო“...), აღტაცებისა და უზენაესი ნეტარების წამის მარადიულობის რეპრეზენტაციის პრეტენზია, როდესაც პოეტს „ახირებული ჟინი“ და „შერეკილი ვნება“ აიტანს, საყვარელი და სასურველი მეუღლის მიმართ. მინდა, დასაწყისშივე აღვნიშნო ის არაჩვეულებრივი ირონია და იუმორი, რომელიც მოცემულ ფრაზებშიც იკვეთება, როგორც ვახტანგ ჯავახაძის სტილური მახასიათებელი, და რომლის დიდ დეფიციტსაც განიცდის ქართული ლიტერატურა. ირონიის, თვითირონიისა და იუმორისთვის, აუცილებელია, რომ საკუთარ პერსონას, სოციუმს, ქვეყანას და ა.შ. ოდნავ გარედან, სხვა პოზიციიდან შეხედო. საკუთარი თავისა და საკუთარი გარემოსაგან გონივრული დისტანცირება ქმნის პირობას ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებისა, რომლის აუცილებელი ელემენტიც თვითირონიაა. „ელეგია: ყელსაბამში“, მიუხედავად მისი დრამატული ხასიათისა, ირონიის საოცრად დახვეწილი მაგალითები გვხვდება. ტრაგიკული და კომიკური განცდები კი ისე სინქრონულად ეწყობიან, შეგვიძლია

ვთქვათ, რომ ეს გროტესკია:

„და გაგებხუმრე (თუმცა ხუმრობას ვერ მიგიხვდება ზოგი პინგვინი):

დაბერებულის ისე მომწონხარ, მოდი, მეორედ ვიფსკვნათ გვირგვინი“;
(ჯავახაძე;2016)

ან:

„ამიერიდან სალხინებელის ცალმხრივ ტრასაზე უნდა გეძიო

და რაკი ველარ დამიბრუნდები, მე თვითონ უნდა წამოგეწიო“ (ჯავახაძე;2016).

ამგვარი ირონია და გროტესკი არა მარტო სტილური მახასიათებელი, არამედ რაფინირებული შინაგანი კულტურის მანიშნებელია, რათა არ გადატვირთო მკითხელი ზედმეტი ნეგატივით – ჭარბი ბალასტიით. „ელეგია: ყელსაბამში“ ნატურალისტური სიახლოვითა და სიშიშვლითაა აღწერილი ყოფითი, რუტინული ცხოვრების სულ მცირე დეტალებიც კი. ამას მეცნიერი ლევან ბრეგაძე ნეონატურალიზმს არქმევს. აქ საგნები ლაპარაკობენ, რადგან სიყვარულის ობიექტი უკვე „სახლში არ არის“ და „არა მარტო სახლში არ არის“ – ის აღარ არის ადამიანურ განზომილებაში.

„შენმა გრანტიტმაც გამოიღვიძა: სიტყვა სდუმდა და ქვა ლაღადებდა“;
(ჯავახაძე;2016)

ან, დასაწყისში:

„დაცარიელდა კაბა, საწოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა – შენები

ყველაზე მეტად ყელსაბამს უჭირს, მაგრამ მე ველარ შევეშველები“.
(ჯავახაძე;2016)

მწერალი შოთა იათაშვილი „ვახტანგ ჯავახაძის დაობლებული საგნების“ სათაურით აქვეყნებს წერილს მოცემულ ლექსზე: „პოეტი არ რჩება გარდაცვლილ მეუღლესთან იდუმალ დიალოგში, არ რჩება ინტიმში. მას სცენაზე ბევრი ადამიანი შემოჰყავს, ინტერტექსტუალურს ხდის ნაწერს და, რაც მთავარია, წერის პროცესი, რომელიც დიდხანს გრძელდება, მას ითრევს“...(იათაშვილი;2017) ვფიქრობ, სწორედ “იდუმალი დიალოგის” შენარჩუნებაზეა ეს ვრცელი ლექსი დაწერილი, „უმისოდ“ დარჩენილობის უსუბსტანციოებაზეა, სადაც ლირიკული გმირი ცდილობს შეჩვევას, თუმცა – მხოლოდ ცდილობს:

„ყველგან შენ ხარ და შენ აღარა ხარ, ყველა ნივთი და ყველა საგანი –

შენ მიიზიდე, შენ მიითვისე, შენ ამოავსე ჩვენი საკანი,

რომელიც თითქოს ცარიელია, საიდუმლოა თითქოს სერობა,

სადაც ერთმანეთს ედავებიან შენი შენობა და უშენობა“.
(ჯავახაძე;2016)

ან:

„ისე ბევრი ხარ, არ მეშინია, თუ რომელიმე გამეპარები.

იმდენი წყვილი თვალით მიყურებ, თვალებში თითქმის ვერ ვიხედეები“.
(ჯავახაძე;2016)

უამრავი ფრაზა, მთელი ლექსი დასტურია იმისა, რომ მოსიყვარულე სულთა შორის კავშირი დაურღვეველია, მას ვერ ერევა ობიექტის სხეულებრივი არყოფნა, ის ძალიან ბევრია, ის ყველგანაა, ყველა ნივთი მისითაა სავსე, ყველა მოგონება, ყველა სიხარული თუ ფიასკო. აქ ნივთები არ მეტყველებენ, აქ არ არის გაპიროვნება, აქ ნივთებიც სავსენი არიან და ჰაერიც კი გაჯერებულია მისი საყვარელი მეუღლით. „ელეგია: ყელსაბამი“ სიყვარულის უმაღლესი სულიერი რეგისტრია, „სიყვარული აღგვამაღლებს“ რუსთველურ დიმენსიაში ასული. ყოფიერების გაძლება დიალოგის

წყვეტას არ ნიშნავს. პირიქით, ლირიკული გმირი ცდილობს, ბოლომდე მამაცურად გაიტანოს ღვთით მიმადლებული სიცოცხლე:

„და, რაკი ქვეყნად კიდევ ვეთრევი, შევავედრებ და შევევედრები,
რათა ვარდების ლიტურგიაზე დაამწყალოზნონ შენი თეთრები“. (ჯავახიძე;2016)

პოეტი, მეტი დამაჯერებლობისთვის, ჟარგონებსა და სლენგებს, ბარბარიზმებსა და ნეოლოგიზმებს იყენებს: მოვტეხავ, უბერავს, გეზაჩუნა, დავამულამე, მოვტვინე, საკაიფონი, დაიკიდე, მესიჯი, ადრესი და სხვა. „რალაც ახალი იწყება ამ ლექსით არა მარტო ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებაში, როგორც ჩანს, საზოგადოდ, და რა არის ეს? ამგვარ ლექსში პოეზია უფრო მეტად ხდება ფაბულური“, (ბრეგაძე;2019) – წერს პროფესორი ლევან ბრეგაძე. „ელეგია: ყელსაბამში“ ვკითხულობთ მთელ ეპოქას, მთელ ცხოვრებისეულ პერიპეტიებს, კრემლის ზარებიდან, ლარებიდან და დოლარებიდან დაწყებული, ცოცხალი პერსონაჟებით დამთავრებული. ლევან ბრეგაძე წერს, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიით ესაა ერთგვარი “ნონფიქშენი”, იგივე “სინამდვილის პოეზია”, “დოკუმენტური პოეზია” ან “ფაქტის ლიტერატურა”. „განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლიტერატურის საშუალებით სოციალური სამყაროს წვდომის ერთ-ერთი ასპექტი: შემთხვევები, როცა ლიტერატურა თავად გვაწვდის სოციალურ და, შეიძლება ითქვას, „სოციოლოგიურ“ ანალიზსაც კი... მათთან ვხვდებით ერთგვარ სპონტანურ სოციოლოგიას“. (არონი, ვილა; 2011;9) ვახტანგ ჯავახიძის ეს ვრცელი ლექსი სწორედ ლიტერატურის სოციოლოგიის კუთხით უნდა განვიხილოთ. თავად ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც ლექსის წერას იწყებდა, მას „ელეგია პირველი“ დაარქვა და რამდენიმე ელეგიის ტიპის ლექსის დაწერას გეგმავდა. თუმცა, ეს ელეგია თითქმის ერთი წელიწადი გამიგრძელდა და დიდი მოცულობის გამო, ვფიქრობდი, მკითხველი არ წაიკითხავდა, მაგრამ სულ სხვაგვარად აღმოჩნდაო, – წერს ავტორი. ლექსმა, გამოქვეყნებისთანავე დაიპყრო სოციალური სივრცე და არა მარტო... ლექსი ინტერტექსტუალურია, რადგან ბევრი ხელოვანი, გამოჩენილი ადამიანი, პირდაპირ თუ ირიბად, სიტყვების უზადლო პოეტური ჟონგლიორობითაა წარმოდგენილი, თავიანთი შემოქმედებითურთ; („თავს არც იოჰან (დავით) გოეთე (წერედიანი) შეიკავებდა“ და სხვა მრავალი ამგვარი ინტერტექსტი). პოსტმოდერნისტული ინტერტექსტუალობა სულაც არ გვიშლის ხელს ვთქვათ, რომ ეს ვრცელი ლექსი თუ არასტანდარტული მინიპოემა პოსტპოსტმოდერნიზმია ან სულაც – ნეონატურალიზმი, როგორც ამაზე კრიტიკოსებიც თანხმდებიან.

დავეთანხმები კრიტიკოს გია არგანაშვილს, რომელიც თავის ნაშრომში „პიეტა ყელსაბამისთვის“ (ვახტანგ ჯავახიძის ლექსის გამო „ელეგია პირველი: ყელსაბამი“) წერს: „ლექსის თითოეული სტრიქონი გამოწვლილვით ანალიზს ითხოვს. ამ ფორმატში ეს მართლაც შეუძლებელი მეჩვენება“. (არგანაშვილი; 2016:36) მსურს, ყველა ტროპი, მოვლენა, პოეტური თამაში, ცდა თუ წლების განმავლობაში დაგროვილი ოსტატობის მკაფიო გამოვლინება დეტალურად განვიხილო, ავხსნა, გავანალიზო. ასეთი ვრცელი ტექსტის კითხვისას, ყოველთვის მიპყრობს უნებური განცდა თუ შიში, – აი, ახლა „ჩავარდება“ ემოცია, ან ახლა უღალატებს ავტორს გემოვნება, ან „ყურით მოთრეულ“, თვითმიზნურ რითმას გადავაწყდები, ან ტემპო-რიტმი დაიკარგება, ან ჭარბი ლიტერატურული ბალასტით ჩაიძირება პოეტური გემი. გამოცდილ, ჭარმაგ გემის კაპიტანს – ვახტანგ ჯავახიძეს შეუდარებელი ვირტუოზულობით მიჰყავს პოეზიის ხომალდი ხმელეთამდე!

„გასრულდა ესე ელეგია და ტრიალი ცალფა რითმის ჯარასი“... (ჯავახიძე;2016)

ლექსში არც მეტატექსტების სიმცირეა; ჩვენ, თითქოს, უშუალო მონაწილენი ვხდებით ტექსტის თხზვის და, შიგადაშიგ, თვითონ ავტორი გვიყვება ლექსის არქიტექტონიკის ნიუანსების შესახებ:

„აქ შედარებამ მოიკოჭლა და განსაწმენდელში გამოვატარე“... (ჯავახაძე;2016)

ან:

„არ დააყოვნა თურმეობითმაც, თურმე ნუ იტყვი, თურმე ძალიან“... (ჯავახაძე;2016)

პოეტის გაფაციცებული სმენა არაფერს ტოვებს შეუმჩნეველს. მისი უზარმაზარი გამოცდილება სიყვარულის მოზღვავებულ განცდასა და დაკარგვის ტრაგიზმს ერწყმის, და სწორად შერჩეულ დროში, სწორი აქცენტებითა და უტყუარი ალლოთი იქმნება ლექსი-შედევი. „შედევის გამოჩენის კანონი“ იგივეა რაც ლანსონის ლიტერატურის ისტორიის არსი: წყაროებისა და გავლენების ძიება. დიდი ნაწარმოებები არასოდეს იქმნება თავისთავად. ერთი ხელის დაკვრით. მათ ესაჭიროებათ მოსინჯვა, მეცადინეობა, შეცდომები, რომლებიც წინ უსწრებდათ ამ გზაზე”. (არონი, ვილა;2011:23)

„ვახტანგ ჯავახაძემ ლექსის ვირტუოზული ფლობა გამოიყენა იმისთვის, რომ ჩვენთვის ნივთებისა და ადამიანების ისტორია მოეთხრო“, (კვარაცხელია;2016) – წერს ზვიად კვარაცხელია. ვფიქრობ, ეს ვრცელი ლექსი უფრო სიყვარულის ისტორიაა, სიყვარულის უკვდავი ოდისეაა, რომელზეც პოეტი ნივთებისა და ადამიანების მეშვეობით გვიყვება. ლექსის ადრესატის სახელიც მხოლოდ მინიშნებულია; მრავალგვარი ეპითეტითაა გადმოცემული მისი ხასიათიც: “ფინანსთა ნამინისტრალი”, “თომას დაიკო”, “ოთარაანთ ქვრივო” და ა.შ. თუმცა, შემოდლია ვთქვა, რომ აქ ყველა და ყველაფერი სიყვარულის ენით მეტყველებს; ხიროსიმა და ნაგასაკი, მოსკვა-რეკა, მოსარწყავი ყვავილები, მათზე ეჭვიანობა, ირონიულ კონტექსტში გადმოცემული ცოლის უწყვეტი მონიტორინგი – იმქვეყნიდანაც, მხოლოდ იმიტომ ხდება და იწერება, რომ სიყვარულზე მოგვიყვებს პოეტი.

ლექსის ფინალური ნაწილი დასტურია ჩემეული მოსაზრებისა. მოფრინდება ცისფერი მტრედი-ქედანი, რომელიც მისი მეუღლის ხატება და განსხეულებაა. არ წყდება სიყვარულის დიალოგი, არ იწურება იმედი, ჰარმონიული ხდება იმქვეყნისა და ამქვეყნის კავშირი, როგორც ლოცვა, როგორც ღმერთისადმი, როგორც სიყვარულისადმი აღვლენილი სამადლობელი, როგორც მიმღებლობა სამყაროსეული უზენაესი კანონისა და მასში ერთადერთი კონსტანტის – სიყვარულის დაუსაზამობა.

„ჩამოიმარცვლა წელიწადების კრიალოსანი ანუ ქარასტა,

ეს ნახევარი საუკუნეა, მტრედი არ მახსოვს ამ ფანჯარასთან,

დღეს კი ცა უფრო მტრედისფერია და ჩიორების კოსმოდრომიდან

კვლავ – არა მარტო მოფრინდება და კვლავ – არა მარტო ამბავს მომიტანს“.

(ჯავახაძე;2016)

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ლიტერატურული სივრცე, ძირითადად, ვერლიბრით მარაგდება და იკვებება. როდესაც თავისუფალი ლექსი ასე მენსტიმულია და კონვენციურ ლექსში, თითქოს, ყველა დიადი შესაძლებლობა ამოწურულია, თავად გალაკტიონის უბადლო მკვლევარი წერს ლექსს ტრადიციული საზომით, „ცალფა რითმით“, და ამ ლექსის წინაშე ყველაზე პრეტენზიული მკითხველი და კრიტიკოსიც კი განიარაღებულია (გამონაკლისების გარდა), ეს ლექსის უპრეცედენტო აღიარებას ნიშნავს. მოვიშველიებ დავით წერედიანის აზრს: „მოთხრობისა და რომანისაგან განსხვავებით, ლექსი, პირველ ყოვლისა, მაინც

ყურისთვის იწერება, კარგი ვერლიბრის ჩათვლით“, (წერედიანი;2018:29) და მივუსადაგებ „ელეგია: ყელსაბამს“: ლექსის ევფონია და მუსიკალობა, დახვეწილი ალიტერაციები და მარცვალთა გადათამაშებები ერთ ალუწერელ ხიბლს ანიჭებს მას და „ამოდ სასმენ“ ტექსტად აქცევს. ლექსის მგრძნობელობითი ნიშნული ძალიან მაღალია და ჩვენ წინაშეა ვახტანგ ჯავახაძის ვრცელი ლექსი ან მინიპოემა „ელეგია: ყელსაბამი“ – მთელი თავისი დიდებულებით!

ლიტერატურა:

- არონი, პ. ვიალა, ა. (2011). ლიტერატურის სოციოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“.
- არგანაშვილი, გ. (2016). პიეტა ყელსაბამისთვის. „საგურამო“, 2(13): 33-37, <http://ichavchavadze.ge/wp-content/uploads/2017/02/saguramo2.pdf>
- ბრეგაძე, ლ. (2019). „სხვანაირი“ ლექსი. ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა, https://textualscholarship.blogspot.com/2019/05/blog-post_24.html
- იათაშვილი, შ. (2017). ვახტანგ ჯავახაძის დაობლებული საგნები. რადიო თავისუფლების ბიბლიოთეკა, <https://www.radiotavisupleba.ge/a/vakhtang-javajhadzis-elegia/28301642.html>
- კვარაცხელია, ზ. (2016). ფიქრები ვახტანგ ჯავახაძის ელეგიაზე. ინტერნეტგაზეთი maststavlebeli.ge, <http://mastsavlebeli.ge/?p=11225>
- წერედიანი, დ. (2018). თემა და ვარიაციები. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- ჯავახაძე, ვ. (2016). ელეგია პირველი: ყელსაბამი. ელ.ბიბლიოთეკა „ლიტკლუბი“, <http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=15635>

The Odyssey of Eternal Love

(About the poetic masterpiece of our time:

Vakhtang Javakhadze's mini-poem – Elegy: Necklace – Review)

Gogiashvili Nino

Iakob Gogebashvili Telavi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.449>

Abstract

The present manuscript is the review of Vakhtang Javakhadze's long verse/mini-poem – Elegy: Necklace. During the analysis the hermeneutic method of text study, analysis and text research in the prism of literary sociology have been used. The verse is analyzed in view of poetry study too.

Elegy: Necklace can be considered as part of long verse or mini-poem genre. When creating it, the author planned to write an elegy, although, the writing process prolonged and the text extended. Everyone agrees that Elegy: Necklace is the start of something new in Georgian poetry. When we speak about literary movement, which one of them the mini-poem belongs to, we presume that it is either postmodernism or neorealism. The lyrical “I” is represented as the true “I” and with all the clear and unappealable naturalism tells the story of eternal love, told either by items or life events; either ups or downs.

The poem is led by Murman Lebanidze's poem title – Getting Used to Being Without You! which precisely reflects its main mood; Murman Lebanidze dedicated this poem to his deceased spouse and speaks about struggling to get used to living without her.

The “internal dialogue” of the author and his beloved one does not stop and it is spoken about by items, gravestone and in the final part of the poem, the blue dove, as the sign of eternal connection between souls in love, as the symbol of immortal love. For more naturalism slang, barbarism and neologism are used in the poem.

It is noteworthy that the poem is conventional or traditional, despite the fact that current poetry mainstream is a verse libre. The poem is distinguished by amazing euphony and tempo-rythm.

The poem expresses the unusual humor and irony, which are the signs of Vakhtang Javakhadze’s style. Therefore, here is Vakhtang Javakhadze’s masterpiece – Elegy: Necklace, which is the start of something new in Georgian poetry.

Key words: Elegy, Necklace, neonaturalism, Javakhadze, masterpiece, poetry.

კონცეპტ „ხის“ ლინგვისტურ-პარადიგმული ასპექტები

თოდუა მირანდა

ქეცბაია ნონა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.450>

აბსტრაქტი. ხე ზოგადი სახელია მრავალწლიანი მცენარეებისა. ძველ ქართულში ხის აღმნიშვნელად გვხვდება ძელი, რომელიც საერთოქართველური ლექსიკური ერთეულია. ხე ხშირად გამოიყენება რთული ფუძის შემადგენელ ნაწილად და გადატანით სხვა მნიშვნელობასაც იძენს. ხე ძალიან საინტერესოა სიმბოლური თვალსაზრისით. მისი სიმბოლო გვხვდება როგორც ქრისტიანულ, ისე წარმართულ სამყაროშიც. საქართველოში ხეთა თაყვანისცემის კვალი ჩანს როგორც ზეპირ გადმოცემებში, ზღაპრებსა თუ ხალხურ ლექს-სიმღერებში, ისე ტოპონიმებსა და ნივთიერი კულტურის ძეგლებში. ხის სიმბოლოს ვარიანტები მრავალია. ყოველი ტიპი ავლენს საკრალური ხის სიმბოლიზმის სხვადასხვა ასპექტს. ხის კულტს გარკვეული ადგილი ეთმობა ქრისტიანული რელიგიის ისტორიულ განვითარებაში. ქრისტიანულ აზროვნებაში სიცოცხლის მარადიულობაც ხეს უკავშირდება. ის მეტაფორაა სამყაროს შექმნისა. სასულიერო პოეზიაში „ცნობადის ხე“ და „სიცოცხლის ხე“ ორივე ქრისტეს გულისხმობს. საინტერესოა ძელის სიმბოლიკაც, რომელსაც უკავშირდება მაცხოვრის ტანჯვა-წამება. მას „ძელი ცხოვრებისა“ ეწოდება, რითაც ხაზგასმულია ჯვრის ცხოველმყოფელი ძალა, რომელმაც კურთხევის მადლი მოჰფინა წუთისოფელს. ცალკე გამოიყოფა ხის ნაყოფის სიმბოლიკაც. რომელიც ბიბლიასა და სასულიერო მწერლობაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი.

საკვანძო სიტყვები: ჰიმნოგრაფია, ხის სიმბოლიკა, სიცოცხლის ხე, სიმბოლიკა, კულტი.

სამყაროს შეცნობა ენით იწყება. ენა ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი და მის აგებაში მონაწილე ფაქტორია. ენა, კულტურა და აზროვნება განსაზღვრავს და აყალიბებს ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული ხასიათის ფორმირების საკითხსაც. ნაციონალური იდენტობის სპეციფიკური მახასიათებლები ყველაზე მრავალფეროვნებით იდიომატურ ფრაზეოლოგიზმებში აისახება. იდიომატური ფრაზეოლოგიზმები ნებისმიერი ხალხის, მსოფლიოს ენობრივი სურათის მკვეთრ და თვითმყოფად ეროვნულ ნაწილს წარმოადგენს.

იდიომატური გამოთქმა როგორც გერმანულში, ასევე ქართულში, რთული ენობრივი წარმონაქმნია. მის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და ენაში დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა როგორც საერთო, ისე ეროვნული

ხასიათის ექსტრალინგვისტურმა და ეთნოლონგვისტურმა ფაქტორებმა.

ხე ზოგადი სახელია მრავალწლიანი მცენარეებისა, რომლებსაც მაგარი ღერო (ტანი) და განშტოებული ვარჯი აქვს. გამოიყენება სამშენებლო მასალის აღმნიშვნელად. ძველ ქართულში ხის აღმნიშვნელად გვხვდება **ძელი**, რომელიც საერთოქართველური ლექსიკური ერთეულია. ქართულ **ძელ**- ძირს კანონზომიერად შესატყვისება მეგრული **ჯა** (<**ჯალ**-) და ლაზური **ჯა** (<**ჯალ**- მჯა და ნჯა ვარიანტები მიღებულია **მ** და **ნ** თანხმოვნების განვითარების შედეგად). ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***ძელ**- არქეტიპი. (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 623). **ხე** ხშირად გვხვდება რთული ფუძის შემადგენელ ნაწილად: ალვის ხე. კორპის ხე. პურის ხე. **ხე**- ძირისგან არაერთი სახელია მიღებული: ხეგვიძრა, ხეაგური, ხებუჩქი, ხე-ტყე, ხებალახა, ხებესტარი „**«**არაფრის გამკეთებელი კაცი**»** (**«**დიალ.**»**), **ხეწარი**, **ხემაგი**... **ხშირად გვხვდება სიტყვა ხე ანდაზებში**: „ხემა და ქვამაც იცის დარდიო“; „**ალვის ხე ცამდის ასული, ჭინჭველას წაუქცევია.**“, **არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო**“; „**ხემა სთქვა: მე ცული ვერას დამაკლებს, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო**“; **ხე გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება: პირი ხისკენ მიქნია**- მოსაბოდიშებელი თქმაა, მსმენელმა რომ თვის თავზე არ მიიღოს ნათქვამი; **ის ხედ იქცა** – გაშეშდა; **გადაწყვეტილების ხე /ალტერნატივების ხე** (სოციოლოგიური ტერმინი)- გადაწყვეტილების სხვადასხვა ალტერნატივის გამომსახველი გრაფიკული მეთოდი.. **ხე** საინტერესოა სიმბოლური თვალსაზრისითაც. მისი სიმბოლო გვხვდება როგორც ქრისტიანულ, ისე წარმართულ სამყაროშიც. საქართველოში ხეთა თაყვანისცემის კვალი ჩანს როგორც ზეპირ გადმოცემებში, ზღაპრებსა თუ ხალხურ ლექს-სიმღერებში, ისე ტოპონიმებსა და ნივთიერი კულტურის ძეგლებში. ხის სიმბოლიკა და კულტი უძველესია. „იგი თავისი სიმბოლიზმით განუზომელია, რომელიც თავის თავში მოიცავს მთელ სამყაროს. სამყარო მთლიანად ხეა, რომლის ჩრდილქვეშ დასახლდა ხალხი“ (Xavier Leon-Dufour, 1983: 408). ინდური გადმოცემის თანახმად, სამყაროს ცენტრში, უზარმაზარ მთაზე, ხარობდა ნაყოფიერი ხე, რომლის ტოტებქვეშაც მთელ კაცობრიობას შეეძლო თავი მოეყარა. ეს არის ხე-სამყარო. სხვადასხვა ხალხთა კულტურაში მრავალი ხე ითვლებოდა მაგიურად და წმინდად, რასაც საფუძვლად ედო წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მასში ცხოვრობდნენ ღმერთები და სულები. ჯადოსნურ ზღაპრებში ხეები წარმოგვიდგება როგორც სიკეთის წყარო, საწყისი, სურვილების აღმსრულებელი, ასევე ბოროტი, დემონური ძალები. მრავალრიცხოვანი მითები იუწყებიან გიგანტურ ხეზე, რომელიც ცასა და მიწას აკავშირებს, რომლითაც ზოგიერთი პერსონაჟი ღვთაებას უახლოვდება. „ხის კულტის განვითარების პირველი საფეხურია, რომელიც შეიცავდა ხალხის რწმენას, რომ ხე ან ტყე წარმოდგენილი იყო სულიერ არსებად, რომელსაც შეეძლო ადამიანისთვის ვნება ან სიკეთე მოეტანა. მეორე საფეხურია, როდესაც ხე ან ტყე წინაპართა სულის სადგომად იქნა მიჩნეული, მესამე საფეხური კი _ ხე თავშესაფარია უზენაესი ღვთაებისა“ (ვ. ლომაია, 1926 :173). ხის კულტის ფართოდ გავრცელებაზე საქართველოში მიუთითებდნენ ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, ვ. ბარდაველიძე. საქართველოში, მთიელთა შორის ხის სალოცავში დარგვა და მისი მოვლა-გახარება ბევრად უფრო მნიშვნელოვან სამსახურად ითვლებოდა, ვიდრე ცხოველის შეწირვა (B. Бардавелидзе:98-99). პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, რომ მის დროს აფშილ-აფხაზები თაყვანს სცემდნენ ტყეებს, ხეებს, რომლებიც მათ გულუბრყვილო ღვთაებებად მიაჩნდათ (ვ. ლომაია, 1926:168). თ. ლუდუშაური, ხის კულტის შესახებ, გერმანელ

მეცნიერ-მოგზაურებთან დაცული მასალების განზოგადებით ასკვნის, რომ „ხეების თაყვანისცემა საერთო კავკასიური მოვლენაა“ (თ. ლუდუშაური, 1996: 51).

ქართველებისთვის წმინდა ხეებს შორის გამორჩეული ადგილი ეკავა მუხას, სწორედ ამაზე მიგვითითებს მრავალი ტოპონიმი, რომელიც მას უკავშირდება: რკონი, ჭყონდიდი, ცხრამუხა, მუხრანი, მუხათვერდი, მუხათწყარო, ქურმუხი და სხვა. სიმღერა „მუმლი მუხასა“ („მამლი მუხასა“) დღემდე ფერხულით სრულდებოდა საქართველოს არაერთ კუთხეში. როგორც ქართველი ფოლკლორისტები მიიჩნევენ, „მუმლი მუხასა“ ზოგადქართული საგაზაფხულო-საწესჩვეულებო სიმღერაა,² რომელიც თავდაპირველად მცენარეული ღვთაების გარდაცვალება-ადდგომის სადიდებელი უნდა ყოფილიყო, შემდგომში მოხდა მისი გადააზრება პატრიოტულ სიმღერად. მუხა იქცა საქართველოს სიმბოლოდ, ხოლო მუმლი-მის მტრად.. ვ. (ზარდაველიძე, 1968: 76)

კოსმიური ხე მითოპოეტური აზროვნების მნიშვნელოვანი სახეა. იგი გვხვდება თითქმის ყველა ხალხთან სხვადასხვა ვარიაციით: „სიცოცხლის ხე“, „ნაყოფიერების ხე“, „ცის ხე“, „შამანის ხე“, „სიკვდილის ხე“, „ბოროტების ხე“ და ა.შ.

ხის სიმბოლოს ვარიანტები საქართველოშიც მრავალია. ყოველი ტიპი ავლენს საკრალური ხის სიმბოლიზმის სხვადასხვა ასპექტს. მაგალითად, სიცოცხლის ციკლის რიტუალებში გამოვლენილია საკრალური ხის შემდეგი ვარიანტები:

1. ხე, რომელიც ირგვება ადამიანის დაბადებისას და დაკავშირებულია ბედ-იღბლის ქაღალღვთაებასთან, ფუძის მფარველ ქაღალღვთაებასთან. მას ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ღვთისმშობელი ენაცვლება. ამ კავშირის გამოვლენად ითვლება ერთ-ერთი წეს-ჩვეულება, ახალშობილის სახელზე ხის დარგვის წესი. ამ ხის გაზრდა – გახარება უშუალოდ იყო დაკავშირებული ბავშვის მომავალთან. . ხის დარგვას წინ უსწრებდა ერთ-ერთი რიტუალი – ნერჩის (ფუძის) ლოცვა ნერჩი ითვლებოდა ადგილის დედის გამოვლენად; მიწის ქაღალღვთაებად.

2. ხე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან და ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ის წმ. ბარბარეს კულტს ერწყმის.

3. სამოთხის ხე, რომელიც საქორწილო რიტუალში გვხვდება.

4. ნათლის ხე ჩიჩილაკის სახით საახალწლო რიტუალში, რომელსაც ნაყოფიერება და კეთილდღეობა მოაქვს ოჯახისთვის და ასოცირდება წმ. ბასილთან.

5. ხე, რომელიც ადამიანის გარდაცვალებისას ამოითხრება და ირგვება საფლავზე და შედის რელიგიურ კომპლექსში: საფლავი-ხე-შეწირული ცხენი, რომელიც თავის-თავად უმაღლესი რეალობის ნიშანია. მასში ფართო კოსმოლოგიური აზრი დევს და, შესაბამისად, სამყაროს „ცენტრისა“ და სამყაროს „ღერძის“ აღმნიშვნელია, რაც ნიშნავს, რომ საფლავს, როგორც კოსმიზირებულ სივრცეს თავისი ცენტრი აქვს გარდაცვლილის სახით და ღერძი ხის (ან ცხენ-ირმის) სახით.

6. გამოვლენილ იქნა ნათლის ხის სიმბოლო საახალწლო, საქორწილო და გლოვის რიტუალებში. ამ ურთიერთგამომრიცხავ სიმბოლოებს აერთიანებს ღერძული სიმბოლიკა, რომელიც ყველა სამყაროს – ამიერსაც და იმიერსაც- ერთნაირად მსჭვალავს და ანათებს.(ნ. აბაკელია, 1997: 56)

ხის კულტს გარკვეული ადგილი ეთმობა ქრისტიანული რელიგიის ისტორიულ განვითარებაში. როგორც გრიგოლ ნოსელი აღნიშნავს, ქრისტიანულ აზროვნებაში სიცოცხლის მარადიულობაც ხეს უკავშირდება, ოღონდ სიცოცხლის ხეს . სიცოცხლის ხის სიმბოლიკა თითქმის ყველა ერში გვხვდება. ის ხშირად მეტაფორაა სამყაროს შექმნისა, მრავალ ხალხურ ტრადიციაში ის ხარობს წმინდა მთაზე ან სამოთხეში. სიცოცხლის ხით კაცობრიობა მალდება მიწიერიდან ზეციურისკენ, მატერიალურიდან სულიერისკენ.

სიცოცხლის ხის ნაყოფი კი სიმბოლოა უკვდავებისა. რაც შეეხება ედემის ბაღში დარგულ ცნობადის ხეს, ის არის სიმბოლო ადამის მიერ დაკარგული სამოთხისა, უკვდავებისა.

დაბადების წიგნი გვამცნობს, რომ „აღმო-ვე-აცენა ღმერთმან მერმე ქვეყანით ყოველი ხე შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხოვრებისა _ შორის სამოთხესა და ხე იგი _ ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 2,9). უფალმა სწორედ ამ ცნობადი ხის ნაყოფის გემოსხილვა აუკრძალა ედემის მკვიდრთ. ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად, ცნობადის ხე თვითშემეცნების აქტთან არის დაკავშირებული „იყო უკუჭ გემოდსხილვა რომელსამე ნაყოფისა შემქმნელი ცნობისა თვისისა ბუნებისაჲსა“ (ნემესიოს ემესელი, 1914: 12). კეთილისა და ბოროტის შეცნობის, განღმრთობის სურვილმა სიკვდილი და ხრწნილება დაამკვიდრა. შესაქმეში ვკითხულობთ: „იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად და სათნო თვალთათჳს ხილვად და შუენიერ განცდად“ (დაბ. 3, 6).

ეს თემატიკა ჰიმნოგრაფიაშიც გადმოდის. სასულიერო პოეზიაში „ცნობადის ხე“ ქრისტეს მეტაფორადაც გვხვდება, რომლის ნაყოფმა უკვდავება მოგვანიჭა: „განელო დღეს ბეთლემს სამოთხეჲ, მოვედით გემოდ ვიხილოთ ხისა მის ცნობადისაჲ, რომელ არს ქრისტე“ (ძველ-ქართული სასულიერო პოეზია(იოანე მტბევარი) 1913: 53). ზ. გამსახურდია წერს: „ბიბლიური ცხოვრების ხე იგივე სულიწმიდაა მეტაფორულად, ცნობადის ხე-ქრისტე“ (ზ.გამსახურდია,1987: 75). ცნობადის ხით დაცემული კაცობრიობა მაცხოვარმა ჯვარცმით გამოისყიდა და სიცოცხლის ხისკენ მისასვლელი გზა გაუკაფა.

„კაცებაჲ პირველი
ხისაგან დაცემული,
აწ აღდგა ძელისა მის აღმართებითა,
რომელსა ზედა
იგნო მკსნელმან კორცითა“ (იოანე მინჩხის პოეზია,1987: 297).

ხეთა სიმბოლიკით დაინტერესება ნიშანდობლივია ქრისტიანული სამყაროსთვის. ცხოველ ინტერესს აღძრავს, თუ რა ჯიშის ხის უნდა ყოფილიყო მაცხოვრის ჯვარი.

სასულიერო პოეზიაში „ცნობადის ხე“ და „სიცოცხლის ხე“ ორივე ქრისტეს გულისხმობს. „ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხ^ა იგი ცხოვრებისა^ა შენ შორის აღმოსცენდა“ (ძველ-ქართული სასულიერო პოეზია(იოანე მტბევარი),1913:56). სიცოცხლის ხის მეტაფორა ღვთისმშობელსაც უკავშირდება. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ცხოვრების ხე ღვთის მეტაფორული სახელია. „რომელმან ჰძლოს, მივჰსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხოვრებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღუთისა“ (გამოცხ. 2,7). ცხოვრების ხეს მხოლოდ უფლის მცნებათა ერთგულნი ეზიარებიან: „ნეტარ არიან, რომელნი იქმოდნენ მცნებათა მისთა, რათა იყოს ხელმწიფება მათი ძელისა მის ცხოვრებისასა, და ბჭეთა მათ მიერ შევიდენ ქალაქად“ (გამოცხ. 2,14).

ხის სიმბოლიკას უკავშირდება ძელის სიმბოლიკაც, რომელიც ასევე მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ჰიმნოგრაფიაში ძელი ცნობადის ხესაც ეწოდება: „რომელმან პირველისა ძელისა საცთური განაქარვა და მისგან დაცემული აღადგინა“ (იოანე მინჩხის პოეზია,1987: 265). ჰიმნოგრაფები მაცხოვრის ტანჯვა-წამების იარაღს „ძელი ცხოვრებისაჲს“ უწოდებენ, რითაც ხაზგასმულია ჯვრის ცხოველმყოფელი ძალა, რომელმაც კურთხევის მაღლი მოჰფინა

წუთისოფელს: „აღმართეს ძელი ცხოვრებისა“ (იოანე მინჩხის პოეზია, 1987: 181). რიგ ჰიმნში ძელი ცნობადის ხის ნაყოფით მომკული ცოდვის განმაქარველია და სიცოცხლის ხის თვისებებს იძენს, რომელიც უკვდავების ნერგია: „ღმერთი უვნებელი დამოკიდე ძელსა, რათა ჩუენ, წარმართთა, მოვისთულოთ ძელისაგან ნაყოფი უკვდავებისა და მონებისაგან თავისუფლება“ (ძველ-ქართული სასულიერო პოეზია(იოანე მტბევაი, 1913: 147).

ფოთოლგაცენილი ხე ჰიმნოგრაფს პირველი პატივისაგან განშიშვლებული, ცოდვით დაცემული, ღვთიური მადლისაგან დაშორებული ადამიანის მეტაფორად გამოუყენებია. ღმერთი ადამიანისათვის სიცოცხლის წყაროა, ის აძლევს მას საშუალებას აყვავდეს უფლის სიყვარულსა და ერთგულებაში. ღვთისაგან დაშორებული ადამიანი მხოლოდ უნაყოფო და ურწყული მიწაა, სასიკვდილოდ განწირული. აი, რატომ ისწრაფვის ის ღვთისაკენ, როგორც ირემი მდინარისკენ, მაგრამ თუ უფალი მასთანაა, ის იმ ბაღს ემსგავსება, რომელიც წყაროა სიცოცხლისა. რაც შეეხება ფოთლებს, ისინი ხშირად სიმბოლურად გამოხატავენ ადამიანის სიცოცხლესა და მის ხანმოკლეობას, ხოლო შემოდგომის დაცენილი ფოთლები უძველესი მეტაფორაა ყოველი სულიერის მოკვდავობისა:

„მე, ვითარცა ხე ზამთრისა“

ფურცელ-დაცუნებული, განვიშვლდი

მადლისაგან ღმრთისა, რომელი მომეცა“

(იოანე მინჩხის პოეზია, 1987: 203).

ფურცელუქცნობ, ნაყოფიერ ხეს, რომელიც ღვთის მცნებათა მიმდევარ კაცს განასახიერებს, ფსალმუნში ვეცნობით: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მოვიდა ზრახვასა უღმრთოსასა და გზასა ცოდვილთასა არა დაადგა და საჯდომელთა უშჯულოთასა არა დაჯდა, არამედ შჯულისა უფლისასა არს ნებად მისი და შჯულსა მისსა ზრახავენ იგი დღე და ღამე. და იყოს იგი ვითარცა ხე, თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცუნ, და ყოველივე, რადცა ყოს, წარემართოს მას“ (ფს. 1, 1-3).

ჰიმნოგრაფიაში წმინდა მამები, რომელნიც ღვთის სახლში აღმოცენებულად მოიაზრებიან, ქრისტეს მცნებათა წყაროთი ირწყვებიან და სულის განმაცხოვრებელ ღელეს ეწაფებიან. საგალობელში ვკითხულობთ: „სახლსა შინა ღმრთისასა მდგომარე იყავ, ღირსო, წარსადინელსა წყალთა მათ ცხოველთა ქრისტეს მცნებათასა და ირწყვებოდი მათ მიერ კლიმი“ (ძველ-ქართული სასულიერო პოეზია (იოანე მტბევაი): 120). სულის ზრდისა და ნაყოფიერების წყაროა ზეციური ცვარიც, რომელსაც შესთხოვენ უფალს ჰიმნოდები. ესაა „ცვარი მადლისა“, „ცვარი ცხოველს მყოფელი“. ცვარი არის უკვდავების ნექტარი, რამდენადაც „ის კავშირშია განთიადთან და ცასთან, გამოხატულებაა, მეტაფორაა ღვთაებრივი სიტყვისა ინდუიზმსა და სულიწმიდისა ქრისტიანობაში“ (Д. Пресиддер, 1999: 310). ჰიმნებში ცვარი ქრისტეს მცნების მეტაფორაცაა: „აღყუავილე ცუარითა მოძღურებისა შენისათა“ (ძველ-ქართული სასულიერო პოეზია(იოანე მტბევაი), 1913: 99).

სამოთხის ბაღში დარგულ ცნობადის ხეს, რომლის ნაყოფმაც ადამსა და ღმერთს შორის განხეთქილების ვაშლი ჩამოაგდო, რითაც გაიმიჯნა სულიერი და მატერიალური, ჰიმნოგრაფები ნაყოფგანმხრწნელ ნერგს უწოდებენ, ხოლო სულიერი სამოთხისაგან, დედა-ქალწულისაგან სულიწმიდის ძალით აღმოცენებულ მაცხოვარს „დაუნერგველ ნერგს“:

დაასხა ღმერთმან აღმოსავალით
 ედემი საშუებლად კაცთათჳს
 შესაქმესა ხილულთასა
 და აღმოაცენა
 მას შინა ნერგი იგი, ნაყოფგანმხრწნელი
 და ჟამსა აღსასრულსა
 დაასხა სამოთხე სულიერი
 და თუთ აღმოსცენდა მისგან,
 ბუნებითი ნერგი დაუნერგველი
 ნივთიერთა ბუნებათა,
 სიტყუაჲ სიბრძნით დამზადებელი,
 უნივთოდ ღმერთი ბუნებითაჲ ” (იოანე მინჩხის პოეზია ,1987: 242).

ბიბლიურ სახისმეტყველებაზე დაყრდნობით, წმინდა მამათა მეტაფორებია ფინიკი, ლიბანის ნაძვი, ზეთისხილი, რომელნიც ღვთის სახლში, ეზოში დანერგულებად იწოდებიან. ზეთისხილი სიმბოლიზებულია პიროვნებასთან და იმ სიბრძნესთან, რომელიც გამოჩნდება მხოლოდ სიმართლის გზაზე. თავისი ცხოვრების წესით, ღვთის სამსახურით, წმინდა მამები უფლის ეზოში დანერგულ ნაყოფიერ ხეებად იწოდებიან: „ვითარცა ზეთისხილი მსხმოჲ ყოვლად ნაყოფიერი, სახლსა შინა ღმრთისასა მდგომარე იყავ, ღირსო, კლიმი“ (ძველ-ქართული სასულიერო პოეზია(იოანე მტბევარი),1913: 120). „სახლსა შინა ღმრთისასა, ვითარცა ზეთისხილი ყოვლად ნაყოფიერი გამოჩნდი შენ, ეფთჳმი“ (იქვე: 17). ძველ აღთქმაში დალოცვის ასეთ ფორმას ვხვდებით: „იყოს, ვითარცა ზეთისხე ნაყოფიერი“(ოს. 14,7). სასულიერო მწერლობაში ზეთისხილის გვერდით ვხვდებით „ველური ზეთისხილის“ სიმბოლიკასაც. ასე, მაგალითად, იოანე საბანისძე ველურ ზეთისხილად მოიაზრებს ახლადმოქცეულ აბოს. ბიბლიის თანახმად, ველურ ზეთისხილთან გაიგივებულნი არიან ის წარმართნი, რომლებიც მხოლოდ ღვთის წყალობით გადაიქცევიან ზეთის ხედ. ეპისტოლე რომაელთა მიმართ ახლად მოქცეულ წარმართს ზეთისხილის რტოზე დამყნულ ველურ ზეთისხილს უწოდებს (რომ. 11, 17-24), რაც შეეხება წმინდა მამათა მეტაფორად გამოყენებულ აყვავებულ ფინიკსა და ნაძვს, სათავეს ფსალმუნიდან იღებენ: „მართაღნი, ვითარცა ფინიკი აღუყუავენს და ვითარცა ნაძუ ლიბანისაჲ განმრავლდეს. დანერგულნი სახლსა შინა უფლისასა ეზოთა შინა სახლისა ღმრთისასა ჩუენისათა ყუაოდიან“ (ფს. 91, 13-14). ლიბანის ნაძვს ძველი აღთქმიდანაც ვეცნობით: „და დიდებაჲ ლიბანისა შენდა მოვიდეს საროდსა მიერ ფიჭვისა და ნაძუსა ერთბაშად დიდებად ადგილი წმიდაჲ ჩემი და ადგილი ფერჳთა ჩემთა ვადიდო“ (ეს. 60, 13). ამდენად, მანძილი ხიდან (ცნობადის ხიდან) ხემდე(სიცოცხლის ხემდე) არის გზა თვითშემეცნებისა, ძიება ჭეშმარიტი დანიშნულებისა და დაკარგული უკვდავებისა, საკუთარი „მეს“ ღვთაებრიობამდე ამაღლებისა.

ლიტერატურა:

1. აბაკელია ნ , (1997). სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.
2. ბარდაველიძე ვ, (1968). სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XIV, თბილისი.
3. გამსახურდია ზ, (1987), „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, „მაცნე“, #4.

4. დიღმელაშვილი ქ, (2010). ქრისტიანული სიმბოლიკა პირველ-მეოთხე სს. საქართველოში, თბილისი.
5. ლომაია ვ, (1926), ხის კულტისათვის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, III, თბილისი.
6. ნემესიოს ემესელი, (1914) ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის გამოცემა, ტფილისი.
7. სახოკია თ, (1979). ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, “მერანი”, თბილისი.
8. ფენრიხი ჰ, სარჯველაძე ზ, (2000), ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1950-1964). (8 ტომად), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.
10. ლუდუშაური თ, (1996). ხის კულტის საკითხისათვის კავკასიის ხალხებში (გერმანელი მოგზაურის კ. ჰანის მასალების მიხედვით), ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი.
11. ხაჩიძე ლ, ი. (1987), მინჩხის პოეზია, თბილისი.
12. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, (1913), ტფილისი.
13. Xavier Leon-Dufour, (1983). Dictionary of the New Testament,
14. Бардавелидзе В. (1957)., древнейшие религиозные верования и обрядово-графическое искусство грузинских племен, Тб.,
15. . Пресиддер, Д. (1999). Словарь символов, пер. с англ. С. Палько, М.,

Linguo-Paradigmatic Aspects of the Concept “Tree”

Miranda Todua

Nona Ketsbaia

Sokhumi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.450>

Abstract

In ancient Georgia, tree was designated as a beam, which is a common Kartvelian linguistic symbol. Tree is often used as a part, forming the complex basis and acquires another metaphorical meaning. Symbolic meaning of three is also very interesting which is met in Christian, as well as pagan world. A trace of worshipping a tree is met in oral telling, fairy tales and native poems and songs, as well as toponyms and the monuments of the objective culture. There are a lot of symbols of tree. Each type expresses different aspects of the sacral tree symbolism. A cult of a tree has a certain place in historical development of the Christian religion. In the Christian perception, an eternity of life is related to a tree. It is a metaphor creating the world. In the ecclesiastic poetry, “A tree of knowledge” and “A life tree”, both consider the Christ. Symbolism of a beam is also interesting. It is connected to the torment of the Savior as well. It is called as “a beam of life”, which underlies the vivifying power of a cross, which spread the blessing grace on the world. Symbolism of the tree yield is also distinguished. It is represented in various ways in the Bible and the Spiritual poetry.

Key words: hymnography, tree symbolism, tree of life, symbolism, cult.

მცველი „კარდუს ციხისა“

ნინო კოჭლოშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.451>

აბსტრაქტი. გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების გზა, მისი მხატვრული თუ ეპისტოლური მემკვიდრეობა ქართული ეროვნული სულის გადარჩენისათვის შეუპოვარი ბრძოლის ნათელი მაგალითია.

ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლამა და გზების ძიებამ გრიგოლ რობაქიძე ძლიერი პიროვნების მეხოტბედ აქცია. თუმცა, „მუსოლინისა“ და „ადოლფ ჰიტლერის“ ავტორს თანამედროვეების დარწმუნებაც დასჭირდა მდინარის მესამე ნაპირის არსებობაში, რომელიც უფრო „გონხმიერია ვიდრე „მარცხენა“ თუ „მარჯვენა“.

გრიგოლ რობაქიძემ თავისი შეუპოვარი და ქედუხრელი დამოკიდებულება რუსულ იმპერიულ ზრახვებთან მეტად საინტერესოდ წარმოაჩინა „იმამ შამილის“ მხატვრული სახის შექმნით .

ნოველის ფინალი, როგორც როსტომ ჩხეიძე იტყოდა, მოდერნისტული თხზულებებისათვის ნიშანდობლივი „ღია ფინალი“, მწერლის პოლიტიკური მიზანსწრაფვაა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული და შეუპოვარი ბრძოლით გამოხატული.

გრიგოლ რობაქიძე შამილისეულ ქედუდრეკლობას იჩენს პირად წერილებშიც, როდესაც მამულის ინტერესების დაცვა უწევს.

მიხეილ წერეთელს, პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ აქტივისტს ერთ-ერთ წერილში წერდა: **ჩემი ციხე კარდუს ციხეა! ეს სიმაგრე დღემდე ვერავის შეუნგრევია! ჩიტირეკიათა ხროვა რას უზამს მას?! ამ ციხის ერთი კუთხის დაცვა მე ჩვენმა მამულმა მარგუნა! ერთი წუთითაც არ დაეჭვდეს მამული ჩვენი, არცა დედული, მარჯში ჩემი ძალისა! არ გაცუდდების მკლავი ჩემი.“?**

კარდუს ციხის მცველობამ, ერისა და ქვეყნის წინაშე დააკისრებული მოვალეობისა და ტვირთის ქედუხრელად ზიდვამ სამშობლოსგან მოწყვეტილ მწერალს მისცა უფლება გაენდო თავისი გულისნადები მიხეილ წერეთლისადმი:

„ბევრი რამ შესძინე შენ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, მგონია, მეც ჯეროვნად ვემსახურე მას... მე პირადად, აი ამ უბერურების წამსაც, არ ვთვლი ჩემს თავს „უბედურად“ – უთვალავნი წუთნი ბედნიერებისა მრგებია მე ჩემს სიცოცხლეში“.

გრიგოლ რობაქიძე ბედნიერების უთვალავ წუთებს აუცილებლად მიათვლიდა მცხეთაში მისი სახელის გახსენების ნატვრას, მას ხომ ეს ქალაქი ესახებოდა ჩვენი მიწის წმინდა საშოდ და მის ძვლებსაც იქ ეგულებოდა კარდუსს საფლავი.

საკვანძო სიტყვები: გრიგოლ რობაქიძე, კარდუს მცველი, ეროვნული.

„შენ იცი მხოლოდ
მშობელი მიწავ: თუ რისთვის ვენთე.
უკანასკნელი
მიიღე ჩემგან სიცოცხლის ღვეთი:
ჩუმი და უთქვი_
და შესვი სუნთქვით“

გრიგოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების გზა, მისი მხატვრული თუ ეპისტოლური მემკვიდრეობა ქართული ეროვნული სულის გადარჩენისათვის შეუპოვარი ბრძოლის ნათელი მაგალითია.

ევროპულმა ლიტერატურულმა ელიტამ მალევე შენიშნა ემიგრანტი მწერლის პატრიოტული სულისკვეთება. გერმანელი მწერალი ფ.ჰოენტში გრიგოლ რობაქიძეს „სულით არისტოკრატსა და თავისი ხალხის სულიერ მეთაურს უწოდებდა“. გერმანელი კრიტიკოსი რუდოლფ კარმანი კი აღნიშნავდა, რომ „გრიგოლ რობაქიძე ფლობდა გოლიათურ ენერგიას, მაგრამ წლების განმავლობაში მას ჰკლავდა და სულს უფერფლავდა ჯავრი და ღვეთავდა ვარამი სამშობლოსი“.

ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლამა და გზების ძიებამ გრიგოლ რობაქიძე ძლიერი პიროვნების მეხოტბედ აქცია. ძლიერი პიროვნება ეიმედებოდა მას საბჭოური ყოფისგან თავის დასაღწევად, როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა, გრიგოლ რობაქიძეს ენატრებოდა საქართველოში იმ პიროვნების ხილვა, რომელიც ქართველ ხალხს გააღვიძებდა, საკუთარი ძალის რწმენასა და იმედს ჩაუნერგავდა, როგორც ჰიტლერმა გააკეთა ეს გერმანიაში, მუსოლინიმა_იტალიაში. თუმცა, „მუსოლინისა“ და „ადოლფ ჰიტლერის“ ავტორს თანამედროვეების დარწმუნებაც დასჭირდა მდინარის მესამე ნაპირის არსებობაში, რომელიც უფრო „გონხმიერია ვიდრე „მარცხენა“ თუ „მარჯვენა“.

გრიგოლ რობაქიძე პირად წერილებში გულწრფელად შესჩვივის ნიკოს კაზანძაკისს თუ როგორ დაქანცა ბოლშევიზმის ძალადობამ, მისმა დემონურმა ფაზამ როგორ გახადა იძულებული ჯერ კიდევ 1928 წელს მიეღო მტკიცე გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის დატოვების თაობაზე.

საბჭოური ყოფა მისთვის ტკივილთან ერთად იყო, როგორც თავად იტყოდა, „მოლეკულებისაგან შემდგარი საბჭოთა კოლექტივის შთაბეჭდილებებში ჩაძირვა“, რამაც, წინასწარი განჭვრეტის უნარით, საინტერესო ასახვა ჰპოვა „ჩაკლულ სულში“, როგორც ანარეკლმა მოსკოვში მოგვიანებით შემდგარი უსახური დღეებისა.

გრიგოლ რობაქიძემ თავისი შეუპოვარი და ქედუხრელი დამოკიდებულება რუსულ იმპერიულ ზრახვებთან მეტად საინტერესოდ წარმოაჩინა „იმამ შამილის“ მხატვრული სახის შექმნით .

მიუხედავად იმისა, რომ შამილის მეთაურობით თავისუფლებისმოყვარე კავკასიელები მშობლიური მიწის ყოველ გოჯს მედგრად იცავდნენ, იგერიებდნენ რუსთა ურდოებს, მრავალრიცხოვან მტერს დარგოსთან მარცხსაც კი აწვნიებდნენ, მაინც „რუსნი არ დრკებიან, არ ცხრებიან: რაზმი რაზმს ემატება, მოგორავენ ვითარ ზვავნი მოხეთქილნი _ ეტანებიან შეუვალ მალლობებს, ხანდახან კიდევაც იპყრობენ რომელიმეს, და, შემდგომ: ეშვებიან სისხლით დამთვრალნი მშვიდობიან აულებში, აოხრებენ და არბევენ მათ“(რობაქიძე, 2012:87).

ჩვიდმეტწლიანი ბრძოლაგამოვლილ ნაიბებეს ეჭვი ღრღნით, როდემდე გაუძლებენ

მომხვდურს... დაზავებას გაივლებენ გულში, თუმცა, შამილთან ზავის ხსენება არ იყო ადვილი... შამილის დედამ იტვირთა ნაიბთა გადაწყვეტილების შვილთან გამხელა...

შამილი რუსთა მორჩილებას ასე ადვილად არ დასთანხმდებოდა, მან დაზავება სირცხვილის დაღად მიიჩნია... „უძლეველნი ნაშიერნი უძლეველ ავართა, რომელთაც ერთხელ თვით შაჰ-ნადირიც უკუაქციეს ძარღვეშიმინებული – ეს ქედმაღალი და მრევი ხალხი რუსეთის მეფეს დაემორჩილოს?! არასოდეს! სიტყვა ტვინში იწვოდა – ხოლო დაეჭვება არ ცხრებოდა. მიაგელვებდა მხედარი ბედაურს...

„რა ჯებირი შეაკავებდა მხედარს? მინავარდობდა შამილი და გრძნობდა თან ის „მეორე“, ის „სხვა“ , ის მრევი ყველასი – მის არსში იზრდებოდა, როგორც ენგადი ამოხატულ წყაროს ტანში. ერთი ლელო კიდევ და: ამოშრეტილი ტანი აივსო. შამილში თითქოს ის „მეორე“ იშვა, ის „სხვა“, ის მრევი ყველასი“(რობაქიძე, 2012:96). გამბედავის ბედში დარწმუნებული იმამ შამილი გადაეწვოდა ხრამს და

„ლა ილლაჰ ილ ალლაჰ! მარჯი იმამს!“ მოექცენ უვნებელ გაღმა. წინ: იმამ შამილ, უკან: მეორენი. მინავარდობენ ახელებულნი. რომელ უფსკრულს შეუშინდებიან? რა ჯებირი შეაკვევებთ?

„იარაღად არააღუე_

ოდოღარ იდაღლა!“ (რობაქიძე, 2012:102).

ნოველის ფინალი, როგორც როსტომ ჩხეიძე იტყვოდა მოდერნისტული თხზულებებისათვის ნიშანდობლივი „ღია ფინალი“, მწერლის პოლიტიკური მიზანსწრაფვაა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული და შეუპოვარი ბრძოლით გამოხატული.

გრიგოლ რობაქიძე შამილისეულ ქედუდრეკლობას იჩენს პირად წერილებშიც, როდესაც მამულის ინტერესების დაცვა უწევს.

მიხეილ წერეთელს, პოლიტიკური ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ აქტივისტს ერთ-ერთ წერილში წერდა: „კარდუს სამფლობელო: საქართველო ნამდვილი: მარად მყოფადი ქართველთა_თქვენდა საუბედუროდ თქვენთვის ჯერაც „უცხო“ ხილია, სამწუხაროდ ჩვენდა კი: თქვენ „იწილო-ბიწილოთი“ გინდათ ალაღინოთ კვლავ საქართველო!! აი პასუხი! პასუხი რომ მშრალ სიტყვად არ დარჩეს, წარმოვსთქვამ ორიოდე შაირს. წინასწარვე ვიცი, რა მოხდება: ტაშისა და ვაშას გრიალი. ასე „შევაჩვენებ“ მათ! მიხეილ! შენ იცი: მე ნელი კაცი ვარ, მომთმენი, ხოლო ესეც უნდა იცოდე: თუ ერთხელ „ავიწყვიტე“, ვერავითარი ჯებირი ვერ დამაკავებს. ამ წერილს მე სამემრისოდაც ვწერ. ჩვენს მიმოწერას მონახავენ ალბათ ოდესღაც არქივებში, და, შენს წინაშე უნდა ვსთქვა ესეც: ჩემი ციხე კარდუს ციხეა! ეს სიმაგრე დღემდე ვერავის შეუნგრევია! ჩიტირეკიათა ხროვა რას უზამს მას?! ამ ციხის ერთი კუთხის დაცვა მე ჩვენმა მამულმა მარგუნა! ერთი წუთითაც არ დაეჭვდეს მამული ჩვენი, არცა დედული, მარჯში ჩემი ძალისა! არ გაცუდდების მკლავი ჩემი“ (რობაქიძე, 2012: 311-312).

გრიგოლ რობაქიძეს ხომ „გრაალის“ მცველად მიაჩნდა თავი, „ვიგულვებ ჩემს თავს ერთერთ მცველად ავალლონის სინათლისა. ვამხილებ ამას საანდერძოდ: ანდერძის გამოთქმისას ადამიანი არ ცდება, ვინაითგან არ მაცდურობს. აქა ერთი ბიოგრაფიული დეტალიც, დავიბადე სოფელ სვირში_ სვირი, გაგახსენებ, ძველს ქართულში ნიშნავს „მცველს“(რობაქიძე, 2012: 322),_ წერს 1952 წელს.

კარდუს ციხის მცველობამ, ერის და ქვეყნის წინაშე დააკისრებული მოვალეობისა და ტვირთის ქედუხრელად ზიდვამ სამშობლოსგან მოწყვეტილ მწერალს მისცა უფლება მიხეილ წერეთელისთვის გაენდო თავისი გულისნადები:

„ბევრი რამ შესძინე შენ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, მგონია, მეც ჯეროვნად

ვემსახურე მას. წუთსა სასოწარკვეთისასა გვანუგეშებს „ჯვარი ვაზისა“, გაგვამხნეებს ხრმალი დავითის-აღმაშენებელისა, მოგვანათებს შარავანდი თამარის, გაგვამაგრებს წამებული ქეთევან – დაგვლოცავს ჩვენი ერის თაურმდგენი: დიდი კარდუ. ეს „სოფელი“ „სადგურია“ მხოლოდ. „სამყარო“ – მარადისობაა. რაც ამ სოფლად მოვიპოვეთ, ნაყოფს იგი იმ სოფლად გამოიღებს. ეს უნდა ახსოვდეს ყველას ჟამ-ყოველ – ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენც, შენ და მე, ეგზომ დატანჯულთ. მე პირადად, აი ამ უბერურების წამსაც, არ ვთვლი ჩემს თავს „უბედურად“ – უთვალავნი წუთნი ბედნიერებისა მრგებია მე ჩემს სიცოცხლეში“(რობაქიძე, 2012: 318).

გრიგოლ რობაქიძე ბედნიერების უთვალავ წუთებს აუცილებლად მიათვლიდა მცხეთაში მისი სახელის გახსენების ნატვრას, მას ხომ მცხეთა ესახებოდა ჩვენი მიწის წმინდა საშოდ და იქ ეგულებოდა მის ძვლებს კარდუჰს საფლავი.

ლიტერატურა:

1. რობაქიძე, გ. (2012). კავკასიური ნოველები. თბილისი: არტანუჯი გამომცემლობა
2. რობაქიძე, გ. (2012). პირადი მიმიწერა. თბილისი: არტანუჯი გამომცემლობა

The Defender of Kardu Fortress

Nino Kochloshvili

Iakob Gogebashvili Telavi State Iniversity

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.451>

Abstract

The life of Grigol Robakidze, his creative works and epistolary legacy are a good example of a persevering fight for the survival of Georgian national spirit.

Fighting for the better future and seeking the means for it, turned Grigol Robakidze into the panegyric of a mighty personality. However, the author of “Mussolini” and “Adolf Hitler” had to prove to his contemporaries that there was the third shore as well, that was more ‘reasonable than ‘left’ or ‘right’.

GrigolRobakidze manifested his persevering and unyielding attitude towards Russia’s imperialistic intentions through creating the character of Imam Shamil in a very remarkable manner.

The ending of the novella, as the literary critic RostomChkheidze would call it ‘open ending’, in line with the modernism, is nothing but the author’s political belief, expressed in the idea of committed and ceaseless struggle for freedom and independence.

Like Shamil, GrigolRobakidze, holds the uncompromising stance in his private correspondence when he has to stand for the interests of his homeland.

In the letter addressed to Mikheil Tsereteli, the organization Tetri Giorgi activist, Robakidze wrote: **“My fortress is Kardu fortress! Nobody has ever broken into this fortress! The mob of scatter-brains will be powerless against it! My homeland has honored me to be the**

defender of one corner of the fortress! May our homeland never grow doubtful of my victory! My strong arm will be ever strong and never fail me!”

Having been the defender of Kardu fortress for years, having carried his cross and served his nation and country faithfully, the writer who was far away from the dear homeland, took the liberty to be open with his friend:

“You contributed a lot to our dear homeland! I believe, I too have served it devotedly...Even as I write it, facing my unhappy lot, I do not consider myself ‘unhappy’...there have been uncountable happy moments in my life”.

Obviously, his cherished dream about his name to be remembered and mentioned in Mtskheta would have been one of these uncountable happy moments in his memory. For he regarded this town as the sacred womb of our land and the resting place of Kardu.

Key words: Grigol Robakidze ,defender of kardu, national

**კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“
კონცეპტები**

**კუცია ნანა
თოდუა მირანდა
ტურავა მარინე**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.452>

აბსტრაქტი: კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ გამორჩეული ტექსტია. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურული კანონის ზეობისას დიდ მწერალი ქმნის ეპოქის მონუმენტურ სურათს, აბსოლუტურად „ამოვარდნილს“ ჟამის ლიტერატურული კანონიკიდან.

მითოსის, ფოლკლორის, ისტორიული კოლიზიების ორიგინალური ნაზავი ქმნის უნიკალურ მხატვრულ ქსოვილს.

წერილის მიზანია წარმოვადგინოთ რომანის საბჭოური და პოსტსაბჭოური აღქმის კონცეპტები, კერძოდ, ბესო ჟღენტისა და სოსო სიგუას ესეების გააზრება.

ლიტერატურათმცოდნეთა აღქმა აბსოლუტურად განსხვავებულია.

საბჭოური კრიტიკის აღქმით, ტექსტი სოციალისტური აღმშენებლობის აპოლოგიაა, დადებითი პერსონაჟი არზაყანია, რომელიც „ახალი დროის გმირია“, „ეპოქალურად“ მოაზროვნე, ცივილიზაცია უპირატესია კულტურაზე, ბოლშევიზმი – ყოფიერების ტრადიციულ ქართულ წესზე.

პოსტსაბჭოთა კრიტიკის კონცეპტით, რომანი წარმოუდგენელი სიღრმით რეფლექსირებს ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი, უნიკალური ქართული კულტურის ბედს ბოლშევიზმის ზეობისას, რეალური გმირი თარაშია – გენეტიკით, აღზრდით, ერუდიციით, ტრადიციულობით გამორჩეული, კულტურა უპირატესია ცივილიზაციაზე, ყოფიერების ქართული წესი – მარადიული, გამართლებული, წარუვალა, განსხვავებით ბოლშევიზმის „მრწამსისაგან.“

წერილში გამოვკვეთეთ რომანის მითოსური შრეები, ანტიკური ტრაგედიის პლასტები ტექსტში: ერთი მხრივ, მწერლის მიერ არზაყანის, როგორც „ახალმოწესის“ პერსონაჟის ხატვისას მამისმკვლელობის, ინცესტის პედალირება ბოლშევიზმის არსის წარმოსაჩენად, მეორე მხრივ – სხვა ბოლშევიკის (არლან არენბას) მიერ ათასწლოვანი მუხის მოჭრა, როგორც ასევე პარაბოლა ფესვების სიძულვილისა.

ტექსტში ერთმანეთს ეწვნის დიონისურ-აპოლონური პლასტები, წარმომჩენი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ნიცშეანური, ბერგსონისეული კონცეპტებისა, რაც უაღრესად ორიგინალურად და ორგანულად ერწყმის ზოგადქართული მითოსის საინტერესო პასაჟებს (არამხუტუ-ამირანი, ათასწლოვანი მუხა, მეზირი...).

რომანში გამოკვეთილია ანტიკური მოირა-ფატუმის (ბედისწერის) კონცეპტიც, რაც ასევე ხაზგასმულია წერილში. ასევე რეფლექსირებულია ჰესიოდეს „თეოგონიისა“ და აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ პასაჟები (ზევისი

მიერ კრონოსის მოკვლა, მიცვალებულთა ხეზე დაკიდება და სხვ.).

„მთვარის მოტაცება“ ნამდვილად „ეპოქის დოკუმენტი“ (ს. სიგუა), „ქართული რომანისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევა“ (რ.ჩხეიძე), ტექსტი, რომელშიც ყოველი თაობის მკითხველი ამოიკითხავს მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ტრაგედიის უზუსტეს მხატვრულ ანარეკლს.

საკვანძო სიტყვები: რომანი, სოციალისტური რეალიზმი, საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა, მითოსი, ეპოქა.

„მთვარის მოტაცება“ კონსტანტინე გამსახურდიას მთავარი თხზულებაა (თუმცა ქართული კრიტიკა გაცილებით დიდ ყურადღებას უთმობდა „დიდოსტატის მარჯვენასა“ და ტრილოგიას „დავით აღმაშენებელი“).

მონოგრაფიაში „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ როსტომ ჩხეიძე წერს: „კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების გვირგვინი მაინც აღმოჩნდებოდა თანადროულ ცხოვრებაზე შექმნილი სამკარიანი რომანი „მთვარის მოტაცება“, ქართული რომანისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო მიღწევა. მწერლის სტილურ-ენობრივმა ძიებებმა განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია ჩვენს სამწერლო ცხოვრებაზე, თავგადაკლულმა მცდელობამ – შემოქმედებითაც და თეორიულადაც ემტკიცებინა და დაედასტურებინა სტილიზაცია და უაღრესი ალბიონის აუცილებლობა – ბევრწილად განსაზღვრა მწერლობის სასიცოცხლო ძარღვის შენარჩუნება და ძალდაუტანებლად გაუგივდა გმირობას“ (ჩხეიძე, 2015: 85).

რომანი 1933-34წ.წ. დაიწერა, იბეჭდებოდა „მნათობში“, წიგნად გამოიცა 1936 წელს (მოქმედება ხდება 1931 წლის აპრილიდან 1932 წლის აპრილამდე, გიორგობა – 23 აპრილი (ძვ. სტ.) კრავს სიუჟეტს). საბჭოთა კრიტიკამ მწერალი „ნაციონალისტად“, „ფაშისტად“, „კონტრრევოლუციონერად“ მონათლა.

სოსო სიგუას ლაპიდარული დეფინიციით, „მთვარის მოტაცება“ იყო მომავალი კატაკლიზმების საოცარი წინათგრძნობა, „დიდოსტატის მარჯვენა“ – ისტორიაში გადატანილი 1937 წლის მოდელი („ტირანი“ მეფისა და თავისუფალი ხელოვანის დაპირისპირება, დასრულებული ხელოვანის დაღუპვით) (სიგუა, 1990: 6).

მეოცე საუკუნის ოციანი-ოცდაათიანი წლების მიჯნა უმძიმესი პერიოდი იყო ქართული საზოგადოებისათვის. ეს ჟამიანი ჟამი „ეპიური მასშტაბურობით“ (ჟღენტის, 1973: 25) აღწერა მწერალმა.

რომანის „მრავალ შენაკადად განშტოებულ სიუჟეტურ მდინარეებში“, სხვა შრეებთან ერთად, წარმოჩნდება მითოსურ-ფოლკლორული შრე. ს. სიგუა წერს: „კონსტანტინე გამსახურდია შემოქმედებით, მსოფლმხედველობით, სტილით დაკავშირებული იყო გერმანულ კულტურასთან, ძველ ქართულ და ელინურ სამყაროსთან“ (სიგუა, 1990: 6).

30-იანი წლები ის ჟამია, როდესაც ისეთ პატრიარქალურ, წმინდა კუთხეშიც კი, როგორც სვანეთია, ჩნდება „მოლაპარაკე ხე“ – (ბოძზე დამაგრებული რეპროდუქტორი), როგორც სიმბოლო ცივილიზაციისა, კულტურასთან დაპირისპირებული პარადიგმა. მითოსური შრეებიც, საბჭოთა მკვლევრის, ბესო ჟღენტის თვალსაზრისით, „გააზრებულია საუკუნის მწვავე კონფლიქტების ასპექტში.“ ტენდენციური, კონიუნქტურული მკვლევარიც კი მართებულად შენიშნავს, რომ „თუ მოვიხილავთ მთვარის მოტაცების“ მხატვრულ-სტილისტური ბუნების ილუსტრირებას, დაგვჭირდებოდა თითქმის მთელი რომანის ციტირება“ (ჟღენტის, 1973: 27).

ათომეულის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ქართული საბჭოთა კრიტიკის „ფლაგმანი“ ბესო ჟღენტი ეპოქისათვის დამახასიათებელი კონიუნქტურული პათოსით ჰყვება ტექსტის ლაპიდარულ შინაარსს, მწერლის პოზიციისაგან აბსოლუტურად განსხვავებულია პოზიცია მკვლევრისა, მაგრამ ინტელექტუალმა მკითხველმა თანადროულ ეპოქაშივე სწორად განსაზღვრა ტექსტის იდეაცა და მხატვრული მიზანდასახულობაც. თუ ყურადღებით წავიკითხავთ „მთვარის მოტაცების“ ბესო ჟღენტისეულ (გამსახურდი, კ. ათომეულის წინასიტყვაობა, 1973, 24-32) და სოსო სიგუასეულ ანალიზს (სიგუა ს. 1990:7), იქნებ, გვეგონოს, რომ სხვადასხვა ნაწარმოებზე საუბარი, იმდენად განსხვავებულია აღქმის რაკურსიც და კონცეპტიც.

სოსო სიგუას უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმო დაკვირვებით, „მთვარის მოტაცების“ ლირიკული ინტონაცია, რომელსაც კვებავდა ძველქართული მეტყველება, ნიცმეს სტილი, მეგრული სიმღერების სილბო, უახლოვდება გალაკტიონ ტაბიძის დ ი ო ნ ი ს უ რ – ა პ ო კ ა ლ ი პ ს უ რ ი ე ფ ე მ ე რ ე ბ ი ს რკალს. რომანი აღსავსეა კონკრეტული მშობლიური რეალიებით, ზმანების ნისლეული ახვევით, რასაც ჩვენამდის მოაქვს უძველესი მ ი თ ე ბ ი, ლ ე გ ე ნ დ ე ბ ი, რ ი ტ უ ა ლ ე ბ ი...“ (სიგუა, 1990:6).

მკვლევრისავ თვალსაზრისით, რომანში „ა ნ ტ ი კ უ რ ი ბ ე დ ი ს წ ე რ ა (თარაშისა და არზაყანის მსოფლმხედელობრივი კონფლიქტი – ნ. კ., მ.თ., მ.ტ.) პოლიტიკად არის ქცეული, განაგებს ადამიანთა ცხოვრებას, მიჰყავს ისინი გამარჯვების ან დაღუპვისაკენ“, დავძენთ, რომ „გამარჯვებაცა“ და „დაღუპვაც“ აქ ფრიად ფარდობითი კატეგორიებია.

კრიტიკოსი მართებულად უთითებს, რომ საბედისწერო (თუ ბედისწერული) კონფლიქტის მიზეზი ის არის, რომ „ერთი [თარაში], „უდროობის გმირი“, ხურავს გვაროვნული ისტორიის სახელოვან მატთანეს, მეორე კი [არზაყანი] – იწყებს.“ მნიშვნელოვანია ის ასპექტიც, რომ ეს ანტიპოდური წყვილი ცნობიერად განსხვავებულია, ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ა დ კ ი – მსგავსი.

არზაყანი „ახალი“ ძალაა, უკეთ – მოძალადე, რევოლუციის ქმნილება და სახეხატება, თარაში – სიძველე, ტრადიცია, კულტურა, მეღანქოლია, დეკადანსი... როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, „ჯაყო ბიოლოგიაა, თეიმურაზი – ესთეტიკაო.“ „მთვარის მოტაცებაში“ „ესთეტიკა“ თარაშის პიროვნებაშია პერსონიფიცირებული, „ბიოლოგია“ – არზაყანისა. მათი კონფლიქტი თამარის პიროვნებასთან მიმართებაში აღწევს კულმინაციას (შემთხვევითი როდია თამარის გენეტიკის ხაზგასმა – თამარი თავადის და მღვდლის ასულია. მარინა ცვეტაევა იმავე ისტორიულ ეპოქასა და იმავე კონტექსტში იტყვის: «Уходящая Расса – спасибо тебе» (Цветаева, 198: 289).

თარაშიცა და თამარიც „რევოლუციის საქაჯავში“ (მ. ჯავახიშვილი) მოხვედრილი „წარმავალი რასაა“ (საინტერესოა, რომ „თავადი ქალი მაიას“ სცენურ-დრამატურგიულ ვარიანტს ლეო ქიაჩელმა „ბედი წარმავალთა“ უწოდა – ნ. კ.).

არზაყანი რევოლუციის, დაუნდობლობის, სისხლის, ძალადობის პერსონიფიკაციაა – კაც ზვამბაიას სიზმარში იგი ინცესტს ახორციელებს, რეალურად კი, ოდნავ მოგვიანებით, კლავს მამას. ბოლშევიზმის პერსონიფიკაცია არზაყანი ინცესტით წაბილწული და მამისმკვლეელია, ძაბულის ძალად გამზახებელი (იქვე გდია მამის ძვლებით სავსე ხურჯინი) – გამსახურდიასეული პარაბოლა გამჭვირვალეა და მამხილებელი.

„ინცესტიც ძალაუფლების სიმბოლოა, აკრძალულის გადალახვა, გზა მშობელი დედის დაუფლებიდან – მშობელი მიწის დაუფლებამდე. გავიხსენოთ იულიუს კეისრის შემზარავი სიზმარი რუბიკონის გადალახვისას და შევუთანადოთ საქართველოს 1921 წლის ტრაგედია“ (სიგუა, 1990: 11).

თარაშის ყოფიერება თითქოს იმთავითვე განსაზღვრულია მითოლოგიური მორათი – „თარაშის შორეული წინაპარი – ვარდან ემუხვარი ხმლით იპყრობდა კარნუქალაქს, რისთვისაც თამარ მეფემ უბოძა სამკვიდრო ეგრისწყლიდან კილასურამდის, მაგრამ იგივე ვარდანი დაწყევლა კათალიკოსმა ფსალმუნის ას და მერვე (108-ე) ლექსით, როგორც 700 წლის შემდეგ – ტარიელ შერვაშიძემ – თარაში... ემხვარების დასაბამი და დასასრული წყევლით არის დადდასმული – გვარს საუკუნეების მანძილზე სდევს არა მხოლოდ მეომრული სული, არამედ – წყევლით მოგვრილი ნევროზი და მელანქოლია. თარაშის იდეალია ბიძა – ერამხუტი, შამილის თანამებრძოლი რუსთა წინააღმდეგ“ (სიგუა, 1990:7).

სოსო სიგუასავე დაკვირვებით, არამხუტ(უ) ამირანის მეგრული ეკვივალენცია, „თარაშის მრავალპლანიანი სულის ერთ-ერთი ჰიპოსტასი ა მ ი რ ა ნ ი ა, ძველი საქართველოს მუდმივი ტანჯვის ხატი.“

მორა-ფატუმის (ბედისწერის) სიმბოლოა რომანში ენგურის ხატებაც, პარადიგმა, რომელიც რომანის ექსპოზიციამაც ჩნდება და ფინალურ პასაჟებშიც. ტექსტის დასაწყისში კაც და არზაყან ზვამბაიები მშვიდობიანად გადალახვენ ბობოქარ მდინარეს, ფინალში კი – თარაში ილუპება[შდრ. „ანა კარენინას“ ექსპოზიცია და ფინალი – მსგავსი პასაჟი – მატარებლის ქვეშ მოყოლილი „მგზავრი“ – ექსპოზიციაში ანა, ფაქტობრივად, „ხედავს“ თავის მომავალს, მაგრამ, რასაკვირველია, ვერ განჭვრეტს].

აბსოლუტურად განსხვავებულია ენგურის გადალახვა-ვერგადალახვის ინტერპრეტაცია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კრიტიკაში. შევადაროთ:

ბ. ჟღენტი: „რომანის პირველ თავში ადიდებული ენგურის მძვინვარე ტალღებს ებრძვიან ოქუმიდან ზუგდიდს მიმავალი კაც და არზაყან ზვამბაიები. მათ გადალახეს ორთაბრძოლის სიძნელე და მშვიდობიანად მიაღწიეს ნაპირს. რომანის ფინალურ სურათში იმავე ენგურის ტალღებმა ჩანთქეს თარაშ ემხვარი. ეს ორი ანალოგიური, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგით დამთავრებული სურათი გვიჩვენებს, თუ როგორი განსხვავებული ბედი განუმზადა ჩვენმა დიდმა რევოლუციურმა ხანამ [კონიუნქტურული ხარკი – ეპოქას – ნ. კ.] არზაყან ზვამბაიას და თარაშ ემხვარს, როგორც სხვადასხვა სოციალურ ტიპს“ (ჟღენტი, 1973: 31).

ს. სიგუა: „თარაშ ემხვარის სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი, ეტრფის წმინდა გ ი ო რ გ ი ს, რომლის სახელქვეშ ძველქართული მ თ ვ ა რ ი ს ღვთაება იგულისხმება. წმინდა გიორგი იყო გამოსახული ფეოდალური საქართველოს დროშებზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბზე... მ თ ვ ა რ ი ს მ ო ტ ა ც ე ბ ა ნ ი შ ნ ა ვ ს, რომ ე ნ გ უ რ მ ა (რევოლუცია, აქერონტი) ჩანთქა მთვარე – წმინდა გიორგი (ღვთაებრივი ნათელი) ანუ თარაშმა დაკარგა დამოუკიდებელი საქართველო, ისტორიული – წარმართულ-ქრისტიანული წარმოდგენებით აღვსილი – სიცოცხლის მთავარი მიზანი“ (სიგუა, 1990: 7).

თარაშის იდეალი (ისევე, როგორც კონსტანტინე სავარსამიძის თუ სტივენ დედალუსისა – ნ.კ.) ე ლ ი ნ უ რ ი, ა ნ ტ ი კ უ რ ი კულტურა და ცხოვრების წესია (თარაშის სიტყვებით, „ხელახალი გაბარბაროსება.“ ბაკ მალიგანიც ეუბნება სტივენს „ულისეში“ მე და შენ თუ ვუშველიდით ამ კუნძულს (ირლანდიას) – „გავაელინურებდითო“) (ჯოისი ჯ., 2015).

თარაშის სულიერი დამაბუნების მრავალთავან ერთ-ერთი მიზეზი მისი დისერტაციის დაწუნებაცაა თბილისის უნივერსიტეტში. დისერტაციის თემაა „კოლხური ფეტიშიზმისათვის“ – ანუ ევროპის უნივერსიტეტ(ებ)დამთავრებული ქართველის კვლევის სივრცე წ ა რ მ ა რ თ უ ლ ი კ ო ლ ხ ე თ ი ს ძველთუძველესი კულტურაა, რაც,

ბუნებრივია, აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის სტალინის ეპოქის სულისძვრასთან.

არც სვანურ პატრიარქალურ სივრცეს (ქორა მახვშის კომკს) ინდობს ცივილიზაცია (არზაყანი წილს დაიდებს მახვშის დალუპავშიც), ბოლშევიზმის მანქანა. მეზირის (ფუძის მფარველი ტოტემ(ურ)ი გველის) მოკვლა პარაბოლური დეტალია „მთვარის მოტაცებისა.“ ბუნებრივია, ეს მკვლელობა აბსოლუტურად განსხვავებულია ნოველა „ტაბუში“ მორიელის მოკვლისაგან.

ასევე პარაბოლურია ბოლშევიკ არლან არენბას მიერ სოფელ დურიფში ხუთასწლოვანი ტოტემური მუხის მოჭრა (პარაბოლურად – ფესვების განადგურება).

ტოტემური მუხაც, მეზირიც კულტურის არქეტიპული ენიგმებია. კაც ზვამბაია ცივილიზაციას უფრთხის, ეწინააღმდეგება – ტფილისზე ამბობს, „ტფილისში არიანო უღმერთოები და საკატორღე ხალხი, ტიფიც იქიდან იწყებაო პირველად.“

ს. სიგუა საგანგებოდ უთითებს, რომ კაც არასოდეს ახსენებდა „ბოლშევიკს“ – მისთვის ეს ცნება ტაბუირებულია (გავიხსენოთ ნოველა „ტაბუს“ კონცეპტი – რომ „სახელმა სახე არ გამოიხმოს“).

ცივილიზაციის პარაბოლურ სახედ რომანში სვანეთში ლალუმებით აფეთქებული ხეობები ჩნდება [მსგავსია კონცეპტები მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელოსი“, გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულისა“ და „ენგადისა“].

ს. სიგუა წერს: „მწერალი თავის თვალსაზრისს გვისაბუთებს მ ი თ ო ს უ რ ი და ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ალუზიებით და პარალელებით, ა რ ქ ე ტ ი პ ე ბ ი ს, ტ ო ტ ე მ ე ბ ი ს ა და ჰ ი პ ო ს ტ ა ს ე ბ ი ს სისტემათა თხზვით, ცნობიერის ფსიქოლოგიზმს ერთვის არაცნობიერის ფსიქოლოგიზმი“ (სიგუა, 1991: 10).

მამის მკვლელობა (შდრ. სტალინის სიძულვილი მამისადმი, ბოლშევიკების მიერ მეფის ოჯახის ამოწყვეტა, სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას მკვლელობა) პატრიარქალობის, კულტურის მკვლელობაა (ს. სიგუას დაკვირვებით, „თარაში მამის ერთგული შვილია, არზაყანი – ახალი ღვთაების ხატება“).

მითოლოგიისავე პრინციპით, მამის მკვლელობის შემდეგ ძმები ერთმანეთს დაერევიან – ეს სქემა „მთვარის მოტაცებაშიც“ იკვეთება, ახალი „ბელადი“ უნდა გაჩნდეს. მაუზერი (არზაყანი) კალამს (თარაში) დაჯაბნის, ამ (ბოლშევიკურ) სივრცეში მაუზერიანი კაცია გამარჯვებული (თეიმურაზიც ამბობს, „რაც ამათ [ბოლშევიკებს] სჭირდებათ, მე არ ვიცი, რაც მე ვიცი, ამათ არ სჭირდებათ“).

ჩეკისტი არზაყანის სახეში, სოსო სიგუას დაკვირვებით, სიმბოლურად განსახიერდება კაენის, ოიდიპოსისა და კეისრის არქეტიპული სახეები – „თავის ბუნებაში აერთიანებს მათ ცოდვასა და უმძიმეს დანაშაულს.“

საბჭოთა ეპოქაში ტექსტიდან ამოიღეს მამისმკვლელობისა და სიზმრისეული ინცესტის პასაჟები – იმდენად გამჭვირვალე იყო პარაბოლა (კაც ზვამბაიას დატირების სცენა ფოლკლორისა და მითოლოგიური წარმოდგენების ბრწყინვალე ანარეკლია).

ტარიელ შერვაშიძის, ლუკაია ლაბახუას, ბოლოს კი თარაშის დალუპვით იგავურად მინიშნებულია, რომ ბოლშევიზმი ებრძვის, ანადგურებს პატრიარქალურს, ისტორიულს, მითიურს, ტრადიციულს, წმიდათაწმიდას. „ახალმოწესეთა“ (ასე იხსენიებდა ბოლშევიკებს ოთარ ჩხეიძე) ზეობა დამდუპველია (დ. ბენაშვილი პარალელს ავლებს ლუკაია ლაბახუასა და კვაზიმოდოს შორის (ბენაშვილი, 1967, 293).

სტალინის ტოტემური არსი რომანშიც გაილანდება. კრიტიკოსები აღნიშნავენ თარაშის ამბივალენტურ მიმართებას ბელადისადმი [როგორც პიერ ბეზუხოვსა აქვს გაორებული დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი რომანში „ომი და მშვიდობა“ – ნ. კ].

„თარაშმა კარგად იცის, რომ სწორედ სტალინის „წყალობით“ განადგურდა მისი ოჯახი, გააქციეს უცხოეთში, ჩასვეს ციხეში, აუწერეს მამულები, დაუწუნეს ნაშრომი, მოუჭრეს მომავლის გზა, საქართველოს ხელახლა დაადგეს მონობის უღელი, მაგრამ სტალინში ხიბლავს (!) „ძლიერება და მშვენიერება“, როგორც რომანტიკოსსა და მჭვრეტელს... ძლიერი თავისთავად არის მშვენიერი, რადგან ბედისწერის ურჩია ან თავად არის ბედისწერა.“

ზემოთქმულის საფუძვლად კრიტიკოსი ს. სიგუა მიიჩნევს ე.წ. „ამორ ფატი“-პრინციპს: „Amor fati“-ისადმი ინტერესი ვლინდება ძლიერი პიროვნების კულტით, რასაც, ერთი მხრივ, მივყავართ ნიცშეს ზეკაცთან, მეორე მხრივ – ბერძნულ ესთეტიზმთან“ (სიგუა, 1990, 13).

მწერალი, რასაკვირველია, პარაბოლურად მიგვანიშნებს პერსონაჟის ცდომილებას – „გმირი“ დიქტატორად, ტირანად ტრანსფორმირდება. ამავე პრინციპს („ამორ ფატი“) ეფუძნება გრიგოლ რობაქიძის დითირამები ჰიტლერისა და მუსოლინისადმი.

მკვლევარი ამ ამბივალენტურობას ხსნის „ჰიპერტროფირებული ოცნებით ქართული სულის ძლიერებაზე.“

ფოლკლორულ-მითოლოგიური პლასტები რომანში განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება პასაჟებში: „ერგეაშვა“, „ნაბუქოდონოსორის სიზმარი“, „ლუკიას გაცხენება“, „ქრისტეს მიერ რეგვენი ლუკაია ლაბახუა“, „ჭადრების ქება“, „მწვანე ცხენი“ ... ტექსტში უთვალავი არქეტიპული პასაჟია „ჩაბნეული.“

ესეში „მთვარის მოტაცების“ რუსული თარგმანი“ სოსო სიგუა წერს: „ოდიპოსის კომპლექსის“ გარეშე არ შეიძლება „მთვარის მოტაცების“ სრული გააზრება... კაც ზვამბაიას მოკვლით არზაყანმა მოკლა არა მხოლოდ ხორციელი მამა, არამედ – წ ა რ მ ა რ თ უ ლ – ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი ს ა მ ყ ა რ ო, მ ვ ე ლ ი ქ ვ ე ყ ა ნ ა, ინცესტითა და მამისმკვლელობით არზაყანი თავად იქცა ახალ ღვთაებად, რადგან მან, „ძმების“ სახელით, გაწირა მამა, როგორც კ რ ო ნ ო ს მ ა, როგორც ზ ე ვ ს მ ა [შდრ. ჰესიოდეს „თეოგონის“ კონცეპტები] (სიგუა, 1991, 654).

„ღევის ქვაბი“, სადაც არზაყანს მამა შემოაკვდა, ასევე მითოსური ლანდშაფტია.

მითოსურია პასაჟი კოლხთა მიერ თავისი მიცვალებულების ხეთა კენწეროებზე დაკიდების შესახებ [არქეტიპი – *აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“*].

მატარებლის გვირაბში შესვლა ჰადესში სიკვდილის საუფლოში შესვლაა. ს. სიგუას აზრით, ეს იგივე „სექსუალური მისტერიაა, წიაღთან დაბრუნება და არა მხოლოდ ვნებათა დაცხრომა“ (სიგუა, 1991, 669).

უსასრულოდ შეიძლება საუბარი რომანის მითოსურ-ფოლკლორულ არქეტიპებზე.

სოსო სიგუა თვლის, რომ „მწერალი ისწრაფოდა პ რ ა ქ ა რ თ უ ლ ი ყოფიერებისა და ცნობიერების აღსადგენად, ქართული ეროვნული ხასიათის დასადგენად და თანამედროვე მასალით ქმნიდა მ ი თ ო ს უ რ რომანს“ (სიგუა ს., 1991, 656).

დავით თევზაძე თარაშის ხასიათის კიდევ ერთ არქეტიპულ ნიუანსზე მიუთითებს – „ჰამლეტურ ასპექტს“, „გამოუვალ პესიმიზმს“ (თევზაძე, 1996, 17).

ეპოქის კონტექსტის გათვალისწინებით, ეს პესიმიზმი აბსოლუტურად გასაგებია...

ლიტერატურა:

1. ბენაშვილი დ., კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1967;

2. თევზაძე დ., კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბ., 1996;
3. ჟღენტი ბ., კონსტანტინე გამსახურდია (ლიტერატურული პორტრეტი) *წიგნში* კონსტანტინე გამსახურდია, თბზულებათა ათტომეული, ტ. 1, თბ., 1973;
4. სიგუა ს., „მთვარის მოტაცება“ – ეპოქის დოკუმენტი *წიგნში* კონსტანტინე გამსახურდია, მთვარის მოტაცება, წინასიტყვაობა, თბ., 1990;
5. სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, 1, თბ., 1991;
6. ჩხეიძე რ., ქართული მწერლობა თვალის გადავლებით, თბ., 2015;
7. ჯოისი ჯ., ულისე, თბ., 2015;
8. Цветаева М., Избранные сочинения в 2-х томах, т.1, М., 1988.

“Concepts of Konstantine Gamsakhurdia`s “Moon`s Abduction”

Kutsia Nana
 Todua Miranda
 Turava Marine
 Sokhumi State University

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.452>

Abstract

“Moon`s Abduction” by Konstantine Gamsakhurdia is a very important text written in the Soviet Georgia. The writer created monumental literary landscape in the period of so called “socialist realism” literary style.

The novel makes a great demand on the reader`s erudition, on his capacity to understand the complex allusions, literary, philosophical and mythological, that characterize Gamsakhurdia`s prose.

The present article deals with the world-outlook of Soviet and Post-Soviet literary critique – on the background of the publicistic letters of the outstanding critics Beso Zhghenti and Soso Sigua.

The novel clears up the writer`s attitude to the revolution, socialism, collectivization of agriculture, person`s role as a member of society.

The Soviet and Post-Soviet critics world-outlooks are absolutely different.

By the Soviet critic (Beso Zhghenti) the novel is an excessive apologia of Soviet system, of Soviet state-building, a positive character (hero) is Arzakan Zvambaia, the security officer, the official of Cheka, Bolshevism is better than traditional life of Georgia, civilization is better than culture.

By the Post-Soviet world-outlook (Soso Sigua) the novel is a reflection of tragedy of the Georgian nation (because of negation of Georgian traditions, unique Georgian culture), a positive character is a prince Tarash Emkhvari, cultural and well-educated person; Bolshevism is tragedy.

Literary, philosophical and mythological allusions characterize Gamsakhurdias literary heritage (verses, short-stories, novels).

The article deals with the world-outlook of the author. The official of Cheka Arzakan is a patricide, another official Arlan cut the centuries-old sacral tree – Bolshevism hates roots and traditions.

There are a lot of mythological characters reflected in the novel (Aramkhutu-Amirani, Sacral-tree, Mezir – Sacral serpent...). A reader feels the influence of Nitcze and Bergson world-outlook, passages from Hesiod`s “Theogony” and Appolonios from Rodoss “Argonautica.”

The novel of Konstantine Gamsakhurdia is one of the best reflections and the best samples of Georgian novel of the 30s of the 20th century epoch.

Key words: Novel, Socialist Realism, Soviet and Post-Soviet Critics, Epoch, Myths.

პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პოეზიაში

ქირია ნანა

ქ.თბილისის N1 ექსპერიმენტული საჯარო სკოლა
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.453>

აბსტრაქტი. ზვიად გამსახურდიას შემოქმედების ერთი თვალის გადავლევითაც კი ჩანს, რომ მას ხანგრძლივი შემოქმედებითი წვა განუცდია, ის უაღრესად ძლიერია მსოფლგანცდებში და მარადიული, უცვლელი, უცნაურად მშვიდი კი, მაგრამ თემატურად ცვალებადი.

მის შემოქმედებაში გრძნობათა აზვირთება და ნააზრევის საბურველი ჰარმონიულად შერწყმია ერთმანეთს. როცა ძალიან მაღალია რეგისტრი ამგვარი ჰარმონიისა, ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში ჩნდება პროფეტიზმის ელემენტები და უნდა ითქვას, რომ უცდომელია მისი წინასწარმეტყველება და ოსტატურად მოქცეული მხატვრულ ყალიბში. მის პოეზიაში ოსტატურად არის შეზავებული წინასწარი განზრახვით გადმოცემული ბუნდოვანი ალეგორია, რაღაც საშუალო ღიაობასა და დაფარულს, გამჭვირვალესა და ბუნდოვანს შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია ენიგმატური პოეზიის დიდოსტატია.

საკვანძო სიტყვები: პროფეტიზმი, ენიგმა, პოეზია, გამსახურდია, შემოქმედება.

კვლევის მიზანი – დიდი ქართველი მოღვაწის, მოაზროვნისა და მწერლის, ზვიად გამსახურდიას შემოქმედების, კერძოდ, პოეზიის კრიტიკული ანალიზი (პროფეტული და ენიგმატური თვალსაზრისით).

მეთოდი – შედარებითია. შედარებაში კარგად ჩანს ზვიად გამსახურდიას ნაწარმოებების ღირსებები და სუსტი მხარეები, უფრო რე – პირველი.

კვლევის შედეგი – ზვიად გამსახურდიასთან პროფეტიზმი სიცოცხლის უდიდესი საიდუმლოა. მისი ენიგმაც და პროფეტიზმიც უძირო თავისუფლებიდან მომდინარეობს.

ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ წინასწარმეტყველება არ არის მატერიისა და ენერჯის გადანაწილება და, ამდენად, არაეოლოგიურია. ეოლოგიაში ახალი არაფერი იქმნება, მხოლოდ ძველი გადაინცვლებს. ეოლოგია აუცილებლობაა, წინასწარმეტყველება კი – თავისუფლება, სადაც ცის გარდაცვალებაში იგულისხმება ხილული ცა, რასაც დარობა დარის მოსდევს, ანუ მარადიული, დაუღვეველი სიკეთე სამოთხისა. ქნარის ფერისცვალებას კი შემოქმედებითი გარდაქმნის ყველაზე ლაკონიური სიმბოლოც კი შეიძლება ეწოდოს. ბიბლიური წინასწარმეტყველების ეგზომ

მცირე ლირიკულ ჩარჩოებში ასე ოსტატურად მოქცევა ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული სიღრმისა და გემოვნების უტყუარი დასტურია. პროფეტული ენიგმა, ასე შეიძლება ეწოდოს აფრაზე გაკრულ გველის მეტაფორას. ხომ არ არის ეს ათასწლეულეულით შეკრული სატანა სუპერსამყაროს, მართლისა და მტყუანის გადარჩევის, უფლის მეორედ მობრძანების შემდგომ საღვთო მეუფების დადგომის სიმბოლო? ავტორი თავისთავს ელაპარაკება, რადგან პროფეტიზმი გამოსხივებისა და დაბადებისაგან პრინციპულად განსხვავდება. ემანაციაში სხივდება მატერია და მატერიიდან მოწყვეტა, ამის დასტურია სტრიქონი – ცის გარდაცვალებას ელი, რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდოდა, რომ სწორედ აქ არის გაცხადებული ფარული თვითდიალოგი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ასე შეფარვითა და, თითქოს, ასეთი თავანკარა ქართულით გამოუტანია სამზეოზე, მაგრამ შეუიარაღებელი თვალთ ამის დანახვა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროებს მისი პოეზია გაცილებით ღრმა კვლევას, ვიდრე ეს აქამდე გაკეთებულა. განსაკუთრებით ამ მხრივ უნდა აღინიშნოს კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას განსაკუთრებული წვლილი მამის პოეზიის კვლევის გაღრმავების თვალსაზრისით (გამსახურდია, 2014):

აფრაზე გაკრული გველი,
 ფერისცვალება ქნარის,
 ცის გარდაცვალებას ელი,
 ახლოა დარობა დარის!
 (გამსახურდია,2014).

ზვიად გამსახურდიასთან პროფეტიზმი სიცოცხლის უდიდესი საიდუმლოა, ახლის წარმოქმნის ან ქმნადობის საიდუმლო, არაფრისგან გამოყვანილი, არაფრისგან გამომდინარე და არაფრისგან დაბადებული შავი ლაქა დანთქმული მარადიულ ბნელში. და ეს უკავშირდება სამებას. მარადიული ბნელის სიშავე სწორედ რომ არაფრის კვინტენსენციაა, იმ ქაოსისა, სადაც შესაქმეს მიხედვით სული ღვთისა მიმოიციქოდა სამყაროს შექმნამდე. ალბათ, დროსა და სივრცის მიღმიერი. ეს არის საიდუმლო საწყისის, პირველადის, სამყარომდელი, ყოფიერებამდე თავისუფლება მის სულში. ამდენად, მიუწვდომელი მრავალთათვის და მხოლოდ რჩეულთა ხვედრი. ენიგმატურია ამ არაფრისგან ჩრდილთა სიმრავლესთან შერწყმა, საღამოს პირად აღმოცენებულებისა. ყვავილთა დარად სწრაფწარმავალი უკვდავ ზრახვათა ჩრდილნი. თავისუფლება კი იესოშია – ის უკვდავ კელაპტრად გვანთებს არარაობის უფსკრულთან მყოფებს. არაფერი, შემდეგ ნაპერწკალი – ყოფა ჩვენი და მერე იესო ამ ნაპერწკალის უკვდავებად გარდამქმნელი. ლექსს შემთხვევით არ ჰქვია სამება, ვითარცა სიმბოლო ძველი და ახალი აღთქმისა, შესაქმემდე, შესაქმის მერმინდელი და მარადიული ყოფის ნაპერწკალი – იესო:

...სამყაროს მთელი უსასრულობა
 შავი ლაქა
 შენი უსაზღვრო ნათლის წინაშე.
 რაც უფრო მოგელტვიან ანგელოსნი
 მით უფრო გმორდებიან
 რაც უფრო ნათლდებიან შენით
 მით უფრო ინთქმებიან
 შენს მარადიულ ბნელში.
 ჩვენ კი, შენს უკვდავ ზრახვათა ჩრდილნი
 საღამოს პირად ალოცვენდებით

ვცახცახებთ და ურთიერთს ვფარავთ
ვიდრე საბოლოოდ არ შევერწყმით
სხვა, უფრო დიდ ჩრდილთა სიმრავლეს.
და ჩვენი დიდების სიზმარი
ქარწყლდება ჩვენი განწირული ცდა
შენამდე მოსვლისა
და ოდენ შთება
შენი ნაპერწკალი
რომელიც შესაქმის გარიჟრაჟზე
დაგვეცა შენგან
და დაგავნთო უქრობ კელაპტრად
არარაობის უფსკრულთან.
(გამსახურდია, 2014).

რატომ იყო ასე გაუტეხელი თავის ბრძოლაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთადერთი დისიდენტი? რას შეეწირა ის? მისი საიდუმლო არის თავისუფლების საიდუმლო. მისი ენიგმაც და პროფეტიზმიც მხოლოდ უძირო თავისუფლებიდან მომდინარეობს, რამეთუ უძირო თავისუფლებიდან შეიძლება ახლის შექმნა, არარსებულისა. ასეთი იყო ახალი საქართველოს შექმნა – საბჭოთა კავშირის რუტინის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება, რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თაობაზე და ა.შ. ეს ჭეშმარიტად „საკვირველ ძლევას“ ჰგავდა. მას შემდეგ ქართველობას იმედის ნაპერწკალი აღარც ჩაქრობია, მიუხედავად წარმოუდგენელი ზეწოლისა. რაღაცისგან, ყოფიერისაგან ახლის შექმნა, არარსებულისა შეუძლებელია. მისგან მხოლოდ დაცლა შეიძლება, დაბადება და გადანაწილება. შემოქმედება კი არაფრისგან, თავისუფლებისაგან, თავისუფლების გზით ყოფიერებასა და სამყაროში გარღვევაა. ხშირად ამას პოეტი ყოფითი თემატიკის უბრალო მაგალითების აღწერით გადმოსცემს, თუ როგორ ექცევა ლუციფერის მონობის არტახებში გავაჭრებული მუზა, თავისუფალი შემოქმედების სიმბოლო, პერსონიფიცირებული; „შავი სიბნელის“ უკიდურესი ზღვარია. ამ ფერის არჩევა ნიშნავს საბოლოოდ მიღებულ აბსოლუტურ გადაწყვეტილებას. შავი, როგორც მაქსიმალურად კონცენტრირებული ფერი, ასახავს აგრესიულ შეუპოვრობას. ის ნიშნავს გაჩერებას. ამგზნები გავლენებისაგან სრულ დაცვას და მათ განდევნას. ის, ვინც პირველ ადგილზე აყენებს შავს, ჯიუტად და შეუდრეკლად წინ აღუდგება საკუთარ ბედს; მათ, ვინც ვერ ღებულობს ამ ფერს, არ ძალუძს აკრძალვების მიღება და დაკარგული თავისუფლების სანაცვლოდ აყენებენ ავტორიტალურ მოთხოვნებს (არასამთავრობო ორგანიზაცია „დენდრონი“). საქმე ისაა, რომ პოეტს მოზმანებული შავი მთვარე შეუდრეკელობისა და აგრესიული შეუპოვრობის სიმბოლოდაც კი აქცევს:

გასწირა ოქროს ვერძი,
გახდა ღორების მწყემსი,
გახდა პოეტი თერძის
მაქო, ძაფი და ნემსი
გადაივიწყა გედი,
გახდა ბატების ძიძა,
ირჩია ხარჭის ბედი,
ტრფიალი დედამიწა,

ო, აღარ გალობს ქნარზე
მზიურ ოცნების ნავში,
მუზა მიადგა კარზე
ვაჭარ პოეტთა კავშირს,
მათ კი ქვესკნელის ურჩხულს
მუზა მიჰგვარეს ხასად,
უსმენს ღვთაებრივ ჩურჩულს,
ქვეწარმავალი ნასად.
დავჯექ და ცრემლი ვღვარე
ვჭამე პეშვებით მიწა,
თავს მადგა შავი მთვარე
და... უცებ გამეღვიძა.

(გამსახურდია, 2014).

თავისუფალი შემოქმედების საიდუმლო თავისებურად ახსნილია ბიბლიურ-ქრისტიანულ სწავლებაში ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა. ღმერთმა სამყარო შექმნა თავისუფლად და თავისუფლებისაგან. სამყარო საღვთო გამოსხივება კი არა, დაბადება იყო, ან ევოლუცია კი არა, – შემოქმედება, ანუ აბსოლუტური სიახლე. შემოქმედება იმიტომაცაა შესაძლებელი ამ სამყაროში, რომ სამყარო შექმნილია, არსებობს მისი შემოქმედი. ადამიანიც, რომელიც სახე და ხატია ღვთისა, შემოქმედი და მოწოდებულია შემოქმედებისაკენ. კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი მიძღვნილ ლექსში „კენტავრების აურზაურში“ ლოგოსი იფეთქებს. ესეც ალეგორიაა ქაოსზე ღვთის სულის გადმოსვლისა და მისგან საღვთო წესრიგის შექმნასთან დაკავშირებით. მაგრამ აქ უფრო მთავარია ლექსის ნალექში დანთხეული მონსალვატის ნელი ანთება. მონსალვატი იგივე მუნსალვეშია ემენბახის თხზულებიდან „პარციფალი“. ინგლისელები მხარს უჭერდნენ იმ ვერსიას, რომლის თანახმადაც იოსებ არიმათიელმა მოგზაურობისას ბრიტანეთს მიაღწია და წმინდა რელიქვია იქ დამალა სახელგანთქმული გლოსტენბერის სააბატოში. მრგვალი მაგიდის მხოლოდ რამდენიმე წევრს მიეცა უფლება ენახათ გრაალი. ლეგენდის თანახმად, ქრისტეს სისხლმა საოცარი თვისებები შესძინა თასს. ვინც იქიდან დაღევდა, კურნებას, ცოდვათა მიტევებასა და უკვდავებას მოიპოვებდა. მონსალვატის ნელი ანთება ნამდვილად გულისმობს გრაალის საოცარ თვისებებს, ქრისტეში გადარჩენასა და შემოქმედებით ამონათებას. გახსოვთ, როგორ შემომწყრალი იყო ზვიად გამსახურდია მწერალთა კავშირს (დაცემული მუზა), მაგრამ პირდაპირპროპოციულად ადიდებს კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელიც ახერხებდა თავისუფალ შემოქმედებას საბჭოთა სინამდვილეშიც. ის ცისებრ სალუქად იწოდება, ანუ ზეციურის, მარადიულის შემამკობელად, სადაც სულის უნაზესი ფოლიანტები მისხალ-მისხალ არის შენარჩუნებული:

...და შემოგესმა
კენტავრების აურზაური.
მაშინ ლოგოსმა
იფეთქა შენში და მოზღვაული
დაინთხა ლექსი
და ამ ნალექში
შენ ამოაგზნე მონსალვატის ნელი ანთება
და მით დალუქე
ცისებრ სალუქი

სულის შენი უნაზესი ფოლიანტები.

(გამსახურდია, 2014).

პროფეტიზმს აქვს რთული შედგენილობა. ის არა მხოლოდ თავისუფლებას გულისხმობს, ჩანასახში ადამიანის უქმნად თავისუფლებას, არამედ ტალანტს, ნიჭს, რომელიც ღვთაება-შემოქმედისაგან ეძლევა ადამიან-შემოქმედს. ადამიანი თვითონ არაა დამნაშავე თავის ნიჭსა თუ გენიალობაში. არაფერი იმაზე სასაცილო და დამამცირებელი არაა, რომ ტრაბახობდე შენი გენით. იტრაბახო იმით, რაც გაჩუქეს, სადაც შენი დამსახურება მინიმალურიც არაა. გენიოსი გრძნობს, რომ ის თითქოსდა თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ ღვთაების ხელში არის ერთგვარი იარაღი აღსრულებისა და დანიშნულებისა. სულიერი გადარჩენა მისგან მომდინარეობს. მას არავითარი დროული და სივრცული განზომილება არა აქვს. ამიტომაც ის უჟამო და უსასრულო. მისია სრული მეუფება, ყველაფერი, შველა, მადლი, სულის დარდის განქარვება:

საკრა სტელლა, შვიდად სრულო,

შენგნით იშვის სულთა შველა,

უჟამოვ და უსასრულო,

საკრა სტელლა! საკრა სტელლა!

(გამსახურდია, 2014).

გალაკტიონის დემონი სხვა არაფერია, თუ არა მასში ჩასახული გენია. გენიალურობისაკენ ლტოლვა მხოლოდ აღმოჩენაა შენსავე თავში ზემოდან მონიჭებული ტალანტისა. ასევე არ შეუძლია ადამიანს შემოქმედებითი წინასწარმეტყველების წყარო ამოიღოს თავისი თავიდან, საკუთარი წიაღიდან. პროფეტული შემოქმედებითი აქტის ბუნება ყოველთვის შეერთება-შეყრასა ჰგავს, ის ყოველთვის შეხვედრას. მისი მასალა შეიძლება ამოიღოთ ღვთის მიერ შექმნილი სამყაროდან. ნებისმიერი ხელოვნებისათვის მეცნიერების ქმნილება ან აღმოჩენა ამის დასტურია. ღმერთმა მიანიჭა ადამიანს წინასწარმეტყველების შემოქმედებითი ნიჭი, გენია და მისცა სამყარო, რომელშიც უნდა განხორციელდეს კიდევ ამგვარი შემოქმედებითი აქტი. ღმერთისგან მოდის მოწოდება, რომ ადამიანმა პროფეტული შემოქმედებითი აქტი განახორციელოს. განახორციელოს თავისი მოწოდება, და ღმერთი ელოდება პასუხს თავის მოწოდებაზე. ზვიად გამსახურდიას პასუხი ღვთის მოწოდებაზე არ შეიძლება მთლიანად შედგებოდეს იმ ელემენტებისაგან, რომელსაც ღმერთი იძლევა და რომელიც ღვთისგან გამომდინარეობს. რაღაც ადამიანისაგანაც უნდა გამომდინარეობდეს, და სწორედ ეს რაღაცა არის უპირატესად ღვწა-შემოქმედება, ახლისა და არარსებულის შემოქმედება. ეს რაღაცა არაფერია, თუ არა თავისუფლება, რომლის გარეშეც არ არსებობს წინასწარმეტყველური, შემოქმედებითი აქტი. ზვიად გამსახურდიას შემოქმედებით ჩანაფიქრში არის ადამიანის თავისუფლების პირველადი ელემენტი, არაფრით დასაზღვრული, უძირო, თავისუფლებისაგან, რომელიც მოდის ღმრთისაგან და რომელიც ღმერთს მიემართება. საღვთო მოწოდება ამ უფსკრულისკენაა მიმართული და უფსკრულიდანაც ელოდება პასუხს. თავისუფლების ეს უფსკრული ნებისმიერ შემოქმედებაშია, მაგრამ შემოქმედებითი ქმნალობა იმდენად გართულებულია, რომ არ არის ადვილი მასში ეს პირველადი ელემენტი გახსნას.

ლიტერატურა:

1. არასამთავრობო ორგანიზაცია „დენდრონი“ <https://dendroni.ge/ka/statiebi/article/6216-fertha-simbolika>
2. გამსახურდია,ზ. (2014). კოსმიური წირვა, (ქუთაისი) შპს „ხომლი ენ“-ის სტამბა.

3. პროფეტობი – href="https://www.thefreedictionary.com/prophetism">prophetism

Prophetism and Enigma in Zviad Gamsakhurdia's poetry

Qiria Nana

Tbilisi No. 1 Experimental Public School
Consultant of the National Center
for Professional Development of Teachers

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.453>

Abstract

Even a glance at Zviad Gamsakhurdia's work shows that he has experienced a long creative burn, he is extremely strong in worldviews and eternal, unchanging, even strangely calm, but thematically changeable.

In his work, the arousal of feelings and the veil of thought are harmoniously combined. When the register of such harmony is very high, elements of prophethood appear in Zviad Gamsakhurdia's work and it must be said that his prophecy is infallible and skillfully placed in the artistic mold. In his poetry there is a skillfully blended vague allegory conveyed with a premeditated intent, something between mediocre openness and obscure, transparent and obscure. It can be boldly said that Zviad Gamsakhurdia is a master of enigmatic poetry.

The aim of the research is to critically analyze the poetry of the great Georgian figure, thinker and writer Zviad Gamsakhurdia (from a prophetic and enigmatic point of view).

The method is comparative. The merits and weaknesses of Zviad Gamsakhurdia's works can be seen in comparison, more – the first.

Research result – Prophecy by Zviad Gamsakhurdia is the biggest secret of life. Both his enigma and prophecy stem from bottomless freedom.

Key words: Prophecy, Enigma, Poetry, Gamsakhurdia, Creativity.

COMPARATIVE ANALYSIS OF WEAK AND STRONG SUSTAINABLE DEVELOPMENT MODELS

Hajiyev Ayaz Amir oglu

Azerbaijan State Economic University (UNEC)

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.454>

Abstract. The concepts of weak and strong sustainable development are used in the analysis of sustainable development. At the scientific level, the concepts of sustainability and sustainable development have been tried in different ways, and over time, different view aspects have emerged. As is generally known, sustainable development sees the best way to ensure the well-being of future generations in providing the next generation with the same resources as today. At this point, there is some discussion about the nature of the resource that needs to be protected. This discussion touching on the relationship between human capital and natural capital has led to the emergence of the concepts of weak and strong sustainability, i.e., models of weak and strong sustainable development.

The emergence of weak and strong sustainable development models, the basics and principles that differs them from each other, as well as the study and analysis of the arguments of the supporters of these approaches, are of great relevance. Analyzing in the article the positions of those, who support strong sustainability, it is concluded that the replacement of development characterized by quantitative growth with qualitative sustainable development to increase welfare is one of the important principles of strong sustainable development.

Keywords: Sustainable development, sustainable development models, weak sustainable development, strong sustainable development, man-made capital, natural capital.

Weak sustainable development

The origin of the concept of weak sustainability is related to the theory of neoclassical economic development. The methodological features of the concept were created by Solow.

Weak sustainability approaches justify the fact that as an anthropocentric approach for man-made capital is more important than natural capital. Therefore, environmental pollution by generations, where physical capital such as cars, factories and harbors or consumption of non-renewable sources exist, should not be considered a problem. It can be concluded that as long as natural capital becomes human production, there is no threat to sustainability [Ayres, Van Den Bergh, Gowdy, 1998].

An indicator that can be used to measure weak sustainability was proposed by Pearce and Atkinson. This indicator represents a measure based on neoclassical saving by excluding the depreciation of human capital and natural capital from the resources of a country. This indicator, later called the real reserve by Hamilton, is defined in the $\square = \square - \delta$ format.

Here, depreciation values of human production and natural capital are represented by \square -real savings, \square -national income, $\square\square$ - and depreciation values of human production and natural capital are shown accordingly. If this weak sustainability index shown in the equation above is greater than zero, we can say that weak sustainability is valid for the corresponding economy. The World Bank has adopted this indicator to measure sustainability and has begun to publish calculations of actual savings for certain regions of the world.

Weak sustainability approach has been widely criticized by the environmental economy because of the fundamental assumption that technological capital can replace natural capital. In addition, the afore-mentioned sustainability index proposed by Pearce and Atkinson has been criticized by many others. One of the most of these criticisms deserving attention is that according to the aforementioned equation, Nauru, the Pacific Ocean island country, is the most sustainable country where 80% of its natural environment has been destroyed by mining for nearly a hundred years extraction of rich phosphate sources [Barbier, Burgess, Folke, 1995, pp. 44, 45].

Using the index proposed by Ayres Pearce and Atkinson, Martínez-Alier, Cabeza Gutes aid that industrialized North countries can be regarded as countries with high levels of sustainability, although they have destroyed a significant portion of their natural resources in the past.

Gowdy and O'Hara have criticized the view that ecosystems and extinction of species or depletion of fossil fuel do not contradict sustainability, while maintaining the criteria for weak sustainable development.

According to the idea of weak sustainable development, despite of certain restrictions, growth is a key tool in providing and maintaining the quality of the environment. This approach, which is consistent with the Brundtland Report, offers greater growth for all industrialized and developing countries.

The weak sustainability approach coincides with the Kuznets curve hypothesis promoted in the neoclassical economy. Accordingly, economic growth provides resources to help solution of environmental problems and thus improves quality through ecological regulation and growth.

Believing that exchange between sources can be made smoothly, without problem, a weak sustainability approach sees no environmental threat to the endless continuation of economic growth. Because of this approach the technological and natural capital that makes up the capital fund, can be easily exchanged with each other, the total capital fund should be maintained.

Taken into account the gross exploitation of resources today, implementation of a weak sustainable development approach first of all, can be an important step. At least, it recognizes the limitations of growth and that it is necessary to save certain capital for future without consuming it. However, the disadvantage of this approach – it does not take into account the fact that human life would be unstable if natural resources were depleted without any replacement. So, in this case, the man-made capital cannot help.

Taken into account the current situation of the world, it is believed that a development must be ensured for environmental responsibility that does not affect the services provided by the ecosystem. From this view point, arguments for a strong sustainability approach, which is opposite to this approach and are more real, are accepted more attractive [Daly, 1991].

Strong sustainable development

A strong sustainable development approach, which is a more cautious approach to the limits of economic growth, emphasizes that sustainable development can be achieved by environmental responsibility. Ensuring environmental responsibility is seen as one of the most important prerequisites for economic expediency and social solidarity.

A strong sustainability approach argues that technological and natural capital cannot be completely interchangeable and, to some extent, are mutually complementary. According to this approach, there is no substitute for natural capital and natural capital has become a limiting element of economic activity today. This approach accepted by most environmental economists is based

primarily on ensuring environmental sustainability [4, **Ekins, Simon, Deutch, Folke, de Groot, 2003**].

The difference between strong and weak sustainability was first suggested by Pearce, Markandya and Barbier, the difference between strong and weak sustainability has been made even clearer with contributions by Turner and Pearce and has been increasingly accepted by ecological scientists in response to the idea of sustainability in neoclassical ecological literature.

The concept of strong sustainability is based on the concept of environmental economists living in a world where people have absolute biophysical boundaries. The natural consequence of this notion is that the environmental economy is different from the other types of capital (physical capital (K), human capital (H) and social capital (SC)). Accordingly, natural capital is primarily a life support system for living beings on earth [**Pearce, Atkinson, 1993**].

Along with providing with food, drinking water and other renewable sources for living beings, ecosystems also carry vital functions such as heritage information protection, soil protection and restoration, water circulation, conversion of organic and mineral nutrients, filtration of pollutants and absorption of plants, the absorption and assimilation of crops. Thus, ecosystems and biodiversity reveal a multifunctional framework in terms of shape and scope that other types of capital do not possess.

Secondly, the fact that irreversibility or almost impossibility of irreversibility of natural capital (quasi-irreversibility) should also be taken into account. Some types of natural capital cannot be reconstructed after the destruction. However, as in the beginning of human history, human can increase production if capital is destroyed. Neumayer, while giving ozone depletion and global warming almost as an example of irreversibility, gives the loss of biodiversity as an example of irreversibility. When the ozone layer and climate are allowed to be restored – although this process takes time when viewed from the view point of a human life – they will be able to return to their former states [**Cabeza Gutes, 1996**].

Due to the above-mentioned features of natural capital, strong sustainability goes against the likelihood that human capital can be replaced by natural capital. Human capital and man-made capital; various forms of natural capital (eg: copper-aluminum); can be significant substitutes for renewable and non-renewable natural capital. But according to Daly, natural capital supplements human production, because it provides raw materials and energy for production and absorbs waste produced by human capital. Therefore, it is important to keep reserves for different types of capital separately. In this respect, strong sustainability is defined as follows:

$$\square \square \geq 0, \square \geq 0, \square \square \square \geq 0, \square \square \geq 0.$$

There are two different opinions regarding a strong sustainability approach in the relevant literature. The first of these interpretations; the sum total cost of both technological and natural capital and the total cost of natural capital should be at least constant. According to this interpretation, strong sustainability includes weak sustainability. In addition, it is necessary to invest in natural capital again to develop renewable sources of income from the use of non-renewable sources in order to keep the total value of natural capital reserves stable. These interpretations can be seen in the shadow project approach proposed by Pearce and others. This approach, based on cost-benefit analysis, requires that the environmental impact of the projects to be implemented is less than the environmental value of the shadow projects that will be used to compensate for the damage caused by these projects [**Serageldin, 1993**].

The second interpretation of strong sustainability's that the irreplaceable natural capital should be achieved by conserving the stock as a physical reserve, not as a monetary value. According to Hicksgil definition, income is a constant consumption. However, the consumption based on the destruction of natural capital should not be called income, because the consumption of natural capital is, in fact, a negative investment. If so, the recovery capacity should not be exceeded if flows from this natural capital fund are used. Thus, the ecological functions of natural capital will not be violated. An extension of this interpretation is suggested as the notion of critical natural capital (CNC). Ekins P., Simon S., Deutch L., Folke C. and De Groot R., based on environmental assets to identify sensitive natural capital, has revealed three criteria based on a 1952

study by Ciriacy-Wantrup. Accordingly, these environmental assets are defined by the elegant natural capital that cannot be substituted by welfare ensuring, which is irreversible and its loss causes other large-scale losses. Daly proposes a program consisting of four items for strong sustainability. The first item is that the current volume set by an economy as a measure of metabolism must be limited by the world's carrying capacity; second item should not only increase quantities of technological advancements, but also ensure efficient growth; third, the rate of renewable sources collection should not exceed the renewal rate; waste disposal should not exceed the environmental absorption capacity. According to the last provision, non-renewable natural resources should not be consumed faster than the rate at which renewable substitutes are created [Neumayer, 1999].

The Conclusion

Weak and strong sustainability approaches are a continuation of the ongoing debate over the link between economic growth and the environment. The common point of approaches that aim for sustainable development is to explore what needs to be done to improve people's well-being over the long term. As the underlying arguments of these approaches differ, action proposals change as well. Proponents of weak sustainability, in favor of growth policies, argued that growth is indispensable in solution of environmental problems.

They believe that technological development, natural and human production, will not be depleted of resources and will continue to grow steadily, thanks to capital capability and people's ability to solve problems.

Those, who support strong sustainability claim that development has the limits. So, according to them, limited growth is essential to meet the basic needs of the people in the world. At the same time, the replacement of development characterized with quantitative growth by qualitative sustainable development to improve welfare, is also an important principle of strong sustainable development [7 CABEZA GUTÉS, M. (1996)].

If a weak sustainability approach continues to see growth as a way out for problems, supporters of strong sustainability often argue that economic growth should be stopped after a certain point, that is, "sustainable economies". In addition, another group defends strong sustainable development while supporting for limited substitution, and while offering for continued development by different measures they defend the position of weak sustainability supporters.

REFERENCES:

1. Ayres, R. U., Van Den Bergh, J. & Gowdy, J. M. (1998). Viewpoint: Weak versus Strong Sustainability, Tinbergen Institute Discussion Papers № 98-103/3, Tinbergen Institute, Amsterdam/Rotterdam, <http://www.tinbergen.nl/discussionpaper/?paper=1257> (20.08.2014)
2. Barbier, E. B., Burgess, J.C. & Folke, C. (1995). Paradise Lost? The Ecological Economics of Biodiversity. London: Earthscan. pp. 44, 45
3. Daly, H.E. (1991). "Elements of environmental macroeconomics", ed. R.Costanza, Ecological Economics: The Science and Management of Sustainability, New York: Columbia University Press, s. 35
4. Ekins, P., Simon, S., Deutsch, L., Folke, C., de E. Groot, R. (2003). A framework for the practical application of the concepts of critical natural capital and strong sustainability, Ecological Economics, vol. 44, № 2-3: 165-185
5. Pearce, D.W., Atkinson, G.D. (1993). "Capital theory and the measurement of sustainable development-an indicator of weak sustainability", Ecological Economics, vol. 8 № 2: 103-8
6. Cabeza Gutes. M. (1996). "The concept of weak sustainability", Ecological Economics, vol. 17, №3: 147-56
7. Serageldin I. (1993). "Development Partners: Aid and Cooperation in the 1990s", Stockholm: SIDA
8. Neumayer, E. (1999). Weak Versus Strong Sustainability: Exploring the Limits of Two Opposing Paradigms, London School of Economics and Political Sciences, Doctor Dissertation. London.

НЕИССЯКАЕМЫЙ ИСТОЧНИК ЗНАНИЙ

Мамедов Земфира

Институт Рукописей им. Мухаммеда Физули НАН
Азербайджана

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.455>

АБСТРАКТ. Статья посвящена древним медицинским рукописям, хранящимся в фонде Института Рукописей имени Мухаммеда Физули Национальной Академии Наук Азербайджана. Древние рукописи являются важнейшими памятниками материальной культуры человечества, которые вобрали в себя и сохранили для потомков коллективный разум человечества. Наукой давно доказано, что в основе всех открытий и новшеств лежит совокупность проверенных веками и утверждённых истин. Основу этой совокупности составляют древние рукописи, которые переходя из века в век, из поколения в поколение, дошли до нашего времени. Каждая из этих рукописей является плодом отдельных эпох, нашей общей истории и культуры. Вот почему столь необходимо бережно хранить, беречь и изучать это наследие.

В одном из крупнейших фондохранилищ мира, в Институте Рукописей имени Мухаммеда Физули Национальной Академии Наук Азербайджана, хранятся старинные трактаты, написанные на азербайджанском, арабском, персидском и некоторых других языках, начиная с IX по XIX века. Все эти бесценные манускрипты были переписаны от руки каллиграфами в разные эпохи. Четыре из этих списков официально включены в Регистр программы «Память мира» ЮНЕСКО. В коллекции Института Рукописей содержится 453 рукописи, которые относятся к области медицины: 60 из них написаны на турецком, 73 – на арабском и 320 – на персидском языках.

Говоря о многочисленных рукописях, посвящённых лечению различных заболеваний, следует отметить, что в наиболее информативных из них, прежде всего, даются советы, связанные с правильным здоровым образом жизни, направленным на сохранение здоровья человека. Далее приводятся сведения о методах и способах лечения заболеваний: питьё препаратов из лекарственных растений, ванны из лечебных отваров, профилактический и лечебный массаж с использованием масел, втирание мазей, употребление порошков и компрессов, лечебное кровопускание, лечение запахами, музыкой, цветом, диета, ингаляции и хирургическое вмешательство.

Древние рукописи, являясь уникальным изобретением человечества, оказало влияние на всю историю, в целом, и на медицину, в частности.

Ключевые слова: медицина, рукописи, фармакология, культурные традиции

Наука в современном обществе играет важную роль во многих отраслях и сферах жизни. Уровень развитости науки служит одним из основных показателей развития общества и государства. Культурное наследие каждого народа, великой или малой нации всегда существует как одна из важнейших предпосылок духовного бытия будущих поколений, всего исторического целого. Важно, чтобы это наследие существовало не только как историческая

память, как актуальная сила духовного преобразования её на пути прогресса и нравственного совершенствования.

Становление, формирование и развитие художественно-эстетического и философского мышления каждого народа требует, в первую очередь, определения первоисточников и создания на их основе подлинной истории его культуры, изучение богатого наследия прошлого, исследование социально-политической истории народа, выявление новых источников по исследованию духовной культуры и взаимоотношения культур сопредельных регионов. **Балашкин, 2010.**

ტრანსფორმაციების სპეციფიკის გასაანალიზებლად გამოდგება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე ლათინური ამერიკის სახელმწიფოების განვითარების ლოგიკა. ამ განსხვავების ფესვებს ჩვენ თავად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების განვითარების ინვერსიულ ლოგიკაში ვხედავთ, რაც

დემოკრატიზაციის პროცესის შემდეგ რაციონალური ბიუროკრატიზაციის განხორციელებასა და ნაციონალური სახელმწიფოს მშენებლობაში მდგომარეობს. ტ. კუზიოს აზრით „პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების უმეტესობამ დემოკრატიზაციის და მარკეტიზაციის პროცესები იმ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი მახასიათებლის არარსებობის პირობებში დაიწყო, რაც საბაზრო ეკონომიკის და ლიბერალური დემოკრატიის შექმნის პროექტის წარმატებული რეალიზაციის აუცილობელ პირობებს წარმოადგენენ“ (Kuzio, 2001, 171).

ეს განსხვავება გვიბიძგებს პოსტსაბჭოთა განვითარების შესწავლაში პერსპექტიული მიდგომების ძიებისკენ. სახელდობრ, სავარაუდოა, რომ პოსტსაბჭოთა პოლიტიკური განვითარების, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების რეჟიმული დინამიკის გაგების მნიშვნელოვანი თავისებურება შეიძლება ნეოპატრიმონიალიზმის ცნებით აიხსნას. ისრაელელმა სოციოლოგმა შ. ეიზენშტადტმა სცადა მაქს ვებერის პატრიმონიალიზმის კონცეფციის მოდერნიზება და **ნეოპატრიმონიალიზმის** კომპლექსური თეორია ჩამოაყალიბა. მისი აზრით ნეოპატრიმონიალური რეჟიმების წარმოშობა მოდერნიზაციის და თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკის ჩავარდნის პასუხია. ეს არის ტრადიციონალიზმის და თანამედროვე სახელმწიფოს ელემენტების სიმბიოზი.

მკვლევრები ნეოპატრიმონიალური სისტემების ფუნქციონირების სამ ძირითად პრინციპს გამოყოფენ: 1) პოლიტიკური ცენტრი გამოყოფილია პერიფერიისგან, მის ხელშია ხელისუფლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სიმბოლური რესურსები; 2) სახელმწიფო იმართება როგორც მმართველი ჯგუფების კერძო მფლობელობა; 3) თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში ხდება ეთნიკური, კლანური, რეგიონული და ნათესაური კავშირების აღწარმოება. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობების და ანგარიშვალდებულებისა და წარმომადგენლობის საკითხის ახსნა ვერ მოხერხდება ამ არაფორმალური გორგალის, ქართველთა ცხოვრებაში ჩახლართული ქსელების გარეშე.

ნეოპატრიმონიალური სისტემების ფუნქციონირებაში სტრუქტურა წარმომქმნელ როლს ასრულებს **კლიენტელიზმი**. ეს არის პირადი დამოკიდებულების ურთიერთობები, სადაც პატრონის ეკონომიკური და სახელისუფლებო რესურსები კლიენტების პოლიტიკურ და ელექტორალურ ლოიალურობაზე იცვლება. მოცემული პრაქტიკების აღწარმოება აიხსნება რაციონალური ტიპის ურთიერთქმედების ოფიციალური არხების განუვითარებლობით, ამიტომ სხვადასხვა ინტერესების ტრანსლიაციის ფუნქცია კლიენტურ-პატრონაჟული ურთიერთობების მექანიზმის მეშვეობით ხორციელდება.

ამის შედეგია ნეოპატრიმონიალური პოლიტიკური რეჟიმების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, სახელდობრ ხელისუფლების პერსონალიზაციის სიდიდე. როგორც ითქვას, ამ მოვლენის მიზეზია პოლიტიკური პროცესის სუსტი რაციონალიზაცია, რაც განაპირობებს ძალაუფლებაზე (ბელადზე, თავადზე, მეფეზე) ტრადიციული წარმოდგენების პროექციას თანამედროვე სინამდვილეზე. ამრიგად, პოლიტიკური რეჟიმისადმი ლოიალურობა ლიდერის პიროვნებისადმი ლოიალურობით განისაზღვრება, პოლიტიკური პროგრამები კი მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ.

ნეოპატრიმონიალური ერთობის პოლიტიკური კულტურის მთავარი თავისებურებაა *კორუფცია*, რომელიც არა მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული ქცევის მოდელია, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი არხიცაა.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციების ნეოპატრიმონიალური ბუნების გაგება „ჰიბრიდული რეჟიმების“, „ავტორიტარული დემოკრატიის“, არაფორმალური ინსტიტუტების თეორიულ მოდელში კონცეფტური დაზუსტების, ასევე, პოსტსაბჭოთა

პარტიული სისტემის ფუნქციონირების თავისებურების უფრო ღრმა გაგების შესაძლებლობას იძლევა.

პოლიტიკური პარტიების ადგილი ნეოპატრიმონიალური ხელისუფლების სისტემაში

პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური სისტემის კონცეფტური თავისებურებების განხილვის შემდეგ, შეგვიძლია გადავიდეთ მის მდგენელზე – პარტიულ სისტემაზე. ამისთვის აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში ამ ქვესისტემის როლის გარკვევა.

მაშ ასე, პოსტსაბჭოთა განვითარების ნეოპატრიმონიალური ლოგიკისადმი აპელირებისას გამოგვაქვს დასკვნა, რომ ხელისუფლების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავიათ ნეოპატრიმონიალური ბიუროკრატის წარმომადგენლებს; ისინი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესის ძირითადი აგენტები არიან.

მმართველის ფიგურის გარშემო (არა აქვს მნიშვნელობა ფორმალურია მისი ძალაუფლება თუ არაფორმალური) იქმნება კლიენტურ-პატრონაჟული ქსელი, რომლის სტრუქტურა წარმომქმნელ ელემენტსაც ამ ფიგურაზე ჩაკეტილი პირადი კავშირების სისტემა წარმოადგენს. ამ არაფორმალური ინსტიტუტის ხელშია „დღის წესრიგის“ ფორმირება, რაც საზოგადოებაში როგორც ცალკეული პარტიის, ასევე მთლიანად სახელმწიფოს ზემდგომობის პრობლემას უკანა პლანზე გადასწევს.

ამდენად, პოლიტიკური პროცესის პერიფერიაზე ინაცვლებენ პოლიტიკური ველის ისეთი კომპონენტები როგორცაა: პარტიები, ინტერესთა ჯგუფები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფკავშირები. შედეგად ხელისუფლების სისტემაში ხორციელდება „კოპერნიკისეული გადატრიალება“, სადაც უკვე მთავრობის მოქმედებას პარტიები კი არ აკონტროლებენ, არამედ, პირიქით, სახელმწიფო ხელისუფლება პარტიებს მოაქცევს მისთვის საჭირო არტახებში და არსებითად, პარტიებს სახელმწიფო აპარატის დანამატად აქცევს.

მთავრობის პატრონაჟით მმართველი პარტიები ნეოპატრიმონიალურ საზოგადოებაში შემდეგ ფუნქციებს ასრულებენ: ა) სახელმწიფო აპარატში ხელმძღვანელი კადრების დაწინაურების კონტროლი; ბ) ხელისუფლების მიზნების მასობრივი მხარდაჭერის ორგანიზება; გ) მასების იდეოლოგიური დამუშავება; დ) საზოგადოებრივ-საჯარო სფეროების პატრიმონიალური პრივატიზაცია და მმართველი დაჯგუფებების წევრებს შორის მისი შემდგომი განაწილება. ეს უკანასკნელი ფუნქცია არის კიდევ, სინამდვილეში, პარტიული მექანიზმის რეალური დანიშნულება.

საპარლამენტო ორგანოები კლიენტურ-პატრონაჟული ქსელის ზედაფენასა და საზოგადოების სხვა ფენებს შორის კლიენტურ-პატრონაჟული ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი საშუალება ხდება. ამდენად, შეიძლება მსჯელობა პოლიტიკური პარტიების როლის ღრმა ტრანსფორმაციაზე, სადაც ნეოპატრიმონიალურ სისტემაში პოლიტიკური ბრძოლის არსია მმართველის (ფორმალურის თუ არაფორმალურის) კეთილგანწყობის მოპოვება და მფარველობისთვის ბრძოლა და არა პოტენციური ამომრჩევლების ხმებისთვის ბრძოლა.

ამ კონტექსტით შეიძლება საუბარი „ხელისუფლების პარტიის“ ფენომენზე, რომელიც პოსტსაბჭოთა პარტიული მშენებლობის „ნოუ-ჰაუ“ გახდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ელიტების ტრანსფორმაცია პარტიული კონკურენციის საფუძველზე მიმდინარეობდა და პარტიებს თანდათანობით ხელისუფლების დაპყრობის და შენარჩუნების ფუნქცია მიეკუთვნა, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში ახალი ელიტების ფორმირება სხვა საფუძველზე ხდებოდა.

სწორედ ამ საფუძველს წარმოადგენს განვითარების ნეოპატრიმონიალური ლოგიკა კლიენტურ-პატრონაჟული ურთიერთობების დომინირებით.

აღმასრულებელი ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ქმნის „სახელისუფლებო პარტიას“ („დომინანტურ პარტიას“). როგორც აღინიშნა, ნეოპატრიმონიალურ საზოგადოებაში ხელისუფლება ბიუროკრატის ხელშია, რომელიც ინკორპორირებულია კლიენტურ-პატრონაჟულ ქსელში, მისი ხელმძღვანელია. მმართველს (პრეზიდენტს, პრემიერს, არაფორმალურ ლიდერს და სხვ.) სტატუს-ქვოს შესანარჩუნებლად აუცილებლად სჭირდება პოლიტიკური მეწარმეების ლოიალობის, ასევე მასების მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ასე წარმოიშვება ქსელური ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელიც მისი სახელით და მისი ინტერესებისთვის იმოქმედებს.

ზემოაღნიშნული კვაზი-პარტიების ძირითადი ამოცანებია: პირველი, „პირდაპირი კონტაქტის“ დამყარება სახელმწიფოსა და მასებს შორის ამ უკანასკნელის შემდგომი იდეოლოგიური დამუშავებით და გარკვეული მსოფლმხედველობის თავსმოხვევით; მეორე, კლიენტური ურთიერთობების ქსელის შექმნა, რომელიც კლიენტურ-პატრონაჟული ქსელის ბატონობის ბაზას აყალიბებს; მესამე, მთავრობის მიზნების მასობრივი მხარდაჭერის ორგანიზება. ცხადია, „სახელისუფლებო პარტიის“ შექმნა – მმართველი ელიტის აბსოლუტურად რაციონალური ქცევაა ნეოპატრიმონიალურ საზოგადოებაში „პატრონ-კლიენტის“ ტიპის სოციალური კავშირების ფორმირების გზაზე. საქართველო ედვარდ ბენფილდის მიერ აღწერილ ამორალურ „ოჯახობას“ ჰგავს, (Banfield, 1958) სადაც სოციალური ნდობისა და ავტორიტარული სახელმწიფო იძულების არარსებობას, – გამოწვეულს იმავე ბენფილდის სიტყვებით რომ ვთქვათ, კოლონიალიზმის გამოცდილებითა და დეფიციტით, – მივყავართ პირად კონტაქტებთან და არა კანონებთან (სხვათა შორის, ეს ისახება ქართულ სიტყვაში, „უპატრონო“. უპატრონოს ხშირად ხმარობენ ადამიანისადმი სიბრალულის გამოსახატავად, ხან კი მთლიანად საქართველოს ეხება ეს სიტყვა).

დასკვნა

შევაჯამოთ ჩვენი კვლევის შედეგები.

პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციების კვლევა მთელი სოციალურ-პოლიტიკური თეორიისთვის სერიოზული გამოცდაა. „დასავლურმა“ მიდგომებმა მთლიანობაში პოსტ-სსრკ ქვეყნების ცვლილებების სპეციფიკა სრულად ვერ ახსნა. ამდენად, პოსტსაბჭოთა განვითარების მნიშვნელოვანი თავისებურებები და სახელმწიფოთა რეჟიმული სპეციფიკის გაგების ძალზე მნიშვნელოვანი თავისებურებები შეიძლება ნეოპატრიმონიალიზმის ცნებით გამოიხატოს.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ხელისუფლების სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია ნეოპატრიმონიალურ ბიუროკრატს, ის არის პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესის ძირითადი აგენტი. მმართველის ფიგურის გარშემო ყალიბდება რენტორიენტირებული პოლიტიკური მეწარმეებიდან შემდგარი კლიენტურ-პატრონაჟული ქსელი, რომელთა საქმიანობის ძირითადი მოტივია რენტის ძიება (rent-seeking). კენ ჯოვიტი ამბობს, რომ „კვაზილეგალური და უკანონო ეკონომიკური საქმიანობის სპონსორობამ (კომუნისტური) კადრების მფარველების მიერ პატრონაჟი მთელ საბჭოთა ეკონომიკას მოსდო“ (Jowitt. 1992, 144-145). საქართველოს განსაკუთრებით გამოარჩევენ ხოლმე ამ შემთხვევებში, მაგრამ მდგომარეობა ძალზე განსხვავებული არ იყო სხვა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებშიც. რენტაზე ორიენტირებული კომუნისტური ნომენკლატურის მიერ „სახელმწიფოს მიტაცება“, საერთო თვისება იყო თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ხელმძღვანელისთვის.

ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, მფარველსა და პატრონაჟულ სისტემას კი ფეხი არ მოუცვლია მთავრობიდან. ჩინოვნიკების ასაკი გაახალგაზრდავდა, მაგრამ ისინი წინამორბედების მსგავსად, ისეთივე ჩაკეტილ სივრცეში, ერთმანეთში ანაწილებენ სამუშაო ადგილებს. ეროვნული გამოცდების დანერგვა და კორუმპირებული საგზაო პოლიციის დათხოვნა, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ ხალხისთვის, სამსახურის არარსებობის ფონზე, შეიძლება ახლა უფრო მნიშვნელოვანი გახდეს მფარველი-პატრონი. ძველი საბჭოთა თანაბარ შესაძლებლობათა პოლიტიკა, რომელიც ქალებსა და არაქართველებს ეხმარებოდა, აღარ ტარდება. კლიენტელიზმი შეთავსებადია დემოკრატიასთან, შეიძლება მან ხელი შეუწყოს კიდევ დემოკრატიის განვითარებას გარდამავალ პერიოდში, რადგან პოლიტიკოსი გარიგებებს ჰპირდება ხალხს კარგად მოქცევის სანაცვლოდ. მაგრამ სანამ ქართული საზოგადოება შეწუხებულია უმუშევრობით, დაქირავებულთა დაცვის მექანიზმების უქონლობით და სანამ სულ უფრო ღრმავდება უფსკრული შეძლებულთა და უქონელთა შორის, „ვის იცნობთ და ვინ ვის იცნობს“, ძალას არ დაკარგავს (სტივენს. 2012, 189-192).

ასევე, პარტიულ სისტემაში მიმდინარეობს კლიენტელისტური საზოგადოების თავისებურებების აღწარმოება. პოლიტიკური პარტიები მეტწილად იბრძვიან არა ამომრჩევლების ხმებისთვის, არამედ კლიენტურ-პატრონაჟული ქსელის იერარქიაში სარფიანი ადგილის დასაკავებლად. ამრიგად, მთავრობას პოლიტიკური პარტიები კი არ აყალიბებენ და ეს უკანასკნელნი კი არ აძლევენ ტონს პოლიტიკურ პროცესს, არამედ სახელმწიფო ადმინისტრაცია ქმნის ორგანიზაციას საკუთარი პოლიტიკის რეალიზაციისთვის.

„სახელისუფლების პარტიის“ შექმნის მოტივაცია ორგანულად ეწერება ნეოპატრიმონიალური სისტემის ფუნქციონის ლოგიკაში. სახელმწიფოს მეთაურის (კლიენტურ-პატრონაჟული ქსელის ზედაფენასთან შეთავსებით) სტრატეგიული ამოცანაა კლიენტური ურთიერთობების შექმნა, რომლებიც სამომავლოდ კლიენტურ-პატრონაჟული ქსელის ბატონობის ბაზას ჩამოაყალიბებენ. ეს უზრუნველყოფს მთავრობის მიზნების, როგორც პოლიტიკურ მეწარმეთა, ასევე მასების მხარდაჭერას.

სახელმწიფო სტრუქტურების მოშლისა და შოკური თერაპიის შედეგად, პატრონ-კლიენტურის ქსელებისთვის შესანიშნავი პირობები შეიქმნა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ სახელმწიფოს ქონებაში ინვესტიციების განხორციელებით. რასმა კარკლინსი ამგვარი ქსელების წევრებს „ტრანზიციის სპეკულიანტებს“ უწოდებს (Karklins. 2005). ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებმა, დეპუტატებმა და, საერთოდ ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილმა კარგად ინფორმირებულმა ჩინოვნიკებმა მშვენივრად გამოიყენეს თავიანთი უპირატესობა პრივატიზაციის პროცესსა და 1990-იანების უკანონობაში, ჰქონდათ კიდევ ამის მიზეზი, რომ „კრიშებით“ თუ მფარველებით დაეცვათ თავიანთი მოგება.

პატრონაჟის ქართული ვარიანტი ყოველთვის არაკეთილსინდისიერ და კორუფციულ კავშირებზე დაფუძნებული სისტემა არ არის. შოთა რუსთაველის აფორიზმი, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, ქართული ქსელური ურთიერთობების კეთილ ბუნებას ასახავს. მაგრამ საზოგადოებრივად ანგარიშვალდებული ელიტების ხელში, პატრონაჟი ხშირად გვევლინება ძალაუფლების, საკუთარი ინტერესების დამაკმაყოფილებელ და მანიპულირების ინსტრუმენტად („ქართულ-ჯიგურული პონტია“); პოსკომუნისტურ საზოგადოებებში ეს სისტემა ხაზს უსვამს საჯაროსა და კერძოს კორუფციულ აღრევას. საქართველოში ამ სისტემის „დამსახურებით“ სამოქალაქო მონაწილეობა ვერ შედგა და რეჟიმის ლეგიტიმაციაც გამოიფიტა.

ლიტერატურა:

1. კიკაბიძე ვ. პატრონ–კლიენტელიზმი არჩევნებს არჩევნებამდე იგებს. <https://www.radiotavisupleba.ge/a/24419172.html> [19.03.2019]
2. კლიენტელიზმი. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი (2004). [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] – თბ. : ლოგოს პრესი, – 351გვ. (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4664> [19.03.2019]
3. კუჭუხიძე ვ. ნეპოტიზმიდან კლიენტელიზმამდე. <http://netgazeti.ge/opinion/17174/> [19.03.2019]
4. ჯონსი ს. (2012). საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
5. Banfield E. (1958). *The Moral Basis to Backward Society*, Clencoe. Ill: Free Press,
6. Jowitt K, (1992). *The New World Disorder: The Leninist Extinction*, Berkeley: University of California Press,
7. Kuzio T. (2001). *Transition in Post-Communist States: Triple or Quadruple?* – Politics. Vol.21. N.3. P.171.
8. Karklins R, (2005). *The System Made Me Do It: Corruption in Post-Communist Societies*. Armonk, New York: M.E. Sharpe.
9. Stefes, C. H. (2006). *Understanding Post-Soviet Transitions: Corruption, Collusion and Clientelism*. Palgrave Macmillan

Neopatrimonialism and Party Clientelism

Kareli Teimuraz

Ilia State University Institute of Political Science

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.457>

Abstract

The article deals with the features of formation of the party systems in the post-Soviet space. To understand the specific processes, the attention is focused on the inverse logic of the post-Soviet states, the basic features of which can be expressed by the concept of neopatrimonialism. In this context the functioning features of political parties, their principal tasks and the logic of creating the "power party" are described. The article examines the key criteria for the concept of the dominant party, such as its ability to consistently and steadily win the elections, the significant duration of its stay in power, as well as its personnel Control over the government. In the sociopolitical discourse the "power party" enjoys a privileged ideological position and has more opportunities compared to its competitors to appeal to voters. Along with that the party dominance reveals itself not only in its external manifestation (the stay in power), but also in the substantial one – the ability to exercise an effective political choice. The article analyzes the factors of sustainability of the "power party" systems: the historical merits of the "power party"; the ruling party's ability to effectively take advantage of the electoral system; its strong relationships with the most affluent social groups and major corporations, as well as with the predominant ethnic or linguistic social groups; a privileged access of the ruling party to media

resources. These factors are also effective in the polycentric political systems without any dominant party. However, under the dominant party systems they manifest themselves in a complex way, providing the ruling camp with a multi-layered protection due to a synergy effect. Particular attention is paid to the phenomenon of clientelism, widely used by the ruling party as a strategy of political mobilization. However, if discrimination arose by clientelism reaches the level that denies clients the right to choose, this is certainly not consistent with the rules of democracy.

Key words: party system, neopatrimonialism, clientelism, clientpatronage network, post-Soviet transformations, power party.

დემოკრატიის „წყალქვეშა რიფები“

ქარელი თეიმურაზ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.458>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ავტოკრატიიდან დემოკრატიაზე საზოგადოების გადასვლის პრობლემები, დასაბუთებულია ე.წ. დემოკრატიის „წყალქვეშა რიფების“ კვლევის აუცილებლობა, გამოყოფილია და გააანალიზებულია შიდა და გარე დილემები: ოლიგარქია, თვითგანდგომა, „ციკლირება“ პოლიტიკაში, ფუნქციონალური ავტონომია, ურთიერთდამოკიდებულება. ნაშრომში აღწერილია ტრანსფორმაციის პროცესში დემოკრატიის სისუსტის განმაპირობებელი სისუსტეები: ინტერესთა ჯგუფების ზეწოლის ან არჩევნებში დამარცხების შიშის გამო, პოლიტიკოსების მიერ ძნელი გადაწყვეტილების მიღებისგან თავის არიდება; დემოკრატიით მოპოვებული თავისუფლებით სარგებლობა ინტერესთა ჯგუფების, ლობისტების მიერ, რომლებიც საგადასახადო თუ საბიუჯეტო სუბსიდიების გზით უფრო მეტი სახსრების მოპოვებას ცდილობენ; პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემებით მანიპულირება; დაპირებების შეუსრულებლობა, განსაკუთრებით არჩევნების დროს; დემოკრატიის დაყოფა საერთო-საქვეყნო და ლოკალურ სფეროებად; სახელმწიფო ადმინისტრაციის კომპეტენტური, აპოლიტიკური სტრუქტურები. ნაშრომში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეფექტიანი პოლიტიკური კურსის შემუშავება და გატარება შესაძლებელია მხოლოდ ნაშრომში აღწერილი პრობლემების სერიოზული ემპირიული კვლევების და ამ კვლევების შედეგების გათვალისწინების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატია; დემოკრატიის დილემები; ავტოკრატია; წყალქვეშა რიფები; დემოკრატიის სისუსტეები.

შესავალი

„მესამე ტალღით“ ცნობილი ავტოკრატიიდან დემოკრატიაზე გადასვლის პროცესი, რომელიც წინა საუკუნის სამოციან წლებში პორტუგალიაში აგორდა, თანდათანობით უკუქცევითმა ტალღებმა შეცვალა. არ გამართლდა ლარი დაიმონდის და სხვათა აზრი დემოკრატიზაციის „მეოთხე ტალღის“ დაწყების შესახებ, რომლის არსი იქნებოდა მთელ მსოფლიოში განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან განვითარებადი დემოკრატიების მხარდაჭერა. პირიქით, ჩვენ უკვე უკუსვლის მესამე ტალღას ვაკვირდებით. დემოკრატიის 1980-იანი და 90-იანი წლების ტრიუმფალური სვლის შენელება გარდუვალი იყო.

დემოკრატიის ოცდაათწლიანი პროგრესი 2006 წლის შემდეგ შეჩერდა. ამ წელს მსოფლიოში დემოკრატიათა პროპორციამ ისტორიულ მაქსიმუმს 62%-ს მიაღწია (ამ ქვეყანათა 58%-ის მოსახლეობის რაოდენობა ერთ მილიონს აღემატებოდა). 2017 წლისთვის ერთ მილიონზე მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყნებს შორის დემოკრატიების

წილი 51%-მდე შემცირდა (დაიმონდი, 2019:59). დემოკრატიის უპირატესობების შესახებ საზოგადოებრივი მოლოდინი მხოლოდ ემპირიული დადასტურებით თუ გამართლდება. ეს ურთულესი პროცესია. როგორც წესი, საქართველოს მსგავს „ახალბედა“ დემოკრატიებს, ზოგადად, გარდამავალ პოლიტიკურ სისტემებს, თავიანთი ლეგიტიმურობის დასამტკიცებლად მრავალი დილემის გადალახვა უწევთ. თავად ის ფაქტი, რომ თანამედროვეობის კონტექსტით სხვა „სისტემური“ ალტერნატივა არ არსებობს, ლიბერალურ დემოკრატიებს ახალ პრობლემებს უქმნის. განვითარებადი დემოკრატიების სწრაფვა ლიბერალური დემოკრატიების ძირითადი ნორმების და ინსტიტუციების იმიტაციისკენ წარმატების გარანტია ნამდვილად ვერ იქნება. დამაჯერებლად ვერავინ ასაბუთებს დემოკრატიის ისტორიულ გარდუვალობას, მის შეუქცევადობას და ვერც იმას, რომ დემოკრატიისთვის კაპიტალიზმი სავალდებულოდ ფუნქციონალური საჭიროებაა. ერთი რამ არის უეჭველი, დემოკრატიის გაძლიერება და განმტკიცება უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს და ბევრ ქვეყანაში ის მხოლოდ ოცნების საგნად თუ დარჩება. ე.წ. გარდამავალი პოლიტიკური სისტემის ქვეყნებში დემოკრატიის მრავალი დილემა და სისუსტე არსებობს. სტატიაში სწორედ ამ პრობლემებზეა საუბარი.

„უალტერნატივობა“ თუ საფრთხეების კვლევა?

თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატია არის მართვა-გამგეობის ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა. მაგრამ, ამავე დროს საკმაოდ მყარად არსებობენ ავტოკრატიებიც, დიქტატორებიც, ფუნდამენტალისტებიც და ა.შ. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: თუ ამ მრავალ სახელმწიფოთა შორის დემოკრატია მართლაც „ერთადერთი ვარიანტია“, მაშინ რაღა საჭიროა მისი დილემების და ხიფათების კვლევა, განა ეს „უალტერნატივობა“ საკმარისი საფუძველი არ უნდა იყოს განვითარებადი დემოკრატიების უმეტესობაში კონსოლიდაციის უზრუნველსაყოფად? ამ კითხვებზე პასუხს ორი მიზეზი განაპირობებს: ჯერ ერთი, ახალ დემოკრატიებში რეალური შედეგებით იმედგაცრუების ზრდის შედეგად დემოკრატიის ჰეგემონიას სავსებით შესაძლებელია „ერთ მშვენიერ დღეს“ წერტილი დაესვას და ასეთ შემთხვევაში ძველი და ახალი ავტოკრატიული თემები კვლავ დადგება დღის წესრიგში; მეორე, ავტოკრატიებმა კიდევ რომ ვერ შეძლონ დაბრუნება, მაინც დიდია იმის ალბათობა, რომ დემოკრატიები წინ მხოლოდ ნელ-ნელა, კუს ნაბიჯებით თუ წაიწევენ, მოქალაქეთა იმედებს ვერ გაამართლებენ და ვერ დაამკვიდრებენ კონკურენციის და თანამშრომლობის მისაღებ წესებს. ისტორიამ იცის მსგავსი მაგალითი. მსოფლიო ომებს შორის პერიოდში დემოკრატიის ყველაზე დაუძინებელ მტრედებად თავად „დემოკრატები“ აღმოჩნდნენ, რომლებმაც დემოკრატიის „გადასარჩენად“ ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების გატარებით ხელი შეუწყეს დემოკრატიის დაცემას და ეს მოხდა არა იმის გამო, რომ დემოკრატიის ალტერნატივა უფრო პოპულარული იყო, არამედ იმიტომ, რომ არსებული რეჟიმის კვაზიავტოკრატიად ტრანსფორმირება მოხდა. რა შეიძლება მოჰყვეს იმედგაცრუებას? დემოკრატიის „უცაბედი სიკვდილი“, რაც ჩვეულებრივ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხდება, ან „თანდათანობითი, ნელ-ნელა კვდომით“ დემოკრატია ლატენტურად მმართველობის სხვა ფორმას უთმობს ადგილს.

ავტოკრატიისკენ რეგრესსა და დემოკრატიისკენ პროგრესს შორის იოლი არჩევანი არ არსებობს, შმიტერის მართებული მოსაზრებით, სულ მცირე, ორი სხვა შესაძლებლობაც სავარაუდოა: 1) ავტოკრატიის და დემოკრატიის ელემენტების გამაერთიანებელი ჰიბრიდული რეჟიმი; 2) მყარი, თუმცა არაკონსოლიდირებული დემოკრატია (Шмиттер, 144) განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევებშია გასათვალისწინებელი, როცა გარდამავალი პერიოდი თავსმოხვეულია, ზემოდან არის ინიცირებული და ძველი

მთავრობა ახალი რეჟიმის ავტოკრატიული ხერხებით „აცრით“ საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობს.

ჰიბრიდული რეჟიმი გულისხმობს იმას, რომ ხორციელდება **ლიბერალიზაცია დემოკრატიზაციის გარეშე**, ე.ი. როცა ინდივიდუალურ უფლებებს თმობენ, მაგრამ უარს ამბობენ პასუხისმგებლობაზე, მოქალაქეთა წინაშე ანგარიშგებაზე; **დემოკრატიზაცია ლიბერალიზაციის გარეშე** კი ისეთი რეჟიმია, როდესაც არჩევნებს კი ატარებენ, მაგრამ ეს ხდება მმართველი დომინანტური პარტიის გარანტირებული გამარჯვებით, გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების არჩევნებში მონაწილეობიდან ამორთვით, ან არჩეულ მოქალაქეებს რეალური მართვის შესაძლებლობა არ ეძლევათ. გასაგებია, რომ ამ სავარაუდო შედეგებიდან არც პირველია დემოკრატია და არც მეორე, თუმცა, საბოლოო ანგარიშით, ორივეს შეუძლია მმართველობის ისეთი ტიპის შექმნა, სადაც კონკურენციაც იქნება და ანგარიშგებაც: პირველ შემთხვევაში, ლიბერალიზაციამ შეიძლება ისეთი სამოქალაქო საზოგადოება წარმოშვას, რომელიც დიდ უფლებებს მოიპოვებს; მეორე შემთხვევაში კი არჩევნებში ისეთი ძალები იმარჯვებენ, რომლებსაც ავტორიტარული ანკლავების შესავიწროვებლად სამოქალაქო მთავრობის ავტორიტეტის გამოყენება შეუძლიათ. არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ შესაძლოა ჰიბრიდული წარმონაქმნი ავტოკრატიის გაძლიერების ფასადიც გახდეს.

დილემების სისტემატიკა

ავტოკრატიული რეგრესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია იმ წყალქვეშა რიფების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლიან დემოკრატიის კონსოლიდაციას. პოლიტიკის მეცნიერებაში ამ პრობლემას „დემოკრატიის დილემას“ უწოდებენ. პირველად ეს ცნება („დილემა“) ამ კონტექსტით გამოიყენა ტერი კარლიმ ნაშრომში „დემოკრატიზაციის დილემები სამხრეთ ამერიკაში“ (1990), (Terri, 1990).

„ახალბედა“ დემოკრატიები კონსოლიდაციის პროცესში რთული ამოცანის წინაშე დგებიან. გარდამავალი პერიოდის „სულსწრაფობისგან“ განსხვავებით კონსოლიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების არჩევანი იმ აქტორებს შორის ხანგრძლივ მოლაპარაკებებს მოითხოვს, რომლებიც ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობენ და მთლიანად აქვთ გაცნობიერებული დღევანდელ შედეგებზე მათი სამომავლო ურთიერთქმედების დამოკიდებულება. ამ პროცესში, ბუნებრივია, თითოეული მათგანი სარგებელს თანაბრად ვერ მიიღებს. ეს ილუზია იქნებოდა და ისიც კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ნებისმიერი არჩეული ალტერნატივა ზოგს ვნებს და ზოგსაც დაეხმარება. ამ დილემების გადაწყვეტით და დემოკრატიის პროცედურების არცთუ სასიამოვნო არჩევანით თითოეული სახელმწიფო „დემოკრატიის“ მისეულ ტიპს ირჩევს. წარუმატებლობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად იზრდება რეგრესიის, ჰიბრიდიზაციის ან სულაც არშემდგარი კონსოლიდაციის რისკი.

„რევოლუციების“ შემდეგ, რაოდენ ფერადოვანიც არ უნდა იყოს ის, საჭიროა მზაობა იმისთვის, რომ ხალხთა მასების ეიფორია შესაძლოა მალე განელდეს და შეიცვალოს ხელმეორე ფრუსტრაციით. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ძალზე დამთრგუნველი იქნება შექმნილი ვითარება და იმის გაგება, რომ ტირანების თუ ავტოკრატების დაცემა სრულიადაც არ ნიშნავს უსასრულო ჰარმონიას და კეთილ გრძნობათა სასწაულებრივ მოვლინებას; რომ „სახალხო აჯანყება“ ან სამოქალაქო საზოგადოების მოძრაობის აზვირთება უძლურია შვას „კეთილი ნება“ მოქმედებისაკენ, რომ შეიძლება „პატიოსანი დემოკრატიები“ აშკარად წვრილმან დეტალებზე გაუთავებლად კინკლაობდნენ; რომ დემოკრატიის დამყარებას ამავედროულად თავისთავად არ მოაქვს თავისუფლება და თანასწორობა, კეთილდღეობა და სამართლიანობის ზრდა, უსაფრთხოება და

თანასწორი შესაძლებლობები, ავტონომია და ხელისუფალთა ანგარიშგება. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი იკითხავს: „განა ღირდა კი დემოკრატიის მოპოვება ამდენი შფოთვის, გაურკვეველობის და ტანჯვა-ვაების ფასად?“. ცხადია, ყველა განვითარებადი დემოკრატიული სახელმწიფო და მათ შორის საქართველოც, მტკივნეული არჩევანის წინაშე დგება. ეს არჩევანი უკავშირდება თავის ისტორიას, გეოსტრატეგიულ მდებარეობას, ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებს. ლოგიკურია, აქ მათ რაღაც საერთო, „ზოგადიც“ ექნებათ. აი, ამ ზოგადის, საერთო დილემების განსაზღვრა და დადგენა რომ შეგვეძლოს, მაშინ უფრო უკეთესი პროგნოზის გაკეთებასაც შევძლებდით. თუმცა, ამ შემთხვევაში, ყველა სავარაუდო შედეგის ამოსაცნობად ყველა არსებული რელევანტური დეტალის გათვალისწინება მოგვიწევდა.

დემოკრატიის დილემების ორი კატეგორია გამოიყოფა: ა) თანამედროვე დემოკრატიისთვის შინაგანად დამახასიათებელი დილემები, მიუხედავად იმისა თუ სად და როდის აღმოცენდა მოცემული დემოკრატია, ე.ი. *შიდა დილემები* და ბ) *გარე დილემები* ანუ ისეთი დილემები, რომლებიც საექვოდ ხდიან არსებულ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ პირობებთან ახალი დემოკრატიული წესების და პრაქტიკის თავსებადობას.

შიდა დილემებია:

1. **ოლიგარქია.** რობერტ მიხელსმა პირველმა მიუთითა, რომ დემოკრატიულ ინსტიტუტებში პროფესიული ლიდერები და ადმინისტრაცია იმის გამო, რომ თანამდებობები უკავიათ, იმთავითვე გარკვეულ უპირატესობებს ფლობენ. ეს კონკურენტების მიერ მათი ჩამოგდების საფრთხისგან იცავს. მიხელსის ცნობილი „რკინის კანონის“ თანახმად ყველა პარტია, ასოციაცია თუ მოძრაობა (საკანონმდებლო ორგანოზე რომ აღარაფერი ითქვას) სულ უფრო ოლიგარქიული ხდება და ამდენად, სულ უფრო ნაკლებ ანგარიშვალდებულნი არიან თავისი წევრების და ფართო საზოგადოების წინაშე (Michels, 1962).

2. **თვითგანდგომა.** გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტის მანკურ ოლსონის თეზისის თანახმად ინდივიდებს არ გააჩნიათ ისეთი რაციონალური სტიმულები, რომ დემოკრატია და დემოკრატიითვე ნასაზრდოებ საზოგადოებრივ ქველობას ნებაყოფლობით ხელი შეუწყონ და მხარი დაუჭირონ. კერძო პირებისთვის არ არსებობს არჩევითი კომპენსაციები და მოქალაქეებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში იმ აზრს ეჩვევიან, რომ უაზრობაა ხმის მიცემა, ასოციაციებსა და მოძრაობებში გაწევრიანება, საერთოდ, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, რადგან გარკვეულ პირთა მოქმედებები შედეგზე იოტისოდენა გავლენასაც კი ვერ ახდენს. ამიტომ მოქალაქეები ამგვარი საქმიანობის დიდი ნაწილის დელეგირებას სულ უფრო ხშირად პროფესიონალ „პოლიტიკურ ანტრეპრენიორებზე“ ახდენენ, რომლებიც მათივე კლიენტებისა თუ კონკურენტებისგან მეტნაკლებად დამოუკიდებლად მოქმედებენ (Olson, 1965).

3. **„ციკლირება პოლიტიკაში“.** ეს დილემა თანამედროვე დემოკრატიების პრაქტიკაში განსაკუთრებით იჩენს თავს, რაც იმაში ვლინდება, რომ არსებობს ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის ხარჯებისა და სარგებლის არათანაბარი განაწილების პრობლემა. ყოველთვის, როდესაც ეს კონსენსუსით, ერთსულოვნებით კი არ ხდება, არამედ უმრავლესობის პრინციპის საფუძველზე კენჭისყრით, წარმოიშვება „ციკლირება“ – არამყარი უმრავლესობა, რომელიც დროებითი კოალიციებისგან, პოლიტიკური ღონისძიებების გამუდმებული ცვლის პირობებში იქმნება, საბოლოო ეფექტი კი თითოეულის გაუცხოებაა (Arrow, 1951).

4. **ფუნქციონალური ავტონომია.** ყველა დემოკრატია თავისი არსებობის

შესანარჩუნებლად დამოკიდებული უნდა იყოს სპეციფიკურ არადემოკრატიულ ინსტიტუტებზე: შეიარაღებულ ძალებსა და ცენტრალურ ბანკზე. ამ ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის კი აუცილებელია მათი იზოლირება ხალხისგან, მისი ზეწოლისგან. მაგალითად, ვალუტის კურსის დამცავი მექანიზმია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა. ეს მოთხოვნა ამ დაწესებულებას კონსტიტუციურ პასუხისმგებლობას აკისრებს იმაზე, რომ მისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ემსახუროს ვალუტის სტაბილურობას და არა სხვა მიზანს. ამიტომ, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი ამ მიმართულებით მოქმედების დროს პარლამენტისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. კონკურირებად სოციალურ გარემოში ასეთი ინსტიტუტების როლი სულ უფრო იზრდება და ეს ხდება მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებული პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერების ხარჯზე.

5. ურთიერთდამოკიდებულება. ყველა თანამედროვე დემოკრატია, რაგინდ დიდი და ძლიერიც არ უნდა იყოს, ჩართულია სხვა დემოკრატიებთან, ასევე ზოგიერთ ავტოკრატიებთან ურთიერთდამოკიდებულების ურთულეს ქსელში. პრინციპულად რომ ითქვას, არჩეული ეროვნული ლიდერები სუვერენულნი არიან, ე.ი. თავისი ქვეყნის კონსტიტუციის გარდა, არცერთი სხვა უფრო უზენაესი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებულნი არ არიან. სინამდვილეში კი ისინი თავის მოქმედებაში ძალზე შეზღუდულნი არიან, არ შეუძლიათ ტრანსნაციონალურ კომპანიების გადაწყვეტილების კონტროლი, მეზობლების პოლიტიკის გავლენისგან თავის დაღწევა და ა.შ. ამდენად, მათ სულ უფრო ნაკლებად ძალუძთ თავიანთი მოქალაქეების კეთილდღეობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული შიდა დილემების კატეგორია პოლიტიკის მეცნიერებაში მეტ-ნაკლებად შესწავლილია. გარე დილემების გადაჭრა კი უკავშირდება ისეთ პრობლემებს, როგორცაა, *საზღვრები და იდენტიფიკაცია, კაპიტალისტური წარმოება, დაგროვება და განაწილება, უმართავობა და გადატვირთვა, კორუფცია და გახრწნილობა, საგარეო უსაფრთხოება, შიდა უწყესრიგობები* და სხვა. სადღეისოდ სულ უფრო დიდ ინტერესს იმსახურებს დემოკრატიის სისუსტეების გამოვლენის და მათგან თავდაცვის პრობლემა. დემოკრატიის გამლიერება აუცილებელია და თანაც ისე, რომ მან საკუთარი თავის კომპრომეტაცია არ მოახდინოს. ამან განაპირობა კიდევ დემოკრატიის პოტენციური სისუსტეების კვლევის საჭიროება.

დემოკრატიის სისუსტეები

დემოკრატიის ერთ-ერთი სისუსტეა ინტერესთა ჯგუფების ზეწოლის ან არჩევნებში დამარცხების შიშის გამო პოლიტიკოსების მიერ ძნელი გადაწყვეტილებების მიღებისგან თავის არიდება. მას საკმაოდ მნიშვნელოვან სირთულეებამდე, ზოგიერთ შემთხვევაში, სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისამდეც კი შეუძლია მიიყვანოს ქვეყანა. საქართველოში ეს ძალზე რელიეფურად გამოვლინდა. ამან შესაძლოა გამოიწვიოს შემდგომი არასასურველი ნაბიჯები, რომლებსაც ხელისუფლება თუ ადრე მიიღებდა, რეფორმების გავლენა გაცილებით ნაკლებ მტკივნეული იქნებოდა.

დემოკრატიის მეორე სისუსტეა ის, რომ დემოკრატიით მოპოვებული თავისუფლებით სარგებლობენ ინტერესთა ჯგუფები, ლობისტები, რომლებიც ცდილობენ საგადასახადო თუ საბიუჯეტო სუბსიდიების გზით უფრო მეტი საფინანსო სახსრების მოპოვებას. მათი მცდელობის მიზანია აგრეთვე შეღავათების მიღება და, მაშასადამე, უპირატესობის მიღწევა ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლაში, რაც ასევე, დამატებითი ფულადი შემოსავლების წყაროა. ცხადია ეს ყველაფერი საყოველთაო კეთილდღეობისთვის კეთდება. მანკურ ოლსონი ამტკიცებს, რომ ვიწრო ინტერესთა ჯგუფების

გავლენას და რიცხოვნებას განაპირობებს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის განვითარების ტემპებში განსხვავება; სახელდობრ, იქ სადაც აღნიშნული ჯგუფები დიდი ხანია არსებობენ, მაგალითად დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ., ეს ტემპები აშკარად დაბალი იყო, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ომის წაგებამ ადრე წარმოქმნილი ლობისტური დაჯგუფებების დაშლა გამოიწვია, მაგალითად გერმანიასა და იაპონიაში. ზოგადად თეზისი, იმაზე, რომ არსებობს წინააღმდეგობა ქვეყნის განვითარებასა და ინტერესთა ჯგუფებს შორის, საკმაოდ დამაჯერებელია. ეს უკანასკნელი ცდილობენ პრივილეგიების მოპოვებას და ამით იმის შეცვლას, რაც ნამდვილად შეუცვლელი და განვითარების საფუძველია, ანუ საწარმოს და მთელი ქვეყნის მწარმოებლური უნარის ზრდას. თავად ბრძოლა სახელმწიფოს მიერ პრივილეგიების ჩამორიგებისთვის კიდევ უფრო ასუსტებს განვითარებას, რადგან ადამიანთა ძვირფასი დრო და ენერჯია მიაქვს. უკიდურეს შემთხვევაში, ეს ბრძოლა მოჯადოებულ წრეს ქმნის: საქვეყნო ღვეზელის გასაყოფად წარმოებული კონფლიქტები მას აპატარავებს, რაც თავის მხრივ, ახალ კონფლიქტებს წარმოშობს. და ა.შ.

დემოკრატიის სისუსტის გამოვლინების მესამე ფორმაა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემებით მანიპულირება. პოპულარობის მოსაპოვებლად და ოპონენტების შესასუსტებლად ისინი აკრიტიკებენ პრივატიზაციის მომხრეებს, აცხადებენ, რომ საერთო-სახალხო ქონებას ჩალის ფასად ასხვისებენ, საპენსიო რეფორმის მოხრეებს კი ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი პენსიონერების მოსყიდვას ცდილობენ და ა.შ. საბოლოო ჯამში ყველაფერ ამას შეუძლია აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღების შეფერხება, რის შედეგადაც გამორიცხული არ არის მთელი ქვეყანა კრიზისში აღმოჩნდეს.

შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიის მესამე სისუსტიდან გამომდინარეობს მისი მეოთხე სისუსტე: **ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკოსები უარს ამბობენ იმ მართლაც აუცილებელი დაპირებების პრაქტიკულად განხორციელებაზე, რომლებსაც ასე უხვად არიგებდნენ, განსაკუთრებულ არჩევნების დროს.** ამის შედეგად დემოკრატია შესაძლოა, საზოგადოებრივ თუ სამეურნეო ცხოვრებაში პერმანენტული არასტაბილურობის ელემენტები შეიტანოს.

დემოკრატიის მეხუთე მნიშვნელოვან სისუსტეს წარმოადგენს მისი საერთო-საქვეყნო და ლოკალურ სფეროებად დაყოფა. გამართულად მომუშავე ადგილობრივი მმართველობის ორგანოები საკმაოდ მნიშვნელოვანი სკოლებია როგორც ეკონომიკის, ისე დემოკრატიის გასაფართოებლად. ამიტომ არის საჭირო მისი დაცვა „დიდი“ (საერთო-საქვეყნო) პოლიტიკის შემოტევისგან.

და ბოლოს, დემოკრატიის მეექვსე სისუსტეა სახელმწიფო ადმინისტრაციის კომპეტენტური, აპოლიტიკური სტრუქტურები. აპოლიტიკურობა ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციაში თანამდებობების განაწილება უნდა ხდებოდეს არა პარტიული, არამედ პროფესიონალური ნიშნის მიხედვით. პარტიული პოლიტიკოსების მიერ მინისტრის პორტფელის დაკავება არ უნდა მოასწავებდეს ამ სამინისტროში ყველა სერიოზული თანამდებობის პარტიული ნიშნის მიხედვით განაწილებას.

დემოკრატიის სისუსტეების გამორიცხვა

ქვეყნის მიერ დემოკრატიის სისუსტეების დაძლევა დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის პოლიტიკოსებზე, სახელდობრ, თუ ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანი შეიძლება იმით შეფასდეს თუ როგორ იყენებს მისთვის მინიჭებულ თავისუფლებას, პოლიტიკოსი ფასდება იმით, რა გზებით და მეთოდებით მოიპოვებს ამომრჩეველთა ხმებს. თუ ის ამ მიზნისთვის იყენებს სიძულვილის ენას, შურს და ა.შ., შეუძლებელია

ამან ქვეყნისთვის რაიმე სარგებელი მოიტანოს, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ანტაგონიზმის გაღვივებას.

დემოკრატიის სისუსტეების აღმოფხვრა, უწინარესად, დამოკიდებულია ქვეყნის კონსტიტუციურ მოწყობაზე. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია საპარლამენტო დებატებიდან ზოგიერთი პრობლემის განხილვის ან მათ შესახებ კამათის გამორიცხვა და პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღება უაღრესად მკაცრი პირობების შესრულების შემდეგ. განსაკუთრებით ეს ისეთ საკითხებს ეხება, რომელთა განხილვასაც შესაძლოა მძაფრი პოლიტიკური ბრძოლა მოჰყვეს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის გამიჯვნა პოლიტიკისგან, ანუ უმნიშვნელოვანესი საკითხების ხელისუფლების მიერ გადასაჭრელ საკითხთა წრიდან გამოთიშვა. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკისთვის კერძო საკითხის მინიჭება, თუ, რა თქმა უნდა, ის არ არის ლობისტური ქსელებით შებოჭილი. ეკონომიკის პოლიტიკისგან გამოცალკევება უკეთ ხელეწიფება აგრეთვე კარგ კონსტიტუციას, ამასთან თუ მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი პრინციპი უნდა იყოს დარღვეული, მაშინ კარგი იქნებოდა მათი საკონსტიტუციო კანონების რანგში აყვანა, ამ უკანასკნელთა ხშირი ცვლილების გამოსარიცხად. კარგი კონსტიტუცია საიმედო საფარია პოლიტიკის კაპრიზების წინააღმდეგ. ასეთი ძირითადი კანონი იგივეა რაც თავისუფალი კონკურენცია ბაზრისთვის. კონსტიტუციურმა ნორმებმა ვალუტის სიმყარე პოლიტიკოსთა პოპულისტური ცდუნებისგან უნდა დაიცვას. მრავალი დემოკრატიული ქვეყანა თავისი კონსტიტუციის მეშვეობით ამგვარი ცდუნებისგან თავს იცავს. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციის 113-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო ნორმები, რომელთა მიხედვითაც იზრდება ხარჯები ან მცირდება შემოსავლები, არ მიიღება, თუ მასზე არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების თანხმობა.

დემოკრატიის სისუსტეებისგან თავის არიდების სხვა მეთოდია პარლამენტში კამათის და გადაწყვეტილების მიღების მეთოდები. ამ შემთხვევაში იმის ნაცვლად, საპარლამენტო საქმიანობა სიბრძნის დაგროვებას და გამოყენებას ემსახურებოდეს, ბატონდება ბრბოს ფსიქოლოგია. დიდი მნიშვნელობა აქვს პროცედურული ნორმების დაცვას საპარლამენტო კომისიების და კომიტეტების მუშაობაში, განსაკუთრებით დასკვნის მომზადებისა და ხმის მიცემის შორის პერიოდში. ამ მხრივ კარგი მაგალითია შვედეთში შტატების კონგრესზე სხვადასხვა შეღავათების წინააღმდეგ კენჭისყრა, ხმის მიცემა ხდება არა ცალკ-ცალკე, არამედ კენჭი ეყრება შეღავათების და პრივილეგიების მთელ პაკეტს. ამგვარი მიდგომით გამოირიცხება ინტერესთა ჯგუფების ზეწოლა ცალკეული შეღავათების მისაღებად.

დემოკრატიის სისუსტეებისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა *პოლიტიკური პარტიების ფორმირების შესაბამისი სისტემის შემუშავება*. გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე პირობებში პარტიების სიმრავლე ქვეყანაში სულაც არ არის უკეთესი პოლიტიკური სიტუაციის მომასწავებელი. პირიქით, ამგვარი მდგომარეობის გამო იმის აუცილებლობა დგება, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება რამდენიმე პარტიის წარმომადგენლისგან დაკომპლექტდეს. ასეთ კოალიციურ მთავრობაში დიდი დრო და ენერჯია იხარჯება იმაზე, რომ მთავრობის წევრებს შორის მტრობა არ ჩამოვარდეს, გაცილებით ნაკლები დრო ეთმობა გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღებასა და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზების ძიებას. რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებისგან შემდგარი მთავრობა ხშირად მერყეობს, რასაც ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში არასტაბილურობის ელემენტები შეაქვს. პარტიების რაოდენობა და მასთან დაკავშირებული ეროვნული მეურნეობის მართვის სირთულეები უმთავრესად ქვეყნის

ისტორიის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. მის საფუძველს ქმნის ის, რომ პარტიულ ლიდერებს არა აქვთ პოლიტიკური სცენის კონსოლიდაციის მიღწევის უნარი. საინტერესო გამოცდილება აქვს პოლონეთს, სადაც ამ მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯია 1993 წელს მიღებული კანონი, რომელიც პარლამენტში ასარჩევად ცალკეული პარტიებისთვის ითვალისწინებს მინიმუმ ხუთპროცენტთან ბარიერს, რვაპროცენტთან კი – კოალიციისთვის.

დასკვნა

ვარაუდი, რომ რეჟიმების ცვლის ამჟამინდელი ტალღის თანმდევი ავტოკრატი-ისკენ რეგრესია უწინდელთან შედარებით იშვიათად მოხდება, იოტისოდენა შვებაც ვერ იქნება მათთვის ვინც სწორედ დღეს ცდილობს ახალი დემოკრატიის კონსოლიდირებას. მათ ერთი მეორის მიყოლებით მოუწევთ მძიმე დილემების გადაჭრა და ასევე არაერთხელ მოუწევთ არცთუ იოლი არჩევანის გაკეთება მანამ, სანამ მათი ქვეყნები მიაღწევენ პოლიტიკური თანამშრომლობის და კონკურენციის იმ ნორმებს, რომლებიც დემოკრატიული მმართველობის სიმტკიცეს უზრუნველყოფენ. დემოკრატიის ზემოთ აღწერილი დილემები და სისუსტეები სერიოზულ კვლევას და კვლევის შედეგების საფუძველზე ადექვატური გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი ეფექტიანი პოლიტიკური კურსის შემუშავება და რეალიზაცია.

ლიტერატურა:

1. ბუეჟინსკი ზბიგნევი. (2019). დემოკრატიის არამყარი ტრიუმფი. – წიგნში: ნიკოლოზ რურუა. თავისუფლების კანონი. თარგმანები, ესეები, პუბლიცისტური წერილები. განახლებული გამოცემა. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. თბილისი. გვ. 179-191.
2. დაიმონდი ლარი (2019). ავი ქარები. დემოკრატიის გადარჩენა რუსეთის გახელებისგან, ჩინეთის ამბიციისა და ამერიკის თვითკმაყოფილებისგან. ეკონომიკური კვლევის ცენტრი, თბილისი. 177 გვ.
3. სუარეში მარიუ. (2019). დემოკრატიული გამოგონება. – წიგნში: ნიკოლოზ რურუა. თავისუფლების კანონი. თარგმანები, ესეები, პუბლიცისტური წერილები. განახლებული გამოცემა. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“. თბილისი. გვ. 70-86.
4. ნოდია გ. (1991). ერად ყოფნა და თვითგახსენება: დემოკრატიისკენ სვლა კომუნიზმის შემდეგ. – „პოლიტიკა“, № 3-4. გვ.45-50; № 5. გვ.24-28.
5. ფუკუიამა ფრენსის. (2017). დემოკრატია და სახელმწიფოს ხარისხი. – პოლიტიკა და დემოკრატია. აუცილებელი საკითხავი. წიგნი II. თბილისი. 107-126.
6. ფუკუიამა ფრენსის. (2015). ისტორიის დასასრული? – პოლიტიკა და დემოკრატია. აუცილებელი საკითხავი. წიგნი I. თბილისი. 166-196.
7. Linc Juan. (1978). The Breakdown of Democratic Regimes Crisis, Breakdown and Reequilibration (Baltimore: Johns Hopkins University Press).
8. Kenneth J. Arrow, (1951). Social Choice and Individual Values (New York: John Wiley).
9. Mancur Olson. (1965). The logic of Logik of Collective Action: Public Goals and the Theory of Groups (Cambridge: Harvard University Press).
10. Roberto Michels, (1962). Political Parties. A Sociological Study of the Oligarchic Tendencies of Moderns Europe (New York and London: The free Press).
11. Terri Karl. (1990). “Dilemmas of Democratization in Latin America”. Comparative Politics 23 (Oktober 1990), 1-23.

12. Даль Р. (2000). О демократии / Пер. с англ. Богдановского А.С. Науч. Ред. Алякринский О.А. М.: Аспект Пресс. 204 с.
13. Шмиттер Ф.К. (1994). Угрозы и дилеммы демократии.- «Век и Мир», № 7-8, с. 142-163.

„Underwater Reefs” of Democracy

Karel Teimuraz

Ilia State University Institute of Political Science

Article DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2021.458>

Abstract

The aim of the article is to discuss the problems of transition from autocracy to democracy. The author analyzing so called “underwater reefs” of democracy marks our internal and extremal dilemmas: oligarchy, self-elimination, “cycling” in politics, functional autonomy, interdependence. The article especially underlines and describes those terms which define the weakness of democracy in the process of transformation: Avoiding difficult decisions by politicians due to pressure from interest groups or fear of losing the election Exercising the freedom gained by democracy by interest groups, lobbyists who seek to raise more funds through tax or budget subsidies manipulating very important problems for the country as a tool of political struggle failure to keep promises, especially during elections dividing democracy into common and local spheres competent, application structure of the state administration. It also confirms the idea that to elaborate and to carry out of effective political course is available only on the basis of serious empirical research of those problems discussed in the article and the results of these researches.

Key words: Democracy; The dilemma of democracy; Autocracy; Underwater reefs; Transformation; Weakness of democracy.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაკოვსკაძის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

